# ს ი ტ ყ ვ ი ს
# ს კ ი ვ რ ი



„ტექნიკური უნივერსიტეტი“

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ვ. პაპასკირი

# სიტყვის სკივრი

რეგისტრირებულია სტუ-ს
სარედაქციო-საგამომცემლო
საბჭოს მიერ

თბილისი
2009

უაკ 07-3

ლექსიკონი, უწინარეს ყოვლისა, საცნობარო ხასიათისაა, მეორე მხრივ, გვიჩვენებს წყაროებს, საიდანაც შესაძლებელია ამ სიტყვების სემანტიკის გაცნობა, მათი ნიუანსებრივი გაგე-ბაც. მასში თავმოყრილია სიტყვათა ის ლექსიკური მარაგი, რომელიც ინტენსიურად ჭირდება მასმედიის წარმომადგენელსა და პოლიტოლოგს.

ლექსიკონს დართული აქვს “ფიგურალური სიტყვა-თქმანი”, სადაც ყურადღება გამახვილებულია ისეთ სიტყვებსა და გამოთქმებზე, რომლებიც არა მარტო ქართულში გვხვდებიან, არამედ საერთაშორისო გავრცელებაც აქვთ.

ლექსიკონი ასევე მოიცავს პოლიტიკურ ტერმინთა განმარ-ტებასაც.

ავტორ-შემდგენელი ვაჟა პაპასკირი

რედაქტორი ასოც. პროფესორი მამუკა შელეგია

რეცენზენტი სრული პროფესორი ვიანორ ახალაია

კორექტორები: მანანა დევდარიანი
ცისანა კობახიძე

© საგამომცემლო სახლი ,,ტექნიკური უნივერსიტეტი'', 2009

ISBN 978-9941-14-210-9

http://www.gtu.ge/publishinghouse/

Verba volant,
scripta manent

ყველა უფლება დაცულია. ამ წიგნის არც ერთი ნაწილი (იქნება ეს ტექსტი, ფოტო, ილუსტრაცია თუ სხვა) არანაირი ფორმით და საშუალებით (იქნება ეს ელექტრონული თუ მექანიკური), არ შეიძლება გამოყენებულ იქნას გამომცემლის წერილობითი ნებართვის გარეშე.

საავტორო უფლებების დარღვევა ისჯება კანონით.

# განმარტებითი ლექსიკონი

## ა

**აბდალ-ი** (აბდლისა), აბდალა (აბდალასი) [არაბ. აბდ ალაჰ "მონა ღვთისა", "ღვთის გლახა"] – სულელი, ჩერჩეტი. ქეგლ. ტ.1.

**აბდა-უბდა** (აბდა-უბდისა) – საბუთიანობასა და თანამიმდევრობას მოკლებული, უთავბოლო მსჯელობა; უაზრობა. ქეგლ. ტ.1.

**აბზაც-ი** (აბზაცისა) [გერმ. Absatz] – 1. შეწევით დაწყებული ახალი სტრიქონი. 2. ტექსტის ნაწილი ორ შეწეულ სტრიქონს შორის. ქეგლ. ტ.1.

**აბრაკადაბრა** (აბრაკადაბრისა) [ბერძ. abraxos ღვთაების სახელი და ძვ. ებრ. dābār სიტყვა; ჯადოსნური მოქმედების მქონე საიდუმლო სიტყვა] – უაზრო, გაუგებარ სიტყვათა გროვა; უაზრობა, შეუსაბამობა. ქეგლ. ტ.1.

**აბრევიატურა** (აბრევიატურისა) [ლათ. abbreviatura შეკვეცა, შემოკლება] – პირობითი შეკვეცა სიტყვებისა წერაში. ქეგლ. ტ.1.

**აბსენტეიზმ-ი** (აბსენტეიზმისა) [ლათ. absens-იდან, არმყოფი, არდამსწრე] – კრებებზე დაუსწრებლობა, არჩევნებში მონაწილეობის მიუღებლობა. ქეგლ. ტ.1.

**აბსოლუტ-ი** (აბსოლუტისა) [ლათ. absolutus თავისთავადი; უპირობო, უთუო] – ყოველგვარ პირობაზე დამოუკიდებელი თვითარსი; პირველ-მიზეზი; დაუსაბამო და უსასრულო მეტაფიზიკური არსი. ქეგლ. ტ.1.

**აბსოლუტიზმ-ი** (აბსოლუტიზმისა) [ფრან. absolutisme, ლათ. absolutus-იდან] – მეფის შეუზღუდავი ძალაუფლება, თვითმპყრობელობა. ქეგლ. ტ.1.

**აბსოლუტისტ-ი** (აბსოლუტისტისა) – აბსოლუტიზმის მომხრე, დამცველი. ქეგლ. ტ.1.

**აბსოლუტურ-ი** (აბსოლუტურისა) [ლათ. absolutus-იდან] – თავისთავადი; არაშეფარდებითი (საპირისპ. შეფარდებითი; პირობითი); სრული, სრულიადი, სავსებითი. ქეგლ. ტ.1.

**აბსტრაქტულ-ი** (აბსტრაქტულისა) – განყენებული, განყენებითი; განზოგადებული. ქეგლ. ტ.1.

**აბსტრაქცია** (აბსტრაქციისა) [ლათ. abstractio მოცილება, მოშორება] – რაიმე საგნის, მოვლენის ზოგი ნიშნის (ჩვეულებრივად, არაარსებითი ნიშნების) უგულებელყოფა და სხვა (არსებითი) ნიშნების გამოყოფა აზროვნებაში. – განყენება. ქეგლ. ტ.1.

**აბსურდ-ი** (აბსურდისა) [ლათ. absurdus] – შეუსაბამობა, უაზრობა, სისულელე. ქეგლ. ტ.1.

**აბსურდულ-ი** (აბსურდულისა) – შეუსაბამო, უაზრო, აბსურდის შემცველი. ქეგლ. ტ.1.

**აგარიან-ი** (აგარიანისა) – ძვ. არაბი; მაჰმადიანი. ქეგლ. ტ.1.

**აგენტ-ი** (აგენტისა) [ლათ. agens მოქმედი] – 1. სახელმწიფო დაწესებულების ან საზოგადოებრივი ორგანიზაციის დავალებათა ამსრულებელი პირი, - რწმუნებული, წარმომადგენელი. 2. ჯაშუში, პროვოკატორი. ქეგლ. ტ.1.

**აგენტურა** (აგენტურისა) – აგენტთა ერთობლიობა აგენტები. ქეგლ. ტ.1.

**აგრესია** (აგრესიისა) [ლათ. agressio შეტევა, იერიში] – პოლიტ. ერთი სახელმწიფოს თავდასხმა მეორეზე უმიზეზოდ; ერთი სახელმწიფოს ძალადობა მეორის მიმართ. ქეგლ. ტ.1.

**აგრესია** – საერთაშორისო სამართლის თვალსაზრისით ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის წინააღმდეგ ძალის უკანონო გამოყენება ტერიტორიის დაპყრობის, პოლიტიკური წყობილების შეცვლის, დამოუკიდებლობის ლიკვიდაციის და ა.შ. მიზნით.

**აგრესიულ-ი** (აგრესიულისა) – აგრესიის ხასიათის მქონე, – თავდასხმითი, დაპყრობითი. აგრესიული პოლიტიკა. – აგრესიული ქვეყანა. – [მითრიდატს] უნდოდა ეს ომი რომის აგრესიული დაპყრობითი პოლიტიკის მოსარიგებლად და მოსასპობად... (ივ. ჯავახ.). ქეგლ. ტ.1.

**აგრესორ-ი** (აგრესორისა) [ლათ. agressor] – აგრესიის ჩამდენი, - თავდამსხმელი მხარე, უსამართლო ომის წამომწყები. ქეგლ. ტ.1.

**ადათ-ი** (ადათისა) [არაბ. ადათ "ჩვეულება"] – მამა-პაპითგან დამკვიდრებული ჩვეულება, ხალხში სავალდებულოდ მიღებული წესი. ქეგლ. ტ.1.

**ადაპტაცია** (ადაპტაციისა) [ლათ. adaptatio მორგება, შეგუება] – 1. ბიოლ. შეჩვევა გარემოსთან. თვალის ადაპტაცია – თვალის შეჩვევა სინათლის გაძლიერებასა თუ კლებასთან. 2. გადატ. შეწყობა, მორგება. ტექსტის ადაპტაცია – ტექსტის შემოკლება-გადაკეთება მკითხველის მომზადების დონის შესაბამისად (კერძოდ, უცხო ენის შესწავლისას). ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲓᲐᲞᲢᲐᲪᲘᲐ** – 1. გარესამყაროს პირობებთან ორგანიზმის შეგუების პროცესი. 2. სოციალური ა. – მოცემულ საზოგადოებაში გაბატონებულ ნორმებსა და ფასეულობასთან ადამიანების (ჯგუფის) შეგუების პროცესი. მოკლე პოლიტიკური ლექს.

**ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ** – 1. ფართო გაგებით – სახელმწიფოს აღმასრულებელ ორგანოთა სისტემა და მათი საქმიანობა. 2. ვიწრო გაგებით – დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის ხელმძღვანელი პერსონალი. მოკლე პოლიტიკური ლექს.

**ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘ** (კანცლერი) – ფინანსური, მატერიალური და ადამიანური რესურსების მართვის სფეროში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციის ხელმძღვანელი.

**ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲐ** – 1. მმართველობა, გამგებლობა; 2. მართვა ფორმალურად, ბიუროკრატიულად, მხოლოდ ბრძანებებით და განკარგულებებით, კონკრეტული ხელმძღვანელობის, საქმის ცოდნისა და ახსნა-განმარტებითი მუშაობის გარეშე. მოკლე პოლიტიკური ლექს.

**ᲐᲔᲠᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ** – ბერძ. “ძალაუფლება ჰაერის მეოხებით”. სტრატეგიის ძალისმიერი კომპონენტი, რომელიც დაფუძნებულია საჰაერო სივრცის ათვისებასა და მის გამოყენებაზე გეოპოლიტიკური ექსპანსიისათვის.

**ᲐᲕᲐᲜᲢᲘᲣᲠᲐ** (ავანტიურისა) [ფრან. aventure] – 1. თავგადასავალი, მეტ წილად საძრახისი. 2. საფუძველს მოკლებული, საეგებიოდ წამოწყებული უპერსპექტივო საქმე; მოქმედება, რომელსაც სახიფათო შედეგი მოსდევს. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲕᲐᲜᲢᲘᲣᲠᲘᲡᲢ-Ი** (ავანტიურისტისა) – ავანტიურის წამომწყები, მონაწილე. ქეგლ. ტ.1.

**ავანტიურისტულ-ი** (ავანტიურისტულისა) – ავანტიურისტის შესაფერი, ავანტიურისტისათვის დამახასიათებელი. ქეგლ. ტ.1.

**ავთენტიკურ-ი** (ავთენტიკურისა) [ფრან. autentique ნამდვილი ბერძ. authentikos-იდან თვითმყოფი] – ნამდვილი, დედნის ძალის მქონე. ქეგლ. ტ.1.

**ავტარქია** – ქვეყნის სამეურნეო იზოლირების, ჩაკეტილი და თვითუზრუნველყოფადი ეკონომიკური სისტემის შექმნის პოლიტიკა.

**ავტო** [ბერძ. autos თვით] – პირველი ნაწილი რთული ფუძეებისა; ნიშნავს: თვით, თავისი... ქეგლ. ტ.1.

**ავტობიოგრაფია** (ავტობიოგრაფიისა) – საკუთარი ბიოგრაფია; ავტორის მიერ თავისი ცხოვრების აღწერა. ქეგლ. ტ.1.

**ავტობიოგრაფიულ-ი** (ავტობიოგრაფიულისა) – ავტობიოგრაფიასთან დაკავშირებული; ავტობიოგრაფიის ხასიათისა. ქეგლ. ტ.1.

**ავტოგრაფ-ი** (ავტოგრაფისა) [ბერძ. autos თვით და graphō ვწერ] – ავტორის ხელნაწერის დედანი. საკუთარი ხელით წარწერა ან ხელმოწერა. ქეგლ. ტ.1.

**ავტოდიდაქტ-ი** (ავტოდიდაქტისა) [ბერძ. autos თვით და didaktos ნასწავლი] – თვითნასწავლი, - სკოლის გარეშე, უმასწავლებლოდ, საკუთარი ცდით ცოდნა მიღებული. ქეგლ. ტ.1.

**ავტოკეფალია** (ავტოკეფალიისა) [ბერძ. autos თვით და kephalē თავი] – ეკლესიის დამოუკიდებლობა. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲕᲢᲝᲙᲔᲤᲐᲚᲣᲠ-Ი** (ავტოკეფალურისა) – ავტოკეფალიის ხასიათის მქონე, დამოუკიდებელი გარეშე ხელისუფლებისაგან. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲕᲢᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ** (ავტოკრატიისა) [ბერძ. autos თვით და kratos ძალა, ძალა-უფლება] – წიგნ. თვითმპყრობელობა, - მართვა-გამგეობის სისტემა, რომლითაც უმაღლესი და განუსაზღვრელი უფლებები ერთ პირს ენიჭება, - აბსოლუტიზმი. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲕᲢᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ** – თვითმპყრობელობა, ერთმმართველობა.

**ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲐ** (ავტონომიისა) [ბერძ. autonomia: autos თვით და nomos კანონი] – თვითმმართველობა, - რომელიმე ქვეყნის, მხარის, ოლქის უფლება საკუთარი კანონმდებლობისა და მართვა-გამგეობისა.

**ᲐᲕᲢᲝᲜᲝᲛᲘᲐ** – თვითმმართველობა, ამა თუ იმ სახელმწიფოს ნაწილის საშინაო საკითხების დამოუკიდებლად მოგვარების უფლება.

**ᲐᲕᲢᲝᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢ-Ი** (ავტოპორტრეტისა) [ბერძ. autos თვით და ფრან. portrait] – მხატვრის მიერ დახატული თავისი თავის პორტრეტი. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲕᲢᲝᲠ-Ი** (ავტორისა) [ლათ. auctor] – შემქმნელი რაიმე ნაწარმოებისა (ლიტერატურულისა, მხატვრულისა, მუსიკალურისა, მეცნიერულისა); გამომგონებელი. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲕᲢᲝᲠᲘ** – ფიზიკური პირი, რომლის ინტელექტუალურ შემოქმედებითი საქმიანობის შედეგადაც შეიქმნა ნაწარმოები.

**ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲐᲠᲣᲚ-Ი** (ავტორიტარულისა) [ფრან. autoritaire] – წიგნ. რაც დამყარებულია ხელისუფლებისათვის, ავტორიტეტისათვის სრულ მორჩილებაზე. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲐᲠᲘᲖᲛᲘ** – პოლიტიკური სისტემის, მმართველობის ფორმა, როდესაც უმაღლესი ხელისუფლება ყოველგვარი იურიდიული პასუხისმგებლობის გარეშე თავმოყრილია ერთი მმართველის ან ხუნტის ხელში.

**ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢ-Ი** (ავტორიტეტისა) [გერმ. Autoritat, ლათ. auctoritas-იდან ძალა, მნიშვნელობა] – 1. საზოგადოებრივი მნიშვნელობა, გავლენა, საყოველთაოდ აღიარებული. 2. ვისაც (რასაც) ასეთი მნიშვნელობა და გავლენა აქვს. აი, რა სარწმუნო და ხელშეუხებელი ავტორიტეტი ყოფილა ჩვენი ავტორის ხელმძღვანელი ბაიერნი (ილია). ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘ** (ლათ. autoritas – ღირსება, ძალა, ძალაუფლება) – საყოველთაოდ აღიარებული მნიშვნელობა, გავლენა, რ-ითაც სარგებლობს რ-მე პირი, შეხედულებათა სისტემა ან ორგანიზაცია გარკვეულ ღირსებათა, დამსახურებათა გამო. გავლენის სფეროსა და ხასიათისაგან გამომდინარე, ასხვავებენ პოლიტიკურ, მორალურ, მეცნიერულ და ა.შ. ავტორიტეტს. ფილოს. ლექს. 1987.

**ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘ** – შემქმნელი, ინიციატორი – მნიშვნელობა ან გავლენა, რომელიც შეიძლება ჰქონდეს პიროვნებას, აგრეთვე საგნებს და რომელიც არ საჭიროებს ამ მნიშვნელობის მუდმივ დადასტურებას, საქმით მის დამტკიცებას.

**ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘᲐᲜ-Ი** (ავტორიტეტიანისა) – ავტორიტეტის მქონე, - ავტორიტეტული. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲕᲢᲝᲠᲝᲑᲐ** (ავტორობისა) – ავტორად ყოფნა. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲕᲢᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘ** – შემქმნელი, ინიციატორი – მნიშვნელობა, ან გავლენა, რომელიც შეიძლება ჰქონდეს პიროვნებას, აგრეთვე საგნებს და რომელიც არ საჭიროებს ამ მნიშვნელობის მუდმივ დადასტურებას, საქმით მის დამტკიცებას.

**ᲐᲖᲐᲕᲗᲓᲔᲑ-Ა** (აზავთდა, აზავთებულა) – 1. ახმაურდება. 2. აღელდება, აღშფოთდება, განრისხდება. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲖᲐᲠᲢᲣᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲘ** – თამაში, რომლის შედეგია ფულის, საკუთრების, საკუთრების უფლების წაგება ან მოგება, რაც დამოკიდებულია შემთხვევითობაზე.

**ᲐᲖᲐᲠᲢᲣᲚᲘ ᲗᲐᲛᲐᲨᲝᲑᲔᲑᲘ** – თამაშობები, რომელთა შედეგი მთლიანად ან ნაწილობრივ დამოკიდებულია შემთხვევითობაზე, ტარდება ბანქოს დასტის, კამათლის, სათამაშო ბორბლის (რულეტის) ან სათამაშო აპარატის მეშვეობით და მასში მონაწილეობა ფულადი მოგების შესაძლებლობას იძლევა.

**ᲐᲖᲠᲘ** – 1. შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს; 2. შეფასებითი მსჯელობა, თვალსაზრისი, კომენტარი, აგრეთვე ნებისმიერი სახით ისეთი შეხედულების გამოხატვა, რომელიც ასახავს რომელიმე პიროვნების, მოვლენის ან საგნის მიმართ დამოკიდებულებას და არ შეიცავს დადასტურებად ან უარყოფად ფაქტს.

**ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲣᲠᲘ ᲡᲐᲑᲭᲝ** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო.

**აკრედიტაცია** – 1. ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში საექსპერტო შეფასება, რომლის განხორციელების შემდეგაც აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო – აკრედიტაციის ცენტრი შესაბამისი მოწმობის გაცემით ოფიციალურად აღიარებს იურიდიული ან ფიზიკური პირის მიერ შესაბამისობის შეფასების სფეროში განსაზღვრული საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილებას; 2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და საგანმანათლებლო პროგრამის სტატუსის (სახელმწიფოს მიერ აღიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის უფლების) დადგენის პროცედურა. ამ პროცედურას ახორციელებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრი სახელმწიფოს მიერ განსაზღვრულ მოთხოვნებთან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (ინსტიტუციური აკრედიტაცია) ან/და საგანმანათლებლო პროგრამის (პროგრამული აკრედიტაცია) შესაბამისობის დადგენით; 3. ბირჟის მიერ იურიდიული ან/და ფიზიკური პირისათვის ბირჟის შუამავლის რწმუნების მიცემა; 4. ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში საექსპერტო შეფასება, რომლის განხორციელების შემდეგაც აკრედიტაციის ეროვნული ორგანო შესაბამისი ატესტატის (მოწმობის) გაცემით ოფიციალურად აღიარებს იურიდიული ან ფიზიკური პირის შესაბამისობის შეფასების სფეროში განსაზღვრული (სპეციფიკური) საქმიანობის განხორციელების უფლებამოსილებას; 5. განათლების აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიმდინარე სასწავლო პროცესის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ პროფესიულ სტანდარტთან, სტანდარტულ სახელობო საგანმანათლებლო პროგრამასთან და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ნორმატივებთან შესაბამისობის დადასტურება.

**ალეგორია** (ალეგორიისა) [ბერძ. allēgoria] – იგავით. ქარაგმით, გადაკვრით გამოთქმა აზრისა. ქეგლ. ტ.1.

**ალეგორიულ-ი** (ალეგორიულისა) – ალეგორიის ხასიათისა; ალეგორიის შემცველი. ქეგლ. ტ.1.

**ალიანს-ი** (ალიანსისა) [ფრან. alliance] – კავშირი ხელშეკრულების საფუძველზე (პოლიტიკურ ან საზოგადოებრივ ერთეულთა). ქეგლ. ტ.1.

**ალოგიზმ-ი** (ალოგიზმისა) [ბერძ. a – უარყ. ნაწ. და logos სიტყვა, მსჯელობა] – ლოგიკის საწინააღმდეგო, ლოგიკის კანონების შეუსაბამო რამ; შეუსაბამობა. ქეგლ. ტ.1.

**ალტერნატივა** (ალტერნატივისა) [ფრან. alternative] – ორში ერთი, - აუცილებლობა ორი ერთმანეთის გამომრიცხავი შესაძლებლობიდან ერთ-ერთის არჩევისა. ძნელი ალტერნატივის წინაშე დგას. ქეგლ. ტ.1.

**ალტერნატივა** – არჩევა ორ შესაძლებელს შორის, რაც განპირობებულია აუცილებლობით – გადაწყვიტო ორიდან ერთ-ერთი.

**ალტერნატივა** (ლათ. alternus - მონაცვლეობითი) – ორი ან რამდენიმე ურთიერთგამომრიცხავი შესაძლებლობიდან ერთის არჩევის აუცილებლობა. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**ალტრუიზმ-ი** (ალტრუიზმისა) [ფრან. altruisme ლათ. alter-იდან "სხვა"] – სხვისთვის სასიკეთო მოქმედებისადმი მისწრაფება (საპირისპ. ეგოიზმი). ქეგლ. ტ.1.

**ალტრუიზმი** (ლათ. alter - სხვა) – ზნეობრივი პრინციპი, რომელიც ნიშნავს სხვა ადამიანებისადმი უანგარო სამსახურს, მზადყოფნას მათი კეთილდღეობისათვის

პირადი ინტერესების შესაწირად; უპირისპირდება ეგოიზმს. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**ალტრუისტ-ი** (ალტრუისტისა) – ალტრუიზმის მიმდევარი (საპირისპ. ეგოისტი). ქეგლ. ტ.1.

**ალფა** (ალფასი) [ბერძ. alpha] – ბერძნული ანბანის პირველი ასოს სახელწოდება. ქეგლ. ტ.1.

**ალფაბეტ-ი** (ალფაბეტისა) [ბერძნული პირველი ორი ასოს – alpha და bēta-ს სახელწოდების მიხედვით] – იგივეა, რაც ანბანი. ქეგლ. ტ.1.

**ამარ-ი** (ამარისა) – ძვ. რიცხვი, რაოდენობა. ქეგლ. ტ.1.

**ამბიცია** (ამბიციისა) [ლათ. ambitio] – საკუთარი ღირსების გამძაფრებული გრძნობა; კუდაბზიკური თავმოყვარეობა. ქეგლ. ტ.1.

**ამნისტია** (ამნისტიისა) [ბერძ. amnēstia მივიწყება] – დანაშაულის პატიება ან სასჯელის ვადის შემცირება უმაღლესი ხელისუფლების მიერ – დამნაშავეთა მთელი ჯგუფისათვის. ქეგლ. ტ.1.

**ამორალიზმი** (ბერძ. a – უარყ. ნაწ. და ლათ. moralis - ზნეობრივი), ანუ იმორალიზმი, – ყოველგვარი მორალის უარყოფა, შეგნებული უარის თქმა ზნეობის კანონებზე, “კეთილისა და ბოროტის მიღმა” დადგომისაკენ მისწრაფება (ნიცშე). ფილოსოფ. ლექს. 1987.

**ამორალიზმი** – გულგრილობა ზნეობის მოთხოვნებისადმი, უზნეობა.

**ამორალიზმი** – ნიჰილისტური დამოკიდებულება მორალისადმი. ამორალიზმი ამართლებს პიროვნების ყოველგვარ უზნეო საქციელს. მისი გამოვლენის

ფორმებია: ცინიზმი, კაცთმოძულეობა, უპრინციპობა, ეგოიზმი. მოკლე პოლიტიკური ლექს.

**ამორალურობა** (ამორალურობისა) – ზნეობრივი ნორმების, პრინციპების უქონლობა, უგულებელყოფა. ქეგლ. ტ.1.

**ანაკონდას სტრატეგია** – ატლანტიზმის გეოპოლიტიკური ხაზი, რომელიც მიისწრაფის ევრაზიის გეოპოლიტიკური ექსპანსიის შეკავების მიზნით, ჩამოაშოროს მას სანაპირო ტერიტორიების მაქსიმალური ოდენობა.

**ანალიზ-ი** (ანალიზისა) [ფრან. analyse ბერძ. analysis-იდან დაშლა] – შესასწავლი ობიექტის გამოკვლევა შემადგენელ ნაწილებად დაშლის გზით. ქეგლ. ტ.1.

**ანალიზურ-ი** (ანალიზურისა) [და არა: ანალიტური, ანალიტიკური] – რაც ანალიზს იყენებს, - ანალიზზე დამყარებული. ქეგლ. ტ.1.

**ანალიტიკოს-ი** (ანალიტიკოსისა) – ქიმიური ანალიზების ჩამტარებელი სპეციალისტი. ქეგლ. ტ.1.

**ანალიტიკურ-ი** (ანალიტიკურისა) – იგივეა, რაც ანალიზური (სწორი წარმოებისაა ეს უკანასკნელი). ქეგლ. ტ.1.

**ანალოგ-ი** (ანალოგისა) [ბერძ. analogos შესატყვისი] – რაც წარმოადგენს შესატყვისობას ან მსგავსებას რამესთან. ქეგლ. ტ.1.

**ანალოგია** (ანალოგიისა) [ბერძ. analogia შესატყვისობა] – 1. მსგავსება საგანთა ან მოვლენათა (საერთო ნიშნების მქონეობის საფუძველზე). მიმსგავსება; მსგავსი მოვლენა, ფაქტი. 2. ცვლილება, მომხდარი მსგავსების ნიადაგზე. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲜᲐᲚᲝᲒᲘᲣᲠ-Ი** (ანალოგიურისა) რაც რისამე ანალოგიას წარმოადგენს, – მსგავსი, იმგვარივე. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲐ** (ანარქიისა) [ბერძ. anarchia ხელისუფლების უქონლობა] – 1. ანარქიზმისათვის დამახასიათებელი უარყოფა ყოველგვარი ხელისუფლებისა და სახელმწიფოსი. 2. სრული უწესრიგობა, არეულობა, ქაოსი. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲖᲛ-Ი** (ანარქიზმისა) [და არა: ანარხიზმი] – პოლიტ. წვრილბურჟუაზიული პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც უარყოფს სახელმწიფოებრივს ხელისუფლებას და პროლეტარიატის ბურჟუაზიასთან ორგანიზებული პოლიტიკური ბრძოლის აუცილებლობას. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲜᲐᲠᲥᲘᲖᲛ-Ი** – პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც უარყოფს სახელმწიფოს წყობილებას, მართვას და ორგანიზებულ პოლიტიკურ ბრძოლას.

**ᲐᲜᲐᲥᲠᲝᲜᲘᲖᲛ-Ი** (ანაქრონიზმისა) [ბერძ. ana უკან და chronos დრო] – 1. ამა თუ იმ ფაქტის შეცდომით მიკუთვნება სხვა დროისათვის, სხვა ეპოქისათვის. ქრონოლოგიური შეუსაბამობა: ფაქტის მიჩნევა იმ ეპოქისად, როდესაც იგი არ შეიძლებოდა მომხდარიყო. 2. გადმონაშთი სიძველისა, რომელიც აღარ შეეფერება თანამედროვე ცხოვრების წყობას; მოძველებული შეხედულება ან ჩვეულება. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲜᲔᲥᲡᲘᲐ** (ანექსიისა) [ლათ. annexio შეერთება] – პოლიტ. სხვა ქვეყნის ან მისი ნაწილის ძალით შემოერთება მოძალადე სახელმწიფოს მიერ. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲜᲔᲥᲡᲘᲐ** – ერთი სახელმწიფოს მიერ მეორის კუთვნილი ტერიტორიის დაპყრობა, ძალის გამოყენებით მიერ-

თება, რაც საერთაშორისო სამართლის ნორმების უხეში დარღვევაა.

**ანთოლოგია** (ანთოლოგიისა) [ბერძ. anthos ყვავილი და lego ვაგროვებ] – სხვადასხვა ავტორის რჩეულ ნაწარმოებთა (უპირატესად, ლექსთა) კრებული. ქეგლ. ტ.1.

**ანთროპომორფიზმ-ი** (ანტროპომორფიზმისა) [ბერძ. anthropos ადამიანი და morphe სახე, ფორმა] – 1. ადამიანურ თვისებათა მიკუთვნება სხვადასხვა არსებებისა და საგნებისათვის. 2. ღვთაების წარმოდგენა ადამიანის სახისად. ქეგლ. ტ.1.

**ანთროპომორფიზმი** – არის ადამიანის თვისების, ცხოვრების წესის გადატანა არაადამიანურ ნივთებზე, ცხოველებზე, ბუნებისა და ღმერთის ცნებაზე.

**ანომალია** (ანომალიისა) [ბერძ. anomalia უსწორმასწორობა] – საერთო წესისაგან გადახვევა, წესის დარღვევა. ქეგლ. ტ.1.

**ანონიმ-ი** (ანონიმისა) [ბერძ. anonymos უსახელო] – თხზულება ან წერილი, რომელზედაც ავტორის სახელი არ არის აღნიშნული. ავტორი, რომლის ვინაობაც არაა ცნობილი. ქეგლ. ტ.1.

**ანონიმურ-ი** (ანონიმურისა) ავტორის სახელაღუნიშვნელი, – უსახელო. ქეგლ. ტ.1.

**ანონს-ი** (ანონსისა) [ფრან. annonce] – მოკლე წინასწარი განცხადება, ჩვეულებრივ, მომავალი სპექტაკლებისა და კონცერტების შესახებ.

**ᲐᲜᲝᲢᲐᲪᲘᲐ** (ანოტაციისა) [ლათ. annotatio შენიშვნა] – წიგნის აღწერილობა შინაარსის მოკლედ გადმოცემით, ზოგჯერ შეფასების დართვითაც. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲜᲢᲐᲒᲝᲜᲘᲖᲛ-Ი** (ანტაგონიზმისა) [ბერძ. antagonismos ჭიდილი, ბრძოლა] – შეურიგებელი ბრძოლა მოწინააღმდეგე ძალთა შორის, ინტერესთა შეურიგებელი დაპირისპირება. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲜᲢ-Ი** [ბერძ. anti წინააღმდეგ; მაგიერ] – წინსართი, რომელიც იხმარება სახელებთან და აღნიშნავს საწინააღმდეგოს, დაპირისპირებულს. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲜᲢᲘᲗᲔᲖᲐ** (ანტითეზისა) [ბერძ. antithesis დაპირისპირება] – ორი ურთიერთ საწინააღმდეგო აზრის შეპირისპირება გამოთქმისათვის მეტი ძალისა და გამომსახველობის მისანიჭებლად. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲜᲢᲘᲗᲔᲖᲘᲡ-Ი** (ანტითეზისისა) [ბერძ. antithesis დაპირისპირება] – ამოსავალი დებულების (თეზისის) საწინააღმდეგო დებულება (დიალექტიკაში). ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲜᲢᲘᲙᲐ** (ანტიკისა) – საუკეთესო. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲜᲢᲘᲙᲣᲠ-Ი** (ანტიკურისა) [ლათ. antiquus ძველი] – ძველი ბერძნული და რომაული (საზოგადოებრივი წყობის, ხელოვნების, კულტურის შესახები). ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲜᲢᲘᲞᲐᲗᲘᲐ** (ანტიპათიისა) [ბერძ. antipatheia] – არაკეთილგანწყობილება ვისიმე მიმართ. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲜᲢᲘᲞᲐᲗᲘᲣᲠ-Ი** (ანტიპათიურისა) – ანტიპათიის გამომწვევი, არამიმზიდველი. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲜᲢᲘᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲔᲑᲠᲘᲕ-Ი** (ანტისახელმწიფოებრივისა) – სახელმწიფოს ინტერესების წინააღმდეგ, სახელმწი-

ფოს ინტერესების საზიანოდ მიმართული. ქეგლ. ტ.1.

**ანტისემიტიზმ-ი** (ანტისემიტიზმისა) – ებრაელების მოძულეობა, მათდამი მტრული განწყობილება. ანტისემიტიზმი ფაშისტურ ქვეყნებში მძვინვარებდა. ქეგლ. ტ.1.

**ანტისემიტიზმი** – ეროვნული და რელიგიური შუღლის ნაირსახეობა, მიმართული ებრაელთა იურიდიული და სოციალური დისკრიმინაციისაკენ, ჩაგვრისაკენ.

**ანტისემიტურ-ი** (ანტისემიტურისა) – ანტისემიტიზმით გამსჭვალული, ებრაელთა წინააღმდეგ მიმართული. ქეგლ. ტ.1.

**ანტიქრისტე** (ანტიქრისტესი) [ბერძ. antichristos] – ქრისტეს მთავარი და უკანასკნელი მტერი, რომელიც თითქოს ქვეყანას მოევლინება მეორედ მოსვლისას და რომელსაც ქრისტე დაამარცხებს. ქეგლ. ტ.1.

**ანთროპომორფიზმი** – არის ადამიანის თვისებების, ცხოვრების წესის გადატანა არაადამიანურ ნივთებზე, ცხოველებზე, ბუნებისა და ღმერთის ცნებაზე.

**აპათია** (აპათიისა) [და არა: აპატია] [ბერძ. apatheia უგრძნობლობა] – ხალისის, ინტერესის უქონლობა, ყველაფრისადმი გულგრილი დამოკიდებულება. ოცნების აღმაფრენა უცებ ჩაუქრა..., რაღაც მოწყენილობა ეწვია, ჩვეულებრივი აპათია იგრძნო (გ. ნახუცრ.). ქეგლ. ტ.1.

**აპათია** – გულგრილობა, ნორმალურ პირობებში გამოფიტვის ან სულიერი დაღლილობის შედეგი, რომელიც ხშირად დაკავშირებულია ქვეყნის მძიმე მდგომარეობასთანაც.

**ᲐᲞᲐᲗᲘᲣᲠ-Ი** (აპათიურისა) – ვისაც აპათია ახასიათებს. რასაც აპათია ახასიათებს. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲞᲐᲠᲢᲔᲘᲓᲘ** – რასისტული პოლიტიკა, რომლის მიზანია თეთრკანიანი, ფერადკანიანი და შავკანიანი მოსახლეობის პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და გეოგრაფიული განცალკევება.

**ᲐᲞᲐᲢᲠᲘᲓᲘ** – პირი, რომელსაც სამშობლო არ გააჩნია. მოკლე პოლიტიკური ლექს.

**ᲐᲞᲔᲙᲣᲜ-Ი** (აპეკუნისა) [რუს. опекун] – ძვ. იხ. მეურვე. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲞᲔᲙᲣᲜᲝᲑᲐ** (აპეკუნობისა) – ძვ. იხ. მეურვეობა. გამოსარჩლება. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲞᲔᲚᲐᲪᲘᲐ** (აპელაციისა) [ლათ. appelatio მიმართვა] – სასამართლოს დაბალი ინსტანციის გადაწყვეტილების გასაჩივრება უფრო მაღალ ინსტანციაში, - იგივეა, რაც კასაცია. გადატ. სასამართლო საქმის წარმოება. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲞᲚᲝᲛᲑ-Ი** (აპლომბისა) [ფრან. aplomb] – საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა და შესაბამისი ლაპარაკი ან ქცევა, - რიხი. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲞᲝᲗᲔᲝᲖ-Ი** (აპოთეოზისა) [ბერძ. apotheōsis გაღმერთება] – 1. თეატრ. უკანასკნელი, საზეიმო სურათი ზოგ წარმოდგენაში. 2. ვისიმე ან რისამე განდიდება. 3. ძვ. საბერძნეთსა და რომში – გმირებისა და მეფეების ღმერთებად გამოცხადება. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲞᲝᲙᲐᲚᲘᲤᲡ-Ი** (აპოკალიფსისა) [ბერძ. apokalypsis გამოცხადება] – ახალი აღთქმის ერთ-ერთი წიგნი,

რომელიც შეიცავს წინასწარმეტყველებას ქვეყნის დასასრულზე. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲞᲝᲙᲐᲚᲘᲤᲡᲣᲠ-Ი** (აპოკალიფსურისა) – აპოკალიფსის დამახასიათებელი, აპოკალიფსის შესაფერი. გადატ. საიდუმლოებით მოცული, გაურკვეველი. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲞᲝᲙᲠᲘᲤ-Ი** (აპოკრიფისა) [ბერძ. apokryphos დაფარული] – ეკლ. ბიბლიური შინაარსის ნაწარმოები, რომელსაც არა სცნობს ეკლესია, და რომელიც ამის გამო არ შედის ე.წ. “საღვთო წერილის” წიგნებში. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲞᲝᲙᲠᲘᲤᲣᲚ-Ი** (აპოკრიფულისა) - ლიტ. აპოკრიფის შინაარსისა. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲖᲛ-Ი** (აპოლიტიზმისა) [ბერძ. a – უარყ. ნაწ. და politikos სახელმწიფოებრივი, საზოგადოებრივი] – პოლიტიკური საკითხებისადმი ინტერესის უქონლობა; საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობის მიუღებლობა. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ-Ი** (აპოლიტიკურისა) – ვისაც ან რასაც აპოლიტიზმი ახასიათებს. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲝᲑᲐ** (აპოლიტიკურობისა) – აპოლიტიკურის დამახასიათებელი თვისება, - აპოლიტიზმი. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲝᲑᲐ** – უარყოფითი, პასიური, გულგრილი დამოკიდებულება საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრებისადმი. მოკლე პოლიტიკური ლექს.

**ᲐᲞᲝᲚᲝᲒᲔᲢ-Ი** (აპოლოგეტისა) [ბერძ. apologētēs] – ვისიმე ან რისამე დასაცავად, გამოსაქომაგებლად გამოსული. ქეგლ. ტ.1.

**აპოლოგია** (აპოლოგიისა) [ბერძ. apologia დაცვა] – ვისიმე ან რისამე დაცვა ზეპირი სიტყვით ან წერილობით, - გამოსარჩლება, გამართლება (რისამე). ქეგლ. ტ.1.

**აპრიორი** [ლათ. a priori წინასწარიდან: a –გან- და prior უფრო ადრინდელი] – ცდისგან დამოუკიდებლად, ცდის გარეშე, იმ თავითვე, წინასწარ გადაწყვეტით (აყენებს დებულებას, წინასწარ გადაწყვეტით. მსჯელობს, ასკვნის). ქეგლ. ტ.1.

**აპრიორულ-ი** (აპრიორულისა) – ცდისგან დამოუკიდებელი, წინასწარ გადაწყვეტილი. ქეგლ. ტ.1.

**აპრობაცია** (აპრობაციისა) [ლათ. approbatio მოწონება] – დადასტურება, მოწონება წინასწარი შემოწმების შემდეგ. ქეგლ. ტ.1.

**აპრობირებულ-ი** (აპრობირებულისა) – რასაც აპრობაცია აქვს გაკეთებული. ქეგლ. ტ.1.

**აპროტესტებ-ს** (გააპროტესტა, გაუპროტესტებია) – 1. განაჩენს, გადაწყვეტილებას ასაჩივრებს, საქმის გადასინჯვას მოითხოვს. 2. ვალის ვადაზე გადაუხდელობას ოფიციალურად ადასტურებინებს. ქეგლ. ტ.1.

**არაოფიციალურ-ი** (არაოფიციალურისა) – რასაც ოფიციალური ხასიათი, მნიშვნელობა არა აქვს, - რაც არ კეთდება მთავრობისა თუ სახელმწიფო დაწესებულების სახელით. ქეგლ. ტ.1.

**არაძალადობა** – პოლიტიკა, რომლის დროსაც ოპოზიცია უარს ამბობს ძალისმიერ მეთოდებზე და სამოქმედო პრინციპად აღიარებს ბრძოლის მხოლოდ მშვიდობიანი ფორმებისა და მეთოდების გამოყენებას.

**არბიტრაჟი** – უთანხმოების გადაჭრა მხარეების მიერ არჩეული პირის – არბიტრის – საშუალებით. მოკლე პოლიტიკური ლექს.

**არგო** (არგოსი) [ფრან. argot] – ცალკეული სოციალური ჯგუფის, პროფესიის, წრის თავისებური მეტყველება, რომლის სიტყვები და გამოთქმები გასაგებია მხოლოდ სათანადო წრისათვის. ქეგლ. ტ.1.

**არგოტიზმ-ი** (არგოტიზმისა) – ენაში, საერთო სიტყვახმარებაში, არგოდან შემოტანილი სიტყვა ან გამოთქმა. ქეგლ. ტ.1.

**არგუმენტ-ი** (არგუმენტისა) [ლათ. argumentum დამტკიცება] – 1. საბუთი, საფუძველი (რისამე მტკიცებისას). მეცნიერული არგუმენტი. – სუსტი არგუმენტი. – იმათ პირები დააღეს და ჩემი მძლავრი არგუმენტების წინაშე მუხლი მოიდრიკეს (ს. მგალობ.). 2. მათემ. დამოუკიდებელი ცვლადი სიდიდე. ქეგლ. ტ.1.

**არგუმენტი** – 1. ლოგიკაში – მსჯელობა (ან მსჯელობათა სისტემა), რ-იც მოაქვთ რაიმე სხვ. მსჯელობის (ან მსჯელობათა სისტემის) ჭეშმარიტობის დასამტკიცებლად; დასაბუთების წანამძღვარი, სხვანაირად იწოდება საფუძვლად, ანუ დასაბუთების საბუთად, ზოგჯერ არგუმენტს უწოდებენ მთელ დასაბუთებას. 2. მათემატიკასა და მათემატიკურ ლოგიკაში – დამოუკიდებელი ცვლადი, რ-ის მნიშვნელობაზე დამოკიდებულია მოცემული ფუნქციის ანუ პრედიკატის მნიშვნელობა. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**არგუმენტი** – დასაბუთების საფუძველი, დასაბუთების ის ნაწილი, რომელსაც ემყარება მისი სიცხადე.

**ᲐᲠᲒᲣᲛᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐ** (არგუმენტაციისა) [ლათ. argumentatio] – დასაბუთება. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲠᲔᲐ** (არეასი) – მარიხი, - პლანეტა მარსი [ბერძნული მითოლოგიის ომის ღმერთის Arēs-ის სახელის მიხედვით]. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲠᲔᲜᲐ** (არენისა) [ლათ. arena ქვიშა, სილა; სილამოყრილი მოედანი] – ცირკის მოედანი. ასპარეზი; სარბიელი. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ** (არისტოკრატიისა) [ბერძ. aristokratia საუკეთესოთა მმართველობა] – 1. გვარიშვილობით წარჩინებულთა უმაღლესი ფენა, - დიდგვარიანები. 2. სახელმწიფო წყობილება, რომლის დროს ძალაუფლება დიდგვარიანთა პრივილეგირებულ კლასს ეკუთვნოდა. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲙᲠᲐᲢᲘᲣᲚ-Ი** (არისტოკრატიულისა) – არისტოკრატიის დამახასიათებელი, - არისტოკრატიისა; არისტოკრატიის წარმომადგენლებისგან შემდგარი. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲠᲘᲡᲢᲝᲙᲠᲐᲢᲣᲚ-Ი** (არისტოკრატულისა) – არისტოკრატის დამახასიათებელი. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲠᲘᲤ-Ი** (არიფისა) [არაბ. “რწმუნებული”] – 1. ძვ. ამხანაგი, ტოლი, თანამონაწილე, თანამოზიარე, თანამეინახე (სუფრაზე). 2. საუბ. გამოუცდელი, ხალხში გამოუსვლელი. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲠᲥᲐᲘᲖᲐᲪᲘᲐ** (არქაიზაციისა) [და არა: არხაიზაცია] – ძველი სიტყვებისა და გამოთქმების ხმარება (ჩვეულებრივ საჭიროების გარეშე). ქეგლ. ტ.1.

**არქაიზმ-ი** (არქაიზმისა) [და არა: არხაიზმი] – მოძველე-ბული, ყოველდღიური ხმარებიდან გამოსული სიტყვა ან გამოთქმა. ქეგლ. ტ.1.

**არქაულ-ი** (არქაულისა) [ბერძ. archaios ძველი] – ძველი, ძველებური. დრომოჭმული, ხმარებიდან გამოსული, უკუგდებული. ქეგლ. ტ.1.

**არქი-** (და არა არხი-) [ბერძ. archi ზმნიდან archō ვუძღვი, წინავმძღვრობ] – რთული ფუძის პირველი ნაწილი. აღნიშნავს: 1. იმის უმაღლეს ხარისხს, რაც მოცემუ-ლია რთული ფუძის მეორე, ძირითად ნაწილში: არქიპატრიოტი უაღრესი პატრიოტი. 2. "მთავარს", "უფროსს": არქიეპისკოპოსი მთავარ-ეპისკოპოსი. ქეგლ. ტ.1.

**არქიმანდრიტ-ი** (არქიმანდრიტისა) [ბერძ. archi- და mandra ჯოგი, სამწყსო] – დიდი მონასტრის წინამძღვარი. ქეგლ. ტ.1.

**არქისტრატიგ-ი** (არქისტრატიგისა) [ბერძ. archistrategos] – ძვ. მხედართმთავარი. ქეგლ. ტ.1.

**ასაბია** (ასაბიისა) – ძვ. "მტერზე მიმყოლი, შემწე" (საბა); თანამდგომი, ამხანაგი. ქეგლ. ტ.1.

**ასამბლეა** (ასამბლეისა) [ფრან. assemblee კრება, შეკრება] – 1. საერთო კრება რომელიმე სახელმწიფოებრივი ან საერთაშორისო ორგანიზაციის წევრებისა. 2. ევროპულ ყაიდაზე გამართული შეკრება-საღამოები, პეტრე I-ის მიერ დაწესებული პეტერბურგის მაღალი წრის საზოგადოებისათვის. ქეგლ. ტ.1.

**ასიმილაცია** (ასიმილაციისა) [ლათ. assimilatio დამსგავსება] – განმასხვავებელ თვისებათა მოშლის

გზით დამსგავსება (ერთი ხალხისა მეორესთან), ერთი ხალხის გათქვეფა მეორეში. ქეგლ. ტ.1.

**ასიმილაცია** (ბუნებრივი და ძალდატანებითი) – ერთი ხალხის მეორესთან შერევა ენის, ჩვევების და სხვ. შეთვისებით და საკუთარი ენის, კულტურის და ეროვნული ცნობიერებისა და თვითშეგნების დაკარგვით.

**ასისტენტ-პროფესორი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობა, რომელზეც შეიძლება არჩეულ იქნეს პირი, რომელიც არის დოქტორი ან დოქტორანტი და უძღვება ლაბორატორიულ, სასემინარო ან პრაქტიკულ მეცადინეობებს.

**ასკეტიზმ-ი** (ასკეტიზმისა) – ასკეტისებური ცხოვრება, - უარის თქმა ყოველგვარ ამქვეყნიურ სიამოვნებაზე "ზნეობრივი სრულყოფის" მიღწევის მიზნით. ქეგლ. ტ.1.

**ასლ-ი** (ასლისა) [არაბ. ასლ "ძირი"; "დედანი"] – ძვ. დედანი, ორიგინალი, ნამდვილი. ქეგლ. ტ.1.

**ასოციაცია** (ასოციაციისა) [ფრან. association] – ნებაყოფლობითი კავშირი, გაერთიანება, ამხანაგობა. ქეგლ. ტ.1.

**ასოციაცია** – საზოგადოებრივი გაერთიანება.

**ასოცირებული პროფესორი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების აკადემიური თანამდებობა. ასოცირებული პროფესორი მონაწილეობს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით მუშაობას.

**ᲐᲡᲞᲐᲠᲔᲖ-Ი** (ასპარეზისა) [სპარ. "ცხენის სარბენი"] – არე (მოქმედებისა), სარბიელი. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲡᲞᲔᲥᲢ-Ი** (ასპექტისა) [ლათ. aspectus შეხედულება, სახე] – თვალსაზრისი. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲢᲐᲕᲘᲖᲛ-Ი** (ატავიზმისა) [ლათ. ატავუს შორეული წინაპარი] – შთამომავლობაში ისეთი ნიშნის გამოვლენა, რაც დამახასიათებელი იყო შორეული წინაპრებისათვის. ქეგლ. ტ.3.

**ᲐᲢᲐᲨᲔ** (ატაშესი) [და არა: ატაშისა] [ფრან. attaché ვინმესთან მივლენილი] – ამა თუ იმ დარგის სპეციალისტი დიპლომატიურ მისიასთან (საელჩოსთან), რომელიც კონსულტაციას უწევს მისიას და საჭირო ინფორმაციას აწვდის თავის სახელმწიფოს. ქეგლ. ტ.1.

**ᲐᲢᲔᲡᲢᲐᲪᲘᲐ** – უფლებამოსილი ორგანოს მიერ საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით არაფორმალური გზით შეძენილი სახელობო განათლების მქონე პირის პროფესიული ცოდნისა და უნარჩვევების შემოწმება და შესაბამისი კვალიფიკაციის დადასტურება.

**ᲐᲢᲚᲐᲜᲢᲘᲖᲛᲘ** – (ენათესავება ტერმინებს: წყალი, ზღვა, თალასოკრატია) – რთული გეოპოლიტიკური ცნება. თავის თავში მოიცავს: ისტორიულად – კაცობრიობის ცივილიზაციის დასავლურ სექტორს, სტრატეგიულად – დასავლური ქვეყნების კავშირს, რომელშიც ჭარბობს ლიბერალურ-დემოკრატიული იდეოლოგია, სამხედრო-სტრატეგიულად – "ნატო"-ს წევრ ქვეყნებს; სოციალურად – "სავაჭრო წყობასა" და "საბაზრო ფასეულობებზე" ორიენტაციას (აშშ-ის მოდელი) ევრაზიულობის საწინააღმდეგო.

**ატრიბუტ-ი** (ატრიბუტისა) [ლათ. attributum თვისება, კუთვნილება] – თვისება. ქეგლ. ტ.1.

**აუდიენცია** (აუდიენციისა) [ლათ. audientia მოსმენა] – ოფიციალური მიღება მაღალი თანამდებობის პირის მიერ. ქეგლ. ტ.1.

**აფექტ-ი** (აფექტისა) [ლათ. affectus] – ძლიერი განცდა; ძლიერი განცდის (განრისხების, აღტაცების...) გამოვლენა. ქეგლ. ტ.1.

**აქსიომა** (აქსიომისა) [ბერძ. axiōma აღიარება, აღიარებული დებულება] – ამოსავლად მიღებული ცხადი დებულება, რომელიც თვითონ არაა დამტკიცებული, მაგრამ სხვა დებულებათა დასამტკიცებლად აუცილებელია. გადატ. თავისთავად ცხადი დებულება, რომელიც არ საჭიროებს დამტკიცებას. ქეგლ. ტ.1.

**აქცია** – 1. ფასიანი ქაღალდი, რომელსაც სააქციო საზოგადოებები უშვებენ. იგი ადასტურებს მისი პატრონის მოცემული საზოგადოების კაპიტალში მონაწილეობას და უფლებას აძლევს მას ყოველწლიური შემოსავლის ნაწილი (დივიდენტი) მიიღოს. 2. მოქმედება, გამოსვლა (მაგ. პოლიტიკური აქცია, დიპლომატიური აქცია და სხვ.). მოკლე პოლიტიკური ლექს.

**აჯამ-ი** (აჯამისა) [არაბ. 'აჯამ "არაარაბი"; "ირანელი"] – უჭკუო, რეგვენი, ბრიყვი. ქეგლ. ტ.1.

**აჯამობა** (აჯამობისა) – აჯამის დამახასიათებელი თვისება, - უჭკუობა, სირეგვნე, სიბრიყვე. ქეგლ. ტ.1.

## ბ

**ბათილ-ი** (ბათილისა) [არაბ. ბათილ "ცარიელი"; "არანამდვილი"] – გაუქმებული, ძალადაკარგული. ბათილსა

ვართ! – გავსწორდით, ერთმანეთისა არაფერი გვმარ-თებს. ქეგლ. ტ.1.

**ბაკალავრ-ი** (ბაკალავრისა) [ლათ. baccalaureus] – დაბალი სამეცნიერო ხარისხი. ქეგლ. ტ.1.

**ბაკალავრი** – მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს აკადემიური უმაღლესი საგანმანათ-ლებლო პროგრამის პირველი საფეხურისათვის – ბაკალავრიატისათვის დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების შედეგად ენიჭება.

**ბატონობა** (ბატონობისა) – 1. ძვ. ბატონების (მნიშვ. 1) არსებობის დრო. "ახლა ბატონობა აღარ არის!" (ა. ცაგარ.). 2. ბატონად (მნიშვ. 2) ყოფნა, ბატონის მდგომარეობა. 3. გაბატონებულ მდგომარეობაში ყოფნა, - მპყრობელობა, გამგებლობა; ძალაუფლება. 4. უფროსობა, მეთაურობა. 5. მიმართვისას *ბატონ* სიტყვის ხმარება. ქეგლ. ტ.1.

**ბატონობა** – ადამიანების მოქმედებათა წარმართვა: "ბატონობა მოასწავებს იმის შესაძლებლობას, რომ აიძულონ პიროვნებანი, რომლებსაც უბრძანებენ, დაემორჩილონ ბრძანებას" (მაქს ვებერი).

**ბეზირგან-ი** (ბეზირგნისა) [სპარ. ბაზარგან "ვაჭარი"] – ძვ. დიდ-ვაჭარი, სოვდაგარი. ქეგლ. ტ.1.

**ბენილუქსის ქვეყნები** – 1944 წელს ლონდონში დადებული ხელშეკრულების საფუძველზე შექმნილი ეკონომიკური კავშირი ბელგიას, ნიდერლანდებსა და ლუქსემბურგს შორის.

**ბი-ბი-სი** – ბრიტანეთის რადიომაუწყებლობის კორპორა-ციის შემოკლებული სახელწოდება, დაარსდა 1927 წ. მას კონტროლს უწევს ინგლისის მთავრობა. მოკლე პოლიტიკური ლექს.

**ბიპოლარული მსოფლიო** – (ანუ ორპოლარული) – ბუნებრივი გეოპოლიტიკური კონსტრუქცია, რომელიც მსოფლიო მასშტაბში ასახავს ძირითად გეოპოლიტიკურ დუალიზმს – თალასოკრატია თელუროკრატიის წინააღმდეგ.

**ბიუროკრატია** – 1. აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ მოსახლეობის უმრავლესობის ნებისა და გადაწყვეტილებების უგულებელყოფა; 2. მის საქმიანობაში მუშაობის ფორმის და არა შინაარსის წინა პლანზე წამოწევა; 3. მუშაობის წესებისა და ამოცანების დაქვემდებარება ფორმის შენარჩუნებისა და განმტკიცებისადმი. მოკლე პოლიტიკური ლექს.

**ბლიცკრიგი** – ომის წარმოების თეორია, რომელიც მტერზე უმცირეს ვადაში გამარჯვებას ითვალისწინებს. მოკლე პოლიტიკური ლექს.

**ბლოკ-ი** (ბლოკისა) [ფრან. bloc] – შეთანხმება (კავშირი) პოლიტიკური პარტიებისა, სხვადასხვა საზოგადოებრივი ჯგუფებისა ან სახელმწიფოებისა საერთო პოლიტიკური მიზნის მისაღწევად. ქეგლ. ტ.1.

**ბლოკი** – რამოდენიმე სახელმწიფოს გაერთიანება, რომელიც მნიშვნელოვნად ცვლის მათ სტრატეგიულ და გეოპოლიტიკურ თვისებას და გაჰყავს ისინი მსოფლიო მოღვაწეობის უფრო მაღალ საფეხურზე.

**ბრიფინგი** – პრესის წარმომადგენელთა ხანმოკლე თათბირი, რომლის დროსაც სპეციალური რწმუნებული პირები აცნობენ მათი მთავრობის პოზიციას ამა თუ იმ საკითხის მიმართ. მოკლე პოლიტიკური ლექს.

**ბუდიზმ-ი** (ბუდიზმისა) – რელიგიური მოძღვრება, ბუდას მიერ ინდოეთში შექმნილი (გავრცელებულია ინდოეთში, ჩინეთში, იაპონიაში...). ქეგლ. ტ.1.

**ბუდიზმი** – ერთ-ერთი მსოფლიო რელიგია, რომელიც ძვ.წ. 560-440 წწ. წარმოიშვა ინდოეთში და რომელსაც ქადაგებდა ბუდა ("ნათელმხილველი") გაუტამა.

**ბუმერანგი** – 1. საბრძოლო და სანადირო იარაღი. კომბლის ის ნაირსახეობა ჰაერში წრეს შემოხაზავს და მსროლელს უბრუნდება; 2. (გადატ.) მოქმედება მიმართული ვინმეს ან რაიმეს წინააღმდეგ, რომელიც უარყოფითი შედეგით მთავრდება; 3. მასობრივი ინფორმაციის თეორიაში "ბუმერანგის ეფექტი" – ინფორმაციის ზემოქმედების შედეგი, რომელიც მოსალოდნელი შედეგის საპირისპიროა, საწინააღმდეგოა. მოკლე პოლიტიკური ლექს.

**ბუფერულ-ი** (ბუფერულისა) – ბუფერის თვისების მქონე. ბუფერული სახელმწიფო – პატარა სახელმწიფო, რომელიც მოქცეულია ორ მოწინააღმდეგე სახელმწიფოს მიწა-წყალს შორის და რომლის გამოყენებასაც ორივე მეზობელი ცდილობს თავისი ინტერესების შესაბამისად და თავის მოპირდაპირის წინააღმდეგ. ქეგლ. ტ.1.

**ბუფერული სახელმწიფო** – სტრატეგიული მდებარეობის მქონე მცირე სახელმწიფო, რომელიც მდებარეობს ორ მოქიშპე დიდ სახელმწიფოს შორის.

## გ

**გაერთიანებული ერების ორგანიზაცია** (გაერო) – საყოველთაო მშვიდობის უზრუნველყოფისა და სახელმწიფოთა თანამშრომლობის საერთაშორისო ორგანიზაცია. შეიქმნა 1945 წ. 26 ივნისს. 1945 წ. 24 სექტემბერს სან-ფრანცისკოში მის წესდებას ხელი მოაწერა 50-მა სახელმწიფომ, და იგი ძალაში შევიდა 1945 წ. 24 ოქტომბერს. მოკლე პოლიტიკური ლექს.

**გაეროს გენერალური ასამბლეა** – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი მთავარი ორგანო, რომელიც შედგება გაეროს ყველა წევრი-სახელმწიფოს წარმომადგენლებისაგან. უფლებამოსილია განიხილოს გაეროს წესდებით გათვალისწინებული ყველა საკითხი და რეკომენდაციები მისცეს წევრ სახელმწიფოებს და უშიშროების საბჭოს. მოკლე პოლიტიკური ლექს.

**გავლენის სფერო** – ტერიტორია ან ქვეყანა, რომელიც სახელმწიფოს კონტროლს, ეკონომიკურ და პოლიტიკურ გავლენას ექვემდებარება. მოკლე პოლიტიკური ლექს.

**გაზეთ-ი** (გაზეთისა) [იტალ. gazetta] – პერიოდული (ჩვეულებრივ ყოველდღიური) გამოცემა ფურცლების სახით, რომელიც შეიცავს ინფორმაციას მიმდინარე მნიშვნელოვანი მოვლენების შესახებ და პოლიტიკურ-მეცნიერული ხასიათის წერილებს. ქეგლ. ტ.2.

**გარანტია** – უზრუნველყოფა, თავდებობა. საერთაშორისო გარანტიები – საერთაშორისო სამართლის ნორმების დაცვის და საერთაშორისო ვალდებულებების შესრულების სამართლებრივი პრინციპებისა და საშუალებების ერთობლიობა. მოკლე პოლიტიკური ლექს.

**გარანტია** – თავდებობა, სამართლებრივი პრინციპებისა და საშუალებების ერთობლიობა, რაც უზრუნველყოფს ვალდებულებათა შესრულებას.

**გარანტი** – პირი, ორგანიზაცია, სახელმწიფო ან სახელმწიფოთა ჯგუფი, რომელიც განსაზღვრულ გარანტიებს იძლევა და თვალყურს ადევნებს მათ შესრულებას. მოკლე პოლიტიკური ლექს.

**გაწვევის სიგელი** – დაკავებული თანამდებობიდან დიპლომატიური წარმომადგენლის გაწვევის

დოკუმენტი. გ. ს. იმ სახელმწიფოს მეთაურს ეგზავნება, რომელშიც აკრედიტებულია დიპლომატიური წარმომადგენელი. მას ხელს აწერს იმ სახელმწიფოს მეთაური, რომელმაც დანიშნა დიპლომატიური წარმომადგენელი. მოკლე პოლიტიკური ლექს.

**გენეალოგია** (გენეალოგიისა) [ბერძ. genealogia] – 1. გვარტომობა, წარმომავლობა. საგვარეულო ნუსხა; გვარის აღწერილობა. 2. ისტორიის დამხმარე დისციპლინა, რომელიც შეისწავლის გვარტომობის ისტორიას. ქეგლ. ტ.2.

**გენეზის-ი** (გენეზისისა) [ბერძ. genesis] – წარმოქმნა, წარმოშობა, წარმომავლობა. რაიმე მოვლენის ჩასახვისა და განვითარების პროცესი, ისტორია. ქეგლ. ტ.2.

**გენერალიზაცია** (გენერალიზაციისა) – 1. რისამე განზოგადება, სხვა ფაქტებზე, მოვლენებზე გავრცელება; კერძო მოვლენათა დაქვემდებარება ზოგადი მოვლენისადმი. 2. მედ. ავადმყოფობის განთესვა მთელ ორგანოში ან ორგანიზმში. ქეგლ. ტ.2.

**გენერალისიმუსი** – რიგი ქვეყნის შეიარაღებული ძალების უმაღლესი სამხედრო წოდება. იგი ენიჭებოდათ მხედართმთავრებს, რომლებიც ომის დროს რამდენიმე არმიას სარდლობდნენ, სამეფო დინასტიის ოჯახის წევრებს და სახელმწიფო მოღვაწეებს, როგორც საპატიო წოდება. მოკლე პოლიტიკური ლექს.

**გენეტიკური ნათესავი** – დონორის ან რეციპიენტის შვილი, დედა, მამა, შვილიშვილი, ბებია, პაპა, ძმა, და, ძმისწული, დისწული, დედის ძმა ან და, მამის ძმა ან და, ბიძაშვილი, დეიდაშვილი, მამიდაშვილი.

**გენია** (გენიისა) [ლათ. genius] – 1. უდიდესი შემოქმე-დებითი ნიჭი. 2. მითოლ. ძველ ბერძნულ მითოლო-გიაში – მფარველი სული, რომელიც თითქოს თან ახლავს ადამიანს მთელი მისი სიცოცხლის განმავ-ლობაში და წარმართავს მის საქმიანობას; შემდეგში - ბოროტი ან კეთილი სული. ქეგლ. ტ.2.

**გენიალობა** (გენიალობისა) – გენიოსის ნიჭის. უმაღლესი შემოქმედებითი უნარის მქონეობა, - გენიოსობა.

**გენიალურ-ი** (გენიალურისა) – უდიდესი შემოქმედებითი ნიჭით დაჯილდოებული, გენიის მქონე, - გენიოსი. ქეგლ. ტ.2.

**გენიოს-ი** (გენიოსისა) – უდიდესი შემოქმედებითი ნიჭით, გენიით დაჯილდოებული პიროვნება. ქეგლ. ტ.2.

**გენოციდი** – მოსახლეობის ცალკეული (ან ეთნიკური) ჯგუფების გაჟლეტა რასობრივი და ეროვნული (რელიგიური) მოტივებით, უმძიმესი დანაშაულია კაცობრიობის წინაშე.

**გენოციდი** – რასობრივი, ეროვნული თუ რელიგიური მოტივებით მოსახლეობის ცალკეული ჯგუფების ფიზიკური მოსპობა და ცხოვრების ისეთ პირობებში ჩაყენება, რაც მათ განადგურებას გამოიწვევს. მოკლე პოლიტიკური ლექს.

**გენური ინჟინერია** – ტექნოლოგია, რომელიც იძლევა მოლეკულური ბიოლოგიის მეთოდით მცენარეული, ცხოველური, უჯრედული და სხვა ბიოლოგიური ორგანიზმების ისეთი მიღების საშუალებას, რომე-ლიც ვერ მიიღწევა ბუნებრივი სელექციით ან რეკომბინაციით.

**გეოეკონომიკა** – ატლანტური გეოპოლიტიკის განშტოება. სივრცეს განიხილავს უტილიტარულ ეკონომიკური თვალსაზრისით.

**გეოპოლიტიკა** – არის ხელისუფლების მსოფლმხედველობა, მეცნიერება ხელისუფლების შესახებ და ხელისუფლებისათვის, მეცნიერება მართვის შესახებ (ა. დუგინი).

**გეოპოლიტიკური დუალიზმი** – გეოპოლიტიკის ძირითადი პრინციპი, რომელიც ისტორიული პროცესის მამოძრავებელ ძალად საზღვაო (თალასოკრატიისა) და სახმელეთო (თელუროკრატიის) მმართველობის წინააღმდეგობას განიხილავს.

**გეოსტრატეგია** – გეოპოლიტიკური ანალიზის სამხედრო ასპექტები.

**გეოპოლიტიკური მუდმივა** – გეოპოლიტიკური რეალობა, რომელიც მუდმივად არსებობს და არ არის დამოკიდებული სახელმწიფოთა, ეთნოსთა და ა.შ. ვინაობასა და მათ პოლიტიკურ და სხვა შეხედულებებზე, რადგან განპირობებულია გეოპოლიტიკური (სტიქიების, კონტინენტების და ა.შ.) და არა საზოგადოებრივ-პოლიტიკური დაპირისპირებით.

**გერბ-ი** (გერბისა) [პოლ. herb] – პირობითი გამოსახულება, რომელიც მიკუთვნებული აქვს სახელმწიფოს, ქალაქს და სხვ. ქეგლ. ტ.2.

**გლობალური** – საყოველთაო. მაგ., თანამედროვეობის გ. პრობლემები – დედამიწაზე მშვიდობის შენარჩუნება, გარემოს დაცვა და სხვ. მოკლე პოლიტიკური ლექს.

**გრადაცია** (გრადაციისა) [ლათ. gradatio] – თანდათანობა, თანმიმდევრობა ერთი საფეხურიდან მეორეში გადასვლისას. ქეგლ. ტ.2.

**გრანდიოზულ-ი** (გრანდიოზულისა) [იტალ. grandioso] – ვეებერთელა, დიდი; დიდებული, დიადი. ქეგლ. ტ.2.

**გრიფ-ი** (გრიფისა) [ფრან. griffe ბრჭყალი] – თანამდებობის პირთა ხელმოწერის გამომსახველი ბეჭედი. ქეგლ. ტ.2.

## დ

**დავლურ-ი** (დავლურისა) – დავლური ომი – ომის ერთ-ერთი სახე, - თავდასხმითი, მიხდომითი ომი. ქეგლ. ტ.3.

**დაზღვევა** – ურთიერთობა, რომელიც მყარდება ფიზიკური და იურიდიული პირების პირადი და ქონებრივი ინტერესების დასაცავად სადაზღვევო შენატანებით (სადაზღვევო პრემიით) ფორმირებული ფულადი ფონდებისა და კანონმდებლობით ნებადართული სხვა წყაროების ხარჯზე, გარკვეული გარემოებების (სადაზღვევო შემთხვევების) დადგომისას.

**დალმატიკა** (დალმატიკისა) – ძვ. ძვირფასი სამეფო სამოსელი. ქეგლ. ტ.3.

**დამ-ი** (დამისა) – საქმის ბოლომდე მიყვანა, საქმის მოგვარება, გათავება. დამში მოსული საქმე: მოგვარებული, გაკეთებული საქმე. ქეგლ. ტ.3.

**დამქაშ-ი** (დამქაშისა) – თანამოაზრე, მომხრე, ამყოლი. დამქაშს დაუკრავს – გადატ. იგივეა, რაც კვერს დაუკრავს, - დაუდასტურებს, დაეთანხმება. ქეგლ. ტ.3.

**დანდალ-ი** (დანდლისა) – ძვ. ლაგამი. ქეგლ. ტ.3.

**დარბაზ-ი** – 1. მეფის კარი, სასახლე (მეფისა, მბრძანებლისა). 2. საქართველოს ფეოდალური სახელმწიფოს

უმაღლესი სათათბირო ორგანო, - სამეფო საბჭო. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘᲡ ᲔᲠᲜᲘ** – დარბაზის წევრები. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲝᲑᲐ** (დარბაზობისა) – 1. ოფიციალური სტუმრობა, ოფიციალური მიღება. 2. სანახავად მისვლა ვინმესთან; წვევა. 3. დარბაზის, სამეფო საბჭოს სხდომა. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲐᲠᲒᲘ** – დაკისრებული კომპეტენციის ფარგლებში რეგულირებადი სფერო.

**ᲓᲐᲠᲓᲣᲑᲐᲚᲐ** (დარდუბ[ა]ლისა) – "დარდი და უბედურება", ვაი-ვაგლახი, გაჭირვება, მწუხარება. დარდუბლის კიდობანი - ძვ. საუბ. გადატ. შავი დღისთვის, გაჭირვებისთვის გადადებული ფულის შესანახი; შავი დღისთვის გადანახული. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲐᲠᲝᲢᲐᲕ-Ს** (დაროტა, დაუროტავს) – უთავბოლოდ ლაპარაკობს. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲐᲠᲝᲨᲐᲕ-Ს** (დაროშა, დაუროშავს) – 1. გადატ. ყველაფერს იტყვის, - დაყაჭავს, დაკაკლავს, დაფქავს (რაც იცის, რაც ენაზე მოადგება). ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ** – თალასოკრატიისა და ატლანტიზმის სინონიმი (განვითარებული ქვეყნები).

**ᲓᲐᲡᲐᲚᲘᲔᲠ-Ი** (დასალიერისა) – სადაც თავდება რამე, - ბოლო, კიდე, უკანასკნელი პუნქტი, დასასრული. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲐᲡᲢᲐ** (დასტისა) [სპარ. დასთა "სახელური"; ჯგუფი, რაზმი; გუნდი; დასი; კონა, შეკვრა და სხვ.] – 1. საწერი ქაღალდის საზომი ერთეული (24 ფურცელი); საერთოდ, კონა, შეკვრა (ქაღალდისა, ქაღალდის

ფულისა და სხვ.). 2. აღმოსავლური მუსიკალური საკრავების დამკვრელთა მცირე დასი, ანსამბლი (სამეული, ტრიო). ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲐᲡᲢᲐᲛᲑᲕᲐ** (დასტამბვისა) – სახელი დასტამბავს ზმნის მოქმედებისა, - სტამბური წესით დაბეჭდვა, სტამბურად გამოცემა. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲐᲡᲢᲣᲠ** – ნამდვილად, მართლა(ც), სწორედ, ჭეშმარიტად, დიახ. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲐᲡᲢᲣᲠ-Ი** (დასტურისა) – თანხმობა, დათანხმება. დასტურს დასცემს – ნებას დართავს, დაეთანხმება. დასტურის მიცემა – დათანხმება. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲐᲡᲢᲣᲠᲚᲐᲛᲐᲚ-Ი** (დასტურლამალისა) [სპარ.-არაბ. "სახელმძღვანელო" "ინსტრუქცია"] – ვახტანგ მეექვსის მიერ შედგენილი ქართული სახელმწიფო სამართლის წიგნის სახელწოდება, - "ქართული სახელმწიფო სამართლის ძეგლი" (ივ. ჯავახ.) ვახტანგ VI-მ შეადგინა თავისი "დასტურლამალი". ამ ძეგლის სახელი სპარსულ-არაბულია "დასტურ ალ-დამალ", რაც ნიშნავს დასტურს მოქმედებისას, განრიგებას (ივ. ჯავახ.). ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲐᲨᲘᲝᲜ-Ი** (დაფიონისა) – ცის კიდურის (ჰორიზონტის) ალისფრად შეღებვა მზის ამოსვლის წინ, - აისი, ალიონი, განთიადი. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲐᲧᲠᲐᲜᲢᲐᲚᲔᲑᲐ** (დაყრანტალებისა) – 1. დაიყრანტალებს. ყრანტალის ხმის გამოცემა; 2. სიტყვის წამოცდენა, წამოყრანტალება; უშნოდ დალაპარაკება. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲐᲨᲗᲔᲑ-Ა** (დაშთა, დაშთენილა) – იგივეა, რაც დარჩება ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲐᲪᲝᲢᲐᲕᲔᲑᲐ** (დაცოტავებისა) – სახელი დააცოტავებს, დაცოტავდება ზმნათა მოქმედებისა, - რაოდენობით შემცირება, დაკლება, მოკლება, დაპატარავება. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲐᲪᲝᲢᲐᲕᲔᲑᲣᲚ-Ი** (დაცოტავებულისა) – რაც დააცოტავეს ან დაცოტავდა, - რაოდენობით შემცირებული. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲐᲪᲠᲘᲐᲢᲓᲔᲑ-Ა** (დაცრიატდა, დაცრიატებულა) – გაცრიატდება, გაფერმკრთალდება. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲐᲬᲘᲜᲓᲔᲑᲐ** (დაწინდებისა) – საწინდრად აღება. საწინდრად მიცემა, დაგირავება. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲐᲬᲘᲜᲓᲣᲚ-Ი** (დაწინდულისა) – ხელდადებული, დანიშნული. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲐᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐ** (დაჭეშმარიტებისა) – დამტკიცება, დადასტურება. დაჭეშმარიტებით ზმნს. ჭეშმარიტად, ნამდვილად, დანამდვილებით, დაბეჯითებით. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲐᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲣᲚ-Ი** (დაჭეშმარიტებულისა) – რაც დააჭეშმარიტეს, – ჭეშმარიტად მიჩნეული, დამტკიცებული. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲐᲮᲚᲘᲓᲐᲠ-Ი** (დახლიდრისა) [არაბ.-სპარ. დახლდარ “ამხანაგი”, “კომპანიონი”] – ძვ. დახლში მდგომი, დახლში მოვაჭრე, გამყიდველი, ნოქარი. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲐᲮᲚᲘᲓᲠᲝᲑᲐ** (დახლიდრობისა) – დახლიდრის ხელობა, საქმიანობა. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲒᲔᲜᲔᲠᲐᲢ-Ი** (დეგენერატისა) [ლათ. degeneratus] – ვისაც ფიზიკური ან სულიერი გადაგვარების ნიშნები აქვს, -გადაგვარების გზაზე მდგარი, გადაგვარებული.

“ვინა სთქვა,... მოდგმა დაბერდაო! სისულელეა, დეგენერატების ფილოსოფიაა” (რ. გვეტ.). ქეგლ. ტ.3.

**დეგენერაცია** (დეგენერაციისა) [ფრან. degeneration] – ცოცხალი ორგანიზმის (ან მისი ნაწილის) ბიოლოგიური ნიშნების დაქვეითება, გაუარესება, - გადაგვარება. ქეგლ. ტ.3.

**დეგრადაცია** (დეგრადაციისა) [ფრან. degradation] – თანდათანობით გაუარესება რაიმე თვისებისა, - დაქვეითება, დაცემა, გადაგვარება. ქეგლ. ტ.3.

**დედან-ი** (დედნისა) – თავდაპირველი ტექსტი, საიდანაც პირი გადააქვთ (გადაწერით ან გადაბეჭდვით), ან რომლის მიხედვითაც აწყობენ (სტამბაში), - ძირითადი ტექსტი, ორიგინალი. ქეგლ. ტ.3.

**დევიზ-ი** (დევიზისა) [ფრან. devise] – 1. მოკლე გამონათქვამი, რომელიც გამოხატავს მოქმედების სახელმძღვანელო აზრს, იდეას, მიზანს. 2. მოკლე გამონათქვამი, რომელსაც ავტორი თავისი სახელისა და გვარის ნაცვლად აწერს დახურულ კონკურსზე წარსადგენ შრომას (პროექტს). 3. ჰერალდიკაში – მოკლე წარწერა გერბზე, ფარზე და მისთ. ქეგლ. ტ.3.

**დეზავუირება** – სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურის განცხადება იმის შესახებ, რომ მისი დიპლომატიური წარმომადგენლის თუ სხვა ოფიციალური რწმუნებულის ესა თუ ის აქტი არ შეესაბამება ამ პირის უფლებამოსილებას და ამიტომ იურიდიულად მოკლებულია მნიშვნელობას. დ-ს ჩვეულებრივ თან ახლავს დიპლომატიური წარმომადგენლის თუ სხვა ოფიციალური რწმუნებულის გაწვევა. მოკლე პოლიტიკური ლექს.

**დეზინფორმაცია** (დეზინფორმაციისა) – ინფორმაციის გაყალბება, ყალბი ცნობების გავრცელება პრესის,

რადიოს საშუალებით საზოგადოებრივი აზრის შეცდომაში შესაყვანად. ქეგლ. ტ.3.

**დეზინფორმაცია** – ყალბი, პროვოკაციული ცნობა, რომელსაც ავრცელებენ იმისათვის, რათა შეცდომაში შეიყვანონ საზოგადოებრივი აზრი. მოკლე პოლიტიკური ლექს.

**დეზორგანიზატორ-ი** (დეზორგანიზატორისა) [ფრან. desorganisateur] – დეზორგანიზაციის მომხდენი, დეზორგანიზაციის შემტანი. ქეგლ. ტ.3.

**დეზორგანიზაცია** (დეზორგანიზაციისა) [ფრან. desorganisation დარღვევა, მოშლა] – ორგანიზებულობის მოშლა, წესიერების დარღვევა, უწესრიგობის, არევდარევის შეტანა. ქეგლ. ტ.3.

**დეზორგანიზაციულ-ი** (დეზორგანიზაციულისა) – დეზორგანიზაციის ხასიათისა, – უწესური. ქეგლ. ტ.3.

**დეზორგანიზებულ-ი** (დეზორგანიზებულისა) – არაორგანიზებული, დაქსაქსული. ქეგლ. ტ.3.

**დეზორგანიზებულობა** (დეზორგანიზებულობისა) – დეზორგანიზებული მდგომარეობა, ვითარება. ქეგლ. ტ.3.

**დეიზმ-ი** (დეიზმისა) [ლათ. deus-იდან ღმერთი] – რელიგიურ-ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც აღიარებს ღვთის, როგორც სამყაროს უპიროვნო პირველმიზეზის, არსებობას, დანარჩენში სამყარო ამ მოძღვრების თვალსაზრისით ბუნების კანონების მოქმედებას ემორჩილება. ქეგლ. ტ.3.

**დე იურე** [ლათ. de jure] – იურიდიულად, კანონის თანახმად, ფორმალურად; დე იურე ცნობა ნიშნავს ახალი სახელმწიფოს ოფიციალურ ცნობას და მასთან

დიპლომატიური ურთიერთობის დამყარებას. ქეგლ. ტ.3.

**დე იურე** – იურიდიულად, ფორმალურად, სამართლებრივად.

**დეკადა** (დეკადისა) [ბერძ. dekas-იდან ათეული, ფრან. dekade ათდღიური] – ათდღიანი დროის მონაკვეთი, ათი დღე; ათდღიური. ქეგლ. ტ.3.

**დეკადენტ-ი** (დეკადენტისა) – დეკადენტობის მიმდევარი (ლიტერატურასა და ხელოვნებაში), დეკადენტობის მომხრე. ქეგლ. ტ.3.

**დეკადენტობა** (დეკადენტობისა) [ფრან. decadent-იდან რაც ეცემა] – მიმდინარეობა ხელოვნებასა და ლიტერატურაში მე-19 ს. დასასრულსა და მე-20 ს. დასაწყისში, ხასიათდება დაქვეითდებით, უკიდურესი ესთეტიზმით, ინდივიდუალიზმით, მისტიციზმით. ქეგლ. ტ.3.

**დეკადენტურ-ი** (დეკადენტურისა) – დეკადენტობის ხასიათისა, - დაცემული, დაქვეითებული. ქეგლ. ტ.3.

**დეკან-ი** (დეკანისა) [ლათ. decanus ათისთავი] – ფაკულტეტის ხელმძღვანელი უმაღლეს სასწავლებელში. ქეგლ. ტ.3.

**დეკანოზ-ი** (დეკანოზისა) – 1. ქრისტიანული ეკლესიის უფროსი მღვდელი. 2. ეკლესიის მთავარი, მღვდელთა და მგალობელთა უფროსი. 3. ძვ. ეთნ. ხატის მსახური, რომელიც სახატო რიტუალს (დროშებისა და ხატების გამოსვენებას, დალოცვას, მსხვერპლის შეწირვის წესებს) ასრულებდა და ხატის ქონებას განაგებდა (დეკანოზს ვითომდა თვით ხატი ირჩევდა). ქეგლ. ტ.3.

**დეკლამატორ-ი** (დეკლამატორისა) [ლათ. declamator] – დეკლამაციის, მხატვრული კითხვის ოსტატი, დეკლამაციაში დახელოვნებული. ქეგლ. ტ.3.

**დეკლამაცია** (დეკლამაციისა) [ლათ. declamatio] – ლიტერატურული ნაწარმოების გამომეტყველებითი კითხვა, მხატვრული კითხვა. ქეგლ. ტ.3.

**დეკლარანტი** – პირი, რომელიც საბაჟო დეკლარირებას ახორციელებს თავისი სახელით ან რომლის სახელითაც ხორციელდება საბაჟო დეკლარირება.

**დეკლარაცია** (დეკლარაციისა) [ლათ. declaratio] – 1. ოფიციალური ან საზეიმო განცხადება. 2. ოფიციალური გამოცხადება რომელიმე აქტისა, კანონისა და მისთ., განსაკუთრებით საზეიმო გამოცხადება იმ ძირითადი პრინციპებისა, რომლებიც საფუძვლად ედება სახელმწიფოს ახალ ეკონომიურ და პოლიტიკურ წყობას. 3. ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს განცხადება საერთაშორისო პოლიტიკის რომელიმე საკითხის შესახებ მიღებული გადაწყვეტილების თაობაზე. 4. საპარლამენტო პრაქტიკაში – მთავრობის ან პარტიის განცხადება თავისი პოლიტიკური პროგრამის თაობაზე. 5. გადასახადის გადამხდელის განცხადება, რითაც ის აცნობებს საფინანსო ორგანოებს, თავისი დასაბეგრი ქონებისა და შემოსავლის რაოდენობის შესახებ. ქეგლ. ტ.3.

**დეკლარაციულ-ი** (დეკლარაციულისა) – დეკლარაციის ხასიათისა, - საზეიმოდ განცხადებული. ქეგლ. ტ.3.

**დეკლარირება** (დეკლარირებისა) – დეკლარაციით გამოსვლა, – ოფიციალურად ან ზეიმით რისამე გამოცხადება. ქეგლ. ტ.3.

**დეკოლორაცია** (დეკოლორაციისა) [ლათ decoloratio] – გაუფერულება. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲙᲠᲔᲢ-Ი** (დეკრეტისა) [ლათ. decretum დადგენილება, გადაწყვეტილება] – მთავრობის, უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს დადგენილება, რომელსაც კანონის ძალა აქვს. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲚ-Ი** (დელისა) [თურქ. deli] – ძვ. გიჟი, ხელი, გადარეული. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲚᲒᲛᲐ** (დელგმისა) – ძლიერი, კოკისპირული წვიმა, - თავსხმა, მერეხი. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲢ-Ი** (დელეგატისა) [ლათ. delegatus] – რომელიმე საზოგადოების მიერ არჩეული ან სახელმწიფოს მიერ დანიშნული წარმომადგენელი, საზოგადოების ან სახელმწიფოს რწმუნებული ყრილობაზე (კონფერენციაზე და სხვ.). ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲚᲘᲙᲐᲢᲝᲑᲐ** (დელიკატობისა) – დელიკატურის თვისება, - თავაზიანობა, ზრდილობიანობა. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲚᲘᲙᲐᲢᲣᲠ-Ი** (დელიკატურისა) [ფრან. delicat] – 1. თავაზიანი, ზრდილობიანი. 2. ისეთი, რაც ფრთხილსა და წინდახედულ მოპყრობას, სათუთ ქცევას მოითხოვს. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲛᲐᲒᲝᲒᲘᲐ** (დემაგოგიისა) [ბერძ. demagogia] – 1. არაკეთილსინდისიერი საშუალებით (მოტყუებით, ცრუ დაპირებებით...) გავლენის მოხდენა მასებზე ნდობის მოსაპოვებლად. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲛᲐᲒᲝᲒᲘᲣᲠ-Ი** (დემაგოგიურისა) – დემაგოგიის ხასიათისა. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲛᲐᲠᲙᲐᲪᲘᲐ** (დემარკაციისა) [ფრან. demarcation] – საზღვრის დადება, გამიჯვნა სახელმწიფოთა შორის დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ქეგლ. ტ.3.

**დემარკაცია** – გამიჯვნა, სახელმწიფო საზღვრების დადგენა და მათი აღნიშვნა სპეციალური სასაზღვრო ნიშნებით მომიჯნავე სახელმწიფოთა ხელშეკრულებების, შეთანხმებების თანახმად. მოკლე პოლიტ. ლექს.

**დემარკაციულ-ი** (დემარკაციულისა): დემარკაციული ხაზი – 1. სადემარკაციო ხაზი, -სამიჯნო ხაზი მეომარ მხარეთა ჯარებს შორის დროებითი ზავის დროს. 2. დროებითი სამიჯნო ხაზი სადავო ტერიტორიაზე (საბოლოო საზღვრის დადგენამდე). 3. ზუსტი საზღვარი რაიმე ორ მოვლენას შორის. ქეგლ. ტ.3.

**დემარშ-ი** (დემარშისა) [ფრან. demarche] – დიპლ. ერთი სახელმწიფოს მთავრობის, საგარეო საქმეთა უწყების ან დიპლომატიური წარმომადგენლის მიმართვა მეორე სახელმწიფოსადმი. დემარში შეიძლება იყოს სხვადასხვა ფორმისა და შინაარსისა (ნოტა, განცხადება, თხოვნა, პროტესტი და სხვ.). ქეგლ. ტ.3.

**დემილიტარიზაცია** (დემილიტარიზაციისა) – რომელიმე სახელმწიფოსათვის სიმაგრეთა აგების, სამხედრო მრეწველობისა და გარკვეულ ტერიტორიაზე ჯარის ყოლის აკრძალვა, - განიარაღება. ქეგლ. ტ.3.

**დემილიტარიზებულ-ი** (დემილიტარიზებულისა) – რამაც დემილიტარიზაცია განიცადა, - განიარაღებული. ქეგლ. ტ.3.

**დემობილიზაცია** – (დემობილიზაციისა) [ფრან. demobilisation] – 1. შეიარაღებული ძალების გადაყვანა საომარი მდგომარეობიდან სამშვიდობოზე. 2. სამხედრო მოსამსახურეთა განთავისუფლება (დათხოვნა) სამსახურიდან, არმიის რაოდენობის შემცირება მშვიდობიან მდგომარეობაში გადასვლის გამო. 3. მოქმედებისათვის მზადყოფნის შენელება, აქტივობის, სიფხიზლის შესუსტება. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲛᲝᲑᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲣᲠ-Ი** (დემობილიზაციურისა) – დემობილიზაციის დამახასიათებელი, დემობილიზაციის შესაფერი. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲛᲝᲑᲘᲚᲘᲖᲔᲑᲐ** (დემობილიზებისა) – დემობილიზაციის მოხდენა. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲛᲝᲑᲘᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚ-Ი** (დემობილიზებულისა) – ვისაც ან რასაც დემობილიზაცია შეეხო, - სამხედრო სამსახურიდან განთავისუფლებული, დათხოვნილი. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲛᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ** (დემოგრაფიისა) [ბერძ. demos ხალხი და grapho ვწერ] – სტატისტიკის დარგი, რომელიც მოსახლეობის შემადგენლობასა და მოძრაობას იკვლევს, - ხალხთა აღწერა. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲛᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ** – საზოგადოებრივი მეცნიერება მოსახლეობასა და მისი განვითარების კანონზომიერებებზე. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ᲓᲔᲛᲝᲒᲠᲐᲤᲘᲣᲚ-Ი** (დემოგრაფიულისა) – დემოგრაფიასთან დაკავშირებული, დემოგრაფიისათვის განკუთვნილი, - ხალხთა აღწერისა. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢ-Ი** (დემოკრატისა) – 1. დემოკრატიული მმართველობის მომხრე, დემოკრატიის მომხრე. 2. დემოკრატიულად წოდებული პარტიის წევრი. 3. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ** (დემოკრატიისა) [ბერძ. demokratia ხალხის ხელისუფლება] – წყობილების ისეთი ფორმა, როდესაც ხელისუფლება ეკუთვნის ხალხს. ქეგლ. ტ.3.

**დემოკრატია** – ხალხის ხელისუფლება (მმართველობა), მმართველობის ფორმა, პრინციპი.

**დემოკრატიზაცია** (დემოკრატიზაციისა) – დემოკრატიის განხორციელება, დემოკრატიულ საფუძვლებზე გადაყვანა. ქეგლ. ტ.3.

**დემოკრატიზმ-ი** (დემოკრატიზმისა) – დემოკრატიის განხორციელება; დემოკრატიულობა. ქეგლ. ტ.3.

**დემოკრატიულ-ი** (დემოკრატიულისა) – დემოკრატიის დამახასიათებელი, დემოკრატიის შესაფერი. ქეგლ. ტ.3.

**დემოკრატიულობა** (დემოკრატიულობისა) – დემოკრატიული ხასიათი, თვისება. ქეგლ. ტ.3.

**დემოკრატობა** (დემოკრატობისა) – დემოკრატის თვისება; დემოკრატად ყოფნა. ქეგლ. ტ.3.

**დემონ-ი** (დემონისა) [ბერძ. daimon] – 1. ძველ ბერძნულ მითოლოგიაში – ღვთაება, არსება, საშუალო ღმერთსა და ადამიანს შორის. 2. ქრისტიანულ მითოლოგიაში – ავი სული, ეშმაკი. 3. ბოროტი სული; ვითომდა არსება, რომელიც ადამიანს აცთუნებს, ავს რასმე ჩაადენინებს, - მაცთური. ქეგლ. ტ.3.

**დემონიზმ-ი** (დემონიზმისა) – 1. ბოროტი სულების – დემონების – რწმენა. 2. ძალა, თვისება, რომელსაც დემონებს მიაწერდნენ დემონოლოგიაში. 3. მხატვრულ ლიტერატურაში – დემონური გმირი ან თვით დემონი, რომელიც წარმოდგენილი იყო მარტოხელა მეამბოხედ მაშინ არსებულ სოციალურ ურთიერთობათა წინააღმდეგ და მებრძოლად პიროვნების განუსაზღვრელი თავისუფლებისათვის. დემონიზმი, როგორც ფორმა, დამახასიათებელი იყო რომანტიზმისათვის. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲜᲢ-Ი** (დემონსტრანტისა) – დემონსტრაციის მონაწილე. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲐ** (დემონსტრაციისა) [ლათ. demonstratio] – მასობრივი მსვლელობა (მიტინგი და მისთ.) საზოგადოებრივი განწყობილების გამოსახატავად. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚ-Ი** (დემონსტრაციულისა) – 1. დემონსტრაციის მიზნით ჩადენილი, - გამომწვევი. 2. დემონსტრაციაზე, ჩვენებაზე დამყარებული, - თვალსაჩინო. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲐ** (დემონსტრირებისა) – დემონსტრაციის მოხდენა, - ჩვენება. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲛᲝᲜᲡᲢᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚ-Ი** (დემონსტრირებულისა) – რის დემონსტრირებაც მოხდა, - ნაჩვენები. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲛᲝᲜᲝᲙᲝᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ** – სახელმწიფო ან სხვა მონოპოლიის საშუალების მოსპობა პროდუქციის ერთი მწარმოებლისათვის, რომელიც უკარნახებს მომხმარებელს თავის პირობებს, ფასს.

**ᲓᲔᲛᲝᲜᲣᲠ-Ი** (დემონურისა) – დემონის დამახასიათებელი, დემონისა, - ბოროტი, ავი, ვერაგი. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲛᲝᲠᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ** (დემორალიზაციისა) [ფრან. demoralization] – 1. მორალური გახრწნა, ზნეობრივი დაცემა. 2. ბრძოლისუნარიანობისა და დისციპლინის დაცემა, დაქვეითება. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲛᲝᲠᲐᲚᲘᲖᲔᲑᲐ** (დემორალიზებისა) – მორალური გახრწნა, დემორალიზაცია. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲛᲝᲠᲐᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚ-Ი** (დემორალიზებულისა) – ვინც ან რამაც დემორალიზაცია განიცადა. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲛᲝᲡ-Ი** (დემოსისა) [ბერძ. demos] – მოსახლეობის არა-პრივილეგირებული ნაწილი კლასობრივ საზოგადოებაში, - ხალხის მასა. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲛᲞᲘᲜᲒ-Ი** (დემპინგისა) [ინგ. dumping] – საქონლის გაყიდვა უცხოეთში ხელოვნურად დაკლებულ ფასებში (ზოგჯერ თვითღირებულებაზე ნაკლებადაც), ვიდრე თავიანთი ქვეყნების ბაზრის ფასებია. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲛᲞᲘᲜᲒᲘ** – საქონლის გაყიდვა საგარეო ბაზარზე საშინაო ბაზრის ფასზე იაფად წარმოების სტაბილიზირების მიზნით.

**ᲓᲔᲜᲐᲢᲣᲠᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ** – მოქალაქის რომელიმე სახელმწიფოს ქვეშევრდომობიდან გამოსვლა ან ამ ქვეშევრდომობის ჩამორთმევა. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ᲓᲔᲜᲐᲪᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ** (დენაციფიკაციისა) – ღონისძიება ნაციზმის აღმოსაფხვრელად გერმანიაში (ნაციონალ-სოციალისტური – ფაშისტური – პარტიისა და მისი ორგანიზაციების ლიკვიდაცია, მილიტარისტული პროპაგანდის მოსპობა და სხვ.), რომ ქვეყნის ცხოვრება გარდაიქმნას დემოკრატიულ საფუძველზე. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲜᲝᲜᲡᲐᲪᲘᲐ** (დემონსაციისა) – განცხადება, შეტყობინება ერთი სახელმწიფოს მიერ მეორისათვის, რომ მათ შორის დადებული ხელშეკრულება გაუქმებულია. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲜᲝᲜᲡᲘᲠᲔᲑᲐ** – ერთი სახელმწიფოს განცხადება მეორე სახელმწიფოსათვის, მათ შორის დადებული ხელშეკრულების ან შეთანხმების შეწყვეტის შესახებ წინასწარ განსაზღვრულ ვადაში დადგენილი წესების მიხედვით. მოკლე პოლიტიკური ლექს.

**ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢ-Ი** (დეპარტამენტისა) [ფრან. département] – 1. საფრანგეთში ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეული, - ოლქი. 2. რევოლუციამდელ რუსეთში და სხვა ქვეყნებში – უმაღლეს ადმინისტრაციულ (სახელმწიფო საბჭოს, სენატის, სამინისტროს) და სასამართლო დაწესებულებათა განყოფილება. 3. ამერიკის შეერთებულ შტატებსა და შვეიცარიაში – სამინისტრო. სახელმწიფო დეპარტამენტი ამერიკის შეერთებულ შტატებში – საგარეო საქმეთა სამინისტრო. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲞᲐᲠᲢᲐᲛᲔᲜᲢᲘ** – ზოგიერთ სახელმწიფოში უწყების, სამინისტროს სახელწოდება. მოკლე პოლიტიკური ლექს.

**ᲓᲔᲞᲝᲠᲢᲐᲪᲘᲐ** – სახელმწიფოდან გაძევება, განდევნა. დ. გამოიყენება უცხოელების და აპატრიდების მიმართ, რომლებიც სახელმწიფოს ტერიტორიაზე ნებართვის გარეშე იმყოფებიან, სხვა “არასასურველ პირთა” კატეგორიების მიმართაც.

**ᲓᲔᲞᲠᲔᲡᲘᲐ** (დეპრესიისა) – დათრგუნვილი ფსიქიკური (სულიერი) მდგომარეობა. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲞᲠᲔᲡᲘᲐ** – დათრგუნული სულიერი მდგომარეობა (დადარდიანება, სევდიანობა, ნაღვლიანობა).

**ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢ-Ი** (დეპუტატისა) [ლათ. deputatus წარგზავნილი] – არჩეული წარმომადგენელი, საკანონმდებლო ან საწარმომადგენლო ორგანოს წევრი. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲪᲘᲐ** (დეპუტაციისა) [ფრან. députation] – რომელიმე კოლექტივის (ორგანიზაციის, დაწესებულების, საერთო კრების) მიერ წარმომადგენლად არჩეული ან რწმუნებული რამდენიმე პირი. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲠᲘᲕᲐᲢ-Ი** (დერივატისა) [ლათ. derivatus] – რაიმე პირველადისაგან წარმოქმნილი, წარმოშობილი. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲡᲙᲠᲘᲤᲪᲘᲣᲚ-Ი** (დესკრიფციულისა) – აღწერითი. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲡᲞᲐᲜ-Ი** (დესპანისა) – 1. ერთი სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენელი მეორეში, ელჩზე მცირე რანგისა. 2. ერთი სახელმწიფოს მიერ მეორეში წარგზავნილი საგანგებო პირი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დავალებით, - ელჩი. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲡᲞᲐᲜᲝᲑᲐ** (დესპანობისა) – დესპანის თანამდებობა; დესპანის მოვალეობა; დესპანად ყოფნა. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲡᲞᲝᲢ-Ი** (დესპოტისა) [ბერძ. despotēs მბრძანებელი] – 1. მმართველი (ქვეყნისა და სხვ.), რომელიც განუსაზღვრელი უფლებებით სარგებლობს, თვითნებურად მოქმედებს. 2. გადატ. თვითნება ადამიანი, რომელიც სხვას აიძულებს მის ნებაზე იქცეოდეს, ვინც სხვის სურვილებს ანგარიშს არ უწევს, - ტირანი. 3. იმპერატორის ტიტული ბიზანტიაში. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲡᲞᲝᲢᲘᲐ** (დესპოტიისა) [ბერძ. despoteia] – 1. მმართველობის ისეთი ფორმა, როდესაც ხელისუფლება შეუზღუდველია და თვითნებური. 2. ქვეყანა, სადაც ასეთი ხელისუფლებაა დამყარებული. 3. დესპოტის საქციელი, -დესპოტობა. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲡᲞᲝᲢᲘᲖᲛ-Ი** (დესპოტიზმისა) – 1. შეუზღუდველი მონარქიის ფორმა, დესპოტია, 2. თვითნებობა, დესპოტობა. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲡᲞᲝᲢᲘᲖᲛᲘ** – თვითმპყრობელური ხელისუფლების ფორმა, შეუზღუდავი მონარქია.

**ᲓᲔᲡᲞᲝᲢᲝᲑᲐ** (დესპოტობისა) – დესპოტის საქციელი, - სისასტიკე, დესპოტია. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲡᲞᲝᲢᲣᲠ-Ი** (დესპოტურისა) – დესპოტის დამახასიათებელი, დესპოტის თვისებების მქონე, - თვითნებური. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲡᲢᲐᲑᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ** – წონასწორობის დარღვევა, არამდგრადი მდგომარეობის შექმნა. ტერმინი იხმარება პოლიტიკურ ლიტერატურაში ისეთი სიტუაციების აღსანიშნავად, როდესაც ქვეყანაში ან რეგიონში შიდა განვითარების, ან გარეშე ზეგავლენის გამო პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობის შეცვლაა მოსალოდნელი. მოკლე პოლიტიკური ლექს.

**ᲓᲔᲢᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ** (დეტალიზაციისა) – დეტალურად დამუშავება; დაწვრილებით განხილვა, დაწვრილებით შესწავლა; სიზუსტის შეტანა (რამეში). ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲢᲐᲚᲘᲖᲔᲑᲐ** (დეტალიზებისა) – დეტალურად დამუშავება, – დეტალიზაცია. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲢᲐᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚ-Ი** (დეტალიზებულისა) – დეტალურად დამუშავებული; დეტალურად განხილული. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲢᲐᲚᲣᲠ-Ი** (დეტალურისა) – დაწვრილებითი. დეტალურად – დაწვრილებით. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲢᲔᲠᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐ** (დეტერმინაციისა) – განსაზღვრა. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲢᲔᲠᲛᲘᲜᲘᲖᲛ-Ი** (დეტერმინიზმისა) [ლათ. determino-დან განვსაზღვრავ] –მატერიალისტური მოძღვრება ყველა მოვლენის კანონზომიერი, აუცილებელი კავშირისა და მათი მიზეზობრივი განპირობებულობის შესახებ. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲢᲔᲥᲢᲘᲕ-Ი** (დეტექტივისა) [detective] – საძებრო პოლიციის აგენტი. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲢᲔᲥᲢᲘᲣᲠ–Ი** (დეტექტიურისა) – დეტექტიური ლიტერატურა (რომანი, მოთხრობა...) – ლიტერატურა, რომელშიც აღწერილია დეტექტივთა თავგადასავალი. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔ ᲤᲐᲥᲢᲝ** [ლათ. de facto] – ფაქტობრივად, სინამდვილეში. სახელმწიფოს დე ფაქტო ცნობა ნიშნავს ახალი სახელმწიფოს არასრულ ცნობას ოფიციალური დიპლომატიური გზით. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔ ᲤᲐᲥᲢᲝ** – ის, რაც სინამდვილეში არსებობს, მაგრამ იურიდიულად გაფორმებული არ არის. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ᲓᲔᲤᲔᲥᲢᲘ** (დეფექტისა) [ლათ. defectus] – ნაკლი, ნაკლოვანება, ხარვეზი, ზიანი; ხინჯი, ზადი, წუნი. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜ-Ი** (დეფექტიანისა) – დეფექტის მქონე, – ნაკლოვანი, ზადიანი. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲤᲔᲥᲢᲘᲐᲜᲝᲑᲐ** (დეფექტიანობისა) – დეფექტიანის თვისება, ხასიათი. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲤᲔᲥᲢᲘᲣᲠ-Ი** (დეფექტიურისა) [ლათ. defectivus არასრული] – ფიზიკური ან ფსიქიკური დეფექტის, ნაკლის მქონე, - არანორმალური (ადამიანი). ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠ-Ი** (დეფექტურისა) – დეფექტის მქონე, - დეფექტიანი, ნაკლოვანი, ნაკლულევანი, ნაკლული. დეფექტური ზმნა – ზმნა, რომლის წარმოება საერთო წესს არ მიჰყვება; აკლია რომელიმე კატეგორია: ან რიცხვი, ან დრო ან და სხვა, ან კიდევ მთელი სერია; ნაკლს ივსებს სხვა ფუძის ზმნით, - ნაკლული, უწესო, მონაცვლე ზმნა. ქეგლ. ტ.3.

**დეფექტურობა** (დეფექტურობისა) – დეფექტურის თვისება, ხასიათი, - ნაკლულევანება. ქეგლ. ტ.3.

**დეფინიცია** – ამა თუ იმ ცნების მოკლე განსაზღვრა. მოკლე პოლიტ. ლექს.

**დეფიციტ-ი** (დეფიციტისა) [ლათ. deficit აკლია] – 1. გასავლის მეტობა შემოსავალზე, - ზარალი; დანაკლისი. 2. ნაკლებობა (რაიმე საქონლისა). ქეგლ. ტ.3.

**დეცენტრალიზაცია** (დეცენტრალიზაციისა) – მმართველობის ისეთი სისტემა, როდესაც სახელმწიფო ხელისუფლების ზოგი ფუნქცია გადაეცემა ადგილობრივი საკითხების გადასაწყვეტად ადგილობრივ ორგანოებს, როდესაც დაქვემდებარებულ ორგანოთა უფლებები გაფართოებულია. ქეგლ. ტ.3.

**დეცენტრალიზება** (დეცენტრალიზებისა) – დეცენტრალიზაციის მოხდენა. ქეგლ. ტ.3.

**დეცენტრალიზმ-ი** (დეცენტრალიზმისა) – იგივეა, რაც დეცენტრალიზაცია. ქეგლ. ტ.3.

**დიადემა** (დიადემისა) [ბერძ. diadema] – 1. ძველ ბერძენ ქურუმთა თავსახვევი; შემდეგში მეფეთა თავსამკაული – სამეფო ხელისუფლების ნიშანი. 2. ქალის ძვირფასი საშუბლე გვირგვინი. ქეგლ. ტ.3.

**დიაკ-ი** (დიაკისა) – დაწესებულების მოხელე (მდივანი) ძველ რუსეთში. ქეგლ. ტ.3.

**დიალექტიკა** (დიალექტიკისა) [ბერძ. dialektikē] – მოძღვრება მოვლენათა განვითარების, საყოველთაო კავშირისა და ურთიერთგანპირობებულობის შესახებ. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲘᲐᲚᲔᲥᲢᲘᲙᲐ** [ბერძ. dialegomai – ვსაუბრობ, ვმსჯელობ] – მეცნიერება ბუნების, საზ-ბისა და აზროვნების განვითარების უზოგადესი კანონების შესახებ. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**ᲓᲘᲐᲚᲔᲥᲢᲘᲙᲐ** – საუბრის გამართვის ხელოვნება – არგუმენტაციის ხელოვნება.

**ᲓᲘᲐᲚᲔᲥᲢᲘᲙᲣᲠ-Ი** (დიალექტიკურისა) – დიალექტიკის დამახასიათებელი, დიალექტიკაზე დამყარებული, დიალექტიკის კანონებს შეფარდებული, დიალექტიკიდან გამომდინარე; დიალექტიკისა. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲘᲐᲞᲐᲖᲝᲜ-Ი** (დიაპაზონისა) [ბერძ. dia pason chordon ყველა სიმზე] – 1. ხმის ან საკრავის მიერ გამოცემულ ბგერათა ერთობლიობა. 2. გაქანება, მოცულობა (ცოდნისა, ენერგიისა, საქმიანობისა და მისთ.). ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲘᲐᲡᲞᲝᲠᲐ** – ერის (ხალხის, ეთნიკური ერთობის) მნიშვნელოვანი ნაწილის ყოფნა თავისი ქვეყნის ფარგლებს გარეთ.

**ᲓᲘᲐᲥᲠᲝᲜᲘᲐ** (დიაქრონიისა) [ბერძ. dia გავლით, გამჭოლ და chronos დრო] – ისტორიული თანამიმდევრობა ენობრივ მოვლენათა განვითარებისა. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲘᲓᲛᲞᲧᲠᲝᲑᲔᲚ-Ი** (დიდმპყრობელისა) – 1. დიდი და აგრესიული სახელმწიფოს მპყრობელი (ეპითეტი იყო ხელმწიფისა) 2. ვინც მომხრეა დიდმპყრობელური პოლიტიკისა, ვინც დიდმპყრობელური იდეებით არის გამსჭვალული. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲘᲓᲛᲞᲧᲠᲝᲑᲔᲚᲝᲑᲐ** (დიდმპყრობელობისა) – დიდმპყრობელის თვისება; დიდმპყრობელური მოქმედება, დიდმპყრობელური პოლიტიკა. ქეგლ. ტ.3.

**დიდმპყრობელურ-ი** (დიდმპყრობელურისა) – დიდმპყრობელის დამახასიათებელი, დიდმპყრობელისათვის ჩვეული, დიდმპყრობელობისაკენ მიმართული. ქეგლ. ტ.3.

**დიდოსტატ-ი** (დიდოსტატისა) – დიდი ოსტატი, - რაიმე საქმეში ძალიან დახელოვნებული; უფროსი ოსტატი. 2. ჭადრაკის მოთამაშის წოდება, უმაღლესი კვალიფიკაციის მოჭადრაკე, - გროსმაისტერი. ქეგლ. ტ.3.

**დივერსია** – საგანგებოდ მომზადებული აგენტის ძირგამომთხრელი საქმიანობა რომელიმე სახელმწიფოს (ან მოწინააღმდეგის) ტერიტორიაზე მისი ეკონომიკური და სამხედრო ძლიერების, აგრეთვე მორალური მდგომარეობის შესასუსტებლად. მოკლე პოლიტ. ლექს.

**დივერსიფიკაცია** – სხვადასხვაობა, ცვლილება. მოკლე პოლიტ. ლექს.

**დივიდენდი** – მოგების ნაწილი, რომელსაც იურიდიული პირი სამეურნეო წლის (სამეურნეო წლების) შედეგების მიხედვით ანაწილებს პარტნიორთა შორის, აგრეთვე იურიდიული პირის ლიკვიდაციისას ან აქციების გამოსყიდვისას ქონების განაწილებით მიღებული შემოსავალი, გარდა საწესდებო და საემისიო კაპიტალის ქონებისა ან/და იმ ქონებისა, რომელიც პარტნიორმა ადრე განახორციელა შენატანის სახით.

**დილემა** (ბერძ. ei (s) – ორჯერ და lemma - დაშვება) – დასკვნის სახე (პირობით-გაყოფითი სილოგიზმისა), რ-ის წანამძღვართა რიცხვში შედიან ორი პირობითი და ერთი გაყოფითი მსჯელობა. ამასთან გაყოფითი მსჯელობა ჩამოყალიბებულია დიზუნქციის სახით, რ-შიც გაერთიანებულია პირობით მსჯელობათა საფუძვლები ან შედეგები. დიალექტიკა გვხვდება როგორც რთულ თეორიულ ბჭობაში, ისე ყოველ-

დღიურ ცხოვრებაში, როცა ადამიანი დგება ორი ერთნაირი შესაძლებლობიდან ერთ-ერთის ამორჩევის წინაშე. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**დილემა** – მტანჯველი მდგომარეობა, რომელშიც იმყოფება ის პიროვნება, ვინც უნდა გააკეთოს ან ვალდებულია გააკეთოს არჩევანი ორ ერთნაირად არასასიამოვნო რაიმეს შორის.

**დილემა** – 1. აზრი, ან დასკვნა, რომელიც ორ ურთიერთგამომრიცხველ დებულებას შეიცავს; მესამე დებულების არსებობა გამორიცხულია. 2. პირობების, ვითარებათა ერთობლიობა, რომელთა დროსაც იძულებულნი ვართ ჩვენთვის არასასურველი შესაძლებლობებიდან ერთ-ერთი ავირჩიოთ. მოკლე პოლიტ. ლექს.

**დილერი** – შუამავალი (იურიდიული ან ფიზიკური პირი), რომელიც სასაქონლო ბირჟაზე მოქმედებს თავისი სახელითა და თავისი ხარჯით.

**დილეტანტ-ი** (დილეტანტისა) [ფრან. dilettante] – მეცნიერების, ტექნიკის, ხელოვნების რომელიმე დარგით დაინტერესებული პირი საფუძვლიანი მომზადების გარეშე; რაიმე დარგის ზერელე მცოდნე, არასპეციალისტი. ქეგლ. ტ.3.

**დინამიკა** (დინამიკისა) [ბერძ. dynamikos ძალისა] – 1. მექანიკის დარგი, რომელიც სწავლობს სხეულთა მოძრაობას მათ ურთიერთმოქმედებასთან დაკავშირებით. 2. რაიმე მოვლენის განვითარების, ცვალებადობის მიმდინარეობა მასზე მოქმედ ფაქტორთა გავლენით. 3. მოძრაობის, მოქმედების სიჭარბე. ქეგლ. ტ.3.

**დინამიკურ-ი** (დინამიკურისა) – დინამიკის ხასიათისა, დინამიკასთან დაკავშირებული; მოძრაობით, მოქმე-

დებით, შინაგანი ენერგიით აღსავსე. დინამიკური მახვილი (ლინგვ.) – ისეთი მახვილი, როცა მახვილიან მარცვალში ხმა ძლიერდება. ქეგლ. ტ.3.

**დინამიკურობა** (დინამიკურობისა) – დინამიკურის თვისება. ქეგლ. ტ.3.

**დინასტია** (დინასტიისა) [ბერძ. dynasteia ბატონობა] – სამეფო გვარეულობა, ერთისა და იმავე გვარის მეფეები, რომელნიც მემკვიდრეობით ადიოდნენ ტახტზე. ქეგლ. ტ.3.

**დინასტიური** (დინასტიურისა) – დინასტიის დამახასიათებელი, დინასტიისა. ქეგლ. ტ.3.

**დიოფალ-ი** (დიოფლისა) – დიდებულის, წარჩინებულის ან თავადის ცოლი. ქეგლ. ტ.3.

**დიოფიზიტ-ი** (დიოფიზიტისა) [ბერძ. dyo ორი და fysis ბუნება] – ორი ბუნების აღმსარებელი ქრისტეში. ქეგლ. ტ.3.

**დიპლომ-ი** (დიპლომისა) [ფრან. diplome] – 1. ოფიციალური მოწმობა (უმაღლესი) სასწავლებლის დამთავრების შესახებ. 2. მოწმობა სამეცნიერო ხარისხის ან სამეცნიერო თუ სპეციალური წოდების მინიჭების შესახებ. 3. სიგელი, მიცემული საწარმოსათვის (აგრეთვე ცალკე პირისათვის) გეგმის გადაჭარბებით ან რისამე მაღალხარისხოვნად შესრულებისათვის. ქეგლ. ტ.3.

**დიპლომი** – უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მინიჭებული აკადემიური ხარისხის ან/და მიღებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი.

**დიპლომანტ-ი** (დიპლომანტისა) – სტუდენტი, რომელიც სადიპლომო შრომას ამზადებს. ქეგლ. ტ.3.

**დიპლომატ-ი** (დიპლომატისა) [ფრან. diplomate დიპლომის მქონე] – 1. პირი, რომელიც დიპლომატიურ მოღვაწეობას ეწევა და სახელმწიფო სამსახურშია დიპლომატიურ წარმომადგენლობაში ან საგარეო საქმეთა უწყებაში. 2. საუბ. გადატ. მოხერხებული სხვებთან ურთიერთობაში, დამოკიდებულებაში. ქეგლ. ტ.3.

**დიპლომატია** (დიპლომატიისა) [ფრან. diplomatie] – 1. მთავრობისა და მისი სპეციალური ორგანოების საქმიანობა სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის ამოცანათა განსახორციელებლად უცხო სახელმწიფოებთან ურთიერთობის სფეროში. 2. მოხერხებულობა სხვებთან ურთოერთობაში, დამოკიდებულებაში. ქეგლ. ტ.3.

**დიპლომატია** – საერთაშორისო ურთიერთობათა მეცნიერება; სახელმწიფოთა მეთაურებისა და მთავრობების, აგრეთვე საგარეო პოლიტიკის დარგში სახელმწიფოს მიზნებისა და ამოცანების აღმასრულებელი სპეციალური ორგანოების ოფიციალური მოღვაწეობა. დ. სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის უმნიშვნელოვანესი საშუალებაა. იგი მოლაპარაკების, მიმოწერის, საზღვარგარეთ სახელმწიფოს წარმომადგენლობის ყოველდღიური მოღვაწეობის საშუალებით ხორციელდება. მოკლე პოლიტ. ლექს.

**დიპლომატიკა** (დიპლომატიკისა) [ახ.-ლათ. diplomatica] – ისტორიის დამხმარე დისციპლინა, რომელიც სწავლობს ისტორიულ დოკუმენტებს, მათ წარმოშობას, თარიღს, ნამდვილობას, გარეგან ნიშნებს (ქაღალდს, წერის ხასიათს, ბეჭდებსა და სხვ.), - სიგელთმცოდნეობა. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠ-Ი** (დიპლომატიურისა) – დიპლომატიისა, დიპლომატიის ხასიათისა; დიპლომატიასთან დაკავშირებული. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲘᲛᲣᲜᲘᲢᲔᲢᲘ** – განსაკუთრებული უფლებები და უპირატესობა, რომლითაც უცხოელი დიპლომატები სარგებლობენ იმ სახელმწიფოს ტერიტორიაზე, სადაც ისინი იმყოფებიან.

ზემოაღნიშნული უფლებები და უპირატესობანია: 1. პირადი ხელშეუხლებლობა, ადგილსამყოფელისა და ტრანსპორტის ხელშეუხლებლობა; 2. იმუნიტეტი იურისდიქციისადმი (სისხლის სამართლის, სამოქალაქო ადმინისტრაციის); 3. მიმოწერის თავისუფლება, დიპლომატიური კურიერების გამოყენების უფლება, გადასახადებისა და საბაჟო გადასახადებიდან გათავისუფლება, წარმომადგენლობის შენობაზე დროშისა და გერბის გამოფენის უფლება. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲙᲝᲠᲞᲣᲡᲘ** – ამა თუ იმ ქვეყანაში ყველა დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელები (ელჩები, დესპანები, საქმეთა მუდმივი და დროებითი რწმუნებულები, აგრეთვე ნუნციუსები და ინტერნუნციუსები, რომლებიც ვატიკანის დიპლომატიური წარმომადგენლობის ხელმძღვანელები არიან). უფრო ფართო გაგებით, დ. კ. მოიცავს ყველა დიპლომატიურ მუშაკს, სახელდობრ, მრჩევლებს, პირველ, მეორე, მესამე მდივნებს, საელჩოთა და მისიათა ატაშეებს, სავაჭრო წარმომადგენლებსა და მათ მოადგილეებს; სამხედრო, სამხედრო-საზღვაო და სამხედრო-საჰაერო ატაშეებს, მათ მოადგილეებს, სპეციალურ მრჩევლებს და სპეციალურ ატაშეებს. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲐᲢᲘᲣᲠᲘ ᲙᲣᲠᲘᲔᲠᲘ** – პირი, რომელსაც დიპლომატიური ფოსტის მიწოდება ევალება. მოკლე პოლიტ. ლექს.

**დიპლომატიური მიმოწერა** – საერთაშორისო ურთიერთობის წერილობითი ფორმა. დ. მ., როგორც წესი, დიპლომატიურ წარმომადგენლობებსა და საგარეო საქმეთა უწყებებს შორის ხორციელდება. არსებობს დ. მ-ის შემდეგი ფორმები: პირადი ნოტა, ვერბალური ნოტა, მემორანდუმი, სამახსოვრო ბარათი, ნახევრად ოფიციალური ხასიათის წერილები. მოკლე პოლიტ. ლექს.

**დიპლომატობ-ს** – დიპლომატობას იჩენს; დიპლომატივით იქცევა. ქეგლ. ტ.3.

**დიპლომატობა** (დიპლომატობისა) – 1. დიპლომატის საქმიანობა. 2. საუბ. გადატ. დიპლომატის თვისება, -მოხერხებულობა. ქეგლ. ტ.3.

**დიპლომატურ-ი** (დიპლომატურისა) – დიპლომატის დამახასიათებელი, დიპლომატის შესაფერი. ქეგლ. ტ.3.

**დიპლომიან-ი** (დიპლომიანისა) – დიპლომის მქონე. ქეგლ. ტ.3.

**დირექტივა** (დირექტივისა) [ფრან. directive] – ზემდგომი ორგანოს სახელმძღვანელო მითითება, განკარგულება. ქეგლ. ტ.3.

**დისერტაცია** – სამეცნიერო ნაშრომი, რომელსაც დოქტორანტი იცავს დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად.

**დისიდენტ-ი** (დისიდენტისა) [ლათ. dissidens] – 1. გაბატონებული ეკლესიის მოძღვრებისაგან განდგომილი, სხვა სარწმუნოებისა. 2. სხვაგვარად მოაზროვნე, განდგომილი. ქეგლ. ტ.3.

**დისკრედიტაცია** – პიროვნების ღირსების, ავტორიტეტის შელახვა. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ᲓᲘᲡᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐ** (დისკრიმინაციისა) [ლათ. discriminatio განსხვავება] – უფლებების შეზღუდვა; საერთაშორისო ურთიერთობაში – რომელიმე სახელმწიფოსათვის და მის წარმომადგენელთა და ორგანიზაციათათვის უფრო მცირე უფლებების მინიჭება სხვა სახელმწიფოსთან და მის წარმომადგენელთან შედარებით. რასობრივი დისკრიმინაცია – რომელიმე რასის უუფლებო მდგომარეობა და დევნა. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲘᲡᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲪᲘᲐ** – განსაზღვრული კატეგორიის მოქალაქეებისათვის, ორგანიზაციებისათვის ან სახელმწიფოებისათვის იმ უფლების ჩამორთმევა ან შეზღუდვა, რომლებითაც სხვა მოქალაქეები, საზოგადოებები ან სახელმწიფოები სარგებლობენ. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ᲓᲘᲡᲙᲣᲡᲘᲐ** (დისკუსიისა) [ლათ. discussio] – აზრთა გაცვლა -გამოცვლა სადავო საკითხებზე, - კამათი, პაექრობა. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲘᲡᲚᲐᲚᲘᲣᲠ-Ი** (დისლალიურისა) [ბერძ. dys ძნელად და lalia ლაპარაკი] –ენაჩლუნგური. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲘᲡᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ** (დისპოზიციისა) [ლათ. dispositio] – 1. ჯარის საბრძოლო განლაგება. 2. ლიტ. წინასწარგანწყობილება, მიდრეკილება. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲘᲡᲪᲘᲞᲚᲘᲜᲐ** (დისციპლინისა) [ლათ. disciplina სწავლა] – 1. მტკიცედ დადგენილი წესი, რომლის დაცვა სავალდებულოა ამა თუ იმ კოლექტივის ყველა წევრისათვის. 2. ცოდნის, მეცნიერების დამოუკიდებელი, თავისთავადი დარგი. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲘᲡᲰᲐᲠᲛᲝᲜᲘᲐ** (დისჰარმონიისა) [ბერძ. თავსართი dys და harmonia] – 1. ჰარმონიის დარღვევა, - ბგერათა არა-

კეთილხმოვანი შეერთება. 2. გადატ. უთანხმოება, შეუთანხმებლობა (რამეში). ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲘᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐᲪᲘᲐ** (დიფერენციაციისა) [ლათ. differentia-დან განსხვავება] – 1. დაყოფა, დანაწევრება, დანაწილება; ფენებად დაყოფა; ერთმანეთისაგან გამოყოფა. 2. ბიოლ. უჯრედის, ქსოვილის, ორგანიზმის თანდათანობითი გართულება განვითარების დროს. 3. ლინგვ. ენათა (დიალექტთა) დაშორება განსხვავებათა ზრდის შედეგად. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲘ** – ძალდატანება პოლიტიკური, ეკონომიკური დაწოლისა და სამხედრო მუქარის საშუალებით. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠ-Ი** (დიქტატორისა) [ლათ. dictator] – 1. შეუზღუდველი ძალაუფლებით აღჭურვილი ერთპიროვნული მმართველი. 2. ძველ რომში – განუსაზღვრელი ძალაუფლებით აღჭურვილი თანამდებობის პირი, რომელსაც სენატის გადაწყვეტილებით კონსული ნიშნავდა სახელმწიფოს საშინაო ან საგარეო საფრთხის დროს. 3. საერთოდ, კაცი, რომელიც ფართო ძალაუფლებით სარგებლობს. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲘ** – განუსაზღვრელი ძალაუფლებით აღჭურვილი მმართველი, რომელიც უგულებელყოფს კანონებს და ძალმომრეობის საშუალებით ერთპიროვნულ მმართველობას ახორციელებს. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲝᲑ-Ს** – 1. დიქტატორად არის, დიქტატორია. 2. დიქტატორივით იქცევა. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲘᲥᲢᲐᲢᲝᲠᲝᲑᲐ** (დიქტატორობისა)სახელი დიქტატორობს ზმნის მოქმედებისა – 1. დიქტატორად ყოფნა. 2. დიქტატორივით მოქცევა. ქეგლ. ტ.3.

**დიქტატორულ-ი** (დიქტატორულისა) – დიქტატორის დამახასიათებელი, დიქტატორის შესაფერი. ქეგლ. ტ.3.

**დიქტატურა** (დიქტატურისა) [ლათ. dictatura] – გაბატონებული კლასის ძალაუფლება, რომელიც კანონით არ არის განსაზღვრული და რომელიც უშუალოდ ძალას ემყარება. ქეგლ. ტ.3.

**დიქტატურა** – ცალკეული მმართველის, ჯგუფის, კლასის შეუზღუდავი ხელისუფლება.

**დიქტატორი** – ცნება, რომელიც ახასიათებს ხელისუფლების განხორციელების სისტემას სახელმწიფოში. იხმარება ორი ძირითადი მნიშვნელობით: 1. სახელმწიფოს ხელისუფლების არსი, რომელიც უზრუნველყოფს ეკონომიკურად გაბატონებული კლასის პოლიტიკურ ძალაუფლებას; 2. ხელისუფლების განხორციელების წესი (დიქტატორული რეჟიმი. დიქტატორული მეთოდები და სხვ.). მოკლე პოლიტ. ლექს.

**დიქტატურულ-ი** (დიქტატურულისა) – დიქტატურის დამახასიათებელი, დიქტატურის შესაბამისი. ქეგლ. ტ.3.

**დიქცია** (დიქციისა) [ლათ. dictio წარმოთქმა] – უმნიშვნელოვანესი მხარე მეტყველების კულტურისა – მკაფიო, გარკვევით წარმოთქმა სიტყვისა თუ სიტყვის მარცვლებისა; წარმოთქმის მანერა (ლაპარაკის, დეკლამაციის დროს). ქეგლ. ტ.3.

**დოგმა** (დოგმისა) [ბერძ. dogma მოძღვრება] – დებულება, რომელიც დასაბუთებული არ არის და რომელსაც უკრიტიკოდ, ბრმად იღებენ. ქეგლ. ტ.3.

**დოგმატ-ი** (დოგმატისა) [ბერძ. dogma-დან] – 1. ღვთისმეტყველებაში – უცილობელ ჭეშმარიტებად აღიარებული და ყველა მორწმუნისათვის სავალდებულო

ძირითადი დებულება... 2. გადატ. ამა თუ იმ მოძღვრების, მეცნიერული მიმდინარეობის არსებითი მნიშვნელობის ცალკეული დებულება. ქეგლ. ტ.3.

**დოგმატიზმ-ი** (დოგმატიზმისა) – დოგმებზე დამყარებით აზროვნება, - უკრიტიკოდ, ბრმად მიღებული დაუსაბუთებელი ფორმულებით აზროვნება. ქეგლ. ტ.3.

**დოგმატიკა** (დოგმატიკისა) – ღვთისმეტყველებაში – სისტემურად გადმოცემული ქრისტიანული სარწმუნოების დოგმატები. ქეგლ. ტ.3.

**დოგმატიკურ-ი** (დოგმატიკურისა) – დოგმატის დამახასიათებელი; დოგმატური. დოგმატიკური მწერლობა – ძვ. საგანგებო დარგი საეკლესიო მწერლობისა, რომელშიც გამოხატულია ქრისტიანობის იდეური მხარე, მისი ფილოსოფია. ქეგლ. ტ.3.

**დოგმატურ-ი** (დოგმატურისა) – დოგმებზე დამყარებული; დოგმების შემცველი; კატეგორიული, უკრიტიკოდ გაზიარებული; ყველა დროისა და ყველა შემთხვევისათვის სავალდებულო (დებულებად) მიჩნეული. ქეგლ. ტ.3.

**დოკუმენტ-ი** (დოკუმენტისა) [ლათ. documentum] – საბუთი, მოწმობა. რისამე დამამტკიცებელი საქმიანი ქაღალდი; რამეზე უფლების დამადასტურებელი წერილობითი საბუთი. ქეგლ. ტ.3.

**დომინანტ-ი** (დომინანტისა) [ლათ. dominans გაბატონებული] – 1. უპირატესი იდეა; რისამე მთავარი, არსებითი ნიშანი; გაბატონებული, მთავარი. 2. მუს. მაჟორული ან მინორული გამის მეხუთე საფეხური. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲝᲛᲘᲜᲐᲜᲢᲝᲑ-Ს** – (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) დომინანტია, გაბატონებულია, უპირატესობა აქვს; ბატონობს (სხვაზე). ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲝᲛᲘᲜᲐᲜᲢᲝᲑᲐ** (დომინანტობისა) სახელი დომინანტობს ზმნის მოქმედებისა, – დომინანტად ყოფნა; უპირატესობა, გაბატონებული მდგომარეობა. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲝᲛᲘᲜᲐᲜᲢᲣᲠ-Ი** (დომინანტურისა) – დომინანტის დამახასიათებელი, უპირატესი, მთავარი, გაბატონებული. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲝᲜ ᲙᲘᲮᲝᲢ-Ი** (დონ კიხოტისა) – მეოცნებე ადამიანი, რომელიც უნაყოფო ბრძოლას ეწევა თავისი ფანტაზიური იდეალების განხორციელებისათვის და ამით ხშირად სასაცილო მდგომარეობაში იგდებს თავს [მე-16-17 ს. ესპანელი მწერლის სერვანტესის ცნობილი რომანის გმირის სახელის მიხედვით]. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲝᲜᲙᲘᲮᲝᲢᲝᲑᲐ** (დონკიხოტობისა) – დონ კიხოტის შესაფერი საქციელი, - უნაყოფო ბრძოლა, ფანტაზიორობა. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲝᲜᲙᲘᲮᲝᲢᲣᲠ-Ი** (დონკიხოტურისა) – დონ კიხოტის დამახასიათებელი, დონ კიხოტის შესაფერი, - უნაყოფო, უსაფუძვლო. ქეგლ. ტ.3.

**ᲓᲝᲜᲝᲠᲘ** – ცოცხალი ადამიანი ან გარდაცვლილი, რომლისგანაც იღებენ ორგანოს სხვა ადამიანისათვის გადასანერგად.

**ᲓᲝᲥᲢᲝᲠ-Ი** (დოქტორისა) [ლათ. doctor მასწავლებელი] – 1. უმაღლესი სამეცნიერო ხარისხი, რომელსაც ანიჭებს მეცნიერ მუშაკს სამეცნიერო საბჭო დისერტაციის დაცვის საფუძველზე და ამტკიცებს უმაღლესი

საატესტაციო კომისია. 2. ძვ. საუბ. იგივეა, რაც ექიმი. ქეგლ. ტ.3.

**დოქტორალურ-ი** (დოქტორალურისა) [ფრან. doctoral] – სამოძღვრი, კატეგორიული. ქეგლ. ტ.3.

**დოქტორანტ-ი** (დოქტორანტისა) [ლათ. doctorans] – კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მქონე მეცნიერი მუშაკი, რომელიც დოქტორანტურაში ირიცხება სადოქტორო დისერტაციის მოსამზადებლად. ქეგლ. ტ.3.

**დოქტორანტი** – პირი, რომელიც სწავლობს დოქტორანტურაში.

**დოქტრინა** (დოქტრინისა) [ლათ. doctrina] – მოძღვრება; მეცნიერული, ფილოსოფიური თეორია, სისტემა. ქეგლ. ტ.3.

**დოქტრინა** – მოძღვრება, მეცნიერული ან ფილოსოფიური თეორია, პოლიტიკური სისტემა, წარმმართველი თეორიული ან პოლიტიკური პრინციპი.

**დოყლაპია** (დოყლაპიასი) – პირი, რომელსაც სიფხიზლის მოდუნების გამო ყველაფერს გამოაპარებენ, - არაფხიზელი, პირღია, ყეყეჩი, გამოშტერებული; უფხო, უუნარო, უქნარა, ბოთე. ქეგლ. ტ.3.

**დოყლაპიობა** (დოყლაპიობისა) დოღლაპიას თვისება, – სიფხიზლის მოდუნება, ყეყეჩობა; უუნარობა, უქნარობა. ქეგლ. ტ.3.

**დოცენტ-ი** (დოცენტისა) [ლათ. docens-იდან მასწავლებელი] – 1. სამეცნიერო წოდება უმაღლესი სასწავლებლის მასწავლებლისა, რომელსაც ჩვეულებრივ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი აქვს;

კითხულობს დამოუკიდებელ კურსს. 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ქეგლ. ტ.3.

**დრაკონულ-ი** (დრაკონულისა): დრაკონული კანონ[ებ]ი – უსასტიკესი კანონ[ებ]ი [ძველი ბერძენი კანონმდებლის დრაკონის სახელის მიხედვით]. ქეგლ. ტ.3.

**დუელ-ი** (დუელისა) [ფრან. duel] – 1. ორთა ბრძოლა, რომელიც იმართებოდა ერთ-ერთი მოწინააღმდეგის გამოწვევით და განსაზღვრული წესების დაცვით. 2. გადატ. ბრძოლა ორ მოწინააღმდეგე მხარეს შორის, - შებრძოლება, შეჭიდება, შებმა. ქეგლ. ტ.3.

**დუელანტ-ი** (დუელანტისა) [გერმ. Duellant] – ძვ. დუელის მონაწილე ერთ-ერთი მოწინააღმდეგე მხარე. ქეგლ. ტ.3.

**დულცინეა** (დულცინესი), დულცინეა (დულცინეასი) – ხუმრ. ვისიმე სატრფო ქალი, გულის ვარდი [სერვანტესის რომანის მთავარი გმირის დონ კიხოტის ფანტაზიური სატრფოს სახელის მიხედვით]. ქეგლ. ტ.3.

## ე

**ეგზალტაცია** (ეგზალტაციისა) [ლათ. exaltatio] – აგზნებული, გადამეტებით აღფრთოვანებული მდგომარეობა. ქეგლ. ტ.3.

**ეგზემპლარ-ი** (ეგზემპლარისა) [და არა ეკზემპლიარი] [ლათ. exemplar ნიმუში] – ერთგვაროვანი საგნების (მაგ., წიგნების, ჟურნალების, ცხოველთა და მცენარეთა სახეობებისა და სხვ.) ერთეული, - ცალი, ცალეული. ქეგლ. ტ.3.

**ეგიდა** – 1. ძველ ბერძნულ მითოლოგიაში ზევსის ფარი, ღმერთების რისხვისა და მფარველობის სიმბოლო. 2.

(გადატ.) ე. მფარველობას, დაცვას ნიშნავს. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ეგოიზმ-ი** (ეგოიზმისა) [ფრან. égoïsme, ლათ. ego-დან მე] – საზოგადოებრივ ინტერესებზე წინ საკუთარი ინტერესების დაყენება, მხოლოდ პირად კეთილდღეობაზე ზრუნვა. ქეგლ. ტ.3.

**ეგოისტ-ი** (ეგოისტისა) – პირი, რომელიც საკუთარ ინტერესებს საზოგადოებრივ ინტერესებზე წინ აყენებს, - ეგოიზმით შეპყრობილი, პირადი კეთილდღეობისათვის მზრუნველი, თავკერძი, ეჩო კაცი. ქეგლ. ტ.3.

**ეგოისტობა** (ეგოისტობისა) – იგივეა, რაც ეგოიზმი. ქეგლ. ტ.3.

**ეგოისტურ-ი** (ეგოისტურისა) – ეგოისტის დამახასიათებელი, ეგოისტისათვის ნიშანდობლივი. ქეგლ. ტ.3.

**ეგოტიზმ-ი** (ეგოტიზმისა) [ფრან. égotisme, ლათ. ego-დან მე] – გადაჭარბებული წარმოდგენის ქონა თავის თავზე. ქეგლ. ტ.3.

**ედიქტ-ი** (ედიქტისა) [ლათ. edictum] – უმაღლესი ხელისუფლების (რომის პაპის, იმპერატორის ან მეფის) ბრძანებულება. ქეგლ. ტ.3.

**ევგენიკა** (ევგენიკისა) [ბერძ. eugeneia-დან კარგი წარმოშობა] – მოძღვრება "ადამიანის ჯიშის" გაუმჯობესების შესახებ ბიოლოგიური საშუალებებით. ქეგლ. ტ.3.

**ევოლუცია** (ევოლუციისა) [ლათ. evolutio] – 1. რისამე ცვლის, ცვლილების პროცესი, - განვითარება, 2. მოძრაობის ერთ-ერთი ფორმა ბუნებასა და საზოგადოებაში – უწყვეტი თანდათანობითი განვითარება

რაოდენობრივი ცვლილებებით, მკვეთრი ნახტომების გარეშე. ქეგლ. ტ.3.

**ევოლუცია** [ლათ.] – თანდათანობითი, უწყვეტი ცვლილების პროცესი, რომელსაც უნდა მოჰყვეს თვისებრივი ცვლილება.

**ევოლუცია** – განვითარების ერთ-ერთი ძირითადი ფორმა, რომლის დამახასიათებელი ნიშანია რაოდენობრივი ზრდა ან შემცირება, რაც თანდათანობით და განუწყვეტლივ გამომდინარეობს მოვლენათა საყოველთაო კავშირისა და ცვალებადობის კანონზომიერებიდან. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ევოლუცია** – პროგრესი, ევოლუციონიზმი მსოფლმხედველობა, რომელიც ყველაფერს განიხილავს თანდათანობით განვითარების თვალსაზრისით.

**ევრაზია** (ევრაზიისა) – ევროპისა და აზიის მატერიკი [შეერთებულია შემოკლებული სიტყვა *ევროპა* და *აზია*]. ქეგლ. ტ.3.

**ევრაზია** – იგივეა რაც კონტინენტი ("ჰარტლანდი") ხმელეთი, მიწა, თელუროკრატია. უფრო ვიწრო გაგებით გეოპოლიტიკურ რუსეთს აღნიშნავს.

**ევრაზიულობა** – რთული გეოპოლიტიკური ცნება. თავის თავში მოიცავს: ისტორიულად – კაცობრიობის ცივილიზაციის აღმოსავლეთ სექტორს, სტრატეგიულად – სახელმწიფოებისა და ერების არსებულ ან შესაძლო ბლოკს, რომლებიც არ ცნობენ ლიბერალურ-დემოკრატიული იდეოლოგიის იმპერატივს, სტრატეგიულად – სამხედრო ალიანსში გაერთიანებულ აღმოსავლეთ, "თელუროკრატიული" ქვეყნების არსებულ ან შესაძლო ბლოკს; სოციალურად – "იდეოკრატიაზე" ორიენტაციას, სოციალურ სახელმწიფოს, არაკაპიტალისტურ ეკონომიკურ წყობას.

**ევრიკა!** [ბერძ. heurēka ვიპოვე] – სიხარულის გამომხატველი წამოძახილი რისამე აღმოჩენის, მიგნების ან საერთოდ მიხვედრის დროს [გადმოცემით ეს წამოძახილი აღმოხდა სახელგანთქმულ ბერძენ გეომეტრს არქიმედს, როდესაც მან აღმოაჩინა ჰიდროსტატიკის ძირითადი კანონი, რომელიც მისი სახელითაა ცნობილი]. ქეგლ. ტ.3.

**ევროპეიზაცია** (ევროპეიზაციისა) – ევროპული კულტურის შეთვისება; ევროპული კულტურის გავრცელება. ქეგლ. ტ.3.

**ევროპეიზმ-ი** (ევროპეიზმისა) – ევროპის კულტურის თავისებურებანი (ელემენტები) დაპირისპირებით სხვა (მაგ., აღმოსავლეთის ქვეყნების) კულტურის თავისებურებებთან. ქეგლ. ტ.3.

**ევროპეისტიკა** (ევროპეისტიკისა) – ერთობლიობა იმ სამეცნიერო დისციპლინებისა, რომლებიც ევროპულ კულტურას (ევროპის მკვიდრთა ენებს, ლიტერატურას, ისტორიას...) სწავლობენ. ქეგლ. ტ.3.

**ევროპულ-ი** (ევროპულისა) – ევროპის ან ევროპელის დამახასიათებელი, ევროპის მკვიდრთა კუთვნილი; ევროპიდან მომდინარე, ევროპისა; ევროპიდან შემოსული ან გადმოტანილი. ქეგლ. ტ.3.

**ევფემიზმ-ი** (ევფემიზმისა) [ბერძ. euphēmeō ზრდილობიანად ვლაპარაკობ] – გარკვეულ გარემოებაში მიუღებელი, უხერხული სიტყვის ან გამოთქმის შეგნებული შეცვლა საყოველთაოდ მიღებული სიტყვით ან გამოთქმით, - კეთილსიტყვაობა. ევფემიზმებია, მაგ., ფეხმძიმე (ორსულის მაგივრად), თხზავს (ტყუის ზმნის ნაცვლად) და სხვ. ქეგლ. ტ.3.

**ევფემისტურ-ი** (ევფემისტურისა) – ევფემიზმის დამახასიათებელი, შესაფერი, ევფემიზმთან დაკავშირებული, ევფემიზმისა. ქეგლ. ტ.3.

**ეთერში გადაცემა** – საზოგადოების მიერ მიღების მიზნით ხმის ან/და გამოსახულების გადაცემა უსადენო კავშირგაბმულობით, მათ შორის თანამგზავრის მეშვეობით.

**ეთიკა** (ეთიკისა) [ლათ. ethica, ბერძ. ēthos-იდან ჩვეულება] – 1. მოძღვრება ზნეობის, მორალის, აგრეთვე ადამიანის ყოფაქცევის წესთა შესახებ. 2. გარკვეული საზოგადოებრივი წრის, პროფესიის წევრთა ყოფაქცევის ნორმები, - მორალი, ზნეობა. ქეგლ. ტ.3.

**ეთიკურ-ი** (ეთიკურისა) – ეთიკასთან დაკავშირებული, ეთიკის შესახები; ეთიკის თვალსაზრისით მისაღები, მოსაწონი. ქეგლ. ტ.3.

**ეთნარქ-ი** (ეთნარქისა) [ბერძ. ethnos ტომი, ხალხი და archos მეთაური] – გვარის, ტომის მამამთავარი. ქეგლ. ტ.3.

**ეთნიკურ-ი** (ეთნიკურისა) [ბერძ. ethnikos] – ამა თუ იმ ტომის ან ხალხის დამახასიათებელი; ტომთან, ხალხთან დაკავშირებული. ქეგლ. ტ.3.

**ეთნოგენეზ-ი** (ეთნოგენეზისა) [ბერძ. ethnos ტომი, ხალხი და genesis წარმოშობა] – ტომის, ხალხის წარმოშობა. ქეგლ. ტ.3.

**ეთნოლოგია** (ეთნოლოგიისა) [ბერძ. ethnos ტომი, ხალხი და logos მოძღვრება] – მეცნიერება, რომელიც სწავლობს ტომის, ხალხის წარმოშობას და მისი სულიერი და მატერიალური კულტურის განვითარებას (ამ ტერმინის შინაარსი განსაზღვრული არ

არის, იგი ხან ეფარდება ეთნოგრაფიას, ხან კიდევ ფართოდ გაგებულ ანთროპოლოგიას). ქეგლ. ტ.3.

**ეკლესიათა მსოფლიო საბჭო** – საერთაშორისო რელიგიური ორგანიზაცია. შეიქმნა 1948 წ. ამსტერდამში. აერთიანებს მსოფლიოს პროტესტანტული და მართლმადიდებლური ეკლესიების მნიშვნელოვან ნაწილს და სხვადასხვაგვარ ქრისტიანულ სექტებს. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ეკლექტიზმი** – ცნებების, იდეების, შეხედულებების, თეორიების მექანიკური, უპრინციპო გაერთიანება. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ეკლექტიკა** (ბერძ. eklego - ვირჩევ) – განსხვავებული, ხშირად საწინააღმდეგო თვალსაზრისების, თეორიული წანამძღვრების, პოლიტიკური შეფასებისა და ა.შ. აღრევა. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**ეკონომიქსი** – საბაზრო ეკონომიკის განვითარების თეორია და პრაქტიკული დასკვნები.

**ეკოსისტემა** – ცოცხალ ორგანიზმთა თანასაზოგადოება და ის ფიზიკური გარემო, სადაც ისინი არიან დასახლებულნი.

**ელიტა** – საზოგადოების ზედაფენა, "რჩეული" ნაწილი, რომელიც მართვის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარების ფუნქციებს ახორციელებს. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ელჩ-ი** (ელჩისა) – 1. ერთი სახელმწიფოს უმაღლესი რანგის მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენელი მეორეში. 2. ერთი სახელმწიფოს მიერ მეორეში წარგზავნილი საგანგებო პირი დიპლომატიური დავალებით, - დესპანი. ქეგლ. ტ.3.

**ელჩი** – საერთაშორისო სამართლის კლასიფიკაციის თანახმად I კლასის დიპლომატიური წარმომადგენელი. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ემანსიპაცია** (ემანსიპაციისა) [ლათ. emancipatio] – განთავისუფლება ვინმეზე დამოკიდებულებისაგან, უფლებებში გათანასწორება. ქეგლ. ტ.3.

**ემანსიპაცია** – რაიმე დამოკიდებულებისაგან, მეურვეობისაგან განთავისუფლება, უფლებრივად გათანასწორება. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ემბარგო** (ემბარგოსი) [ესპ. embargo ვკრძალავ] – რისამე (საქონლის, განძეულობის) შეზიდვისა და გაზიდვის აკრძალვა სახელმწიფოს მიერ. უცხო სახელმწიფოს ქონების (უმთავრესად გემებისა და ტვირთის) დაკავება პოლიტიკურ გართულებათა გამო. ქეგლ. ტ.3.

**ემბარგო** – კონკრეტული ქვეყნის წინააღმდეგ მიმართული აქტი – ოქროს, საქონლის, იარაღის ფასიანი ქაღალდების ექსპორტის და იმპორტის აკრძალვა.

**ემბარგო** – 1. საქონლის ან ვალუტის ქვეყნიდან გატანის ან შემოტანის აკრძალვა. სხვა სახელმწიფოთა გემების, ტვირთის და ქონების დაკავება. მშვიდობიან პირობებში ე-ს, როგორც სხვა ქვეყნებზე ეკონომიკური და ფინანსური ზემოქმედების და დაწოლის საშუალებას იყენებენ. ომის დროს იგი ეკონომიკური ბლოკადის ფორმას ღებულობს. 2. ე. პრესაში მოხსენების, ინფორმაციის ან რაიმე დოკუმენტის გამოქვეყნების აკრძალვას ნიშნავს. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ემიგრანტ-ი** (ემიგრანტისა) [ლათ. emigrans-იდან] – სამშობლოდან სხვა ქვეყანაში გადასახლებული (უმთავრესად პოლიტიკური მიზეზით). ქეგლ. ტ.3.

**ემიგრანტობა** (ემიგრანტობისა) – ემიგრანტად ყოფნა, ემიგრაციაში ყოფნა; ემიგრანტის მდგომარეობა. ქეგლ. ტ.3.

**ემიგრაცია** (ემიგრაციისა) [ლათ. emigro-დან გადავსახლდები] – სამშობლოდან სხვა ქვეყანაში გადასახლება (ჩვეულებრივ პოლიტიკური მიზეზებით). ქეგლ. ტ.3.

**ემიგრაცია** – მოქალაქის წასვლა თავისი სახელმწიფოდან უცხო სახელმწიფოში მუდმივად ან დროებით საცხოვრებლად. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ემიგრაციულ-ი** (ემიგრაციულისა) – ემიგრაციის დამახასიათებელი, ემიგრაციის შესაფერი. ქეგლ. ტ.3.

**ემინ-ი** (ემინისა) კუთხ. (ქიზ.) – გულუბრყვილო, უეშმაკო (ადამიანი). ქეგლ. ტ.3.

**ემირ-ი** (ემირისა) [არაბ. ამირ მბრძანებელი, მმართველი] – 1. უმაღლესი ტიტული მმართველისა მუსლიმანურ ქვეყნებში. 2. საქართველოში არაბთა ბატონობის დროს – მმართველი. ქეგლ. ტ.3.

**ემისარ-ი** (ემისარისა) [ლათ. emissarius გაგზავნილი] – სახელმწიფოებრივი ან პოლიტიკური ორგანიზაციის მიერ სხვა ქვეყანაში საიდუმლო დავალებით გაგზავნილი პირი, - საგანგებო რწმუნებული. ქეგლ. ტ.3.

**ემოცია** (ემოციისა) [ფრან. emotion] – გრძნობის ერთერთი სახე – სუბიექტის მდგომარეობის განცდა; განცდა. ქეგლ. ტ.3.

**ემოციურ-ი** (ემოციურისა) – ემოციის აღმძღვრელი, ემოციის გამომწვევი; ემოციის ხასიათისა, ემოციის დამახასიათებელი. ქეგლ. ტ.3.

**ემოციურობა** (ემოციურობისა) – ემოციურის თვისება, მდგომარეობა; ემოციური ხასიათი. ქეგლ. ტ.3.

**ემპირიულ-ი** (ემპირიულისა) – ემპირიის დამახასიათებელი, შესაფერი, ემპირიასთან დაკავშირებული; ცდისეული. ქეგლ. ტ.3.

**ენა** (ენისა) – 1. პირის ღრუში მოთავსებული მეტად მოქნილი და მოძრავი კუნთოვანი ორგანო, რომელიც გემოს გამგები და სამეტყველო ბგერათა საწარმოებელი მთავარი ორგანოა. ენის კლიტე – იგივეა, რაც ნაქი, პატარა ენა. 2. მეტყველების უნარი, აზრის სიტყვიერად გადმოცემა, - მეტყველება; ლაპარაკი. 3. მეტყველების ნაირსახეობა, რომელსაც მოეპოვება თავისი დამახასიათებელი ნიშნები. 4. როგორიმე (ავი ან კარგი, მწარე ან ტკბილი...) ლაპარაკი; ასეთი ლაპარაკის უნარი. 5. რაც გამოსახავს, გადმოსცემს რასმე (ფრინველთა ბგერას, ან კიდევ საგნებს თუ მოვლენებს) 6. გადატ. ზარის შიგნით ჩამოკიდებული ლითონის ნაწილი, რომლითაც ზარი რეკავს (ხმას გამოსცემს). 7. საბერვლის ნაწილი ჰაერის შესასრუტად და გამოსაშვებად, - ჰაერსასრუტი, სასულე. 8. გადატ. ალი (ცეცხლისა). 9. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. მოქარგული ენა – ლამაზი, მაგრამ ცოტათი ფარისევლური ენა. ბოროტი (ავი) ენები ამბობენ – საუბ. ზურგს უკან ლაპარაკობენ (ავს, ცუდს), - ჭორაობენ, ცილსა სწამებენ. ენას გამოუყოფს – გადატ. ენას გამოყოფს ვისიმე გამოსაჯავრებლად. გრძელი ენა აქვს – საუბ. ბევრი ლაპარაკი უყვარს, საჭიროზე მეტს ლაპარაკობს, - ყბედია. ენა გაუხმეს! – წყევლაა. ენაზე ადგას – ძალიან კარგად იცის და ვერ მოუგონებია (სიტყვა, სახელი). ენის წვერზე ადგას – თქმის სურვილი აქვს, თქმას აპირებს, სათქმელად მზად აქვს. ენაზე მოადგება – სათქმელად მოუვა. ენაზე (პირზე) აკერია (ეკერა) წარამარა ახსენებს, ხშირად იმეორებს ერთსა და იმასვე, გაიძახის. ენაზე (ენას) კლიტეს

დაადებს – პირზე კლიტეს დაადებს, - ხმის ამოღების საშუალებას არ მისცემს, არ ალაპარაკებს, გააჩუმებს. ენას მოიკვნეტს – გადატ. ლაპარაკს უცებ შეწყვეტს, უცბად გაჩუმდება, თავს შეიკავებს აზრის გამოთქმისაგან. ენაზე იკბინა – გადატ. ენა მოიკვნიტა, უცბად გაჩუმდა და ინანა, რომ წამოსცდა. ენაზე დარჩება (სიტყვა...) საუბ. თქმას ვერ მოასწრებს (სიტყვისას), ლაპარაკს ვერ დაამთავრებს, სიტყვას შეაწყვეტინებენ. საერთო ენას გამონახავს (ვინმესთან) შეძლებს საერთო აზრის გამომუშავებას (ვინმესთან). ენას ვერ დასძრავს – ხმას ვერ ამოიღებს, კრინტს ვერ დასძრავს. ენას ვერ იბრუნებს – ხმას ვერ იღებს, ლაპარაკს ვერ ახერხებს. ენა ჩაუვარდება – ხმას ვეღარ ამოიღებს, ლაპარაკის უნარი წაერთმევა, დადუმდება (შიშის, აღელვების... გამო). ენას მუცელში ჩაიგდებს – კრინტს ვერ დასძრავს, დადუმდება, გაჩუმდება. ენას შეუკრავს – ლაპარაკს არ დააცლის, თქმის საშუალებას არ მისცემს, - ძალით გააჩუმებს. ენას წაიგდებს – თავხედურად ზედმეტ ლაპარაკს მოჰყვება. ენას უკიდებს – შეფერხებით ლაპარაკობს, ენამოკიდებით, ბორძიკით ლაპარაკობს. ენას უჩლექს – ენამოჩლექით ლაპარაკობს (ელაპარაკება). ენას უზიდავს – იგივეა, რაც ენა მიაქვს (ვინმესთან). ენა უჭრის – კარგი ლაპარაკი იცის, ლაპარაკი ეხერხება, ეადვილება. ენა უყივლებს – თითქოს წინასწარ იტყვის იმას, რაც შეიძლება ახდეს. ენა გაითხელა – საუბ. რამე (ვინმე) ხშირად ახსენა და ინატრა. ენად გადაიქცევა – ბევრს ილაპარაკებს, ყბედი გახდება. ენად გადაქცეული – ენად გაკრეფილი. ენის ზიდვა – ენის მიტანა, დასმენა. ენის ქავილი სჭირს – საუბ. იგივეა, რაც ენა ექავება. ენით ამპარტავანი კუთხ. (ქართლ.) ტრაბახა, ბრტყელ-ბრტყელი მოლაპარაკე; ბევრის მოლაპარაკე და არაფრის გამკეთებელი. ენით გამოუთქმელი – რასაც ენა ვერ გამოთქვამს, - სიტყვით ძნელად გადმოსაცემი, აუწერელი, უსაზღვრო. ქეგლ. ტ.3.

**ენდემურ-ი** (ენდემურისა) [ბერძ. endemos-იდან ადგილობრივი] – მხოლოდ გარკვეული ადგილის დამახასიათებელი, გარკვეულ გეოგრაფიულ მხარეში გავრცელებული. ქეგლ. ტ.3.

**ენთუზიაზმ-ი** (ენთუზიაზმისა) [ბერძ. enthusiasmos] – აღფრთოვანება, აღტაცება; უსაზღვრო გატაცება, აღმაფრენა ამა თუ იმ საქმიანობაში. ქეგლ. ტ.3.

**ენთუზიაზმ-ი** [ბერძ.] – ძლიერი გატაცება ამა თუ იმ საქმიანობაში – აღფრთოვანება, აღტაცება.

**ენთუზიაზმი** – აღფრთოვანება, მგზნებარე გატაცება იდეით, იდეალით, სულიერი აღმავლობა.

**ენთუზიასტ-ი** (ენთუზიასტისა) – ენთუზიაზმით აღსავსე; გატაცებული იდეით ან საქმიანობით, - აღფრთოვანებული, მუშაობისათვის თავდადებული, მთელი თავისი შესაძლებლობით მომუშავე. ქეგლ. ტ.3.

**ენციკლიკა** – რომის პაპის მიმართვა კათოლიკური სამღვდელოებისადმი ან ყველა მორწმუნესადმი რელიგიურ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ, მორალურ და სხვა საკითხებზე. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ენციკლოპედია** (ენციკლოპედიისა) [ბერძ. en -ში, kyklos წრე და paideia განათლება] – მეცნიერული გამოცემა, რომელშიც ანბანის რიგზე ან თემატურად წარმოდგენილია არსებითი ხასიათის ცნობები ცოდნის ყველა დარგიდან. ქეგლ. ტ.3.

**ენციკლოპედიურ-ი** (ენციკლოპედიურისა) – ენციკლოპედიის ხასიათისა. მრავალმხრივი, ცოდნის მრავალი დარგის შემცველი.

**ᲔᲞᲘᲒᲠᲐᲛᲐ** (ეპიგრამისა) [ბერძ. epigramma წარწერა] – 1. მცირე ზომის ლექსი, უპირატესად სატირის ხასიათისა, - დამცინავი ლექსი. 2. წარწერა საფლავის ქვებსა, ძეგლებსა ან საზოგადოებრივ შენობებზე ძველ საბერძნეთში. ქეგლ. ტ.3.

**ᲔᲞᲘᲒᲠᲐᲛᲣᲚ-Ი** (ეპიგრამულისა) – ეპიგრამის ხასიათისა, ეპიგრამის შესაფერი. ქეგლ. ტ.3.

**ᲔᲞᲘᲒᲠᲐᲤ-Ი** (ეპიგრაფისა) [ბერძ. epigraphe წარწერა] – 1. თხზულების ან მისი ცალკეული თავის წინ წამძღვარებული ციტატი ან ფრაზა (აფორიზმი, ვისიმე გამონათქვამი ან ანდაზა), რომელიც ერთგვარად ახასიათებს ნაწარმოების ძირითად იდეას. ქეგლ. ტ.3.

**ᲔᲞᲘᲗᲔᲢ-Ი** (ეპითეტისა) [და არა: ეპიტეტი] [ბერძ. epitheton დართული] – მსაზღვრელი სიტყვა, რომელიც დაერთვის საგნის ან მოვლენის სახელს და გვიჩვენებს მის ყველაზე უფრო დამახასიათებელ ხატოვნობითს ნიშანს, თვისებას, - მხატვრული განსაზღვრება. მუდმივი ეპითეტი – ეპითეტი, რომელიც თითქოს შეეხორცაო ამა თუ იმ საგნის ან მოვლენის სახელს და ხშირად მასთან იხმარება ხალხურ პოეზიაში. ქეგლ. ტ.3.

**ᲔᲞᲘᲚᲝᲒ-Ი** (ეპილოგისა) [ბერძ. epilogos ბოლოსიტყვაობა] – ლიტერატურული ნაწარმოების დასკვნითი ნაწილი, სადაც მოკლედ გადმოცემულია მოქმედ პირთა შემდგომი ბედი. ქეგლ. ტ.3.

**ᲔᲞᲘᲡᲢᲝᲚᲔ** (ეპისტოლისა) [ბერძ. epistolē] – ძვ. წერილი, მიმართვა. ქეგლ. ტ.3.

**ᲔᲞᲘᲢᲐᲤᲘᲐ** (ეპიტაფიისა) [ბერძ. epitaphios] – საფლავის ქვის წარწერა, - ლოდწერა. ქეგლ. ტ.3.

**ეპოქა** (ეპოქისა) [ბერძ. epochē გაჩერება] – დროის გარკვეული მონაკვეთი, რომელიც ხასიათდება რაიმე ღირსშესანიშნავი მოვლენით; პერიოდი ისტორიაში (მეცნიერებაში, ხელოვნებაში...), რომელიც გამოირჩევა განსაკუთრებული მნიშვნელობის მოვლენით, - ხანა. ქეგლ. ტ.3.

**ერეს-ი** (ერესისა) [ბერძ. hairesis] – 1. გაბატონებულ რელიგიურ დოგმათა საწინააღმდეგო მოძღვრება, - მწვალებლობა. 2. გადატ. საყოველთაოდ აღიარებული შეხედულებისაგან გადახვევა, მიღებული წესებისაგან განდგომა და საწინააღმდეგოს დაცვა, - ცდომილება. ქეგლ. ტ.3.

**ერესები** (ბერძნ. hairesis – განსაკუთრებული სარწმუნოება) – რაიმე რელიგიის ოფიციალური სარწმუნოებიდან სხვადასხვა გადახრა, ოპოზიციური ან მტრული ფილოსოფ. ლექს. 1987.

**ერეტიკოს-ი** (ერეტიკოსისა) [ბერძ. hairetikos] – ერესის მიმდევარი, - მწვალებელი. ქეგლ. ტ.3.

**ერთა ლიგა** – შეიქმნა 1919 წ. სახელმწიფოთა პოლიტიკური თანამშრომლობის პირველი საერთაშორისო ორგანიზაციაა. დაიშალა 1946 წ. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ერთხელისუფლებიანობა** (ერთხელისუფლებიანობისა) – მართვის ისეთი სისტემა, როდესაც ხელისუფლება ერთი პირის ხელშია. ქეგლ. ტ.3.

**ერთხელმწიფეება** (ერთხელმწიფებისა) – ერთი ხელმწიფის მმართველობა, ერთმეფობა. ქეგლ. ტ.3.

**ერთპოლარული მსოფლიო** – საბჭოთა კავშირის "ცივ ომში" დამარცხების შემდეგ ჩამოყალიბებული გეო-

პოლიტიკური მოდელი. ერთადერთ გაბატონებულ პოლუსს წარმოადგენს ატლანტიზმი და აშშ.

**ერი** – “ერი არის ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა, წარმოშობილი ენის, ტერიტორიის, ეკონომიკური ცხოვრებისა და იმ ფსიქიკური წყობის ერთობის ბაზაზე, რომლის გამოხატულებაა კულტურის ერთობა” (ი. სტალინი).
“ერი არის ერთი სოციალური სუპერ-ორგანიზმი, ანუ ჰიპერ-ორგანიზმი, შემდგარი ერთგვარი ანუ მრავალგვარი ეთნიკური და სოციალური მასალისაგან, რომელსაც შეუძლია ჟამთა ვითარებაში შექმნას ერთი გარეგნულად მოწესრიგებული საერთო ცხოვრება თავის შემადგენელ ერთეულთა, ერთი საზოგადოება ყველა თავისი ორგანოებითა: ენითა, სარწმუნოებითა, მეცნიერებითა, ზნეობითა, ხელოვნებითა, სამართლითა და პოლიტიკითა, - საზოგადოება განსაკუთრებული ისტორიითა, ტიპითა და თვითშეგნებითა, სულის ინდივიდუალობითა” (მიხაკო წერეთელი).

**ეროვნება** (ეროვნებისა) – 1. გამაერთიანებელი სახელი ერისა, ხალხისა და ტომისა. 2. ეროვნული წარმომავლობა, წარმოშობა, - გვარტომობა. 3. რომელიმე ერისადმი განკუთვნება, - ეროვნული კუთვნილება, ეროვნული წარმოშობილობა. ქეგლ. ტ.3.

**ეროვნულ-ი** (ეროვნულისა) – ერისა, ერთან დაკავშირებული; ერის დამახასიათებელი, ერის ხასიათის გამომხატველი; ერისათვის განკუთვნილი. ქეგლ. ტ.3.

**ერუდიტ-ი** (ერუდიტისა) [ლათ. eruditus განსწავლული] – დიდი ერუდიციის, დიდი ცოდნის პატრონი. ქეგლ. ტ.3.

**ერუდიცია** (ერუდიციისა) [ლათ. eruditio] – დიდი განსწავლულობა, ღრმა ცოდნა ამა თუ იმ საგნისა, მეცნიე-

რების ამა თუ იმ დარგისა, დიდი ნაკითხობა. ქეგლ. ტ.3.

**ესთეტიკა** (ესთეტიკისა) [ბერძ. aisthesis-იდან გრძნობა, შეგრძნება] – ფილოსოფიური მოძღვრება ხელოვნებისა და, საერთოდ, მშვენიერების შესახებ; სწავლობს ხელოვნებას, როგორც საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთ ფორმას, მისი განვითარების კანონებს, მის იდეურ შინაარსსა და მხატვრულ ფორმებს და იკვლევს ხელოვნების დამოკიდებულებას სინამდვილესთან და მშვენიერების არსსა და გამოვლინებას ხელოვნებაში. ქეგლ. ტ.3.

**ესთეტიკოს-ი** (ესთეტიკოსისა) – 1. ესთეტიკის საკითხების მკვლევარი. 2. ესთეტიზმით გამსჭვალული, მშვენიერების თაყვანისმცემელი. ქეგლ. ტ.3.

**ესთეტიკურ-ი** (ესთეტიკურისა) [ბერძ. aisthetikos] – ესთეტიკის დამახასიათებელი, ესთეტიკასთან დაკავშირებული, ესთეტიკისათვის განკუთვნილი. ქეგლ. ტ.3.

**ესკალაცია** – თანდათანობითი გაძლიერება, გადიდება, გაფართოება, გაშლა. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ეტიკ-ი** (ეტიკისა) ძვ. “გზის მცოდნე” (საბა), – გზის მაჩვენებელი, მეგზური, გამძღოლი. ქეგლ. ტ.3.

**ეტიკეტ-ი** (ეტიკეტისა) [ფრან. etiquette] – თავის დაჭერისა და თავაზიანი მოპყრობის წესები. ქეგლ. ტ.3.

**ეტიკეტი** – 1. მეფის კარზე, დიპლომატიურ წრეებში და სხვ. მიღებული ყოფა-ქცევის წესები. 2. საზოგადოებაში მიღებული ყოფაქცევის ნორმები და თავაზიანობის წესები. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ეტიმოლოგია** (ეტიმოლოგიისა) [ბერძ. etymos ჭეშმარიტი, ნამდვილი და logos მოძღვრება] – ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს სიტყვის წარმომავლობას, მის შედგენილობასა და თავდაპირველ მნიშვნელობას. ქეგლ. ტ.3.

**ეფემერიდ-ი** (ეფემერიდისა) [ბერძ. ephemeris ერთი დღით ვარგისი] – 1. [Ephemeridae] – ერთი დღის სიცოცხლის მქონე მწერი. 2. ასტრონომიული ტაბულა, რომელიც უჩვენებს ცის მნათობთა მდებარეობას წელიწადის ან თვის განსაზღვრულ დღეებში, აგრეთვე ზოგიერთი პერიოდული მოვლენის განმეორების მომენტებს (მაგ., სიკაშკაშეს და სხვ. ცვალებადი ვარსკვლავების შემთხვევაში). ქეგლ. ტ.3.

**ეფემერულ-ი** (ეფემერულისა) – გადატ. სწრაფ წარმავალი, არამყარი, ხანმოკლე. მოჩვენებითი. ქეგლ. ტ.3.

**ეფემერულობა** (ეფემერულობისა) – ეფემერულის თვისება, - სწრაფწარმავლობა. მოჩვენებითობა. ქეგლ. ტ.3.

**ეფექტ-ი** (ეფექტისა) [ლათ. effectus მოქმედება] – 1. ძლიერი შთაბეჭდილება, ზემოქმედება. 2. რისამე მოქმედება, გავლენა; შედეგი ამ მოქმედებისა, გავლენისა. 3. რაც ქმნის, ახდენს შთაბეჭდილებას. ქეგლ. ტ.3.

**ეფექტიან-ი** (ეფექტიანისა) – 2. ეფექტის გამომწვევი, ძლიერი შთაბეჭდილების მომხდენი. 2. იგივეა, რაც ეფექტური. ეფექტიანად – ეფექტის მომცემად, - მოქმედად, შედეგიანად, ეფექტურად. ქეგლ. ტ.3.

**ეფექტიანობა** (ეფექტიანობისა) – ეფექტის ქონა; ეფექტის მოხდენა. ქეგლ. ტ.3.

**ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠ-Ი** (ეფექტურისა) – ეფექტის მომცემი, - სასურველი შედეგის მომცემი, ქმედითი, შედეგიანი. ეფექტურად – მოქმედად, შედეგიანად. ქეგლ. ტ.3.

**ᲔᲤᲔᲥᲢᲣᲠᲝᲑᲐ** (ეფექტურობისა) – ეფექტურის თვისება, ეფექტის მოხდენის უნარი. ქეგლ. ტ.3.

**ᲔᲥᲡᲝᲠᲘᲐ** (ექსორიისა) [ბერძ. ex- (ek-) -გან და horos საზღვარი] – სამშობლოდან (სახელმწიფოდან) გაძევება, განდევნა უცხო მხარეში; გადახვეწა (უმთავრესად პოლიტიკური მიზეზების გამო).

**ᲔᲥᲡᲝᲠᲘᲐᲥᲛᲜᲘᲚ-Ი** (ექსორიაქმნილისა) – ვისაც ექსორია უყვეს, - სხვაგან პატიმრად წარგზავნილი, - სამშობლოდან (სახელმწიფოდან) გაძევებული, განდევნილი; გადახვეწილი უცხო მხარეში. ქეგლ. ტ.3.

**ᲔᲥᲡᲞᲐᲜᲡᲘᲐ** (ექსპანსიისა) [ლათ. expansio] – გავრცელება, გაფართოება თავდაპირველი საზღვრებისა, გავლენისა და სხვ. ქეგლ. ტ.3.

**ᲔᲥᲡᲞᲐᲜᲡᲘᲣᲠ-Ი** (ექსპანსიურისა) [ფრან. expansif ლათ. expansio-დან გაფართოება, გავრცელება] – ვინც თავის გრძნობებს ვერ ფარავს, ამჟღავნებს, - ჭარბმგძნობიარე. ქეგლ. ტ.3.

**ᲔᲥᲡᲞᲐᲢᲠᲘᲐᲪᲘᲐ** (ექსპატრიაციისა) [ლათ. ex-გან, -იდან და patria სამშობლო] – ნებაყოფლობითი ან იძულებითი გასახლება სამშობლოდან. ქეგლ. ტ.3.

**ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢ-Ი** (ექსპერიმენტისა) [ლათ. experimentum] – მეცნიერული ცდა. საერთოდ, ცდა. ქეგლ. ტ.3.

**ᲔᲥᲡᲞᲠᲔᲡᲘᲐ** (ექსპრესიისა) [ლათ. expressio] – გამომეტყველება, გამომსახველობა. ქეგლ. ტ.3.

**ᲔᲥᲡᲞᲠᲔᲡᲘᲣᲚ-Ი** (ექსპრესიულისა) – ექსპრესიის ხასიათისა, - გამომეტყველებითი, გამომსახველობითი.

**ᲔᲥᲡᲞᲠᲝᲞᲠᲘᲐᲪᲘᲐ** (ექსპროპრიაციისა) [ლათ. ex –გან, -იდან და proprius საკუთარი] – იძულებით ჩამორთმევა რისამე, - წართმევა. ქეგლ. ტ.3.

**ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲕᲐᲒᲐᲜᲢᲣᲠ-Ი** (ექსტრავაგანტურისა) [ფრან. extravagant] – არაჩვეულებრივი, უცნაური, ახირებული. ქეგლ. ტ.3.

**ᲔᲥᲡᲞᲔᲠᲘᲛᲔᲜᲢᲘ** – გეგმაზომიერად ჩატარებული დაკვირვება.

**ᲔᲥᲡᲞᲝᲠᲢ-Ი** (ექსპორტისა) [ინგ. export ლათ. exporto-დან გამაქვს] – საზღვარგარეთ გატანა, გაზიდვა (საქონლისა, კაპიტალისა). ქეგლ. ტ.3.

**ᲔᲥᲡᲞᲠᲝᲞᲠᲘᲐᲪᲘᲐ** – საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლისა და ამ კანონის შესაბამისად საკუთრების ჩამორთმევა, ჩამორთმეული ქონების სათანადო კომპენსაციით.

**ᲔᲥᲡᲢᲔᲠᲜᲐᲢᲘ** – იმ პირის მიერ ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტის მიღების წესი, რომელმაც დამოუკიდებლად აითვისა ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამები.

**ᲔᲥᲡᲢᲠᲐᲓᲘᲪᲘᲐ** – ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოსადმი დამნაშავის გადაცემა. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ᲔᲥᲡᲢᲠᲔᲛᲘᲡᲢᲘ** – ადამიანი, რომელიც ემხრობა უკიდურესი ზომების გამოყენებას ამა თუ იმ პოლიტიკური საკითხის გადაჭრის დროს. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ᲔᲥᲡᲪᲔᲜᲢᲠᲣᲚᲝᲑᲐ** (ექსცენტრულობისა) ექსცენტრულის თვისება, ხასიათი, – მეტის მეტი ახირებულობა, უცნაურობა.

**ᲔᲥᲡᲪᲔᲡ-Ი** (ექსცესისა) [ლათ. excessus გამოსვლა, გადახრა] – 1. თავშეუკავებლობა, წრესგადასულობა, გადაჭარბებულობა, თავდაუჭერლობა, აღვირახსნილობა. 2. (საზოგადოებრივი) წესრიგის ტლანქი დარღვევა. ქეგლ. ტ.3.

## ვ

**ᲕᲐᲙᲮᲐᲜᲐᲚᲘᲐ** – დიონისეს კულტთან დაკავშირებული მისტერიები (საიდუმლო-რელიგიური წესების შესრულება). ვ-მ თანდათანობით ორგიული ხასიათი მიიღო. (გადატ.) ვ. თავაწყვეტილ ღრეობას, ორგიას, მეტისმეტ არეულობას ნიშნავს. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ᲕᲐᲜᲓᲐᲚᲔᲑᲘ** – 1. ძველ გერმანელთა ტომები, რომლებიც I საუკუნეში ცხოვრობდნენ და განსაკუთრებული აგრესიულობითა და სისასტიკით გამოირჩეოდნენ. 2. (გადატ.) ვანდალი – უმეცარი, სასტიკი ადამიანი.

**ᲕᲐᲜᲓᲐᲚ-Ი** (ვანდალისა) – 1. ვანდალები – ერთ-ერთი ძველი გერმანელ ტომთაგანი, რომელიც V საუკუნის შუა წლებში შეესია იტალიის მიწა-წყალს, გაძარცვა რომი და სახელი დაიგდო კულტურის ძეგლთა განადგურებით. 2. გადატ. კულტურის ძეგლთა გამანადგურებელი, - ბარბაროსი. ქეგლ. ტ.4.

**ᲕᲐᲜᲓᲐᲚᲘᲖᲛ-Ი** (ვანდალიზმისა) – ვანდალის საქციელი, კულტურის ძეგლთა დაუნდობელი განადგურება, - ბარბაროსობა. ქეგლ. ტ.4.

**ᲕᲐᲜᲓᲐᲚᲘᲖᲛᲘ** – მატერიალურ ფასეულობათა და კულტურის ძეგლთა უაზრო განადგურება. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ᲕᲐᲜᲓᲐᲚᲣᲠ-Ი** (ვანდალურისა) – ვანდალის დამახასიათებელი, - ბარბაროსული. ქეგლ. ტ.4.

**ᲕᲐᲠᲘᲐᲜᲢ-Ი** (ვარიანტისა) [ლათ. varians ცვალებადი, განსხვავების მომცემი] – 1. რამდენიმე გვარად დაწერილი ნაწარმოების (ან მისი ნაწილის) ერთ-ერთი სახეობა. 2. საერთოდ, რისამე ნაირსახეობა, სახეცვლილება. 3. ჭადრ. სვლათა ერთ-ერთი შესაძლებელი კომბინაცია. ქეგლ. ტ.4.

**ᲕᲐᲠᲘᲐᲪᲘᲐ** (ვარიაციისა) [ლათ. variatio ცვალება] – 1. რაიმე ნაწარმოების, თემის, ამბის და სხვ. ნაირსახეობა, მიღებული არაარსებითი მხარეების, დეტალების ცვლის გზით. 2. ბიოლ. ცხოველის ან მცენარის ორგანიზმის რაიმე სხვაობა ძირითად ტიპთან შედარებით, - სახესხვაობა. ქეგლ. ტ.4.

**ᲕᲐᲠᲘᲐᲪᲘᲣᲚ-Ი** (ვარიაციულისა) – ვარიაციების ამსახველი, ვარიაციებთან დაკავშირებული. ქეგლ. ტ.4.

**ᲕᲐᲣᲩᲔᲠᲘ** – 1. სახელმწიფოს მიერ მოსწავლისათვის გადაცემული, მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც შეიძლება გამოშვებული იქნეს როგორც მატერიალიზებული, ისე არამატერიალიზებული ფორმით და რომელიც განკუთვნილია მოსწავლის მიერ ზოგადი განათლების მიღების დასაფინანსებლად; 2. სახელმწიფოს მიერ პროფესიული სტუდენტისათვის გადაცემული, მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტი, რომელიც შეიძლება გამოშვებულ იქნეს როგორც მატერიალიზებული, ისე არამატერიალიზებული ფორმით და რომელიც განკუთვნილია პროფესიული სტუდენტის მიერ სახელობო საგან-

მანათლებლო პროგრამის ათვისების დასაფინანსებლად.

**ვერიფიკაცია** – დასაბუთება, დადასტურება ცდით ან ლოგიკური დასაბუთებით.

**ვერსიფიკატორ-ი** (ვერსიფიკატორისა) – პოეტი, მელექსე. ირონ. – უნიჭო და უშინაარსო ლექსების მთხზველი. ქეგლ. ტ.4.

**ვეტო** – სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენელთაგან შემდგარი კოლეგიური ორგანოს ერთ-ერთი წევრის განცხადება (ხმის მიცემის პროცესში) იმის თაობაზე, რომ იგი წინააღმდეგია უმრავლესობის გადაწყვეტილებისა.

**ვეტო** – სახელმწიფოს მეთაურის ან პარლამენტის ზედა პალატის უფლება აკრძალოს ან დროებით შეაჩეროს საკანონმდებლო ორგანოს მიერ მიღებული კანონის მოქმედება. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ვიდეოგრამა** – გამოსახულებათა თანამიმდევრობის ჩანაწერი რაიმე ობიექტური ფორმით, ხმის თანხლებით ან უამისოდ.

**ვიზა** – დადგენილი ფორმის აღნიშვნა სამგზავრო დოკუმენტში, რომელიც ადასტურებს უცხოელის უფლებას შემოვიდეს და იმყოფებოდეს საქართველოში ან ტრანზიტით გადაკვეთოს მისი ტერიტორია.

**ვიზიტი** – 1. დიპლომატიური წარმომადგენლის წვევა იმ ქვეყნის ოფიციალური, საზოგადოებრივი და საქმიანი წრეების წარმომადგენლებთან, რომელშიც დიპლომატიური კორპუსი იმყოფება. 2. სახელმწიფოს ან მთავრობის მეთაურის წვევა საზღვარგარეთულ ქვეყანაში. 3. ესკადრებისა და ცალკეული სამხედრო გემების წვევა უცხოური სახელმწიფოების პორტებ-

ში, რაც მეგობრობის მანიფესტაციას წარმოადგენს. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ვიზუალური** – უბრალო თვალით დანახული.

**ვირტუალურ-ი** (ვირტუალურისა) [ლათ. virtualis შემძლე, უნარიანი] –შესაძლებელი. რამაც შეიძლება თავი იჩინოს სათანადო პირობებში. ქეგლ. ტ.4.

**ვოლონტერ-ი** (ვოლონტერისა) [ფრან. volontaire] – ძვ. იგივეა, რაც მოხალისე. ქეგლ. ტ.4.

**ვოლუნტარიზმი** (ლათ. voluntas – ნება) – იდეალისტური ფილოსოფიის მიმართულება, რ-იც ნებას მიიჩნევს მთელი არსებულის პირველსაფუძვლად. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**ვოლუნტარიზმი** – მეტაფიზიკის და ფსიქოლოგიის ერთ-ერთი მიმართულება, რომელსაც ფსიქოლოგიური მხრივ ფსიქიკური ცხოვრების მთავარ ფუნქციად, ხოლო მეტაფიზიკური მხრივ ძირითად პრინციპად მიაჩნია არა ინტელექტი, არამედ ნება.

**ვოტუმი** (უნდობლობის) – კენჭისყრით გამოხატული გადაწყვეტილება მთავრობის მიმართ. უ. ვ-ის გამოტანის დროს მთავრობა უნდა გადადგეს. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ვულგარიზაცია** (ვულგარიზაციისა) – უკიდურესი გაუბრალოება, გაუბრალოებით გაყალბება, - დამახინჯება. ქეგლ. ტ.4.

**ვულგარიზმ-ი** (ვულგარიზმისა) – უხეში, მდაბიური სიტყვა ან გამოთქმა, რომელიც მიუღებელია ლიტერატურული ენის ნორმების თვალსაზრისით. ქეგლ. ტ.4.

## ზ

**ზავი** – მეომარ მხარეებს შორის საომარ მოქმედებათა შეწყვეტის თაობაზე მიღებული შეთანხმება.

**ზარაფ-ი** (ზარაფისა) – ძვ. საფასურით ფულის დამხურდავებელი. სარგებლით ფულის გამსესხებელი. ქეგლ. ტ.4.

**ზარაფხანა** (ზარაფხანისა) [არაბ.-სპარ. სარაფხანე] – ძვ. სახლი, სადაც ზარაფები ფულს ახურდავებდნენ, სესხად აძლევდნენ. სახლი (დაწესებულება), სადაც ფულს ჭრიდნენ. ქეგლ. ტ.4.

**ზღვა** – იგივეა, რაც თალასოკრატია, წყალი.

## თ

**თავაზ-ი** (თავაზისა) [არაბ. თავაზუ "ყურადღება", "სტუმართმოყვარეობა"] – ზრდილობა, პატივისცემა, მორიდება. ქეგლ. ტ.4.

**თალასოკრატია** – ბერძ. "ძალაუფლება ზღვის მეოხებით" ან "საზღვაო ძლევამოსილება". განვითარებული საზღვაო სახელმწიფოების დახასიათება.

**თალმუდ-ი** (თალმუდისა) [ძვ. ებრ. თალმუდ "მოძღვრება"] – რელიგიური, საყოფაცხოვრებო და სამართლის წესებისა და კანონების კრებული, შედგენილი ებრაული სამღვთო წიგნების საფუძველზე. ქეგლ. ტ.4.

**თამამ-ი** (თამამისა) [არაბ. "დასრულებული"] – 1. ლაღი; გამბედავი (ადამიანი). კადნიერი, თავხედი (ადამიანი). 2. ასეთი ადამიანის შესაფერი, - გაბედული, კადნიერი, მოურიდებელი (საქციელი). 3. კარგად განვითარებული, ტანად სრული (ცხოველი, მცენარე). თამამად – გაბედულად, მოურიდებლად; თავისუფ-

ლად; თავხედურად. თამამდ ყოფნის (ეყოფა...) – თავისუფლად ყოფნის, სრულიად საკმარისია. თამამად შეგვიძლია ვთქვათ (შეიძლება ითქვას) – თავისუფლად, გადაჭრით, დაბეჯითებით შეიძლება ვთქვათ (ითქვას). ქეგლ. ტ.4.

**ᲗᲐᲝᲑᲐ** (თაობისა) – 1. შთამომავლობის თითოეული საფეხური (მამები, შვილები, შვილიშვილები...). 2. ერთდროულად მცხოვრები დაახლოებით ერთი ასაკის ადამიანები. ნორჩი თაობა – მომავალი თაობა. ქეგლ. ტ.4.

**ᲗᲐᲝᲑᲐ** – ცალკე რგოლი მოდგმის გაგრძელების ჯაჭვში, დაახლოებით ერთი ასაკის ადამიანთა ერთობლიობა, რომლებიც მიეკუთვნებიან რომელიმე ხალხს ან კულტურულ წრეს. ასეთი თაობის საქმიანობის ხანგრძლივობა 30 წელია.

**ᲗᲐᲠᲮᲐᲜ-Ი** (თარხნისა) [არაბ. თარხან "თავისუფალი"] – 1. ისტ. თავისუფალი, განთავისუფლებული ყმა (შდრ. აზატი). თავისუფალი რაიმე ვალდებულებისაგან, გადასახადისაგან. 2. იხმარებოდა კაცის საკუთარ სახელად. 3. კუთხ. (თუშ.) ყორის ანუ კედლის შიგნით გამოშვერილი სქელი და ბრტყელი ქვა. ქეგლ. ტ.4.

**ᲗᲐᲠᲯᲘᲛᲐᲜ-Ი** (თარჯიმნისა) [არაბ. თარჯუმან] – საუბრის დროს, ერთი ენიდან მეორე ენაზე ზეპირად მთარგმნელი. ქეგლ. ტ.4.

**ᲗᲐᲦᲚᲘᲗ-Ი** (თაღლითისა) [არაბ. თაღლიტ "უხეშად მოქცევა"] – მატყუარა, ცბიერი, თვალთმაქცი, არაკეთილსინდისიერი, არაგულწრფელი, ყალთაბანდი (ადამიანი). ქეგლ. ტ.4.

**ᲗᲐᲯ-Ი** (თაჯისა) [არაბ. თაჯ "სამეფო გვირგვინი"] – ძვ. გვირგვინი. ქეგლ. ტ.4.

**თეზის-ი** (თეზისისა) [ბერძ. thesis] – 1. მსჯელობაში წამოყენებული დებულება, რომელიც ავტორმა უნდა დაამტკიცოს, დაიცვას. ქეგლ. ტ.4.

**თეიზმ-ი** – ღმერთის რწმენა.

**თელუროკრატია** – ბერძ. "ძალაუფლება მიწის შესახებ" ან "სახმელეთო ძლევამოსილება". აშკარა სახმელეთო გეოპოლიტიკური ორიენტაციის მქონე სახელმწიფოების დახასიათება.

**თემა** (თემისა) [ბერძ. thema] – 1. საგანი (საკითხი), რომელსაც ეხება (თხზულება, საუბარი და სხვ.); დებულება, სიუჟეტი, რომელიც უნდა განვითარდეს ან განვითარებულია (მოხსენებაში, თხზულებაში...) საკითხი, რომელიც უნდა გაშლილად დამუშავდეს წერილობით. 2. მუს. დასრულებული მუსიკალური აზრი, რომელიც საფუძვლად უდევს ნაწარმოებს. 3. გრამატ. ზმნის ფუძე, რომელიც უცვლელია, რომელიმე სერიის ფორმებში. ქეგლ. ტ.4.

**თემატიკა** (თემატიკისა) – გარკვეული მიზნით, თვალსაზრისით შერჩეულ თემათა ერთობლიობა; თემათა სისტემა. ქეგლ. ტ.4.

**თემატიკურ-ი** (თემატიკურისა) – თემატიკასთან დაკავშირებული, თემატიკით განსაზღვრული, თემატიკის შესახები. ქეგლ. ტ.4.

**თემატურ-ი** (თემატურისა) – თემასთან დაკავშირებული, თემიდან გამომდინარე, თემით განსაზღვრული. ქეგლ. ტ.4.

**თემ-ი** (თემისა) – 1. (ისტ.) ქვეყნის ნაწილი, მხარე, კუთხე, გაერთიანებული გეოგრაფიულ-ეთნიკური ნიშნის მიხედვით. ერთად მცხოვრები მოსახლეობა, - სოფელი; საზოგადოება. 2. (ისტ.) საქართველოს მთიანეთ-

ში – ერთი გვარის მოსახლეობა, რომელსაც ჰყავდა თავისი უფროსი, ჰქონდა თავისი წეს-ჩვეულებები. 3. (ძვ.) იმერეთში – ერთად თავმოყრილი, ერთად შეყრილი ხალხი (სალაპარაკოდ, დროს გასატარებლად, დღეობაზე...). ქეგლ. ტ.4.

**ᲗᲔᲛᲘ** – ორგანულად დაკავშირებული ადამიანების არსებობის ბუნებრივი ფორმა. საზოგადოების (რომელშიც ორგანული კავშირების ნაცვლად, მძლავრობენ ინდივიდების შორის ფორმალიზებულ ხელშეკრულებათა ნორმატივები) ცნების საწინააღმდეგო. თემი ტრადიციებით რეგულირდება.

**ᲗᲔᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ** – მმართველობის ფორმა, როცა სახელმწიფო მეთაური (როგორც წესი - მონარქი) ერთდროულად უმაღლესი რელიგიური პირიც არის.

**ᲗᲔᲝᲚᲝᲒᲘᲐ** – ღვთისმეტყველება, მოძღვრება ღმერთის შესახებ.

**ᲗᲔᲝᲠᲔᲢᲘᲙᲝᲡ-Ი** (თეორეტიკოსისა) – ამა თუ იმ დარგის თეორიული საკითხების მკვლევარი. ქეგლ. ტ.4.

**ᲗᲔᲝᲠᲘᲣᲚ-Ი** (თეორიულისა) – თეორიისა, თეორიის ხასიათისა, თეორიიდან გამომდინარე, თეორიაზე დამყარებული. თეორიის საკითხებისადმი მიძღვნილი, განკუთვნილი. მოსაზრებაზე დამყარებული; განყენებული. ამა თუ იმ დარგის თეორიის საკითხების შემსწავლელი. თეორიულად – თეორიის საშუალებით; თეორიაზე დამყარებით. არა რეალურად; განყენებულად. ქეგლ. ტ.4.

**ᲗᲔᲝᲚᲝᲒᲘᲐ** (ბერძ. theos – ღმერთი და logos – მოძღვრება, სიტყვა), ანუ ღვთისმეტყველება, – მოცემული რელიგიის, სარწმუნოების სისტემატიზაცია. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**თურანი** – ევრაზიული კონტინენტის ჩრდილო-აღმოსავლეთი მხარეები, ევრაზიის სტეპური სივრცეები.

## ი

**იადგარ-ი** (იადგრისა) [სპარ. "სახსოვარი"] – ძვ. 1. ძვირფასი სახსოვარი (ნივთი), ნაანდერძევი ან ნაჩუქარი. 2. ძველ ქართულ მწერლობაში – ჰიმნებისა და საგალობლების კრებული. ქეგლ. ტ.4.

**იავარ-ი** (იავარისა) – 1. ძვ. "ნაფორიაქალი" (საბა); აკლებული, დარბეული. 2. "ალაფი, ნაშოვარი" (დ. ჩუბინ.). ქეგლ. ტ.4.

**იავარად** კუთხ. (იმერ.) ზმნს. – უპატრონოდ, უყურადღებოდ; უდარდელად, უზრუნველად, უსაქმოდ. ქეგლ. ტ.4.

**იალონ-ი** (იალონისა) კუთხ. (გურ. იმერ.) – იგივეა, რაც ალიონი. ქეგლ. ტ.4.

**იარლიყ-ი** (იარლიყისა) [თურქ. იარლიღ "მეფის მიერ ბოძებული სიგელი"] - მონგოლთა საყაენოებში – ყაენის წერილობითი განკარგულება, ბრძანებულება. ქეგლ. ტ.4.

**იაფეტიდოლოგია** (იაფეტიდოლოგიისა) – აკად. ნ. მარის მოძღვრება იაფეტური ენების შესახებ, სხვადასხვა დროინდელ შრომებში სხვადასხვაგვარად განმარტებული; მთელ რიგ საინტერესო დებულებებთან ერთად შეიცავდა, მრავალ სადაოსა და უსაბუთო აზრს. ქეგლ. ტ.4.

**იაფეტურ-ი** (იაფეტურისა): იაფეტური ენები – ასე უწოდებდა აკად. ნ. მარი ჯერ ქართველურ ენებს (ქართულს, მეგრულ-ჭანურსა და სვანურს), რომლებიც მას შეცდომით სემიტური (არაბული, ებრაული...)

ენების მონათესავედ მიაჩნდა [ბიბლიური ნოეს მესამე შვილის იაფეტის (სემის ძმის) სახელის მიხედვით]. შემდეგ მონათესავე "იაფეტური ენების" წრეში ნ. მარმა მოაქცია მთის იბერიულ-კავკასიური ენებიც (აფხაზური, ადიგური, ქისტური, დაღესტნური ენები), აგრეთვე წინააზიისა და ხმელთაშუა ზღვის მთელი რიგი ძველი მკვდარი ენები (ურარტული, ელამური, პელაზგური, ეტრუსკული) და თანამედროვე ბასკური; ხოლო შემდეგში (1923 წლიდან) ტერმინით "იაფეტური ენები" ნ. მარი აღნიშნავდა არა მონათესავე ენებს, არამედ განვითარების ერთ სტადიაზე მყოფ ენებს (ენათა წარმოშობით ნათესაობას-კი ამის შემდეგ ნ. მარი სრულიად უარყოფდა). ქეგლ. ტ.4.

**იაღლიშ-ი** (იაღლიშისა) [თურქ.] – საუბ. შეცდომა. ქეგლ. ტ.4.

**იგნორირება** (იგნორირებისა) [ლათ. ignoro-დან არ ვიცი] – უგულებელყოფა. ქეგლ. ტ.4.

**იდეა** (იდეისა) [ბერძ. idea წარმოდგენა, ცნება] – 1. მსოფლმხედველობის ძირითადი პრინციპი; პრინციპი, დებულება, რითაც ხელმძღვანელობენ თეორიულ მსჯელობაში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში, საქმიანობაში, - სახელმძღვანელო აზრი, შეხედულება, თვალსაზრისი. საერთოდ, რაიმე პრინციპი. 2. იდეალისტურ ფილოსოფიაში – მარადიული არსი, რომელიც ვითომდა მატერიალურ საგნებსა და მოვლენებზე ადრე არსებობდა (და რომელიც ვითომდა შეცნობადია). 3. მნიშვნელოვანი აზრი, განზრახვა; ჩანაფიქრი. 4. ნაწარმოების მთავარი აზრი; ავტორის ჩანაფიქრი. ქეგლ. ტ.4.

**იდეა** (ბერძნ. idea – სიტყვასიტყვით: "ის, რაც ჩანს", სახე) – ფილოსოფიური ტერმინი, "საზრისის", "მნიშვნე-

ლობის", "არსების" აღმნიშვნელი. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**ᲘᲓᲔᲐᲚ-Ი** (იდეალისა) [ფრან. ideal, ბერძ. idea-დან] - უმაღლესი მიზანი, დიდი და სრულყოფილი რამ, რისკენაც მიისწრაფვიან, რის განხორციელებასაც მთელ ძალ-ღონეს, შესაძლებლობას ანდომებენ. ქეგლ. ტ.4.

**ᲘᲓᲔᲐᲚ-Ი** – უმაღლესი მიზანი ადამიანის მოქმედებისა, მისწრაფებისა.

**ᲘᲓᲔᲐᲚ-Ი** (ბერძ. idea – სახე, ხატი, წარმოდგენა, ცნება) – 1. საზოგადოებრივი – წარმოდგენა ყველაზე სრულყოფილ საზოგადოებრივ წყობილებაზე, რ-იც შეესატყვისება რ-იმე სოციალური ჯგუფის ეკონომიკურ და პოლიტიკურ ინტერესებს და რ-იც წარმოადგენს მისი მისწრაფებებისა და მოღვაწეობის საბოლოო მიზანს. 2. ზნეობრივი – წარმოდგენები ზნეობრივ სრულყოფაზე, უპირატესად გამოხატული პიროვნების სახით, რ-იც ატარებს ისეთ მორალურ თვისებებს, რ-ებიც შეიძლება მიჩნეულ იქნეს უმაღლეს მორალურ ნიმუშებად. 3. ესთეტიკური – ისტორიულად სუბიექტისა და ობიექტის, ადამიანისა და საზოგადოებრივი მთელის (აგრეთვე ბუნების) ყველაზე სრული ჰარმონიული ერთიანობა, რაც გამოიხატება ადამიანის შემოქმედებით ძალთა თავისუფალ და უნივერსალურ განვითარებაში როგორც თვითმიზანში. ესთეტიკური იდეალი როგორც შემოქმედების საფუძველი მოღვაწეობს ყოველ დარგში ამავე დროს გვევლინება როგორც მშვენიერის კრიტერიუმი ცხოვრებასა და ხელოვნებაში. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**ᲘᲓᲔᲐᲚᲘ** – ნიმუში, დიდი მნიშვნელობის მქონე პირველსახე, ზნეობრივი ნიმუში, სრულქმნილების, უმაღლესი მიზნის ცნება.

**იდეალიზაცია** (იდეალიზაციისა) – რისამე ან ვისიმე იდეალად წარმოდგენა, იდეალად დასახვა; მეტის მეტად კარგი თვისებების მიწერა, სრულყოფილად წარმოდგენა, - გაიდეალება. ქეგლ. ტ.4.

**იდეაფიქსი** – ფესვგადგმული მცდარი წარმოდგენა, რომელსაც ვერაფრით ვერ გამოასწორებ და ვერც მოიცილებ.

**იდენტიფიკაცია** (ლათ. identificare - გაიგივება) – გარკვეული ნიშნების საფუძველზე განსხვავებულ ობიექტთა იგივეობის დადგენა. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**იდენტობა** (იდენტობისა) – იგივეობა. ქეგლ. ტ.4.

**იდენტურ-ი** (იდენტურისა) [ფრან. identique] – სავსებით მსგავსი, სავსებით ერთნაირი. ქეგლ. ტ.4.

**იდეოგრაფია** (იდეოგრაფიისა) [ბერძ. idea იდეა და grapho ვწერ] – იდეოგრამებით დამწერლობა. ქეგლ. ტ.4.

**იდეოკრატია** – ბერძ. "იდეის, იდეალების ძალაუფლება". საპირისპიროა "მატერიის ძალაუფლების", "საბაზრო სისტემის", "სავაჭრო წყობის" ცნებებისა. ამ დროს საზოგადოების იერარქია და შრომის სტიმულაცია არაეკონომიკური პრინციპებიდან გამომდინარეობს.

**იდეოლოგ-ი** (იდეოლოგისა) – ამა თუ იმ კლასის ან საზოგადოებრივი ჯგუფის იდეოლოგიის გამომხატველი, დამსაბუთებელი, დამცველი. ქეგლ. ტ.4.

**იდეოლოგია** (იდეოლოგიისა) [ბერძ. idea იდეა და logos მოძღვრება] – სისტემა გარკვეული კლასის (ანდა პოლიტიკური პარტიის, საზოგადოებრივი ჯგუფის...) იდეათა, შეხედულებათა, რომლებიც ასახულია პოლიტიკაში, რელიგიაში, ხელოვნებაში, სამართალში..., -მსოფლმხედველობა. ქეგლ. ტ.4.

**ᲘᲓᲔᲝᲚᲝᲒᲘᲐ** – სისტემა პოლიტიკური, სამართლებრივი, ზნეობრივი, ესთეტიკური, რელიგიური, ფილოსოფიური შეხედულებებისა და იდეებისა. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**ᲘᲓᲔᲣᲠ-Ი** (იდეურისა) – მოწინავე იდეებზე დაფუძნებული; მოწინავე იდეების შემცველი. ქეგლ. ტ.4.

**ᲘᲓᲘᲝᲛ-Ი** (იდიომისა) [ბერძ. idioma] – 1. ამა თუ იმ ენის თავისებური გამოთქმა, რომელიც, ჩვეულებრივ, სხვა ენაზე სიტყვა-სიტყვით არ ითარგმნება. 2. ძვ. კილოკავი. ქეგლ. ტ.4.

**ᲘᲓᲝᲚᲘ** – კერპი, ფანტომი, ბრმა თაყვანისცემის საგანი.

**ᲘᲔᲠᲐᲠᲥᲘᲐ** (იერარქიისა) [ბერძ. hierarchia] – დასაფეხურება უმაღლეს და უდაბლეს თანამდებობებად, წოდებებად; თანამდებობრივად უდაბლესის დაქვემდებარება უმაღლესისადმი. ქეგლ. ტ.4.

**ᲘᲔᲠᲐᲠᲥᲘᲐ** [ბერძ.] – წესი თანამდებობრივად (წოდებრივად და სხვ.) უდაბლესის დაქვემდებარებისა უმაღლესისადმი.

**ᲘᲔᲠᲐᲠᲥᲘᲐ** – სუბორდინაცია (მზარდი მნიშვნელობით).

**ᲘᲔᲠᲐᲠᲥᲘᲐ** – მართვის სისტემაში თანამდებობათა, წოდებათა ისეთი განლაგების პრინციპი, რომლის დროსაც მართვის ფუნქციები თანადაქვემდებარებულ (უმაღლესიდან უმდაბლესისაკენ) პირთა შორის ნაწილდება. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ᲘᲖᲝᲚᲐᲪᲘᲐ** (იზოლაციისა) [ფრან. isolation] – ცალკე გამოყოფა, გამოცალკევება, გამიჯვნა. ქეგლ. ტ.4.

**ᲘᲖᲝᲚᲐᲪᲘᲝᲜᲘᲖᲛ-Ი** (იზოლაციონიზმისა) – იზოლირების, გამიჯვნის პოლიტიკა. ქეგლ. ტ.4.

**იზოლირებულ-ი** (იზოლირებულისა) – 1. რასაც იზოლირება (იზოლაცია) უყვეს, - განმხოლოებული. 2. რამაც (ან ვინც) იზოლირება (იზოლაცია) განიცადა, - ვისაც ან რასაც ურთიერთობის საშუალება მოუსპეს. ქეგლ. ტ.4.

**იზოლირებულობა** (იზოლირებულობისა) – იზოლირებულის მდგომარეობა, იზოლირებულად ყოფნა. ქეგლ. ტ.4.

**ილუზია** (ილუზიისა) [ლათ. illusio დაცინვა, მოტყუება] – 1. სინამდვილის მცდარი, ნამდვილი ვითარების შეუფერებელი, აღქმა. 2. განუხორციელებელი იმედი, - ოცნება. ქეგლ. ტ.4.

**ილუზიურ-ი** (ილუზიურისა) – ილუზიის ხასიათისა, – განუხორციელებელი; მოჩვენებითი. ქეგლ. ტ.4.

**ილუზიურობა** (ილუზიურობისა) – ილუზიურის ვითარება, – განუხორციელებლობა; მოჩვენებითობა. ქეგლ. ტ.4.

**იმანენტურ-ი** (იმანენტურისა) [ლათ. immanens შიგნით არსებული, შინაგანი] – თვით საგნის, მოვლენის ბუნებისგან გამომდინარე, - შინაგანი. ქეგლ. ტ.4.

**იმანენტური** – შინაგანად დამახასიათებელი თვისება (კანონზომიერება) ამა თუ იმ საგნის, მოვლენის თუ პროცესისა. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**იმიგრანტ-ი** (იმიგრანტისა) – იმიგრაციაში მყოფი პირი. ქეგლ. ტ.4.

**იმიგრაცია** (იმიგრაციისა) [ლათ. immigro-დან ჩავსახლდები] – უცხოელების (მასობრივი) შესვლა და დასახლება რომელიმე ქვეყანაში მუდმივ საცხოვრებლად. ქეგლ. ტ.4.

**იმიგრაცია-ემიგრაცია** (იმიგრაცია-ემიგრაციისა) – იმიგრაცია და ემიგრაცია. ქეგლ. ტ.4.

**იმპერატივ-ი** (იმპერატივისა) [ლათ. imperativus] – ბრძანებითი კილო. ქეგლ. ტ.4.

**იმპერატიულ-ი** (იმპერატიულისა) – ისეთი, რომ,ელიც კატეგორიულად მოითხოვს ასრულებას, დამორჩილებას. იმპერატიული მანდატი – განაწესი, რომლის მკაცრად დაცვა და შესრულება მოეთხოვება ამორჩეულ პირს ან ორგანოს. ქეგლ. ტ.4.

**იმპერია** (იმპერიისა) [ლათ. imperium უმაღლესი ხელისუფლება] – დიდი მონარქიული სახელმწიფო, რომლის მეფე ატარებს იმპერატორის ტიტულს. ქეგლ. ტ.4.

**იმპერია** (იმპერიისა) [ლათ.] – მონარქიული სახელმწიფო, რომლის მეფეს აქვს იმპერატორის ტიტული.

**იმპერია** – ზესახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, რომელიც აერთიანებს ხალხებსა და სახელმწიფოებს რელიგიური, ეთნიკური, ან იდეოლოგიური ხასიათის უნივერსალური იდეის საფუძველზე.

**იმპიჩმენტი** – მაღალ თანამდებობათა მქონე პირების პასუხისგებაში მიცემისა და მათი დანაშაულის სასამართლო განხილვის განსაკუთრებული წესი. მოკლე პოლიტ. ლექს.

**იმპროვიზაცია** (იმპროვიზაციისა) [ლათ. improvisus-იდან გაუთვალისწინებელი] – რისამე (მაგ., მუსიკალური ნაწარმოების, ლექსის...) შეთხზვა შესრულების მომენტში, წინასწარ მოუმზადებლად. საუბ. გადატ. – სახელდახელოდ, მოუმზადებლად, მოწყობა რისამე. ქეგლ. ტ.4.

**ᲘᲛᲞᲠᲝᲕᲘᲖᲘᲠᲔᲑᲣᲚ-Ი** (იმპროვიზირებულისა) – იმპროვიზაციით შეთხზული, შექმნილი. საუბ. გადატ. სახელდახელოდ მოწყობილი. ქეგლ. ტ.4.

**ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓ-Ი** (ინდივიდისა), ინდივიდუუმ-ი (ინდივიდუუმისა) [ლათ. individuum განუყოფელი] – 1. ცალკე დამოუკიდებელი ორგანიზმი (ცხოველი ან მცენარე). 2. ცალკე ადამიანი, პიროვნება. ქეგლ. ტ.4.

**ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ** (ინდივიდუალიზაციისა) – რისამე გამოყოფა, ინდივიდუალურ თავისებურებათა მიხედვით. ქეგლ. ტ.4.

**ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚ-Ი** (ინდივიდუალიზებულისა) – ინდივიდუალური თვისებების მიხედვით გამოყოფილი, დახასიათებული. ქეგლ. ტ.4.

**ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲝᲑᲐ** (ინდივიდუალობისა) – ინდივიდუალურ თვისებათა და თავისებურებათა ერთობლიობა. ინდივიდის, ცალკე პიროვნების თვისება. ქეგლ. ტ.4.

**ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲐᲚᲣᲠ-Ი** (ინდივიდუალურისა) – 1. ინდივიდის დამახასიათებელი, - რაც ინდივიდს, ცალკე პიროვნებას ასხვავებს სხვებისაგან; თავისებური. 2. ინდივიდის კუთვნილი; კერძო, პიროვნული. ერთის მიერ, სხვებისაგან დამოუკიდებლად, წარმოებული. ერთპიროვნული; ცალკე პიროვნებისათვის განკუთვნილი. ქეგლ. ტ.4.

**ᲘᲜᲓᲘᲕᲘᲓᲣᲣᲛᲘ** – ინდივიდი (ერთადერთი), რომლის დანაწევრება არ შეიძლება ისე, თუ არ დაკარგა თვითმყოფობა, "ინდივიდუალობა" და საკუთარი ყოფიერება, რომელთა საფუძველია მხოლოდ მისი მთლიანობა.

**ᲘᲜᲓᲘᲤᲔᲠᲔᲜᲢᲘᲖᲛ-Ი** (ინდიფერენტიზმისა) – ინდიფერენტული, გულგრილი, განურჩეველი დამოკიდებულება რაიმე მოვლენისადმი. ქეგლ. ტ.4.

**ᲘᲜᲓᲘᲤᲔᲠᲔᲜᲢᲣᲚ-Ი** (ინდიფერენტულისა) [ლათ. indifferens-იდან] – ყველაფრისადმი უინტერესო, გულგრილი, განურჩეველი. ქეგლ. ტ.4.

**ᲘᲜᲓᲣᲥᲪᲘᲐ** – მეცნიერული მეთოდი, რომელიც ცალკეულიდან, განსაკუთრებულიდან ასკვნის საყოველთაოზე, კანონიერებაზე. საპირისპიროა მისი – დედუქცია.

**ᲘᲜᲔᲠᲢᲣᲚᲝᲑᲐ** (ინერტულობისა) – ინერტულის მდგომარეობა, - უნოქმედობა, უძრაობა. ქეგლ. ტ.4.

**ᲘᲜᲔᲠᲪᲘᲐ** (ინერციისა) [ლათ. inertia უმოძრაობა, უმოქმედობა] – 1. სხეულის თვისება, შეინარჩუნოს მოსვენებითი მდგომარეობა (ანდა სწორხაზოვანი, თანაბარზომიერი მოძრაობა), სანამ გარეშე ძალა ამ მდგომარეობიდან არ გამოიყვანს (ან მოძრაობას არ შეაცვლევინებს). 2. გადატ. ანგარიშმიუცემლად, ავტომატურად. ქეგლ. ტ.4.

**ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲐ** – კაპიტალის გრძელვადიანი დაბანდება. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲘᲪᲘᲐ** – სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა დარგის საწარმოში, საწარმოო-საინვესტიციო პროექტებში კაპიტალის დაბანდება, რომლის ძირითადი მიზანია ქვეყნის სამრეწველო პოტენციალის მაქსიმალური ეფექტიანობით ამოქმედება და წარმოების განვითარების ხელშეწყობით უმუშევრობის დონის შემცირება.

**ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲐ** (ინიციატივისა) [ფრან. initiative, ლათ. initio-დან ვიწყებ] - თაოსნობა რაიმე საქმეში, რაიმე წამოწყებაში. ქეგლ. ტ.4.

**ᲘᲜᲘᲪᲘᲐᲢᲘᲕᲘᲐᲜ-Ი** (ინიციატივიანისა) – ინიციატივის მქონე, - უნარიანი, მოხერხებული. ქეგლ. ტ.4.

**ᲘᲜᲡᲞᲘᲠᲐᲪᲘᲐ** (ინსპირაციისა) [ლათ. inspiratio] – 1. ვინმესთვის რისამე შთაგონება. 2. წაქეზება, შეგულიანება. ქეგლ. ტ.4.

**ᲘᲜᲡᲢᲘᲜᲥᲢ-Ი** (ინსტინქტისა) [ლათ. instinctus წაქეზება] – 1. თანდაყოლილი მიდრეკილება (მოთხოვნილება) გარკვეული, მიზანშეწონილი, მაგრამ არაცნობიერი, მოქმედების შესრულებისადმი, რასაც სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს სათანადო ცხოველისათვის (ადამიანისათვის) ანდა მთელი გვარისათვის, - შეუგნებელი მისწრაფება. 2. მიხვედრის უნარი, - ალღო. ქეგლ. ტ.4.

**ᲘᲜᲡᲪᲔᲜᲘᲠᲔᲑᲐ** (ინსცენირებისა) [ლათ. in-ზე და scaene სცენა] – რისამე არანამდვილის მოწყობა სხვის დასაჯერებლად, სხვისი თვალის ახვევის მიზნით. ქეგლ. ტ.4.

**ᲘᲜᲢᲔᲒᲠᲐᲪᲘᲐ** (ინტეგრაციისა) [ლათ. integratio აღდგენა] – 1. მოცემული ფუნქციის ინტეგრალის პოვნა. 2. ნაწილების გაერთიანება ერთ მთელად. 3. ენათა (დიალექტთა) დაახლოება ურთიერთგავლენის შედეგად. ქეგლ. ტ.4.

**ᲘᲜᲢᲔᲒᲠᲐᲪᲘᲐ** – პროცესი, რომლის შედეგია მთლიანობა, გაერთიანება, შეერთება.

**ᲘᲜᲢᲔᲒᲠᲘᲠᲔᲑᲣᲚ-Ი** (ინტეგრირებულისა) – რის ინტეგრაციაც მოახდინეს ან მოხდა. ქეგლ. ტ.4.

**ᲘᲜᲢᲔᲚᲔᲥᲢ-Ი** (ინტელექტისა) [ლათ. intellectus გაგება] – ადამიანის აზროვნების უნარი, - გონება, ჭკუა; გონებრივი განვითარების დონე. ქეგლ. ტ.4.

**ᲘᲜᲢᲔᲚᲘᲒᲔᲜᲢ-Ი** (ინტელიგენტისა) [ლათ. intelligens გაგებული ადამიანი] – ინტელიგენციის წარმომადგენელი, - ადამიანი, რომელიც გონებრივ შრომას ეწევა (მეცნიერი, ინჟინერი, მასწავლებელი, მწერალი, მხატვარი, მსახიობი, ექიმი, აგრონომი...). განათლებული, შეგნებული, კულტურული ადამიანი. ქეგლ. ტ.4.

**ᲘᲜᲢᲔᲚᲘᲒᲔᲜᲪᲘᲐ** (ინტელიგენციისა) [ლათ. intelligentia გაგება] – საზოგადოებრივი ფენა, რომელიც შედგება გონებრივი შრომის მუშაკებისაგან, - ინტელიგენტები ერთობლივ. ქეგლ. ტ.4.

**ᲘᲜᲢᲔᲚᲘᲒᲔᲜᲪᲘᲐ** (ლათ. intelligens – გამგები, გონიერი) – სოციალური ჯგუფი, რომელიც პროფესიულად გონებრივი შრომით დაკავებული ადამიანებისაგან შედგება. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**ᲘᲜᲢᲔᲚᲘᲒᲔᲜᲪᲘᲐ** – საზოგადოების ფენა, რომლის პროფესიულ საქმიანობასაც გონებრივი, უმთავრესად რთული, შემოქმედებითი შრომა წარმოადგენს. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ᲘᲜᲢᲔᲜᲡᲘᲣᲠ-Ი** (ინტენსიურისა) [ფრან. intensif ლათ. intensio-დან დაძაბვა] – დაძაბული, გაძლიერებული. უკეთესი შედეგის მომცემი. ინტენსიურად – დაძაბულად. ქეგლ. ტ.4.

**ᲘᲜᲢᲔᲜᲡᲘᲤᲘᲙᲐᲪᲘᲐ** (ინტენსიფიკაციისა) – რისამე ქცევა უფრო ინტენსიურად, რისამე ინტენსივობის გადიდება, გაინტენსიურება. ქეგლ. ტ.4.

**ᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡ-Ი** (ინტერესისა) [ლათ. interes მნიშვნელობა აქვს] – 1. რისამე გაგების, გაცნობის, შესწავლის სურვილი. 2. მიზანი, მისწრაფება, მოთხოვნილება. ქეგლ. ტ.4.

**ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲔᲜᲪᲘᲐ** [ლათ. interventus-იდან ჩარევა] – შეიარაღებული ჩარევა ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოსი სხვა სახელმწიფოს შინაურ საქმეებში. ქეგლ. ტ.4.

**ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲔᲜᲪᲘᲐ** – ერთი ან რამდენიმე ქვეყნის ძალადობრივი ჩარევა (აშკარა ან ფარული) მეორე სახელმწიფოს შინაურ საქმეებში, რაც მიზნად ისახავს პოლიტიკური წყობის შეცვლას, ტერიტორიის დაპყრობას, ეკონომიკურ დაკაბალებას, პრივილეგიების მიღებას და სხვ.

**ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣ** (ინტერვიუსი) [ინგ. interview] – ვინმე გამოჩენილი პიროვნების საუბარი ჟურნალისტთან, პრესაში გამოსაქვეყნებლად განკუთვნილი. ქეგლ. ტ.4.

**ᲘᲜᲢᲔᲠᲕᲘᲣᲔᲠ-Ი** (ინტერვიუერისა) [ინგ. interviewer] – ჟურნალისტი, რომელიც ინტერვიუს აწყობს, მართავს. ქეგლ. ტ.4.

**“ᲘᲜᲢᲔᲠᲞᲝᲚᲘ”** – მისი მიზანია ქვეყნებში არსებული კანონმდებლობის ფარგლებში ეროვნული სისხლის სამართლის პოლიციის ორგანოების ურთიერთქმედების უზრუნველყოფა; დანაშაულებათა ზრდის შეჩერება; სისხლის სამართლის დანაშაულებებთან ბრძოლა; “ინტერპოლის” მოქმედება საერთაშორისო ცხოვრებაში ყველაზე საშიში დანაშაულებების წინააღმდეგაა მიმართული; ესენია ნარკოტიკული ნივთიერებების გავრცელება, ყალბი ფულის ნიშნების გამოშვება, თვითმფრინავების გატაცება და სხვ. “ინტერპოლის” უმაღლესი ორგანოა გენერალური ასამბლეა. შტაბ-ბინა პარიზშია (საფრანგეთი).

**ᲘᲜᲢᲘᲛᲣᲠ-Ი** (ინტიმურისა) [ფრან. intime უღრმესი, შინაგანი] – ახლობლური, შინაურული, მეგობრული. ქეგლ. ტ.4.

**ᲘᲜᲢᲝᲜᲐᲪᲘᲐ** (ინტონაციისა) [ლათ. intono-დან ხმამაღლა წარმოვთქვამ] – 1. მეტყველების რიტმულ-მელოდიური წყობა, რომელიც დამოკიდებულია ტონის აწევ-დაწევაზე; ხმის სახე-ცვალება სიმაღლის მიხედვით. 2. მუსიკალური მეტყველების (ნაწარმოების) ერთ-ერთი ძირითადი ელემენტი, დაკავშირებული მელოდიკასთან და ტონების ერთმანეთთან სიმაღლისდა მიხედვით შეფარდებასთან. ქეგლ. ტ.4.

**ᲘᲜᲢᲝᲜᲐᲪᲘᲣᲠ-Ი** (ინტონაციურისა) – ინტონაციასთან დაკავშირებული, - მელოდიური. ქეგლ. ტ.4.

**ᲘᲜᲢᲠᲘᲒᲐᲜ-Ი** (ინტრიგანისა) [ფრან. intrigant] – ვისიმე წინააღმდეგ ინტრიგების მომწყობი ადამიანი. ქეგლ. ტ.4.

**ᲘᲜᲢᲠᲘᲒᲝᲑᲐ** (ინტრიგობისა) – ინტრიგული მოქმედება, – ხრიკების მოწყობა. ქეგლ. ტ.4.

**ᲘᲜᲢᲣᲘᲪᲘᲐ** (ინტუიციისა) [ლათ. intuitio ჭვრეტა] – 1. მიხვედრის, გარემო ვითარებაში გარკვევის უნარი, - ალღო. 2. იდეალისტურ ფილოსოფიაში – სინამდვილის ვითომდა უშუალო წვდომა (ცდისა და ლოგიკური დასკვნის გარეშე). ქეგლ. ტ.4.

**ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ** (ინფორმაციისა) [ლათ. informo-დან] – ცნობა, შეტყობინება ვინმესთვის რაიმე მომხდარი ამბის, ვისიმე მოღვაწეობის და სხვ. შესახებ. ქეგლ. ტ.4.

**ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ** – 1. ზეპირი ან წერილობითი ცნობები. 2. (საზოგადოებრივ-პოლიტიკური) ცნობათა ერთობლიობა საშინაო და საერთაშორისო ცხოვრების აქტუალური ამბების შესახებ. ი. ვრცელდება მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲣᲚ-Ი** (ინფორმაციულისა) – იგივეა, რაც საინფორმაციო. ქეგლ. ტ.4.

**ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲠᲔᲑᲐ** (ინფორმირებისა) – ინფორმაციის მიცემა რისამე შესახებ, (ვინმესთვის) საქმის ვითარების გაცნობა. ქეგლ. ტ.4.

**ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲘᲠᲔᲑᲣᲚ-Ი** (ინფორმირებულისა) – ვისაც (რასაც) ინფორმაცია აქვს მიღებული, საქმის კურსში მყოფი. ქეგლ. ტ.4.

**ᲘᲜᲪᲘᲓᲔᲜᲢᲘ** – შემთხვევა (ჩვეულებრივ, უსიამოვნო), შეხლა-შემოხლა, შეიარაღებული შეტაკება საზღვარზე და ა.შ. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ᲘᲠᲝᲜᲘᲐ** (ირონიისა) [ბერძ. eironeia] – ფარული დაცინვა, გარეგნულად სერიოზულად გამოხატული. ქეგლ. ტ.4.

**ᲘᲜᲤᲠᲐᲡᲢᲠᲣᲥᲢᲣᲠᲐ** – სხვადასხვა დარგების კომპლექსი (გზატკეცილები, არხები, წყალსაცავები, ხიდები, აეროდრომები, რკინიგზები, ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა და ა.შ.). მოკლე პოლიტ. ლექს.

**ᲘᲣᲜᲔᲡᲙᲝ** (გაერთიანებული ერების ორგანიზაცია განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დარგში) – სამთავრობათაშორისო ორგანიზაცია. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ᲘᲣᲠᲘᲡᲓᲘᲥᲪᲘᲐ** (იურისდიქციისა) [ლათ. jurisdictio] – ტერიტორიული ან სხვა ფარგლები, რომლის შიგნითაც ხორციელდება სახელმწიფო ხელისუფლება ამა თუ იმ ქვეყანაში.

**ᲘᲣᲠᲘᲡᲞᲠᲣᲓᲔᲜᲪᲘᲐ** (იურისპრუდენციისა) [ლათ. jurisprudentia] – იურიდიულ მეცნიერებათა ერთობლიობა, – მეცნიერება სამართლის შესახებ, სამართლისმცოდნეობა. ქეგლ. ტ.4.

**იუსტიცია** – 1. მართლმსაჯულება, სასამართლო წარმოება. 2. სასამართლო ორგანოთა სისტემა, სასამართლო უწყება. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ისტორიის გეოგრაფიული ღერძი** – ევრაზიის შიდაკონტინენტური ტერიტორიები. ემთხვევა რუსეთის ტერიტორიას.

**იხტიბარ-ი** (იხტიბარისა) [არაბ. იხთიბარ "გამოცდილება", "მოხერხება"] – გამოთქმაში: იხტიბარს არ (გა)იტეხს არ (გა)ტყდება, გულს არ (გა)იტეხს, იმედს არ (და)კარგავს, უხერხულ მდგომარეობას არ (და) იმჩნევს. იხტიბარი გაუტყდება – საუბ. საქციელი წაუხდება, შერცხვება. ქეგლ. ტ.4.

## კ

**კაბალა** (კაბალისა) [არაბ. კაბალა "ვალდებულება"] – მონობის მსგავსი, მეტის მეტად მძიმე დამოკიდებულება ვინმეზე. ქეგლ. ტ.4.

**კაბალისტიკურ-ი** (კაბალისტიკურისა) – კაბალისტიკის ხასიათისა, - საიდუმლო, მისტიკური. ქეგლ. ტ.4.

**კაბელით გადაცემა** – საზოგადოების მიერ მიღების მიზნით ხმის ან/და გამოსახულების გადაცემა სადენით, ოპტიკური ბოჭკოს ან სხვა ანალოგიური საშუალებით.

**კაბინეტი** – მთავრობის უმაღლესი ორგანო, რომელიც პრემიერ-მინისტრისა (მინისტრი-თავმჯდომარე) და მინისტრებისაგან შედგება. მოკლე პოლიტ. ლექს.

**კაზუისტიკა** – კანონის ზოგადი მუხლების მიყენება სხვადასხვა იურიდიული შემთხვევისათვის. მოკლე პოლიტ. ლექს.

**კაზუს-ბელი** – სახელმწიფოს შორის საომარი მდგომარეობის წარმოშობის ფორმალური საბაბი. მოკლე პოლიტ. ლექს.

**კაზუს-ი** (კაზუსისა) [ლათ. casus] – თავისებური, რთული შემთხვევა. ქეგლ. ტ.4.

**კალამბურ-ი** (კალამბურისა) [ფრან. kalembour] – ოხუნჯობა, სიტყვებით თამაშზე დამყარებული (საამისოდ ხმარობენ ბგერების მიხედვით ერთნაირს, მაგრამ განსხვავებული მნიშვნელობის მქონე სიტყვებს). ქეგლ. ტ.4.

**კამპანია** (კამპანიისა) [ფრან. kampagne] – 1. ლაშქრობა, საომარი მოქმედება; საერთო სტრატეგიული მიზნით გაერთიანებულ ოპერაციათა ერთობლიობა. 2. რომელიმე ერთდროული საზოგადოებრივ- პოლიტიკური ამოცანის გადაწყვეტისათვის ჩატარებული ორგანიზებული საქმიანობა. ქეგლ. ტ.4.

**კანონ-ი** (კანონისა) [ბერძ. kanōn] – 1. საგნებსა და მოვლენათა შორის არსებული მუდმივი და უცილობელი კავშირი, ურთიერთდამოკიდებულება, რომელიც დასტურდება ბუნებისა და საზოგადოების შემეცნების პროცესში, - კანონზომიერება. 2. საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ დადგენილი საყოველთაოდ სავალდებულო ნორმა (წესი), რომელიც ეხება სახელმწიფოებრივი ცხოვრების ამა თუ იმ მხარეს. 3. სავალდებულო წესი. 4. ძვ. ეკლ. წესი ან დადგენილება, რომელიც ეხება საეკლესიო ცხოვრების რომელიმე მხარეს. საეკლესიო გალობა რომელიმე წმინდანის ან დღესასწაულის სადიდებლად. ქეგლ. ტ.4.

**კანონი** – გარკვეულ სფეროში მოქმედი წესების კრებული.

**კანონი** – მოვლენათა შინაგანი, არსებითი და მყარი კავშირი, რომელიც განაპირობებს მათს მოწესრიგებულ ცვალებადობას. კანონის ცოდნის საფუძველზე შესაძლებელია პროცესის მსვლელობის სარწმუნო წინასწარხედვა. კანონის ცნება ახლოა კანონზომიერების ცნებასთან, ეს უკანასკნელი წარმოადგენს შინაარსით ურთიერთდაკავშირებულ კ-თა ერთობლიობას, რ-ებიც უზრუნველყოფენ სისტემის ცვლილებებში მდგრად ტენდენციას, ანუ მიმართულებას. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**კაპიტულანტ-ი** (კაპიტულანტისა) – კაპიტულაციის მომხრე, - ადამიანი, რომელიც სიძნელეების წინაშე უკან იხევს, რომელსაც არ შეუძლია დაბრკოლებათა გადალახვა და ბრძოლა დასახული მიზნის მისაღწევად. ქეგლ. ტ.4.

**კაპიტულაცია** – ომში დამარცხებული სახელმწიფოს სახმელეთო, საზღვაო და საჰაერო ძალების განიარაღება და ტყვედ ჩაბარება. დამარცხებული სახელმწიფო იღებს იმ პირობებს, რომლებსაც გამარჯვებული სახელმწიფო უყენებს. მოკლე პოლიტ. ლექს.

**კარდინალურ-ი** (კარდინალურისა) [ლათ. cardinalis მთავარი] – ძირითადი, ფუძემდებლური. ქეგლ. ტ.4.

**კარიერიზმი** – სამსახურებრივ, სამეცნიერო ან სხვა რომელიმე დარგში საკუთარ წარმატებაზე ზრუნვა საზოგადოებრივი ინტერესების საზიანოდ. მოკლე პოლიტ. ლექს.

**კარტ-ბლანში** – 1. რომელიმე პირის მიერ ხელმოწერილი და გაცემული სუფთა ბლანკი, რომელიც უფლებას აძლევს მეორე პირს შეავსოს იგი თავისი ნებასურვილის მიხედვით; 2. შეუზღუდავი უფლებამოსილება. მოკლე პოლიტ. ლექს.

**კასტა** – ადმიანთა კარჩაკეტილი ჯგუფი, რომლის წევრები დაკავშირებული არიან ერთმანეთთან მემკვიდრეობით მიღებული პროფესიით ან საზოგადოებრივი სტატუსით. მოკლე პოლიტ. ლექს.

**კატაკლიზმ-ი** (კატაკლიზმისა) [ბერძ. kataklysmos წარღვნა] – ძლიერი გარდატეხა, კატასტროფული ხასიათის ცვლილება (ბუნებაში...), გადატრიალება (საზოგადოებაში). ქეგლ. ტ.4.

**კაუზალობა** (კაუზალობისა) [ლათ. causalis-იდან] – იგივეა, რაც მიზეზობრიობა. ქეგლ. ტ.4.

**კაუზალურ-ი** (კაუზალურისა) – მიზეზობრივი. ქეგლ. ტ.4.

**კერძო მაუწყებლობა** – ამ კანონით დადგენილი წესით, კერძო სამართლის კომერციული ან არაკომერციული პირის მიერ განხორციელებული მაუწყებლობა, რომელიც არ არის არც საზოგადოებრივი და არც სათემო მაუწყებლობა.

**კერძო პირი** – ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც არ არის საჯარო პირი ან ადმინისტრაციული ორგანო.

**კვალიფიკაცია** (კვალიფიკაციისა) [საშ. ლათ. qualificatio] – 1. საგნების, მოვლენების განსაზღვრა, დახასიათება მათი თვისებრივი თავისებურების მიხედვით; შეფასება. 2. ამა თუ იმ სამუშაოსათვის, პროფესიისათვის, საქმიანობისათვის ვისიმე გამოსადეგობა, სათანადო მომზადების, პროფესიული ცოდნისა და ჩვევების დონე. ქეგლ. ტ.4.

**კვალიფიკაცია** – კონკრეტულ შრომით საქმიანობაში პროფესიული ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციათა ფლობის დონე.

**ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲪᲘᲠᲔᲑᲣᲚ-Ი** (კვალიფიცირებულისა) – 1. რის კვალიფიკაციაც მოხდა, - დახასიათებული, განსაზღვრული; შეფასებული, მიჩნეული. 2. იგივეა, რაც კვალიფიციური. ქეგლ. ტ.4.

**ᲙᲕᲐᲚᲘᲤᲘᲪᲘᲣᲠ-Ი** (კვალიფიციურისა) – მაღალი კვალიფიკაციის მქონე, - დაოსტატებული, დახელოვნებული. ისეთი, როგორიც შეეფერება მაღალ კვალიფიკაციას, - მაღალხარისხოვანი. ქეგლ. ტ.4.

**ᲙᲕᲝᲠᲣᲛ-Ი** (კვორუმისა) [ლათ. გამოთქმიდან: quorum praesentia sufficit რომელთა დასწრება საკმარისია] – კრების მონაწილეთა ის როდენობა, რომელიც აუცილებელია, რომ ამ კრების დადგენილებები კანონიერი იყოს. ქეგლ. ტ.4.

**ᲙᲕᲝᲢᲐ** (კვოტისა) [საშ. ლათ. quota ყოველის წილი, ლათ. quot-იდან რამდენი] – დაწესებული წილი, მიღებული ნორმა, დასაშვები რაოდენობა (სიდიდე) რისამე. ქეგლ. ტ.4.

**ᲙᲚᲐᲜᲘ** – გარკვეულ პირთა, პოლიტიკურ მოღვაწეთა ჯგუფი; ფარული ორგანიზაცია. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ᲙᲚᲐᲡᲘᲙᲣᲠ-Ი** (კლასიკურისა) – 1. კლასიკოსისათვის დამახასიათებელი, კლასიკოსის მიერ შექმნილი, - სრულყოფილი, სანიმუშოდ აღიარებული. 2. ძველ ბერძენთა და რომაელთათვის დამახასიათებელი, ძველ ბერძენთა და ძველ რომაელთა კუთვნილი, - ანტიკური. 3. ძვ. ძველი ბერძნული და ლათინური ენის შესწავლაზე დამყარებული, საამისოდ განკუთვნილი. 4. კლასიციზმისათვის დამახასიათებელი, - ისეთი, რომელიც იცავს ანტიკური პოეზიის ნორმებს. კლასიკური ფილოლოგია – ერთობლიობა სამეცნიერო დარგებისა, რომლებიც შეისწავლიან ძველ-ბერძნულსა და რომაულ კულტურას: ენებს (ძველ-ბერძნულსა და ლათინურს), სათანადო

ლიტერატურებს, ისტორიასა და აგრეთვე არქეოლოგია-ეთნოგრაფიას. ქეგლ. ტ.4.

**კლასიფიკაცია** (კლასიფიკაციისა) [ლათ. classificatio] – კლასებად, ჯგუფებად დაყოფა, დაჯგუფება საგნებისა, მოვლენებისა, ცნებებისა... ამა თუ იმ ნიშანთვისებათა მიხედვით. ქეგლ. ტ.4.

**კლასიფიკაცია** – ცნებათა და საგანთა სისტემატური დაყოფა და მოწესრიგება.

**კლერიკალიზმი** – პოლიტიკური მიმართულება, რომელიც ისწრაფის საზოგადოების პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში წამყვანი როლი მიაკუთვნოს ეკლესიასა და სამღვდელოებას. მოკლე პოლიტ. ლექს.

**კოალიცია** (კოალიციისა) [ლათ. coalitio შეერთება] – 1. ნებაყოფლობითი გაერთიანება, კავშირი საერთო მიზნის მისაღწევად. 2. ორი ან რამდენიმე სახელმწიფოს პოლიტიკური კავშირი (სხვა სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის საწინააღმდეგოდ). 3. კავშირი, შეთანხმება, თანამშრომლობა პოლიტიკური პარტიებისა (მთავრობის შესაქმნელად ან მთავრობაში მონაწილეობის მისაღებად). ქეგლ. ტ.4.

**კოალიცია** – სახელმწიფოთა, პოლიტიკურ პარტიათა, პროფკავშირულ ორგანიზაციათა და სხვ. გაერთიანება, კავშირი ან შეთანხმება საერთო პოლიტიკური, სამხედრო ან ეკონომიკური მიზნების მისაღწევად. მოკლე პოლიტ. ლექს.

**კოალიციურ-ი** (კოალიციურისა) – კოალიციის შედეგად შექმნილი, შედგენილი. კოალიციისა. ქეგლ. ტ.4.

**კოლეგიურ-ი** (კოლეგიურისა) – არაერთპიროვნული, შეთანხმებული სხვებთან (თანამშრომლებთან). ქეგლ. ტ.4.

**ᲙᲝᲚᲔᲒᲘᲣᲠᲝᲑᲐ** (კოლეგიურობისა) – მუშაობის ისეთი წესი, როდესაც ხელმძღვანელობა, საქმიანობა... წარმოებს კოლეგიურად, სხვებთან შეთანხმებით, დათათბირებით, არაერთპიროვნულად. ქეგლ. ტ.4.

**ᲙᲝᲚᲔᲯᲘ** – 1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს პროფესიულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას ან/და აკადემიური უმაღლესი განათლების მხოლოდ პირველი საფეხურის – ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამას; 2. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს პროფესიულ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამას.

**ᲙᲝᲚᲝᲙᲕᲘᲣᲛᲘ** – 1. საუბრები და დისკუსიები ერთს ან რამდენიმე პრობლემაზე; 2. განათლების სისტემაში სწავლების ერთ-ერთი ფორმა, რომლის მიზანია სტუდენტთა ცოდნის შემოწმება და ამაღლება; 3. სამეცნიერო კრებები, რომლებზედაც მოხსენებებს განიხილავენ. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ᲙᲝᲚᲝᲠᲘᲢ-Ი** (კოლორიტისა) [იტალ. colorite] – დამახასიათებელი იერი (ეპოქისა, ქვეყნისა, ადგილისა...). ქეგლ. ტ.4.

**ᲙᲝᲚᲝᲡᲐᲚᲣᲠ-Ი** (კოლოსალურისა) [ფრან. collossal] – ძალიან დიდი, უზომოდ დიდი, უზარმაზარი. ქეგლ. ტ.4.

**ᲙᲝᲛᲘᲖᲛ-Ი** (კომიზმისა) – კომიკური, სასაცილო ხასიათი მდგომარეობისა, შემთხვევისა, მოქმედებისა..., რისამე სასაცილოობა. ქეგლ. ტ.4.

**ᲙᲝᲛᲞᲔᲢᲔᲜᲢᲣᲠᲝᲑᲐ** (კომპენტენტურობისა) – ამა თუ იმ დარგის, რაიმე საკითხის, საქმის სათანადოდ მცოდნე პირის უფლება იმსჯელოს, გამოთქვას

თავისი ავტორიტეტული აზრი სათანადო საკითხის შესახებ. ქეგლ. ტ.4.

**კომპეტენცია** (კომპეტენციისა) [ლათ. competentia] – 1. საკითხთა წყება, რომელთა ჯეროვანი ცოდნაც მოეპოვება (ამა თუ იმ პირს). 2. ის სფერო, რომელშიც უფლებამოსილია რომელიმე დაწესებულება ან პირი, - უფლებამოსილების ფარგლები, სფერო. ქეგლ. ტ.4.

**კომპილაცია** (კომპილაციისა) [ლათ. compilatio ძარცვა] – 1. სხვისი შრომების გამოყენებითა და თავმოყრით დაწერილი ნაშრომი, ორიგინალურობას მოკლებული ნაშრომი. 2. კომპილაციური ნაწარმოების შედგენა. ქეგლ. ტ.4.

**კომუნიკაცია** (კომუნიკაციისა) [ლათ. communicatio] – ურთიერთობა. ქეგლ. ტ.4.

**კომუნიკე** (კომუნიკესი) [ფრან. communiqué ლათ. comminoco-დან ვაცნობებ] – 1. ოფიციალური ცნობა (მთავრობისა, პოლიტიკური ორგანიზაციისა...) რაიმე საკითხის შესახებ. ქეგლ. ტ.4.

**კომუნიკე** – ოფიციალური ცნობა საერთაშორისო მოლაპარაკების მიმდინარეობისა და მისი შედეგების შესახებ. მოკლე პოლიტ. ლექს.

**კონგენიალურ-ი** (კონგენიალურისა) [ლათ. con თანა და genius გონი] – ნიჭით ან აზრთა წყობის მიხედვით ვისიმე მსგავსი, თანაგვარი. ქეგლ. ტ.4.

**კონგენიალურობა** (კონგენიალურობისა) – კონგენიალურად ყოფნა, – თანაგვარობა ნიჭის, აზრთა წყობის მიხედვით. ქეგლ. ტ.4.

**კონგლომერატ-ი** (კონგლომერატისა) [ლათ. conglomeratus შემკვრივებული, თავმოყრილი] – 1. მექანიკური შენაერთი, ნარევი სხვადასხვაგვარი ნაწილებისა,ნაირნაირი საგნებისა, ცნებებისა, მსჯელობათა... 2. მთის დანალექი ქანი ერთგვარი, შედგება კაჭარისა და კენჭისაგან, რომელიც შეკრულ-შეკავშირებულია თიხით, კირით და სხვ. ქეგლ. ტ.4.

**კონგლომერაცია** (კონგლომერაციისა) [ლათ. conglomeratio კონგლომერატად ქცევა] – რაიმე ნაწილების ან საგნების ისეთი შეკავშირება, შეერთება, როდესაც ისინი ინარჩუნებენ თავიანთ თვისებებს. ქეგლ. ტ.4.

**კონგრეს-ი** (კონგრესისა) [ლათ. congressus თავმოყრა, ყრილობა] – 1. ყრილობა – მეტწილად საერთაშორისო ხასიათისა. 2. საკანონმდებლო ორგანოს (პარლამენტის) სახელწოდება შეერთებულ შტატებში, ლათინური ამერიკის ქვეყნებში. 3. პარტიის სახელი (ინდოეთში). ქეგლ. ტ.4.

**კონგრესი** – ფართო შემადგენლობის თათბირი, ყრილობა. მოკლე პოლიტ. ლექს.

**კონდიცია** (კონდიციისა) [ლათ. conditio პირობა] – 1. შეთანხმების, ხელშეკრულების პირობა. 2. დადგენილი ნორმა, გარკვეული პირობა, სტანდარტი, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს რაიმე. ქეგლ. ტ.4.

**კონდიციურ-ი** (კონდიციურისა) – კონდიციით განსაზღვრული, საჭირო პირობების დამაკმაყოფილებელი, საჭირო თვისების მქონე. ქეგლ. ტ.4.

**კონვენცია** (კონვენციისა) [ლათ. conventio შეთანხმება, ხელშეკრულება] – ხელშეკრულება, დადებული სახელმწიფოთა შორის რაიმე სპეციალურ საკითხზე. ქეგლ. ტ.4.

**ᲙᲝᲜᲘᲔᲥᲢᲣᲠᲐ** (კონიექტურისა) [ლათ. conjectura] – 1. მიხვედრა, მოაზრება. 2. დამახინჯებული ტექსტის აღდგენა, გასწორება მიხვედრით, ალღოთი. ქეგლ. ტ.4.

**ᲙᲝᲜᲘᲣᲜᲥᲢᲣᲠᲐ** (კონიუნქტურისა) [ლათ. conjuctura კავშირი] – 1. შექმნილი ვითარება, რომელსაც შეუძლია საქმის მსვლელობა წარმართოს. 2. ერთობლიობა იმ ნიშან-თვისებათა, რომლებიც ახასიათებენ მეურნეობის მდგომარეობას (ფასების მოძრაობა, ფასიანი ქაღალდების კურსი, პროდუქციის რაოდენობა, ხელფასი...). ქეგლ. ტ.4.

**ᲙᲝᲜᲘᲣᲜᲥᲢᲣᲠᲣᲚ-Ი** (კონიუნქტურულისა) – კონიუნქტურით განსაზღვრული, კონიუნქტურაზე დამოკიდებული. ქეგლ. ტ.4.

**ᲙᲝᲜᲙᲝᲠᲓᲐᲢ-Ი** (კონკორდატისა) [ლათ. concordatum შეთანხმება] – რომის პაპსა და ამა თუ იმ სახელმწიფოს მთავრობას შორის დადებული შეთანხმება რომელიც განსაზღვრავს ამ სახელმწიფოსთან რომის ეკლესიის ურთიერთობას. ქეგლ. ტ.4.

**ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲘᲖᲐᲪᲘᲐ** (კონკრეტიზაციისა) – კონკრეტული სახის მიცემა, – დაკონკრეტება. ქეგლ. ტ.4.

**ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚ-Ი** (კონკრეტულისა) [ლათ. concretus სქელი, მაგარი] – რეალურად არსებული, თვალსაჩინო, ხელშესახები. ქეგლ. ტ.4.

**ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲪᲘᲐ** (კონკურენციისა) – მეტოქეობა უპირატესობის მოსაპოვებლად. ქეგლ. ტ.4.

**ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲢᲘᲖᲛ-Ი** (კონსერვატიზმისა) – მიდრეკილება ძველის დაცვისადმი, ახლის არმიღება (საზოგადოებრივ ცხოვრებაში, პოლიტიკაში, მეცნიერებაში, ტექნიკასა და ხელოვნებაში). ქეგლ. ტ.4.

**კონსერვატორ-ი** (კონსერვატორისა) [ლათ. conservator მცველი] – კონსერვატიული შეხედულების მქონე, ძველის დამცველი, ახლის არმიმღები ადამიანი. ქეგლ. ტ.4.

**კონსერვატორობა** (კონსერვატორობისა) – კონსერვატიზმის მიმდევრობა, კონსერვატორად ყოფნა; ძველის დამცველობა. ქეგლ. ტ.4.

**კონსოლიდაცია** (კონსოლიდაციისა) [ლათ. consolidatio] – განმტკიცება რისამე; გაერთიანება, შემჭიდროვება პირთა, ორგანიზაციათა... ქეგლ. ტ.4.

**კონსტანტობა** (კონსტანტობისა) – მუდმივობა, უცვლელობა; მყარობა. ქეგლ. ტ.4.

**კონსტანტურ-ი** (კონსტანტურისა) – მუდმივი, უცვლელი, მყარი. ქეგლ. ტ.4.

**კონსტატაცია** (კონსტატაციისა) [ფრან. constatation ფაქტის დადგენა] – რაიმე ფაქტის, რისამე უეჭველობის დადასტურება. ქეგლ. ტ.4.

**კონსტიტუტიურ-ი** (კონსტიტუტიურისა) [ლათ. constitutus განმტკიცებული; გარკვეული] – არსებითი, ძირითადი; განმსაზღვრელი. ქეგლ. ტ.4.

**კონსტიტუცია** (კონსტიტუციისა) [ლათ. constitutio დადგინება; დანადგენი] – 1. სახელმწიფოს ძირითადი კანონი – განსაზღვრავს სახელმწიფო წესწყობილების, აგრეთვე საზოგადოებრივი წყობილების ხასიათს, საარჩევნო სისტემას, საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების შექმნისა და მოქმედების პრინციპებს, მოქალაქეთა უფლება-მოვალეობას და სხვ. 2. ცალკეული ადამიანის ორგანიზმის ინდი-

ვიდუალური ანატომიური და ფიზიოლოგიური თავისებურებები. ქეგლ. ტ.4.

**კონსტიტუცია** – შედგენა, ორგანიზაცია, მოწყობა, აგრეთვე სახელმწიფოს ძირითადი კანონი.

**კონსტიტუციურ-ი** (კონსტიტუციურისა) – კონსტიტუციის ხასიათისა, კონსტიტუციიდან გამომდინარე, კონსტიტუციაზე დამყარებული, - კონსტიტუციისა. ქეგლ. ტ.4.

**კონსტრუქციულ-ი** (კონსტრუქციულისა) – კონსტრუქციის შესახები, კონსტრუქციის ხასიათისა, კონსტრუქციიდან გამომდინარე. კონსტრუქციული წინადადება – წინადადება, რომელიც მიმართულია საკითხის დადებითად გადაწყვეტისაკენ. ქეგლ. ტ.4.

**კონსული** – ნიშნავს გენერალურ კონსულს, კონსულს, ვიცე-კონსულს ან საკონსულო აგენტს, რომელიც მეთაურობს საკონსულო დაწესებულებას.

**კონსულტანტ-ი** (კონსულტანტისა) [ლათ. consultans მრჩეველი] – ვინც კონსულტაციას უწევს ვისმე, ვინც კონსულტაციას იძლევა, - შეკითხვისას რჩევის, ახსნაგანმარტების მომცემი (სპეციალისტი). ქეგლ. ტ.4.

**კონსულტაცია** (კონსულტაციისა) [ლათ. consultatio განხილვა-მოთათბირება] – 1. შეკითხვისას რჩევის, ახსნა-განმარტების მიცემა რაიმე საკითხის შესახებ (სპეციალისტის მიერ). 2. დაწესებულება, სადაც სათანადო სპეციალისტები რჩევა-დარიგებას აძლევენ მოსახლეობას გარკვეული საკითხების შესახებ. ქეგლ. ტ.4.

**კონტამინაცია** (კონტამინაციისა) [ლათ. contaminatio შეხება] – ახალი გამოთქმის, სიტყვის, ფორმის შექმნა

მნიშვნელობით ახლო მდგომ გამოთქმათა, ანდა მნიშვნელობით (ან ბგერითად) ახლო მდგომ სიტყვათა შერწყმით. ქეგლ. ტ.4.

**კონტაქტ-ი** (კონტაქტისა) [ლათ. contactus შეხება] – გადატ. საქმიანი კავშირი, ურთიერთობა. ქეგლ. ტ.4.

**კონტრასიგნაცია** (კონტრასიგნაციისა) [გერმ. Kontrassignation განმტკიცება, ლათ. contra წინააღმდეგ და signare აღნიშვნა, ხელისმოწერა] – სახელმწიფო მეთაურის მიერ გამოცემულ აქტზე მინისტრის ხელმოწერა იმის ნიშნად, რომ ამ აქტისათვის იურიდიულ და პოლიტიკურ პასუხისმგებლობას მინისტრი კისრულობს. ქეგლ. ტ.4.

**კონტრასტ-ი** (კონტრასტისა) [ფრან. contraste] – მკვეთრად გამოხატული სხვაობა, დაპირისპირებულობა. ქეგლ. ტ.4.

**კონტრასტულ-ი** (კონტრასტულისა) – კონტრასტის ხასიათისა, ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავებული, ერთმანეთის საპირისპირო. ქეგლ. ტ.4.

**კონტრაქტ-ი** (კონტრაქტისა) [ლათ. contractus] – წერილობითი ხელშეკრულება, შეთანხმება, რომელიც განსაზღვრავს ორივე იურიდიული მხარის ვალდებულებებს და ამ ვალდებულებათა შესრულების ვადას. ქეგლ. ტ.4.

**კონტროლ-ი** (კონტროლისა) [ფრან. contrôle] – 1. შემოწმება რისამე ან ზედამხედველობა, მეთვალყურეობა რისამე შემოწმების მიზნით. 2. დაწესებულება ან პირი, რომელიც ამოწმებს, მეთვალყურეობას უწევს რასმე. ქეგლ. ტ.4.

**ᲙᲝᲜᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐ** – სუვერენულ სახელმწიფოთა ლიგა ან ასოციაცია, რომელსაც, როგორც წესი, ცენტრალური და ადმინისტრაციული ორგანო ჰყავს, რომელშიც კონფედერაციის სუბიექტები საკუთარი ნებით ახდენენ ხელისუფლების დელეგირებას, და ამით, ერთობლივად წყვეტენ საერთო საკითხებს.

**ᲙᲝᲜᲤᲔᲓᲔᲠᲐᲪᲘᲐ** – დამოუკიდებელ სახელმწიფოთა კავშირი, რომელიც იქმნება რიგი საგარეოპოლიტიკური და სამხედრო მოქმედების კოორდინირების მიზნით. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ** (კონფერენციისა) [ლათ. conferentia ერთ ადგილას შეკრება] – სახელმწიფოთა, პოლიტიკური, საზოგადოებრივი, სამეცნიერო ან სასწავლო ორგანიზაციების წარმომადგენელთა კრება, თათბირი ამა თუ იმ საკითხის განსახილველად. ქეგლ. ტ.4.

**ᲙᲝᲜᲤᲘᲓᲔᲜᲪᲘᲐᲚᲣᲠ-Ი** (კონფიდენციალურისა) [ლათ. confidentia-დან ნდობა] – რის გახმაურებაც არ შეიძლება, - შინაურულად გასანდობი, საიდუმლო. ქეგლ. ტ.4.

**ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢ-Ი** (კონფლიქტისა) [ლათ. conflictus შეხლა] – 1. სერიოზული უთანხმოება, განხეთქილება; საწინააღმდეგო ინტერესების, შეხედულებათა, მისწრაფებათა შეჯახება. ურთიერთობის გამწვავება. 2. საზოგადოებრივი წინააღმდეგობანი, უკუფენილი მხატვრულ ნაწარმოებში. ქეგლ. ტ.4.

**ᲙᲝᲜᲤᲚᲘᲥᲢᲘ** – 1. მოპირდაპირე ძალთა, საწინააღმდეგო ინტერესთა, შეხედულებათა შეხლა-შემოხლა; სერიოზული უთანხმოება, განხეთქილება. 2. საერთაშორისო ურთიერთობათა გამწვავება, რასაც ზოგჯერ შეიარაღებული შეტაკება მოჰყვება. მოკლე პოლიტ. ლექს.

**კონფორმიზმი** – არსებული მდგომარეობისადმი, გაბატონებული შეხედულებებისადმი და ა.შ. პასიური შეგუება. მოკლე პოლიტ. ლექს.

**კონფრონტაცია** – დაპირისპირება.

**კონფუზ-ი** (კონფუზისა) [ლათ. confusio შერევა] – საუბ. დარცხვენა, უხერხულობის განცდა. ქეგლ. ტ.4.

**კონცენტრაცია** (კონცენტრაციისა) [ლათ. concentratio ერთგან თავმოყრა, დაჯგუფება] – 1. თავმოყრა, შეკრება, დაგროვება ერთად რისამე. 2. ხსნარის გაჯერების ხარისხის გაზრდა გამხსნელის რაოდენობის შემცირებით. ხსნარის გაჯერების ხარისხი. 3. მადნეულის გამდიდრება – მადნეულიდან მისი უფრო საჭირო და ფასეული ნაწილის გამოყოფა (შემდგომი დამუშავების მიზნით). ქეგლ. ტ.4.

**კონცენტრირება** (კონცენტრირებისა) – თავმოყრა; შეკრება; დაგროვება. ქეგლ. ტ.4.

**კონცენტრირებულ-ი** (კონცენტრირებულისა) – რის კონცენტრაციაც მოხდა: 1. ერთ ადგილას თავმოყრილი. 2. ნაჯერი, მაგარი (ხსნარი) 3. გამდიდრებული (მადანი). 4. კონცენტრატის სახით მოცემული, მეტად ყუათიანი (საკვები). ქეგლ. ტ.4.

**კონცენტრულ-ი** (კონცენტრულისა) – 1. საერთო ცენტრის მქონე. 2. კონცენტრების სახისა. ქეგლ. ტ.4.

**კონცეფცია** [ლათ.] – შეხედულებათა სისტემა რისამე შესახებ.

**კონცეფცია** – საერთო ჩანაფიქრი, გაგება, იდეის, ძირითადი აზრის, მხატვრული ან სხვა ძირითადი მოტივის უეცარი დაბადება.

**ᲙᲝᲝᲠᲓᲘᲜᲐᲪᲘᲐ** (კოორდინაციისა) [ლათ. coordinatio] – შეთანხმება, ურთიერთშეფარდება. ქეგლ. ტ.4.

**ᲙᲝᲝᲠᲓᲘᲜᲘᲠᲔᲑᲐ** (კოორდინირებისა) – კოორდინაციის დამყარება, ურთიერთშეთანხმება. ქეგლ. ტ.4.

**ᲙᲝᲝᲠᲓᲘᲜᲘᲠᲔᲑᲣᲚ-Ი** (კოორდინირებულისა) – რის კოორდინაციაც მოხდა, - ურთიერთ შეფარდებული, ურთიერთ შეთანხმებული. ქეგლ. ტ.4.

**ᲙᲝᲠᲔᲚᲐᲢ-Ი** (კორელატისა) – შეფარდებითი, თანაფარდი ცნება. ქეგლ. ტ.4.

**ᲙᲝᲠᲔᲚᲐᲪᲘᲐ** (კორელაციისა) [ლათ. correlatio] – ურთიერთდამოკიდებულება, შეფარდება. ქეგლ. ტ.4.

**ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢ-Ი** (კორესპონდენტისა) [გერმ. Korrespondent, ფრან. correspondant-იდან] – 1. გაზეთის (ჟურნალის, დეპეშათა სააგენტოს) თანამშრომელი, რომელიც ადგილებიდან აწვდის ცნობებს. საკუთარი კორესპონდენტი – გაზეთის მუდმივი კორესპონდენტი. 2. პირი, რომელიც აწარმოებს ხშირ მიწერ-მოწერას ვინმესთან. 3. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ქეგლ. ტ.4.

**ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲣᲚ-Ი** (კორესპონდენტულისა) – კორესპონდენტისათვის დამახასიათებელი. ქეგლ. ტ.4.

**ᲙᲝᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲪᲘᲐ** (კორესპონდენციისა) [გერმ. Korrespondenz, ფრან. correspondance-იდან] – 1. კორესპონდენტის მიერ გაზეთისათვის ან ჟურნალისათვის მიწოდებული წერილი, ცნობა. 2. საფოსტო გზავნილებანი ერთობლივ. ქეგლ. ტ.4.

**ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲣᲠᲐ** (კორექტურისა) [ლათ. correctura] – 1. სტამბაში აწყობილი ტექსტის გასწორება. 2. ანაწყობის ანაბეჭდი, რომელიც უნდა გასწორდეს. ქეგლ. ტ.4.

**ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲣᲠᲣᲚ-Ი** (კორექტურულისა) – კორექტურასთან დაკავშირებული, - კორექტურისა. ქეგლ. ტ.4.

**ᲙᲝᲠᲔᲥᲪᲘᲐ** (კორექციისა) [ლათ. correctio] – შესწორება, გასწორება. მხედველობის კორექცია – მხედველობის ნაკლის გასწორება სათვალის საშუალებით. ქეგლ. ტ.4.

**ᲙᲝᲠᲘᲤᲔ** (კორიფესი) [ბერძ. koryphaios ბელადი, წინამძღოლი] – 1. მეცნიერების ან ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწე. 2. ძველ ბერძნულ ტრაგედიაში – გუნდის ხელმძღვანელი. ქეგლ. ტ.4.

**ᲙᲝᲠᲣᲤᲪᲘᲐ** (კორუფციისა) [ლათ. corruptio მოსყიდვა, გარყვნა, გაფუჭება] – მექრთამეობა, მოსყიდულობა თანამდებობის პირთა. ქეგლ. ტ.4.

**ᲙᲝᲡᲛᲝᲞᲝᲚᲘᲢᲘᲖᲛᲘ** – იდეოლოგია, რომელიც უარყოფს ეროვნულ სუვერენიტეტს, ქადაგებს სამშობლოსადმი, ეროვნული კულტურისადმი გულგრილობას და აყენებს "მსოფლიო სახელმწიფოს" შექმნის, "მსოფლიო მოქალაქეობის" დაწესების იდეას. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ᲙᲠᲔᲓᲘᲢ-Ი** (კრედიტისა) [ლათ. creditum "რაც ანდევს", ნანდობი, სესხი] – 1. სესხად მიცემული თანხა, - სესხი. 2. გარკვეული ხარჯების გასაწევად ასიგნებული ფული. 3. ვალად მიცემული საქონელი, - ნისია. 4. რისამე სესხად გამცემი პირის (ან დაწესებულების) ანგარიში. ქეგლ. ტ.4.

**ᲙᲠᲔᲓᲝ** (კრედოსი) [ლათ. credo მჯერა, მწამს] – იგივეა, რაც მრწამსი. ქეგლ. ტ.4.

**ᲙᲠᲘᲖᲘᲡ-Ი** (კრიზისისა) [ბერძ. krisis გადაწყვეტილება, გადამწყვეტი ხასიათის ცვლილება] – 1. მძაფრი გარდატეხა, ერთბაში ცვლილება. 2. გადამწყვეტი გარდატეხის მომენტი მწვავე დაავადების მიმდინარეობაში. 3. შეფერხება (შეწყვეტა) საქონლის გასაღებაში, რაც პერიოდულად მეორდება ეკონომიკაში – და რაც იწვევს წარმოების შეკვეცას, წვრილ მწარმოებელთა გაღატაკებასა და უმუშევრობის ზრდას. ქეგლ. ტ.4.

**ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚ-Ი** (კრიმინალისა) [ლათ. criminalis დანაშაულებრივი] – სისხლის სამართლის დანაშაული. ქეგლ. ტ.4.

**ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘᲡᲢ-Ი** (კრიმინალისტისა) – კრიმინალისტიკის, სისხლის სამართლის სპეციალისტი. ქეგლ. ტ.4.

**ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲙᲐ** (კრიმინალისტიკისა) – მოძღვრება სისხლის სამართლის შესახებ, - სამართლის მეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის სისხლის სამართლის დანაშაულებათა კვლევის მეთოდიკასა და ტექნიკას. ქეგლ. ტ.4.

**ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲐᲚᲣᲠ-Ი** (კრიმინალურისა) [ლათ. criminalis დანაშაულებრივი] – სისხლის სამართლის ხასიათისა, სისხლის სამართალთან დაკავშირებული. ქეგლ. ტ.4.

**ᲙᲠᲘᲛᲘᲜᲝᲚᲝᲒᲘᲐ** (კრიმინოლოგიისა) [ლათ. crimen დანაშაული და ბერძ. logos მოძღვრება] – მოძღვრება დანაშაულისა და დამნაშავის შესახებ. ქეგლ. ტ.4.

**კრიპტოგრამა** (კრიპტოგრამისა) [ბერძ. Kryptos საიდუმლო, ფარული და gramma ჩანაწერი] – პირობითი საიდუმლო ნიშნებით ნაწერი. ქეგლ. ტ.4.

**კრისტალურ-ი** (კრისტალურისა) – ფაქიზი ზნეობისა; მართალი, უმწიკვლო, სპეტაკი. ქეგლ. ტ.4.

**კრიტერიუმ-ი** (კრიტერიუმისა) [ბერძ. kritērion-იდან გადაწყვეტის საშუალება] –ნიშანი (ან დებულება), რომლის მიხედვითაც რასმე აფასებენ, რისამე სისწორეს, მნიშვნელობას არკვევენ, - საზომი. ქეგლ. ტ.4.

**კრიტერიუმი** – შემოწმების ნიშანი, საშუალება, საზომი.

**კრიტიკა** (კრიტიკისა) [ბერძ. kritikē გარჩევა, განსჯა რისამე] – 1. რისამე ღირსებისა და ნაკლის გამორკვევა, - განხილვა შეფასების მიზნით. 2. ჟურნალისტიკის დარგი, რომელიც არჩევს მხატვრულ ნაწარმოებს, არკვევს მის ნაკლსა და ღირსებას, შეფასებას აძლევს მხატვრულ ნაწარმოებს. 3. ტექსტის ანალიზი, - ლიტერატურული ძეგლის, ისტორიული წყაროს... უტყუარობის, მისი წარმომავლობისა და მასში მომხდარი ცვლილებების რკვევა. ქეგლ. ტ.4.

**კრიტიკულ-ი** (კრიტიკულისა) – 1. კრიტიკის შემცველი, კრიტიკაზე დაფუძნებული, კრიტიკის ხასიათის მქონე. კრიტიკული თვალით – იგივეა, რაც კრიტიკულად. 2. გადამწყვეტი; მძიმე, სახიფათო, - კრიზისული. ქეგლ. ტ.4.

**კრიტერიუმ-ი** [ბერძ. -იდან] – ნიშანი, რომლის მიხედვითაც რასმე აფასებენ, რისამე სისწორეს, მნიშვნელობას არკვევენ, -საზომი.

**კულმინაცია** (კულმინაციისა) [ლათ. culminatio, culmen-იდან მწვერვალი] – 1. მნათობის გავლა მერიდიანზე. 2. გადატ. უმაღლესი წერტილი, მწვერვალი (რისამე განვითარებისა, აღმავლობისა, დაძაბულობისა). ქეგლ. ტ.4.

**კულტ-ი** (კულტისა) [ლათ. cultus პატივისცემა] – 1. პატივისცემა, თაყვანება. 2. რელიგიური მსახურება ღვთაებისადმი. 3. წმინდანთა თაყვანისცემა. კულტის მსახურნი სასულიერო პირნი, - სამღვდელოება. ქეგლ. ტ.4.

**კულტი** – 1. რელიგიური თაყვანისცემა რაიმე საგნებისა, რეალური ან ფანტასტიკური არსებებისა. 2. (გადატ.) ისტორიაში გამოჩენილი პიროვნების როლის ყოველ-გვარი გაზვიადება. მოკლე პოლიტ. ლექს.

**კულტურა** (ლათ. cultura - დამუშავება) – ერთობლიობა საზოგადოებრივ-ისტორიული პრაქტიკის პროცესში კაცობრიობის მიერ შექმნილი და ქმნადობის პრო-ცესში მყოფი მატერიალური და სულიერი ღირებუ-ლებებისა. რ-ებიც საზოგადოების განვითარების ისტორიულად მიღწეულ საფეხურს ახასიათებენ. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**კულუარი** – პარლამენტის შენობაში დარბაზი, ოთახი, სადაც დეპუტატები იკრიბებიან შესვენების დროს, სადაც წარმოებს არაოფიციალური შეხვედრები, აზრთა გაცვლა-გამოცვლა. მოკლე პოლიტ. ლექს.

**კურიერ-ი** (კურიერისა) [ფრან. courie] – დაწესებულების საქმიანი ქაღალდების დამტარებელი, - შიკრიკი. დიპლომატიური კურიერი – საგარეო საქმეთა სამი-ნისტროს თანამშრომელი, რომელსაც მიმოაქვს დიპლომატიური ფოსტა. ქეგლ. ტ.4.

**კურიოზ-ი** (კურიოზისა) [ფრან. curieux ცნობისმოყვარე] – სასაცილო და უცნაური, სასეირო ამბავი (შემთხვევა, მოვლენა, გარემოება...). ქეგლ. ტ.4.

**კურიოზულ-ი** (კურიოზულისა) – კურიოზის ხასიათისა, – სასაცილო და უცნაური, სასეირო. ქეგლ. ტ.4.

**კურსი** – სვლის ან მოქმედების მიმართულება (სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკის კურსი). მოკლე პოლიტ. ლექს.

## ლ

**ლათაია** (ლათაიისა) – 1. ძვ. არაკი, იგავი, ანეკდოტი. 2. ლათაიები – გადატ. მიკიბულ-მოკიბული, მიდებ-მოდებული, მოჩმახული, შეთხზული ამბები. ქეგლ. ტ.4.

**ლაილაი** – საუბ. უაზრო გაუთავებელი ლაპარაკი. ქეგლ. ტ.4.

**ლაკონიზმ-ი** (ლაკონიზმისა) [ბერძ. lakonismos] – აზრის გამოთქმა მოკლედ (სხარტად) და მკაფიოდ [პელოპონესის (საბერძნეთის) ნახევარკუნძულის სამხრ.-აღმოს. ნაწილის – ლაკონიის – სახელის მიხედვით]. ქეგლ. ტ.4.

**ლაკონიურ-ი** (ლაკონიურისა) – ლაკონიზმის ხასიათისა, - მოკლედ და მკაფიოდ, სხარტულად გამოთქმული, ჩამოყალიბებული. ქეგლ. ტ.4.

**ლაკონიურობა** (ლაკონიურობისა) – ლაკონიურის თვისება, – სხარტულობა. ქეგლ. ტ.4.

**ლაპიდარობა** (ლაპიდარობისა) – ლაპიდარულის თვისება, – მოკლედ და მკაფიოდ გამოთქმა, გამოხატვა. ქეგლ. ტ.4.

**ლაპიდარულ-ი** (ლაპიდარულისა) [ლათ. lapidarius-იდან ქვის შესახები; ქვაზე წარწერის ხასიათისა] – მოკლედ და მკაფიოდ გამოთქმული. ქეგლ. ტ.4.

**ლაფაჩ-ი** (ლაფაჩისა) [თურქ. ლაფაჯი] – ნელი, ზანტი; დოყლაპია. ქეგლ. ტ.4.

**ლეგალიზაცია** – 1. სათანადო უფლებამოსილების მქონე საჯარო მოსამსახურის მიერ საბუთის ხელმოწერის ნამდვილობისა და საბუთის ხელმოწერის მომენტისათვის ამ საჯარო მოსამსახურის მიერ შესაბამისი თანამდებობის კანონიერად დაკავების ნამდვილობის სახელმწიფოებრივი დადასტურება; 2. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიერ ლატარიის ბილეთებისა და მომგებიან თამაშობებში მონაწილეობის უფლების დამადასტურებელი დოკუმენტების აღჭურვა სპეციალური დამცავი ნიშნებით.

**ლეგალურ-ი** (ლეგალურისა) [ლათ. legalis] – ისეთი, რაც იყენებს კანონით მოცემულ შესაძლებლობებს, - ღია, აშკარა; კანონით დაშვებული, კანონიერი, ნებადართული. ქეგლ. ტ.4.

**ლეგენდა** (ლეგენდისა) [ლათ. legenda წასაკითხი] – 1. ხალხური გადმოცემა, თქმულება, არაჩვეულებრივი ამბავი ვისიმე ცხოვრების ან რაიმე შემთხვევის შესახებ. 2. წარწერა ლითონის ფულზე (მონეტაზე), მედალზე და სხვ. 3. ახსნა განმარტებითი ტექსტი, რომელიც დართული აქვს გეგმას, რუკას დიაგრამას და მისთ. ქეგლ. ტ.4.

**ლეგიტიმაცია** – რაიმე უფლების ან რწმუნების კანონიერების აღიარება ან დამტკიცება, ამ უფლების (რწმუნების) დამადასტურებელი საბუთი. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ლევიათანი** – ძვ.ებრ. “ზღვის ურჩხული” (ბიბლიაში). იგივეა, რაც ატლანტიზმი, ზღვა და სხვა.

**ლეიტმოტივ-ი** (ლეიტმოტივისა) [გერმ. Leitmotiv წამყვანი მოტივი] – გადატ. მთავარი, ძირითადი სახელმძღვანელო აზრი. ქეგლ. ტ.4.

**ლექსიკა** (ლექსიკისა) [ბერძ. lexikos-იდან სიტყვის შესახები] – სიტყვის მარაგი, ლექსიკური შემადგენლობა (ამა თუ იმ ენისა, დიალექტისა). სიტყვები, რომლებიც გვხვდება ამა თუ იმ მწერლის თხზულებებში. ქეგლ. ტ.4.

**ლექსიკოგრაფია** (ლექსიკოგრაფიისა) [ბერძ. lexikos სიტყვის შესახები და graphō ვწერ] – ლექსიკონების შედგენის თეორია. ლექსიკონების შედგენა, სალექსიკონო მუშაობის წარმოება. ქეგლ. ტ.4.

**ლექსიკოლოგია** (ლექსიკოლოგიისა) [ბერძ. lexikos სიტყვის შესახები და logos მოძღვრება] – ენათმეცნიერების დარგი, რომელიც შეისწავლის ენის ლექსიკას. ქეგლ. ტ.4.

**ლექსიკონ-ი** (ლექსიკონისა) [ბერძ. lexikon] – 1. წიგნი, რომელშიც ანბანზე გაწყობილი სიტყვებია ახსნილი, განმარტებული ან თარგმნილი. ქეგლ. ტ.4.

**ლექსიკურ-ი** (ლექსიკურისა) – ლექსიკის შესახები, დამახასიათებელი, ლექსიკასთან დაკავშირებული. ქეგლ. ტ.4.

**ლიბერალიზმი** – მსოფლმხედველობა, რომელიც აერთიანებს მემარჯვენე პრინციპებს ეკონომიკის სფეროში (საბაზრო ეკონომიკა, პრივატიზაცია, კერძო საკუთრება, კაპიტალიზმი) და მემარცხენე კომპონენტებს პოლიტიკის დარგში (მინიმალისტური ჰუმანიზმი, ინდივიდუალიზმი, ეთნიკური და კულტურული ეგალიტარიზმი). ატლანტური ბანაკის მმართველი

იდეოლოგია. ლიბერალიზმის პოლიტიკურ გამოვლინებას ლიბერალური დემოკრატია წარმოადგენს.

**ლიზღ-ი** (ლიზღისა) – "უშვერად მოხუმარი, თავს გასული" (დ. ჩუბინ.). ქეგლ. ტ.4.

**ლიზღობა** (ლიზღობისა) – ლიზღის დამახასიათებელი ქცევა, - "უშვერი ხუმრობა" (დ. ჩუბინ.). ცბიერი ალერსი, - ლაქუცი. ქეგლ. ტ.4.

**ლიკვიდაცია** (ლიკვიდაციისა) [ფრან. liquidation] – 1. საქმიანობის შეწყვეტა, - დახურვა, გაუქმება (რაიმე ორგანიზაციისა). 2. რისამე მოსპობა, ბოლოს მოღება; აღკვეთა.

**ლიკვიდირებულ-ი** (ლიკვიდირებულისა) – რასაც ლიკვიდაცია უყვეს, – მოსპობილი, გაუქმებული; აღკვეთილი. ქეგლ. ტ.4.

**ლიცენზია** – რამეთი შეღავათიანად ან უფასოდ სარგებლობის უფლება. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ლობი** – პირდაპირი მნიშვნელობით: კაპიტოლიუმის (აშშ-ს კონგრესის) შენობის მთავარი კორიდორი, სადაც კანონმდებლობით დაინტერესებული პირები იკრიბებიან; გადატანითი მნიშვნელობით: აშშ-ის კონგრესთან არსებულ მსხვილ მონოპოლიათა კანტორებისა და სააგენტოების სისტემა, რომელიც ამ მონოპოლიათა ინტერესებიდან გამომდინარე ზეწოლას ახდენენ (ზეწოლის ჯგუფები) კანონმდებლობაზე და სახელმწიფო მოხელეებზე აღმასრულებელ ხელისუფლებაში.

**ლოგიკა** (ლოგიკისა) [ბერძ. logikē] – 1. მეცნიერება აზროვნების ფორმებისა და კანონების შესახებ. 2. დასკვნათა სისწორე, თანამიმდევრულობა. ქეგლ. ტ.4.

**ლოგიკურ-ი** (ლოგიკურისა) – 1. ლოგიკის მიხედვითი, ლოგიკიდან გამომდინარე. 2. თანამიმდევრული, დასაბუთებული, სწორი. ლოგიკური მახვილი – წინადადებაში რაიმე მხრით საინტერესო სიტყვის ხმის აწევით წარმოთქმა. ქეგლ. ტ.5.

**ლოგოსი** (ბერძნ. logos – სიტყვა, აზრი, გონება, კანონი) – ტერმინი, რომელიც თავდაპირველად საყოველთაო კანონს, სამყაროს საფუძველს, მის წესრიგსა და ჰარმონიას აღნიშნავდა. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**ლოიალური** – 1. არსებული სახელმწიფო ხელისუფლების მომხრე, ერთგული; 2. ვინც წესიერად, კეთილსინდისიერად ექცევა ვისმე ან რასმე. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ლოკალიზაცია** (ლოკალიზაციისა) [ლათ. localis-იდან ადგილობრივი] – რისამე ადგილის შემოფარგვლა, შემოზღუდვა; რამესთვის სხვა ადგილებზე, გავრცელებისათვის ხელის შეშლა. ქეგლ. ტ.5.

**ლოკალურ-ი** (ლოკალურისა) [ლათ. localis-იდან] – განსაზღვრული ადგილისათვის დამახასიათებელი, - ადგილობრივი. ქეგლ. ტ.5.

**ლუტ-ი** (ლუტისა) – "კაცი უსახლკარო და უქონელი" (საბა). ქეგლ. ტ.5.

## მ

**მაგისტრ-ი** (მაგისტრისა) [ლათ. magister უფროსი, მასწავლებელი] – პირველი სამეცნიერო ხარისხი; ამ ხარისხის მქონე პირი. ქეგლ. ტ.5.

**მაგისტრატურა** – აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხური, სასწავლო პროგრამების ერთობლიობა, რომელიც აუცილებლად შეიცავს სამეც-

ნიერო კვლევის ელემენტებს და მიზნად ისახავს ბაკალავრის შემდგომი დონის სპეციალისტის ან მკვლევრის მომზადებას, აგრეთვე ამზადებს პირს მიღებული კვალიფიკაციით მუშაობისათვის.

**მაგისტრი** – მფლობელი იმ აკადემიური ხარისხისა, რომელიც პირს აკადემიური უმაღლესი განათლების მეორე საფეხურისათვის – მაგისტრატურისათვის დადგენილი კრედიტების რაოდენობის ათვისების შედეგად ენიჭება.

**მადრიგალ-ი** (მადრიგალისა) [ფრან. madrigal] – ქათინაური, კომპლიმენტი. ქეგლ. ტ.5.

**მაზალო** (მაზალოსი) – 1. კოხტა, სასიამოვნო. 2. უცნაური, ახირებული. ქეგლ. ტ.5.

**მაიმახ-ი** (მაიმახისა) – "ფეხმრუდი" (საბა), ფეხმოქცეული; მახინჯი, უშნო. ქეგლ. ტ.5.

**მაკარონიზმ-ი** (მაკარონიზმისა) [ფრან. macaronisme] – 1. უცხო ენის სიტყვებისა და გამოთქმების სასაცილო შერევა ლაპარაკში. 2. ხალხური ფრანგულიდან ან იტალიურიდან საშუალო საუკუნეების სალიტერატურო ლათინურში შესული სიტყვა ან გამოთქმა. ქეგლ. ტ.5.

**მაკვილაკ-ი** (მაკვილაკისა) – ენამწარე, ავენა. ქეგლ. ტ.5.

**მაკიაველიზმ-ი** (მაკიაველიზმისა) – ცენტრალიზებულ სახელმწიფოში – ერთპიროვნული მმართველის დიქტატორული ხელისუფლების გამტკიცების პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც მიზნის მისაღწევად გამართლებულია ყოველგვარი საშუალება [აღორძინების ხანის იტალიური პოლიტიკური მოღვაწის Macciavelli-ს სახელის მიხედვით]. ქეგლ. ტ.5.

**მანდატი** – ვისიმე რწმუნებულების დამადასტურებელი დოკუმენტი. მოკლე პოლიტ. ლექს.

**მანდატურ-ი** (მანდატურისა) [ლათ. mandaturus ხელჯოხიანი] – ბოქაული, იასაული. ქეგლ. ტ.5.

**მანია** (მანიისა) [ბერძ. mania სიშმაგე, ვნება, მიდრეკილება]. ქეგლ. ტ.5.

**მანიპულაცია** (მანიპულაციისა) [ფრან. manipulation] – 1. რთული მოქმედება, რთული ხერხი ხელით მუშაობისას. 2. გადატ. ეშმაკობა, ოინი, ყალთაბანდობა. ქეგლ. ტ.5.

**მანიპულაცია** – მოხერხებული ოინი, რთული მოქმედება საძრახისი მიზნის მისაღწევად. მოკლე პოლიტ. ლექს.

**მანიფესტაცია** – მასობრივი მსვლელობა ქუჩაში სოლიდარობის ან პროტესტის გამოსახატავად. მოკლე პოლიტ. ლექს.

**მანიფესტ-ი** (მანიფესტისა) – უმაღლესი ხელისუფლების საზეიმო მიმართვა მოსახლეობისადმი ახალი კანონის გამოცემის ან სხვა მნიშვნელოვანი შემთხვევის გამო. ქეგლ. ტ.5.

**მანიფესტი** – 1. უმაღლესი ხელისუფლების საზეიმო წერილობითი მიმართვა ხალხისადმი მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენების შესახებ. 2. პოლიტიკური პარტიის, საზოგადოებრივი ორგანიზაციის მიმართვა ან მოწოდება, რომელშიც გადმოცემულია მათი ძირითადი შეხედულებები, პროგრამები, გადაწყვეტილებები. მოკლე პოლიტ. ლექს.

**მანუსკრიპტ-ი** (მანუსკრიპტისა) [ლათ. manuscriptum] – ხელნაწერი, უმთავრესად ძველი. ქეგლ. ტ.5.

**მარაქა** (მარაქისა) – "ქალთ ჯარი ლხინში" (საბა). ადამიანთა კრებული. ქეგლ. ტ.5.

**მარზპან-ი** (მარზპანისა), მარზაპან-ი (მარზაპნისა) – სახელმწიფოს განაპირა კუთხის მმართველი; სპარსეთის შაჰის ნაცვალი დაპყრობილ ქვეყანაში. ქეგლ. ტ.5.

**მარიფათ-ი** (მარიფათისა) – შნო და მოხერხება. ქეგლ. ტ.5.

**მაროდიორ-ი** (მაროდიორისა) [ფრან. maraudeur] – ბრძოლის ველზე მოკლულთა და დაჭრილთა (ანდა საომარი მოქმედების ტერიტორიის მოსახლეობის) მძარცველი; მოთარეშე. ქეგლ. ტ.5.

**მაროდიორობა** (მაროდიორობისა) – ბრძოლის ველზე მოკლულთა და დაჭრილთა (ანდა დაპყრობილი ტერიტორიის მოსახლეობის) ძარცვა; თარეში. ქეგლ. ტ.5.

**მარტვილობა** (მარტვილობისა) – 1. წამება, გვემა (სარწმუნოებისათვის). 2. მარტვილის თავგადასავალი, ცხოვრება, წიგნად დაწერილი. ქეგლ. ტ.5.

**მარტიროლოგ-ი** (მარტიროლოგისა) – სარწმუნოებისათვის (ქრისტიანობისათვის) წამებულთა ცხოვრების აღწერილობათა კრებული. წამებულთა, მარტვილთა ნუსხა. ქეგლ. ტ.5.

**მარტიროლოგია** (მარტიროლოგიისა) [ბერძ. martyros მოწამე, წამებული და logos სიტყვა] – 1. საშუალო საუკუნეებში გავრცელებული სასულიერო ლიტერატურის ერთი სახე – ქრისტიანობისათვის წამებულთა ცხოვრების გადმომცემ ნაწარმოებთა კრებული. 2. ჩამოთვლა იმ დევნა-შევიწროებისა და

ტანჯვა-წამებისა, რაც ვისმე თავს გადახდა. ქეგლ. ტ.5.

**მარქაფა** (მარქაფისა) – სათადარიგო, შემცვლელი. ქეგლ. ტ.5.

**მასა** [ლათ.] – 1. სიდიდე, რომლითაც იზომება ნივთიერების რაოდენობა რაიმე სხეულში; სხეულის ინერციის ზომა მასზე მოქმედი ძალის მიმართ. მთვარის მ. – მასის ერთეული. 2. ცომისებური უფორმო ნივთიერება, შესქელებული ნარევი, რომლისგანაც წარმოიქმნება, კეთდება რამე. ფაიფურის მ. – ქაღალდის მ. 3. მასები – რისამე დიდი რაოდენობა. ჰაერის ცხელი მასები. 4. მთლიანი ჯგუფი ხალხისა, ფართო მოსახლეობა.

**მასა** – სოციოლოგიური აზრით – ადამიანთა ჯგუფი, რომლის შიგნითაც ინდივიდები ერთგვარად კარგავენ თავიანთ ინდივიდუალობას და ურთიერთგავლენის მეოხებით იძენენ მსგავს გრძნობებს, ინსტიტუტებს, მისწრაფებებს, ნებელობით მოძრაობებს.

**მასლაათ-ი** (მასლაათისა) [არაბ. მასლაჰათ "რჩევა", "თათბირი"] – თავის შესაქცევი, გულის გადასაყოლებელი საუბარი, - მუსაიფი, ბაასი. ქეგლ. ტ.5.

**მასლაათობ-ს** (იმასლაათა, უმასლაათნია) – მასლაათი აქვს გაბმული, მასლაათით არის გართული, - მუსაიფობს, ბაასობს. ქეგლ. ტ.5.

**მასონებ-ი** (მასონებისა) – მე-18-19 საუკუნეებში დასავლეთ ევროპასა და რუსეთში არსებული ფარული რელიგიურ-ეთიკური საზოგადოების წევრები, რომლებიც ქადაგებდნენ ადამიანთა იდეურ ძმობასა და ზნეობრივ სრულყოფას; გატაცებული იყვნენ მისტიკით, სიმბოლიკით, მაგიით, - ფრანკ-მასონები. ქეგლ. ტ.5.

**მატაოც-ი** (მატაოცისა) – ვისაც თავისი ყველაფერი უკვირს; ვინც თავისას სხვას ახარბებს; ვინც ყველა-ფერს იოცებს. ქეგლ. ტ.5.

**მატრაბაზობ-ს** – 1. ძველმანებით ვაჭრობს; ჩარჩობს. 2. მატრაკვეცობს; მეტიჩრობს. ქეგლ. ტ.5.

**მატრაკვეცა** (მატრაკვეცასი) – მეტიჩარა, არამკითხე. ქეგლ. ტ.5.

**მატურ-ი** (მატურისა) – საფლავზე დადგმული ქანდაკება, ძეგლი. ქეგლ. ტ.5.

**მატურიან-ი** (მატურიანისა) – რასაც მატური ადგას. ქეგლ. ტ.5.

**მაქინაცია** (მაქინაციისა) [ლათ. machinatio] – არაკეთილ-სინდისიერი ხერხი რაიმე მიზნის მისაღწევად, - ხრიკი. ქეგლ. ტ.5.

**მაქსიმალურ-ი** (მაქსიმალურისა) [ლათ. maximus-იდან ყველაზე მეტი] – მაქსიმუმით აღებული, - უდიდესი, ყველაზე მეტი. მაქსიმალურად – მაქსიმუმამდე, რაც შეიძლება მეტად. ქეგლ. ტ.5.

**მაქსიმუმ-ი** (მაქსიმუმისა) [ლათ. maximum ყველაზე მეტი] – 1. ყველაზე მეტი, უდიდესი რაოდენობა. 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ქეგლ. ტ.5.

**მეგალომანია** (მეგალომანიისა) – განდიდების ბოდვა. ქეგლ. ტ.5.

**მედია** – მასობრივი კომუნიკაციის ბეჭდვითი ან ელექ-ტრონული საშუალება, მათ შორის, ინტერნეტი.

**მედიატორ-ი** (მედიატორისა) – 1. იხ. მედიატორე. 2. მუს. პატარა და თხელი ფირფიტა მანდოლინისა და მისთ. დასაკრავად. ქეგლ. ტ.5.

**მედიატორე** (მედიატორისა) – შუამავალი, მომრიგებელი. ქეგლ. ტ.5.

**მეზალიანს-ი** (მეზალიანსისა) [ფრან. mésalliance] – ძვ. სოციალურად უთანასწორო პირთა ქორწინება. ქეგლ. ტ.5.

**მეთოდ-ი** (მეთოდისა) [ბერძ. methodos გამოკვლევა] – 1. მოვლენის კვლევის ხერხი, - მიდგომა შესასწავლი მოვლენებისადმი, ჭეშმარიტების დადგენის გეგმა-შეწონილი გზა. ქეგლ. ტ.5.

**მელანქოლია** (მელანქოლიისა) [ბერძ. melas შავი და cholē ნაღველი] – ფსიქიური დაავადების ერთი სახე – ახასიათებს ნაღვლიანობა, მოქმედების შეფერხება და აზრთა მსვლელობის მოდუნება. ერთგვარი სულიერი განწყობილება, რომლის დამახასიათე-ბელია მოწყენილობა, ყველაფრისადმი გულგრილო-ბა, უმოქმედობა, მოდუნება. ქეგლ. ტ.5.

**მემორანდუმ-ი** (მემორანდუმისა) [ლათ. memorandum დასახსომებელი] – 1. დიპლომატიური ნოტა, რომელ-შიც აღნიშნულია მთავრობის აზრი ამა თუ იმ საკითხზე. 2. განმარტებითი ხასიათის წერილობითი მოხსენება ამა თუ იმ დაწესებულებისა. ქეგლ. ტ.5.

**მემორიალ-ი** (მემორიალისა) [იტალ. memoriale] – ჩანაწე-რები; დღიური. ქეგლ. ტ.5.

**მემორიალურ-ი** (მემორიალურისა) – (რაიმე მნიშვნელო-ვანი ისტორიული ფაქტის) სამახსოვრო, დასამახსოვ-რებელი. ქეგლ. ტ.5.

**მემტილე** (მემტილისა) – ძვ. იგივეა, რაც მებადე. ქეგლ. ტ.5.

**მემუარებ-ი** (მემუარებისა) [ფრან. mémoires მოგონებანი] – 1. ლიტერატურული ნაწარმოები – წარმოადგენს ავტორის მოგონებებს პირადი ცხოვრების და მისი დროის საზოგადოების შესახებ. 2. ძვ. სამეცნიერო საზოგადოების ან დაწესებულების მიერ გამოცემული შრომათა კრებულის სახელწოდება. ქეგლ. ტ.5.

**მემუარულ-ი** (მემუარულისა) – მემუარების ხასიათისა, მემუარებისა. ქეგლ. ტ.5.

**მენტალობა, მენტალიტეტი** – სულიერი წყობა, კოლექტიური და ინდივიდუალური ცნობიერების სიღრმისეული დონე, რომელიც შეიცავს არაცნობიერსაც, ინდივიდს, ან სოციალური ჯგუფის მზაობა, განწყობა – იმოქმედოს, იაზროვნოს, იგრძნოს და აღიქვას სამყარო გარკვეული სახით. მენტალობა ყალიბდება ტრადიციების, კულტურის, სოციალური სტრუქტურების და ადამიანთა ყოფის მთელი გარემოს მიხედვით.

**მენტორ-ი** (მენტორისა) [ბერძ. Mentōr ოდისევსის ვაჟის ტელემაქის აღმზრდელის სახელი] – 1. ხელმძღვანელი, აღმზრდელი, დამრიგებელი. 2. ირონ. აბეზარი მრჩეველი, დამრიგებელი. ქეგლ. ტ.5.

**მენტორულ-ი** (მენტორულისა): მენტორული ტონი (კილო) მოძღვრული, მასწავლებლური, დამრიგებლობითი ტონი. ქეგლ. ტ.5.

**მეოთხე ხელისუფლება** – მასმედია (პრესა, რადიო, ტელევიზია და ა.შ.).

**მერიტოკრატია** – სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით ნიჭიერთა ხელისუფლება. მოკლე პოლიტ. ლექს.

**მერკანტილიზმი** – გამოჩენის სურვილი, წვრილმანი ანგარიშიანობა. მოკლე პოლიტ. ლექს.

**მერკანტილურ-ი** (მერკანტილურისა) – გადატ. ვაჭრული, ჩარჩული. ქეგლ. ტ.5.

**მეტაფორა** (მეტაფორისა) [ბერძ. metaphora გადატანა] – სიტყვა ან გამოთქმა, რომელიც აზრს აძლევს გადატანით მნიშვნელობას მიმსგავსების, ანალოგიის ან კონტრასტის საფუძველზე. ქეგლ. ტ.5.

**მეტაფრაზ-ი** (მეტაფრაზისა) [ბერძ. metaphrasis] – ლიტერატურული ტექსტის შინაარსის სხვა სიტყვებით გადმოცემა (ჩვეულებრივ – ლექსისა პროზად). ქეგლ. ტ.5.

**მეტაფრასტ-ი** (მეტაფრასტისა) – 1. ლიტერატურული ტექსტის სიტყვასიტყვით გადმომცემი, მთარგმნელი. 2. კომენტატორი. ქეგლ. ტ.5.

**მეტონიმია** (მეტონიმიისა) [ბერძ. metonymia] – ცნებათა ასოციაციის საფუძველზე ერთი სიტყვის მეორე სიტყვით შეცვლა, შენაცვლება. ქეგლ. ტ.5.

**მეტროპოლია** – სახელმწიფო, რომელიც ფლობს დაპყრობილ ქვეყნებს.

**მეცენატ-ი** (მეცენატისა) – მეცნიერებისა და ხელოვნების მდიდარი მფარველი [მდიდარი რომაელი პატრიცის Maecenas-ის სახელის მიხედვით]. ქეგლ. ტ.5.

**მეცნიერ-ი** (მეცნიერისა) – 1. მეცნიერების ამა თუ იმ დარგის სპეციალისტი, - მკვლევარი. 2. ძვ. ვინც იცის რამე, რისამე მცოდნე. 3. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ქეგლ. ტ.5.

**მეცნიერება** (მეცნიერებისა) – ცოდნის სისტემა ბუნების, საზოგადოებისა და აზროვნების განვითარების

კანონზომიერებათა შესახებ; ამგვარი ცოდნის ცალკეული დარგი. ქეგლ. ტ.5.

**მეცნიერი** – ფიზიკური პირი, რომელიც დასაქმებულია საჯარო სამართლის იურიდიულ პირში და უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში აკადემიურ თანამდებობაზე ან სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებაში სამეცნიერო თანამდებობაზე.

**მეხუთე კოლონა** – ფრაზა ეკუთვნის ესპანეთის სამოქალაქო ომის (1939 წ.) მებრძოლ გენერალს, რომელიც 4 სამხედრო კოლონით მადრიდის დალაშქვრას აპირებდა და, გარდა ამისა, იმედი ჰქონდა ქალაქში მაცხოვრებელი “მეხუთე კოლონად” მონათლული მხარდამჭერებისა. ამის შემდეგ “მეხუთე კოლონას” ომის დროს მოღალატესა და მტრის მხარდამჭერს უწოდებენ.

**მიგრაცია** (მიგრაციისა) [ლათ. migratio გადასახლება] – 1. გადასახლება, საცხოვრებელი ადგილის გამოცვლა. 2. პერიოდული ცვლა საცხოვრებელი ადგილისა საზრდოს მოპოვებისა და გამრავლების მიზნით (ფრინველებსა და თევზებში). ქეგლ. ტ.5.

**მიზანთროპ-ი** (მიზანთროპისა) [და არა: მიზანტროპი] – იგივეა, რაც კაცთმოძულე. ქეგლ. ტ.5.

**მიზანთროპია** (მიზანთროპიისა) [ბერძ. misanthropia] – იგივეა, რაც კაცთმოძულეობა. ქეგლ. ტ.5.

**მითოლოგია** (მითოდოლოგიისა) – 1. მითების ერთობლიობა. 2. მეცნიერება მითების შესახებ. ქეგლ. ტ.5.

**მიკიბ-მოკიბვა** (მიკიბ-მოკიბვისა) – სახელი მიკიბ-მოკიბავს ზმნის მოქმედებისა, - არაპირდაპირ, მიხვეულ-მოხვეულად, ნართაულად ლაპარაკი; მიდებ-მოდება. ტყუილის შეკოწიწება; მოჩმახვა. ქეგლ. ტ.5.

**მიკიბ(ულ)-მოკიბულ-ი** (მიკიბ(ულ)-მოკიბულისა) – რაც მიკიბ-მოკიბეს, - არაპირდაპირი, მიხვეულ-მოხვეული, აზნეული, ნართაული (ლაპარაკი); მოჩმახული. ქეგლ. ტ.5.

**მილიტარიზმ-ი** [ლათ.] – გამალებული შეიარაღების რეაქციული, აგრესიული, იმპერიალისტური პოლიტიკა, რომლის მიზანია ახალი ომების მომზადება.

**მილიტარიზმი** – გამალებული შეიარაღებისა და ომისათვის მზადების პოლიტიკა.

**მისია** – 1. საგანგებო დავალება. 2. უმაღლესი დანიშნულება, საპასუხისმგებლო როლი. 3. მუდმივი დიპლომატიური წარმომადგენლობა, რომელსაც სათავეში დესპანი ან საქმეთა რწმუნებული უდგას. 4. ერთი ქვეყნის წარმომადგენლები, რომლებიც იგზავნებიან სხვა ქვეყანაში, სპეციალური მიზნით. მოკლე პოლიტ. ლექს.

**მისტიკ-ი** (მისტიკისა) – მისტიციზმის მიმდევარი. ქეგლ. ტ.5.

**მისტიფიკაცია** (მისტიფიკაციისა) [ბერძ. mystēs საიდუმლეობათა-მცოდნე და ლათ. facere კეთება] – მოტყუება, განზრახ ვისმე შეცდენა. ქეგლ. ტ.5.

**მისტიფიცირებულ-ი** (მისტიფიცირებულისა) – მისტიფიკაციის მსხვერპლი, – მოტყუებული, შეცდომაში შეყვანილი. ქეგლ. ტ.5.

**მობილიზაცია** (მობილიზაციისა) [ფრან. mobilisation, ლათ. mobilis-იდან მოძრავი] – ძალების ან სახსრების თავმოყრა, შეკრება რაიმე მიზნით, რაიმე ამოცანის გადასაწყვეტად. ქეგლ. ტ.5.

**მოგვ-ი** (მოგვისა) – 1. ზოროასტრის სჯულის მღვდელმსახური, ცეცხლმსახურთა ქურუმი. 2. ვარსკლავთმრიცხველი; გრძნეული, მისანი. ქეგლ. ტ.5.

**მოდერნიზაცია** (მოდერნიზაციისა) – გადაკეთება თანამედროვე მოთხოვნისა და გემოვნების მიხედვით; გათანადროულება, განახლება. ქეგლ. ტ.5.

**მოდერნიზებულ-ი** (მოდერნიზებულისა) – რამაც მოდერნიზაცია განიცადა, რასაც მოდერნიზაცია შეეხო. ქეგლ. ტ.5.

**მოდიფიკაცია** (მოდიფიკაციისა) [ლათ. modificatio] – 1. საგნის ან მოვლენის ისეთი სახეცვლილება, როდესაც არ იცვლება მისი არსი. 2. საგანი ან მოვლენა, რომელმაც განიცადა ასეთი სახეცვლილება. ქეგლ. ტ.5.

**მოდული** – 1. დიპლომისშემდგომი განათლების (პროფესიული მზადების) პროგრამის დამოუკიდებელი ბლოკი, რომელიც მოიცავს კონკრეტულ სფეროს და რომელშიც ასახულია მზადების მიზანი, ასათვისებელი საკითხებისა და უნარჩვევების ჩამონათვალი, მზადების ფორმები, მეთოდები და ხანგრძლივობა, მოსალოდნელი შედეგები და შეფასების კრიტერიუმები; 2. სწავლების დამოუკიდებელი თანმიმდევრული ბლოკი, რომელიც აერთიანებს მონათესავე საგნებს. მოდულში განსაზღვრულია საგანთა ურთიერთკავშირები და თანმიმდევრობა. რამდენიმე მოდული შეადგენს სასწავლო გეგმას.

**მოდუს ვივენდი** – ამა თუ იმ საერთაშორისო საკითხზე მიღწეული დროებითი შეთანხმება, რომელსაც მხარეები დებენ მომავალში საბოლოო მოწესრიგების იმედით (ცხოვრების წესი).

**მოესთეტე** (მოესთეტისა) – ვითომ ესთეტი, ცრუ ესთეტი. ქეგლ. ტ.5.

**მოვანება** (მოვანებისა) – ძვ. მთვარის გავსება. ქეგლ. ტ.5.

**მოლაპარაკება** – მშვიდობიანი გზით საქმის მოწესრიგების ხერხი. მოკლე პოლიტ. ლექს.

**მონარქი** (მონარქისა) [ბერძ. monarchos] – სახელმწიფოს ერთპიროვნულად მმართველი (მეფე, იმპერატორი...), ჩვეულებრივ, მემკვიდრეობით. ქეგლ. ტ.5.

**მონარქია** (მონარქიისა) [ბერძ. monarchia ერთხელმწიფება, ერთმპყრობელობა] – სახელმწიფოს მმართველობის დესპოტური ფორმა, როდესაც სახელმწიფოს სათავეში მონარქი დგას. ქეგლ. ტ.5.

**მონარქიზმ-ი** (მონარქიზმისა) – 1. სახელმწიფოს ერთმპყრობელობის სისტემა. 2. მონარქიული მმართველობის მომხრეობა. ქეგლ. ტ.5.

**მონარქისტ-ი** (მონარქისტისა) – მონარქიზმის მიმდევარი. ქეგლ. ტ.5.

**მონარქისტულ-ი** (მონარქისტულისა) – მონარქიზმის ან მონარქისტის დამახასიათებელი. შესაფერი. ქეგლ. ტ.5.

**მონდიალიზმი** – განსაკუთრებული იდეოლოგია, რომელიც ყველა სახელმწიფოსა და ხალხების ერთ მსოფლიო წარმონაქმნში შერწყმას გულისხმობს მსოფლიო მთავრობის ჩამოყალიბებით, რომელსაც თან ახლავს რასობრივი, რელიგიური, ეთნიკური, ნაციონალური და კულტურული საზღვრების განადგურება. არსებობს “მემარცხენე” და “მემარჯვენე” მონდიალიზმი. მემარჯვენე – ატლანტიზმის გლობალიზაციას წარმოადგენს; მემარცხენე – აუცილებ-

ლად მიიჩნევს ევრაზიული სექტორის ჩართვას (ამა თუ იმ საფუძველზე) ერთიან სახელმწიფოში.

**მონოგამია** (მონოგამიისა) [ბერძ. monos ერთი და gamos ქორწინება] – წესი, რომლის თანახმადაც მამაკაცს შეიძლება ჰყავდეს მხოლოდ ერთი ცოლი და დედაკაცს – მხოლოდ ერთი ქმარი, - ერთქორწინება. ქეგლ. ტ.5.

**მონოგრამა** (მონოგრამისა) [ბერძ. monos და gramma ასო] – ორი ან რამდენიმე ასოსაგან შეთხზული ნიშანი. ქეგლ. ტ.5.

**მონოგრაფია** (მონოგრაფიისა) [ბერძ. monos და graphō ვწერ] – ვრცელი მეცნიერული შრომა, რომელშიც გამოკვლეულია ერთი რომელიმე საკითხი. ქეგლ. ტ.5.

**მონოთეიზმ-ი** (მონოთეიზმისა) [ბერძ. monos ერთი და theos ღმერთი] – ერთი ღმერთის აღმსარებლობა, - ერთღმერთობა. ქეგლ. ტ.5.

**მონოთეისტ-ი** (მონოთეისტისა) – მონოთეიზმის მიმდევარი. ქეგლ. ტ.5.

**მონოლითობა** (მონოლითობისა) – ერთიანობა, მთლიანობა, სიმტკიცე, შემჭიდროვება. ქეგლ. ტ.5.

**მონოლითურ-ი** (მონოლითურისა) – 1. მონოლითის ხასიათისა. 2. მთლიანი და მძლავრი. ქეგლ. ტ.5.

**მონოლითურობა** (მონოლითურობისა) – მთლიანობა, მტკიცე ერთიანობა. ქეგლ. ტ.5.

**მონოლოგ-ი** (მონოლოგისა) [ბერძ. monologos] – სიტყვა, რომლითაც პიესის ერთ-ერთი მოქმედი პირი მიმართავს თავის თავს, სხვა მოქმედ პირებს ან მაყურებლებს. ქეგლ. ტ.5.

**მონომან-ი** (მონომანისა) – მონომანიით დაავადებული. ქეგლ. ტ.5.

**მონომანია** (მონომანიისა) [ბერძ. monos ერთი და mania შეშლილობა] – ერთი რომელიმე საგნის ან აზრის ავადმყოფურად ამოჩემება, აკვიატება. ქეგლ. ტ.5.

**მონოპოლია** (მონოპოლიისა) [ბერძ. monos ერთი და pōleō ვყიდი] – რაიმე საგნის წარმოების ან გაყიდვის განსაკუთრებული უფლება.

**მონოპოლია** [ბერძ.] – 1. რაიმე საგნის წარმოებისა და გაყიდვის განსაკუთრებული უფლება. 2. მსხვილი კაპიტალისტური გაერთიანება, რომელიც წარმოიშვა წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციის საფუძველზე მეურნეობის რომელიმე დარგში გაბატონებისა და მაქსიმალური მოგების მიღების მიზნით.

**მონოპოლია** – წარმოების, ვაჭრობის, რეწვის განსაკუთრებული უფლება, რომელიც ერთ პირს, გარკვეულ ჯგუფს ან სახელმწიფოს ეკუთვნის.

**მონოპოლიზაცია** (მონოპოლიზაციისა) – რამეზე მონოპოლიის დამყარება, რამეთი მონოპოლიურად სარგებლობა, რისამე წარმოების ან გაყიდვის უფლების მისაკუთრება. ქეგლ. ტ.5.

**მონოტონია** (მონოტონიისა) [ბერძ. monotonia] – ტონის ან ინტონაციის ერთფეროვნება. ქეგლ. ტ.5.

**მონოტონურ-ი** (მონოტონურისა) – ერთფეროვანი, მოსაწყენი. ქეგლ. ტ.5.

**მონოტონურობა** (მონოტონურობისა) – მონოტონურის თვისება, - ერთფეროვნება, ერთგვარობა. ქეგლ. ტ.5.

**მონოფიზიტობა** (მონოფიზიტობისა) – მეხუთე საუკუნის ბიზანტიაში წარმოშობილი ქრისტიანობის ერთ-ერთი მიმდინარეობა, რომელიც ქრისტეს თვლიდა ღმერთად და არა ღმერთ-კაცად. ქეგლ. ტ.5.

**მონუმენტ-ი** (მონუმენტისა) [ლათ. monumentum] – დიდი ძეგლი. ქეგლ. ტ.5.

**მონუმენტურ-ი** (მონუმენტურისა) – 1. მონუმენტის ხასიათისა, - დიადი, დიდი, გრანდიოზული. 2. საფუძვლიანი, ღრმაშინაარსიანი, სოლიდური. ქეგლ. ტ.5.

**მორალ-ი** (მორალისა) [ლათ. moralis ზნეობრივი] – 1. იმ წესების, ნორმების ერთობლიობა, რომლებიც განსაზღვრავენ ადამიანების ურთიერთ-დამოკიდებულებასა და ყოფა-ქცევას ამა თუ იმ საზოგადოებაში, - ზნეობა. 2. ზნეობრივი დასკვნა, ზნეობრივი გაკვეთილი, რომელიც გამომდინარეობს რაიმესაგან; ზნეობრივი დარიგება, ზნეობრივი სწავლება. ქეგლ. ტ.5.

**მორალი** (ლათ. mores – ზნე-ჩვეულებანი) – საზოგადოებრივი ცნობიერების ერთ-ერთი ფორმა, სოციალური ინსტიტუტი, რ-იც ადამიანთა ქცევის რეგულირების ფუნქციებს ასრულებს საზოგადოებრივი ცხოვრების უკლებლივ ყველა სფეროში. მასობრივი მოქმედების რეგულირების სხვა ფორმებისაგან (სამართლისაგან, საწარმოო-ადმინისტრაციული განრიგისაგან, სახელმწიფო დეკრეტებისაგან, სახალხო ტრადიციებისაგან და ა.შ.). მორალი განსხვავდება თავის მოთხოვნათა დასაბუთებისა და განხორციელების წესით. მორალში საზოგადოებრივი აუცილებლობა, მოთხოვნილებები, საზ-ბის ან კლასის ინტერესები გამოიხატება როგორც სტიქიურად ჩამოყალიბებული და საყოველთაოდ აღიარებული მითითებები და შეფასებები, განმტკიცებული მასობრივი მაგალითის, ჩვევის, ზნეჩვეულების, საზოგადოებრივი აზრის ძალით. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**მორალისტ-ი** (მორალისტისა) – მორალის მქადაგებელი, ზნეობის მასწავლებელი. ირონ. ადამიანი, რომელსაც ჭკუის სწავლება, დარიგება უყვარს. ქეგლ. ტ.5.

**მორალურ-ი** (მორალურისა) – მორალთან დაკავშირებული, მორალის დამახასიათებელი, - ზნეობრივი. ქეგლ. ტ.5.

**მორალური ნორმა** – ზნეობრივ მოთხოვნათა ფორმა. იგი არეგულირებს ადამიანთა ქცევას ზოგადი მითითებებისა და აკრძალვების საშუალებით, რ-ებიც ვრცელდება ერთი ტიპის ქცევებზე. სამართლებრივი ნორმებისაგან განსხვავებით, მორალური ნორმის სანქცირება ხდება არა სახელმწიფო ხელისუფლების მიერ, არამედ ჩვეულებისა და საზოგადოებრივი აზრის ძალით. საზოგადოების ზნეობრივცნობიერებაში მათი ჩამოყალიბება ხდება სტიქიურად და არა ვინმეს მიერ საგანგებო კანონის გამოცემის შედეგად. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**მორალური შეფასება** – სოციალური სინამდვილის სხვადასხვა მოვლენისა და ადამიანთა ქცევების მოწონება ან დაგმობა მათი მორალური ნორმისაგან განსხვავებით, რ-იც მიუთითებს ადამიანებს შეასრულონ გარკვეული ზნეობრივი ქცევა, მ.შ. ადგენს შესაბამისობას ან შეუსაბამობას უკვე განხორციელებულ ქცევასა და ზნეობრივ მოთხოვნას შორის. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**მორატორიუმ-ი** (მორატორიუმისა) [ლათ. moratorius] – დამაყოვნებელი, დამაბრკოლებელი. ქეგლ. ტ.5.

**მორატორიუმი** – საშინაო ან საგარეო ვალდებულებათა შესრულების ვადის გადაწევა, გაგრძელება მთავრობის მიერ, რაიმე საგანგებო მდგომარეობის გამო. იგი სხვადასხვა სახისაა და შეიძლება იყოს საყოველ-

თაო (გენერალური) ან ნაწილობრივი. მოკლე პოლიტ. ლექს.

**მორფ-ი** (მორფისა, მორფის, მორფიმ) – ტკივილის გამაყუჩებელი და ძილის გამომწვევი ნარკოტიკული საშუალება, რომელსაც აკეთებენ ხაშხაშის თავების წვენისაგან [ბერძნული მოთოლოგიის ძილის ღმერთის Morpheios-ის სახელის მიხედვით]. ქეგლ. ტ.5.

**მორფინიზმ-ი** (მორფინიზმისა) – ავადმყოფური მიდრეკილება მორფით გაბრუებისადმი, მორფით დათრობისადმი. ქეგლ. ტ.5.

**მორფინისტ-ი** (მორფინისტისა) – მორფინიზმით დაავადებული, - მორფის ხმარებას მიჩვეული. ქეგლ. ტ.5.

**მოტივ-ი** (მოტივისა) [ფრან. motif] – 1. მოქმედების აღმძვრელი მიზეზი. მოსაზრება, საბუთი, არგუმენტი. 2. მუსიკალური ნაწარმოების ძირითადი ელემენტი, რომელიც მელოდიის საფუძველია. საუბ. – კილო, ჰანგი. 3. სიუჟეტის უმარტივესი შემადგენელი ნაწილი. ქეგლ. ტ.5.

**მოტივაცია** (მოტივაციისა) – 1. რისამე დასამტკიცებლად მოტანილი საბუთების, არგუმენტების სისტემა, - დასაბუთება, მტკიცება. 2. მოტივების ერთობლიობა, რომელიც აპირობებს პიროვნების ასეთ თუ ისეთ ქცევას. ქეგლ. ტ.5.

**მოტივირება** (მოტივირებისა) – რისამე დასამტკიცებლად საბუთების, არგუმენტების მოტანა, - დასაბუთება. ქეგლ. ტ.5.

**მოტივირებულ-ი** (მოტივირებულისა) – რაიმე მოტივის მქონე, - დასაბუთებული. ქეგლ. ტ.5.

**მოქალაქე** (მოქალაქისა) – 1. ამა თუ იმ სახელმწიფოს ქვეშევრდომი, მისი სრულუფლებიანი წევრი, რომელიც სარგებლობს ამ სახელმწიფოს ყველა კონსტიტუციური უფლებით. 2. ქალაქის მცხოვრები. 3. XV-XVIII ს.ს. საქართველოში – ქალაქის, კერძოდ, თბილისის, ვაჭარი ან ხელოსანი, რომელიც ეკუთვნოდა მეფეს, დედოფალს ან ეკლესიას. XIX საუკუნის პირველ ნახევარში და მის შემდეგ გარკვეულ დრომდე – ქალაქის, კერძოდ, თბილისის, მკვიდრთა საშუალო ფენის წარმომადგენელი – წვრილი მოვაჭრე, ხელოსანი და მისთ. ქეგლ. ტ.5.

**მოქალაქეობა** (მოქალაქეობისა) – 1. მოქალაქის უფლებრივი მდგომარეობა, მოქალაქედ ყოფნა; ამა თუ იმ ქვეყნის ქვეშევრდომობა. 2. მოქალაქეები. მოქალაქეობის უფლებას მოიპოვებს – გადატ. საზოგადოებრივ უფლებას მოიპოვებს, საყოველთაოდ მისაღები გახდება. ქეგლ. ტ.5.

**მოქალაქეობრივ-ი** (მოქალაქეობრივისა) – რაც მოქალაქის უფლება-მოვალეობას ეხება; მოქალაქის დამახასიათებელი, - საზოგადოებრივი, სოციალური. მოქალაქეობრივი უფლება დაიმკვიდრა – გადატ. ყველასათვის მისაღები გახდა, საყოველთაოდ დამკვიდრდა. ქეგლ. ტ.5.

**მოქალაქურ-ი** (მოქალაქურისა) – 1. მოქალაქის დამახასიათებელი. 2. საზოგადოებრივი, სოციალური. ქეგლ. ტ.5.

**მოქართულე** (მოქართულისა) – ქართულის კარგი მცოდნე, კარგი ქართულის მოლაპარაკე. ქეგლ. ტ.5.

**მსგეფს-ი** (მსგეფსისა) – ძვ. დროის მონაკვეთი სწორამდე, - კვირა ან წელი. ქეგლ. ტ.5.

**მსოფლმხედველობა** (მსოფლმხედველობისა) – შეხედულებათა, წარმოდგენათა სისტემა სამყაროსა და მის კანონზომიერებებზე, ბუნებისა და საზოგადოების მოვლენებზე. ქეგლ. ტ.5.

**მსოფლშეგრძნობა** (მსოფლშეგრძნობისა) – გრძნობითი ასახვა გარემო ცხოვრებისა თუ ბუნებისადმი დამოკიდებულებისა. ქეგლ. ტ.5.

**მსჯელობა** – აზრი, გამოხატული წინადადების ფორმით, რ-შიც რაღაც მტკიცდება ობიექტების შესახებ და ობიექტურად წარმოადგენს ან ჭეშმარიტს, ან მცდარს. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**მუდო** (მუდოსი), მუდუ (მუდუსი) – კუთხ. (იმერ.) იხ. თხუნელა. ქეგლ. ტ.5.

**მუდრეგ-ი** (მუდრეგისა) – ოხერი, ტიალი, უპატრონო. მუდრეგად ზმნს. ოხრად. ქეგლ. ტ.5.

**მუზა** (მუზისა) [ბერძ. Musa] – 1. ძველ ბერძნულ მითოლოგიაში – მეცნიერებისა და ხელოვნების მფარველი ქალ-ღმერთი. 2. პოეტური შთაგონების წყარო; აგრეთვე – თვით პოეტური შთაგონება, შემოქმედება. ქეგლ. ტ.5.

**მუზმუზელა** (მუზმუზელასი) – ქვეშქვეშა, ეშმაკი, გაქნილი. ქეგლ. ტ.5.

**მუნათ-ი** (მუნათისაა) – ყვედრება, დამადლება რისამე; საყვედური. ქეგლ. ტ.5.

**მუნასიბ-ი** (მუნასიბისა) – ძვ. კაფია, ექსპრომტი. ქეგლ. ტ.5.

**მუნიციპალიტეტ-ი** (მუნიციპალიტეტისა) [გერმ. Munizipalität] – ქალაქის ან სოფლის თვითმმართველობა ზოგიერთ ქვეყანაში. ქეგლ· ტ.5.

**მურაზ-ი** (მურაზისა) – ნდობა, სურვილი, წადილი. გულის მურაზი – გადატ· გულის სიყვარული, გამორჩეული. მურაზს ეწევა – სურვილს შეისრულებს. ქეგლ· ტ.5.

**მურასა** (მურასასი) – ძვირფასი თვლებით მოოჭვილი რამ. ქეგლ· ტ.5.

**მურდალ-ი** (მურდლისა) – უწმინდური, ბინძური, უსუფთაო. მურდლად – ბილწად, უწმინდურად. ქეგლ· ტ.5.

**მუსაფ-ი** (მუსაფისა) – ძვ. მაჰმადიანთა სჯულის წიგნი. ქეგლ· ტ.5.

**მუსუს-ი** (მუსუსისა) – რისამე ხარბად მდომი; მსუნაგი. ქეგლ· ტ.5.

**მუტრიბ-ი** (მუტრიბისა) – ძვ· "ქალი მეჩანგე" (საბა). დამკვრელი, მომღერალი, მოცეკვავე· ქეგლ· ტ.5.

**მუტრუკ-ი** (მუტრუკისა) – 1. ვირის ნაშიერი, - ჩოჩორი. 2. უზრდელი, ხეპრე, ტუტცი ადამიანი. ქეგლ· ტ.5.

**მუფთ-ი** (მუფთისა) [არაბ. მუფთი] – მუსლიმანთა მეცნიერი ღვთისმეტყველი, ყურანის მცოდნე და განმმარტებელი. ქეგლ· ტ.5.

**მუშკ-ი** (მუშკისა) – 1. [Moschhus moschiferus] – პატარა ცხოველი ირმების ოჯახისა; ბინადრობს აღმოსავლეთ და ცენტრალური აზიის მთიან ადგილებში; რქები არ აქვს; მამალს ეშვები ეზრდება. 2. ამ ცხოველის სათესლე ჯირკვლების გამონაყოფი – მურა ფერის მეტად სურნელოვანი ნივთიერება,

რომელიც იხმარება მედიცინასა და პარფიუმერიაში. ქეგლ. ტ.5.

**მუჯირ-ი** (მუჯირისა) – ძვ. ხორბლეულის მნე. სამხ. – ფურაჟის გამგე. ქეგლ. ტ.5.

**მღვარსლავ-ი** (მღვარსლავისა) – გამყვლეფი, გამაღარიბებელი, ცარიელზე დამსმელი. ქეგლ. ტ.5.

**მჩხაბავ-ი** (მჩხაბავისა) – ძვ. "ავად მწერალი" (საბა), - მჯღაბნელი. ქეგლ. ტ.5.

**მწყაზარ-ი** (მწყაზარისა) – ძვ. მეტად ლამაზი, მოხდენილი, მშვენებით სავსე. ქეგლ. ტ.5.

## ნ

**ნააზატებ-ი** (ნააზატებისა) – გააზატებული, "განთავისუფლებული" (დ. ჩუბინ.). ქეგლ. ტ.5.

**ნაარმევ-ი** (ნაარმევისა) – არაპატიოსანი გზით შეძენილი, - არამი. ქეგლ. ტ.5.

**ნაასალ-ი** (ნაასალისა) – ძვ. იგივეა, რაც მეასედი. ქეგლ. ტ.5.

**ნავეზირალ-ი** (ნავეზირალისა) – ძვ. რაც ივეზირეს, - "ნარჩევი" (დ. ჩუბინ.) ნაბჭობი, ნათათბირები. ქეგლ. ტ.5.

**ნავკოსალარ-ი** (ნავკოსალარისა) – ძვ. ხომალდის უფროსი. კაპიტანი. ქეგლ. ტ.5.

**ნაზალიზაცია** (ნაზალიზაციისა) – ნაზალურად, ცხვირისმიერად ქცევა (ბგერისა); ცხვირისმიერი, ნაზალური ელფერის მიცემა (ბგერისათვის). ქეგლ. ტ.5.

**ნაზალურ-ი** (ნაზალურისა) – რაც ცხვირში გამოითქმის, - ცხვირისმიერი (ბგერა). ქეგლ. ტ.5.

**ნაზირ-ი** (ნაზირისა) [არაბ. ნაზირ "მმართველი", "გამგე", "მინისტრი"] – ძვ. 1. სამეფო კარის ერთ-ერთი დიდი მოხელე აღმოსავლეთის ზოგ ქვეყანაში, - მინისტრი. 2. ზედამხედველი; ეკონომი. ქეგლ. ტ.5.

**ნაიბ-ი** (ნაიბისა) [არაბ. ნაიბ "შემცვლელი, მოადგილე, ნაცვალი"] – საერო ან სასულიერო ხელისუფალთა მოადგილე ახლო და შუა აღმოსავლეთის ზოგიერთ ქვეყანაში; მხარის (უბნის) უფროსი ამიერკავკასიის სახანოებში, კერძოდ, აზერბაიჯანში (რუსეთთან შეერთებამდე და ერთ ხანს შეერთების შემდეგაც); ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულის მმართველი შამილის საიმამოში. ქეგლ. ტ.5.

**ნაილაჯობა** (ნაილაჯობისა) – ძვ. ილაჯის გაწყვეტა, გაჭირვება, - ვაინაჩრობა. ქეგლ. ტ.5.

**ნანიზმ-ი** (ნანიზმისა) [ბერძ. nan(n)os-იდან ჯუჯა] – ქონდრისკაცობა. ქეგლ. ტ.5.

**ნასობა** (ნასობისა) – ძვ. ნასის თვისება, - სიავე. უკუთურება; ულამაზობა. ქეგლ. ტ.5.

**ნატო** (ჩრდილოეთ ატლანტიკის ხელშეკრულების ორგანიზაცია) – სამხედრო-პოლიტიკური კავშირი. შეიქმნა 1949 წ. 4 აპრილს აშშ-ის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის. იტალიის, კანადის, ბელგიის, ნიდერლანდების, ლუქსემბურგის, პორტუგალიის, ნორვეგიის, დანიის, ისლანდიის ხელშეკრულების თანახმად. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ნატურალიზაცია** – სახელმწიფოს მიერ უცხოელის მიღება მოქალაქედ, ქვეშევრდომად; სხვა სახელმწიფოს მოქალაქეობის მიღება. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ნაფაზ-ი** (ნაფაზისა) [არაბ. "სუნთქვა", "გადაყლაპვა"] – 1. თამბაქოს ბოლის ფილტვებში ჩაშვება, ჩაყლაპვა. 2. ძვ. "გულზე ხიხინი", სუნთქვის შეკვრა. ქეგლ. ტ.5.

**ნაყიშ-ი** (ნაყიშისა) – 1. ძვ. ნაკლი, ზადი. 2. ნაკლული (გვერდი). ქეგლ. ტ.5.

**ნაციონალიზაცია** – კერძო საკუთრების სახელმწიფო საკუთრებად გადაქცევა უსასყიდლოდ. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ნაციონალიზმ-ი** – დამონებულ და დამოკიდებულ ქვეყნებში სახალხო მოძრაობა, რომლის მიზანია თავისი ეროვნული დამოუკიდებლობის მოპოვება.

**ნაციონალიზმი** – რწმენა ან თეორია იმის შესახებ, რომ ყოველ ხალხს, რომელიც ცალკე ერს წარმოადგენს, აქვს დამოუკიდებელი სახელმწიფოს შექმნის უფლება.

**ნაციონალიზმი** – ეროვნული განკერძოებულობისა და განსაკუთრებულობის, სხვა ერებისადმი უნდობლობისა და ეროვნებათაშორისი მტრობის ქადაგებაში მდგომარეობს. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**ნაციონალ-სოციალიზმი** – გერმანული ფაშიზმის ავტორიტარული, ტოტალიტარული და იმპერიალისტური დოქტრინა, რომლის ავტორია ა. ჰიტლერი და მისი მიმდევრები.

**ნეიტრალიზმი** – იმ სახელმწიფოების პოლიტიკა, რომლებმაც სხვა სახელმწიფოებთან ურთიერთობის საფუძვლად ნეიტრალიტეტი გამოაცხადეს. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ნეიტრალიტეტ-ი** (ნეიტრალიტეტისა) – ნეიტრალური მდგომარეობა; ჩაურევლობა ომში, რომელიც სხვა სახელმწიფოებს შორის წარმოებს. ქეგლ. ტ.5.

**ნეიტრალიტეტი** – სახელმწიფოს ისეთი საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსი, როდესაც იგი არ ერევა ქვეყნებს შორის ომში და ინარჩუნებს მათთან მშვიდობიან ურთიერთობებს, ან იღებს ვალდებულებას არ მიეხმაროს რომელიმე მათგანს (მაგ. შვეიცარია).

**ნეიტრალიტეტი** – 1. ჩაურევლობა უთანხმოებაში, ბრძოლაში ორ მხარეს შორის; 2. სახელმწიფოს განსაკუთრებული სამართლებრივი სტატუსი, რომლის საგარეოპოლიტიკური კურსი ხასიათდება შეიარაღებულ კონფლიქტებში და სამხედრო პოლიტიკურ კავშირებში ჩაურევლობით. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ნეოატლანტიზმი** – ატლანტიზმის თანამედროვე ვერსია. უარყოფს მონდიალიზმს (მის მემარჯვენე მიმართულებასაც კი) როგორც მოცემულ პირობებში ნაადრევ და განუხორციელებელ პროექტს. მიაჩნია, რომ ერთიანი მსოფლიოს ნაცვლად ცივილიზაციათა შეჯახება მოხდება (ს. ჰანთინგტონი).

**ნეოფობ-ი** (ნეოფობისა) – ვისაც ეშინია ყოველგვარი სიახლისა. ქეგლ. ტ.5.

**ნეოფობია** (ნეოფობიისა) [ბერძ. neos ახალი და phóbos შიში] – შიში ყოველგვარი სიახლისა. ქეგლ. ტ.5.

**ნინველ-ი** (ნინველისა), ნინველა (ნინველასი) – ძვ. ყმაწვილი ვაჟი ან ქალი ათი-თხუთმეტი წლის ასაკისა, - ყრმა. ქეგლ. ტ.5.

**ნირვანა** (ნირვანისა) [სანსკრ. nirvāna გაქრობა] – 1. ბუდიზმის მიხედვით სრული განცხრობა, ადამიანური ზრუნვისა და მისწრაფებებისაგან მთლად

განთავისუფლება და მით ღვთაებასთან შეერთება. 2. ძვ. პოეტ. გადატ. არარსებობა, სიკვდილი. ქეგლ. ტ.5.

**ნიჰილიზმ-ი** (ნიჰილიზმისა) – 1. ყველაფრის დაუსაბუთებელი უარყოფა, ლოგიკურად გაუმართლებელი სკეპტიციზმი. 2. ნიჰილისტის აზრები. ქეგლ. ტ.5.

**ნიჰილიზმ-ი** [ლათ. -იდან] – ყველაფრის ხელაღებით უარყოფა.

**ნიჰილიზმი** – რაიმეს აბსოლუტური უარყოფა.

**ნოინ-ი** (ნოინისა) – მონღოლების (თათრების) მიერ დაპყრობილი ტერიტორიების გარკვეული ადმინისტრაციული ერთეულის მმართველი. ქეგლ. ტ.5.

**ნორმა** – 1. რისამე დაწესებული რაოდენობა; საშუალო სიდიდე, 2. დაკანონებული, სავალდებულო წესი რისამე; რაც აუცილებლად უნდა შესრულდეს.

**ნორმა** – დანაწესი, წესი, რაიმეს შესახებ დასკვნისა და შეფასების საზომი.

**ნორმალიზაცია** (ნორმალიზაციისა) – (რისამე) ნორმისადმი დაქვემდებარება; ნორმალურად გახდომა. ქეგლ. ტ.5.

**ნოტ-ი** (ნოტისა) [ლათ. nota ნიშანი] – 1. გრაფიკული გამოხატულება მუსიკალური ბგერისა. 2. ასეთი ნიშნების საშუალებით ჩაწერილი მუსიკალური ნაწარმოების ტექსტი. რვეული (დავთარი), რომელიც შეიცავს ასეთი ნიშნებით ჩაწერილ მუსიკალურ ნაწარმოებს. 3. თვით ბგერა მუსიკაში, სიმღერაში. ქეგლ. ტ.5.

**ნოტა** (ნოტისა) [ლათ. nota ნიშანი, შენიშვნა] – დიპლომატიური მიმართვა ერთი ქვეყნისა მეორისადმი. ქეგლ. ტ.5.

**ნოტაბენე** (ნოტაბენისა) [ლათ. nota bene შენიშნე კარგად] – 1. ნიშანი NB, რომელიც ისმება ისეთ ადგილას, ისეთ სიტყვასთან ტექსტში (ისეთ ტექსტზე, დოკუმენტზე), რომელსაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს. 2. სასკოლო ნიშანი გაფრთხილებისა (მოუსწრებლობის ან ცუდი ყოფაქცევის გამო). ქეგლ. ტ.5.

**ნოტაცია** (ნოტაციისა) [ლათ. notatio შენიშვნა] – წერილობითი ხასიათის პირობითი ნიშნების სისტემა, რომელიც მიღებულია ამა თუ იმ დარგში. ქეგლ. ტ.5.

**ნოტიფიკაცია** (ნოტიფიკაციისა) – ვინმესთვის (რომელიმე სახელმწიფოსთვის) ნოტით, ოფიციალურად შეტყობინება რისამე. ქეგლ. ტ.5.

**ნოუ-ჰაუ** – ინფორმაციის აღსანიშნავი ტერმინი. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ნულიფიკაცია** (ნულიფიკაციისა) – ძალის, მნიშვნელობის დაკარგვა (რამესთვის), გაუქმება (რისამე). ქეგლ. ტ.5.

**ნუნციუსი** – რომის პაპის წარმომადგენელი რომელიმე სახელმწიფოს მთავრობასთან. მოკლე პოლიტ. ლექს.

## ო

**ობიექტური** – ობიექტის კუთვნილი ან ობიექტით განსაზღვრული. რეალურ ობიექტებთან მიმართებაში ეს ცნება აღნიშნავს, რომ საგნები, თვისებები და ურთიერთობები არსებობენ სუბიექტის გარეთ და მისგან დამოუკიდებლად. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲣᲠᲘ ᲠᲔᲐᲚᲝᲑᲐ** – მთელი მატერიალური სამყარო ყველა მის გამოვლინებასა და ფორმაში. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**ᲝᲑᲘᲔᲥᲢᲣᲠᲘ ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲔᲑᲐ** – ადამიანური ცოდნის ისეთი შინაარსი, რ-იც არ არის დამოკიდებული სუბიექტის ნებისყოფასა და სურვილზე. ჭეშმარიტება არ კონსტრუირდება ადამიანთა ნებისყოფისა და სურვილის მიხედვით, არამედ განისაზღვრება ასასახავი საგნის შინაარსით, რაც განაპირობებს მის ობიექტურობას. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**ᲝᲑᲘᲕᲐᲢᲔᲚ-Ი** (ობივატელისა) [რუს. обыватель მუდმივი მცხოვრები] – საზოგადოებრივ თვალსაზრისს მოკლებული, წვრილმანი ინტერესების მქონე, მეშჩანური შეხედულებების ადამიანი. ქეგლ. ტ.6.

**ᲝᲑᲡᲙᲣᲠᲐᲜᲢ-Ი** (ობსკურანტისა) [ლათ. obscurans დამაბნელებელი] – მეცნიერებისა და სწავლა-განათლების მტერი, - ბნელეთის მოციქული. ქეგლ. ტ.6.

**ᲝᲑᲡᲙᲣᲠᲐᲜᲢᲘᲖᲛ-Ი** (ობსკურანტიზმისა) – უკიდურესად მტრული დამოკიდებულება მეცნიერებისა და სწავლა-განათლებისადმი, -ბნელეთის მოციქულობა. ქეგლ. ტ.6.

**ᲝᲑᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐ** (ობსტრუქციისა) [ლათ. obstructio დაბრკოლება] – პროტესტის ნიშნად კრების, სხდომის განზრახ ჩაშლა ხმაურით, კამათის გაჭიანურებითა და სხვა საშუალებებით. ქეგლ. ტ.6.

**ᲝᲑᲡᲢᲠᲣᲥᲪᲘᲐ** – 1. სხდომის, კრების ვისიმე გამოსვლის ჩაშლა წამოძახილებით, ხმაურით; 2. პროტესტის გამოხატვის ხერხი, საპარლამენტო ბრძოლის ერთ-ერთი საშუალება. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ᲝᲕᲡᲘᲚᲐ** (ოვსილისა) – ძვ. საუბ. ძალა, ღონე, ნიათი. ქეგლ. ტ.6.

**ᲝᲙᲣᲞᲐᲪᲘᲐ** – რომელიმე სახელმწიფოს შეიარაღებული ძალების მიერ სხვა ქვეყნის ტერიტორიის დროებითი დაკავება. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ᲝᲚᲘᲒᲐᲠᲥᲘᲐ** – ძალაუფლების მქონე ვიწრო წრის პირთა, გვარების, ოჯახებისა და ჯგუფების ბატონობა.

**ᲝᲚᲘᲛᲞ-Ი** (ოლიმპისა) [ბერძ. Olympos] – ბერძნულ მითოლოგიაში ღმერთთა კრებული [საბერძნეთის იმ მთის სახელწოდებიდან, რომელიც, ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ღმერთთა სამყოფელს წარმოადგენდა]. ქეგლ. ტ.6.

**ᲝᲚᲘᲛᲞᲔᲚ-Ი** (ოლიმპელისა) – 1. ბერძნულ მითოლოგიაში – ოლიმპის მთაზე მყოფი ღმერთი. 2. გადატ. დარბაისელი, ძლიერ მშვიდი და დინჯი ადამიანი. ამპარტავანი, მიუკარებელი, ქედმაღალი. ქეგლ. ტ.6.

**ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲐᲓᲐ** (ოლიმპიადისა) [ბერძ. Olympias] – 1. წელთაღრიცხვის ერთეული ძველ საბერძნეთში – ოთხწლიანი პერიოდი ოლიმპიურ თამაშობათა შორის. 2. ოლიმპიური ასპარეზობა. ქეგლ. ტ.6.

**ᲝᲚᲘᲛᲞᲣᲠ-Ი** (ოლიმპურისა) – 1. ოლიმპელის დამახასიათებელი, ოლიმპელის შესაფერი. 2. გადატ. დინჯი, ძლიერ მშვიდი, აღუშფოთებელი. ქეგლ. ტ.6.

**ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ** (ოპოზიციისა) [ლათ. oppositio დაპირისპირება, წინააღმდეგობა] – წინააღმდეგ მოქმედება, წინააღმდეგობა; საკუთარ შეხედულებათა, პოლიტიკის დაპირისპირება სხვა შეხედულებათა ან პოლიტიკისადმი. ქეგლ. ტ.6.

**ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲐ** (საპარლამენტო) – პირთა ჯგუფი ან პარტია, რომელიც არ მონაწილეობს მთავრობის შედგენაში და რიგ საკითხში მისი პოლიტიკის წინააღმდეგ გამოდის.
ოპოზიცია (შიდაპარტიული) – დაჯგუფებები, რომლებიც პოლიტიკის პრინციპულ საკითხებში არ ეთანხმებიან პარტიის და მისი ხელმძღვანელი ორგანოების პოლიტიკას. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲝᲜᲔᲠ-Ი** (ოპოზიციონერისა) – ოპოზიციაში მდგომი (ვისიმე ან რისამე მიმართ). ქეგლ. ტ.6.

**ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲝᲜᲔᲠᲝᲑ-Ს** – ოპოზიციონერია; ოპოზიციონერად მოაქვს თავი. ქეგლ. ტ.6.

**ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲝᲜᲔᲠᲝᲑᲐ** (ოპოზიციონერობისა) – ოპოზიციონერად ყოფნა. ქეგლ. ტ.6.

**ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲝᲜᲔᲠᲣᲚ-Ი** (ოპოზიციონერულისა) – ოპოზიციონერის დამახასიათებელი, ოპოზიციონერის შესაბამისი. ქეგლ. ტ.6.

**ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲣᲠ-Ი** (ოპოზიციურისა) – ოპოზიციის ხასიათისა. ქეგლ. ტ.6.

**ᲝᲞᲝᲖᲘᲪᲘᲣᲠᲝᲑᲐ** (ოპოზიციურობისა) – ოპოზიციური ხასიათის ქონა. ქეგლ. ტ.6.

**ᲝᲞᲝᲜᲔᲜᲢ-Ი** (ოპონენტისა) [ლათ. opponens მოკამათე] – მოწინააღმდეგე პაექრობის დროს, - მოკამათე. ოფიციალური ოპონენტი სამეცნიერო დისპუტში (მაგალითად, დისერტაციის დაცვის დროს) მონაწილეობისათვის წინასწარ გამოყოფილი პირი. ქეგლ. ტ.6.

**ᲝᲞᲝᲠᲢᲣᲜᲘᲖᲛᲘ** – უპრინციპობა, ყველა სიტუაციასთან შეგუების მზადყოფნა, თავის მოთხოვნილებათა მინიმალური ძალისხმევით დაკმაყოფილების მიზნით.

**ᲝᲞᲢᲐᲪᲘᲐ** (ოპტაციისა) [ლათ. optatio სურვილი] – ქვეშევრდომობის, მოქალაქეობის ამორჩევა; ასეთი უფლება, ჩვეულებრივ, ენიჭება იმ ტერიტორიის მცხოვრებთ, რომელიც ერთი სახელმწიფოდან მეორის მფლობელობაში გადავიდა. ქეგლ. ტ.6.

**ᲝᲞᲢᲘᲛᲐᲚᲣᲠ-Ი** (ოპტიმალურისა) [ლათ. optimus-იდან საუკეთესო] – ყველაზე ხელსაყრელი, ყველაზე სასურველი. ქეგლ. ტ.6.

**ᲝᲞᲢᲘᲛᲘᲖᲛ-Ი** (ოპტიმიზმისა) [ფრან. optimisme, ლათ. optimus-იდან საუკეთესო] ფილოსოფიური თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც ცხოვრება უკეთესისაკენ ვითარდება, ბოროტს ძლევს კეთილი. ცხოვრებაში კარგი მხარის დანახვა, მომავლის რწმენის ქონა, - იმედიანობა. ქეგლ. ტ.6.

**ᲝᲞᲢᲘᲛᲘᲖᲛᲘ ᲓᲐ ᲞᲔᲡᲘᲛᲘᲖᲛᲘ** (ლათ. optimus – საუკეთესო, pessimus – ყველაზე უარესი) – მოვლენათა მსვლელობისადმი ორი ურთიერთსაპირისპირო დამოკიდებულება. ოპტიმიზმი არის უკეთესი მომავლის, ბოროტზე კეთილის გამარჯვების რწმენა; პესიმიზმი კი ვლინდება შეხედულებებში, რ-თა მიხედვით მოვლენები ვითარდებიან უარესობისაკენ; იგი ვლინდება დაცემულობის განწყობილებაში, სიკეთისა და სამართლიანობის გამარჯვების რწმენის უქონლობაში. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**ᲝᲞᲢᲘᲛᲘᲡᲢ-Ი** (ოპტიმისტისა) – ფილოსოფიური ოპტიმიზმის მიმდევარი. ვინც ცხოვრებაში კარგ მხარეს ხედავს, - იმედიანი, მომავლის რწმენით გამსჭვალული ადამიანი. ქეგლ. ტ.6.

**ᲝᲞᲢᲘᲛᲘᲡᲢᲣᲠ-Ი** (ოპტიმისტურისა) – ოპტიმიზმის ხასიათისა, ოპტიმიზმით გამსჭვალული, -იმედიანი, ხალისიანი. ქეგლ. ტ.6.

**ᲝᲠᲐᲙᲣᲚ-Ი** (ორაკულისა) [ლათ. oraculum, oro-დან ვამბობ] – 1. ძველ საბერძნეთში, რომში და ძველი აღმოსავლეთის ქვეყნებში – წინასწარმეტყველება, რომელსაც თითქოს ღმერთი შთააგონებდა ქურუმებს. 2. ადგილი, სადაც ასეთი წინასწარმეტყველება წარმოებდა. 3. ირონ. გადატ. ვინც მომავლის შესახებ წინასწარმეტყველებას იჩემებს. ქეგლ. ტ.6.

**ᲝᲠᲐᲜ-Ი** (ორანისა) – "სამყოფლო, ჭაჭანება" (კ. გამს.). ქეგლ. ტ.6.

**ᲝᲠᲐᲢᲝᲠ-Ი** (ორატორისა) [ლათ. orator] – ვინც საჯაროდ სიტყვას წარმოთქვამს. ვისაც საჯაროდ სიტყვის თქმა ემარჯვება, - მჭერმეტყველი. ქეგლ. ტ.6.

**ᲝᲠᲐᲢᲝᲠᲝᲑ-Ს** – ორატორად გამოდის, - საჯაროდ სიტყვებს ამბობს. ქეგლ. ტ.6.

**ᲝᲠᲐᲢᲝᲠᲣᲚ-Ი** (ორატორულისა) – ორატორის დამახასიათებელი, - მჭევრმეტყველური. ქეგლ. ტ.6.

**ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠ-Ი** (ორგანიზატორისა) [ფრან. organisateur] – ვინც აორგანიზებს, ორგანიზაციის მომწყობი, რაიმე საქმის წამომწყები და ხელმძღვანელი. ქეგლ. ტ.6.

**ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲢᲝᲠᲣᲚ-Ი** (ორგანიზატორულისა) – ორგანიზატორის დამახასიათებელი, ორგანიზატორის შესაფერი. ქეგლ. ტ.6.

**ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲐ** (ორგანიზაციისა) [ფრან. organisation] – 1. სისტემაში მოყვანა, მოწესრიგება, მოწყობა. 2. გარკვეული მიზნით გაერთიანებულ ადამიანთა ჯგუფი, საზოგადოებრივი გაერთიანება, კავშირი;

სახელმწიფოებრივი დაწესებულება. 3. აგებულება, შემადგენელ ნაწილთა განლაგება და ურთიერთ-მიმართება. ქეგლ. ტ.6.

**ორგანიზებულ-ი** (ორაგნიზებულისა) – ვისი ან რის ორგანიზებაც მოახდინეს, - გაერთიანებული, დარაზმული, მოწესრიგებული. ქეგლ. ტ.6.

**ორგანიზებულობა** (ორგანიზებულობისა) – ორგანიზებულის თვისება; ორგანიზებულად ყოფნა, - დარაზმულობა. ქეგლ. ტ.6.

**ორთოგრამა** (ორთოგრამისა) [ბერძ. orthos სწორი და gramma ნაწერი] – დაწერილობა, რომელშიაც ორთოგრაფიის რომელიმე წესია გამოყენებული. ქეგლ. ტ.6.

**ორთოგრაფია** (ორთოგრაფიისა) [ბერძ. orthos სწორი და graphō ვწერ] – იგივეა, რაც მართლწერა. ქეგლ. ტ.6.

**ორთოდოქს-ი** (ორთოდოქსისა) – ორთოდოქსის მიმდევარი, ორთოდოქსულ შეხედულებათა მქონე ადამიანი, - რომელიმე მოძღვრების განუხრეულად, თანმიმდევრულად დამცველი. ქეგლ. ტ.6.

**ორთოდოქსია** (ორთოდოქსიისა) [ბერძ. orthodoxia: orthos სწორი და doxa შეხედულება] – რომელიმე მოძღვრების განუხრელად, თანმიმდევრულად დაცვა. ქეგლ. ტ.6.

**ორთოეპია** (ორთოეპიისა) [ბერძ. orthos სწორი და epos მეტყველება] – იგივეა, რაც მართლმეტყველება. ქეგლ. ტ.6.

**ᲝᲠᲘᲒᲘᲜᲐᲚ-Ი** (ორიგინალისა) [originalis-იდან თავდაპირვე-ლი] – 1. ნამდვილი, თავდაპირველი, - დედანი. ქეგლ. ტ.6.

**ᲝᲠᲘᲒᲘᲜᲐᲚᲝᲑ-Ს** – ორიგინალად ყოფნას ცდილობს, ორიგინალად მოაქვს თავი. ქეგლ. ტ.6.

**ᲝᲠᲘᲒᲘᲜᲐᲚᲝᲑᲐ** (ორიგინალობისა) – 1. ორიგინალის თვისება, ორიგინალად ყოფნა. 2. თავისებურობა, განსაკუთრებულობა. ქეგლ. ტ.6.

**ᲝᲠᲘᲒᲘᲜᲐᲚᲣᲠ-Ი** (ორიგინალურისა) – 1. ორიგინალის ხასიათისა, - ნამდვილი, თავდაპირველი. 2. არანა-თარგმნი, არანასესხები, დამოუკიდებლად შექმნილი (ნაწარმოები...). ორიგინალურად – ისე, როგორც ორიგინალურს შეჰფერის, - თავისებურად. 3. თავისე-ბური, განსაკუთრებული. ქეგლ. ტ.6.

**ᲝᲠᲘᲒᲘᲜᲐᲚᲣᲠᲝᲑᲐ** (ორიგინალურობისა) – ორიგინალურის თვისება, ორიგინალური ხასიათის ქონა. ქეგლ. ტ.6.

**ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲐᲚᲣᲠ-Ი** (ორიენტალურისა) [ლათ. orientalis-იდან] – აღმოსავლური. ქეგლ. ტ.6.

**ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐ** (ორიენტაციისა) [ფრან. orientation, ლათ. oriens-იდან აღმოსავლეთი] – 1. სივრცეში ადგილ-მდებარეობის გარკვევა (თავდაპირველად აღმოსავ-ლეთის მიმართ ხდებოდა). 2. გადატ. გარემომცველ პირობებში, გარემოებებში გარკვევა. ქეგლ. ტ.6.

**ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲐᲪᲘᲐ** – 1. მიმდინარე მოვლენებში, ვითარებებში გარკვევის უნარი; 2. გარკვეული მიმართულება პოლიტიკაში, მოღვაწეობაში, რაიმეს ან ვინმეს მიმდევრობა. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲘᲠ-Ი** (ორიენტირისა) – 1. მიმთითებელი, მაჩვე-ნებელი. 2. რისამე თვალსაჩინო საგანი (ხე, შენობა,

გორაკი...), რომელიც გვშველის სივრცეში ორიენტაციაში. ქეგლ. ტ.6.

**ᲝᲠᲘᲔᲜᲢᲘᲠᲔᲑᲐ** (ორიენტირებისა) – ორიენტაციის მოხდენა. ქეგლ. ტ.6.

**ᲝᲢᲠᲝᲕᲔᲚᲐ** (ოტროველასი) – ხეპრე, ტლანქი, მოუხეშავი; რეგვენი, შეუსმენელი, შეუგნებელი ადამიანი. ქეგლ. ტ.6.

**ᲝᲤᲘᲪᲘᲐᲚᲣᲠ-Ი** (ოფიციალურისა) [ლათ. officialis თანამდებობრივი] – 1. ხელისუფლების მიერ მიღებული, დაკანონებული; ხელისუფლების ან მისი რომელიმე ორგანოსაგან მომდინარე, - თანამდებობრივი, სამსახურებრივი. 2. რაც ყველა წესის, ყველა ფორმალობის დაცვით ხდება. 3. თავშეკავებული, ცივი; უშუალობას, უბრალოებას მოკლებული. ქეგლ. ტ.6.

**ᲝᲤᲘᲪᲘᲝᲖ-Ი** (ოფიციოზისა) [გერმ. offiziös, ლათ. officiosus-იდან სამსახურის გამწევი, მაამებელი] – ბეჭდვითი ორგანო (გაზეთი, ჟურნალი), რომელიც მთავრობის ოფიციალურ ორგანოდ არ ითვლება, მაგრამ მთავრობის თვალსაზრისს გამოხატავს. ქეგლ. ტ.6.

**ᲝᲤᲘᲪᲘᲝᲖᲣᲠ-Ი** (ოფიციოზურისა) – ნახევრად ოფიციალური, ფორმალურად მთავრობისაგან დამოუკიდებელი, მაგრამ ფაქტობრივად მთავრობის შეხედულებათა გამომხატველი. ქეგლ. ტ.6.

**ᲝᲥᲛ-Ი** (ოქმისა) [არაბ. ჰუქმ "ბრძანება", "დადგენილება", "განაჩენი"] – დოკუმენტი, რომელშიაც აღწერილია კრების, სხდომის, დაკითხვის... მსვლელობა და დადგენილებანი. ქეგლ. ტ.6.

**ᲝᲮᲚᲝᲙᲠᲐᲢᲘᲐ** – მასის, ბრბოს ბატონობა; დემოკრატიის გაუკუღმართებული ფორმა (არისტოტელე).

**ᲝᲯᲐᲮᲘ** – საზ-ბის უჯრედი (მცირე სოციალური ჯგუფი), პირადი ცხოვრების ორგანიზაციის უმნიშვნელოვანესი ფორმა, რ-იც ემყარება ცოლქმრულ კავშირსა და ნათესაურ კავშირებს, ე.ი. მრავალგვარ ურთიერთობებს ქმარსა და ცოლს, მშობლებსა და შვილებს, ძმებსა და დებს და სხვა ნათესავთა შორის, რ-ებიც ერთად ცხოვრობენ და საერთო მეურნეობას ეწევიან. ფილოსოფ. ლექს. 1987.

პ

**ᲞᲐᲒᲐᲜᲘᲖᲛ-Ი** (პაგინიზმისა) [ლათ. paganus-იდან წარმართი. სიტყვა-სიტყვით: სოფლელი] – წარმართობა, კერპთაყვანისმცემლობა. ქეგლ. ტ.6.

**ᲞᲐᲒᲘᲜᲐᲪᲘᲐ** (პაგინაციისა) [ლათ. pagina-დან გვერდი] – წიგნის ან ხელნაწერის გვერდების ნუმერაცია. ქეგლ. ტ.6.

**ᲞᲐᲔᲥᲠᲝᲑᲐ** (პაექრობისა) [სპარ. "ბრძოლა", "ომი"] – სახელი პაექრობს ზმნის მოქმედებისა: 1. კამათი, მსჯელობა. 2. ბრძოლა პირველობისათვის, შეჯიბრება. ქეგლ. ტ.6.

**ᲞᲐᲗᲔᲢᲘᲙᲐ** (პათეტიკისა) – პათოსის, პათეტიკური ტონის მქონებლობა. ქეგლ. ტ.6.

**ᲞᲐᲗᲔᲢᲘᲙᲣᲠ-Ი** (პათეტიკურისა) [ბერძ. pathetikos-იდან გრძნობით აღსავსე] – პათოსით სავსე, - ამაღელვებელი, მგზნებარე, ვნებიანი. ქეგლ. ტ.6.

**ᲞᲐᲗᲝᲡ-Ი** (პათოსისა) [ბერძ. pathos გრძნობა, ვნება] – ძლიერი აღფრთოვანება, აღმაფრენა, აგზნება, ენთუზიაზმი. ქეგლ. ტ.6.

**პალიტრა** (პალიტრისა) [ფრან. palette] – გადატ. ხელოვნების მუშაკის (მხატვრის, პოეტის...) გამომხატველობით საშუალებათა ერთობლიობა. ქეგლ. ტ.6.

**პამპლაუქობა** (პამპლაუქობისა) – სახელი პამპლაუქობს ზმნის მოქმედებისა, - მეტიჩრობა, ყოყლოჩინობა, ბაქიაობა. ქეგლ. ტ.6.

**პამფლეტ-ი** (პამფლეტისა) [ინგ. pamphlet] – რაიმე საჭირბოროტო საკითხის შესახებ დაწერილი სატირული ნაწარმოები (სტატია, ბროშურა...), რომელშიაც გაკიცხულია ცალკეული პიროვნება ან საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების რომელიმე მხარე. ქეგლ. ტ.6.

**პამფლეტისტ-ი** (პამფლეტისტისა) – ვინც პამფლეტებს წერს; პამფლეტის ავტორი. ქეგლ. ტ.6.

**პანაცეა** (პანაცეისა) [ბერძ. panakeia ყველაფრის განმკურნებელი; ძველი ბერძნული ქალღმერთის სახელის მიხედვით] – 1. ისტ. ალქიმიკოსთა წამალი, რომელიც თითქოს ყველა ავადმყოფობას კურნავდა. 2. გადატ. უებარი საშუალება, რომელიც თითქოსდა ყველა შემთხვევაში გვიშველის. ქეგლ. ტ.6.

**პანდემია** – გადამდები დაავადების უჩვეულოდ ფართო (რამდენიმე ქვეყნის, კონტინენტის ან მსოფლიოს მასშტაბით) გავრცელება, რომელიც მოიცავს მოსახლეობის მნიშვნელოვან ნაწილს.

**პანეგირიკ-ი** (პანეგირიკისა) [ბერძ. panēgyrikos] – 1. ძველ ბერძნებთან და რომაელებთან – ხოტბის შემსხმელი ორატორული სიტყვა. 2. ხოტბა; გადაჭარბებული ქება-დიდება. ქეგლ. ტ.6.

**პანეგირისტ-ი** (პანეგირისტისა) – 1. პანეგირიკის ავტორი. 2. გადაჭარბებით მაქებარი, მეხოტბე. ქეგლ. ტ.6.

**პანთეიზმ-ი** (პანთეიზმისა) [ბერძ. pan ყველაფერი და theos ღმერთი] – ფილოსოფიური მოძღვრება, რომელიც ღმერთს აიგივებს ბუნებასთან; ღმერთი ბუნების შექმნელად, მის გარეთ მყოფად კი არ არის მიჩნეული, არამედ იგი განუყოფელია ბუნებისაგან და მასში ვლინდება. ქეგლ. ტ.6.

**პანთეონ-ი** (პანთეონისა) [ბერძ. pan ყველა და theos ღმერთი] – 1. ძველ რომში ყველა ღმერთის სახელზე აგებული ტაძარი. 2. რომელიმე პოლითეისტურ რელიგიაში – ღმერთების ერთობლიობა. ქეგლ. ტ.6.

**პანიკა** (პანიკისა) [ბერძ. panikos მითოლოგიური ტყის ღმერთის პანის სახელწოდებიდან] – თავზარდამცემი შიში, შეძრწუნება, რომელიც, ჩვეულებრივ, ადამიანთა მთელ ჯგუფს შეიპყრობს. ქეგლ. ტ.6.

**პანიკიორ-ი** (პანიკიორისა) – ვინც პანიკას ეძლევა, პანიკის ამყოლი; პანიკის შემქმნელი. ქეგლ. ტ.6.

**პანლოგიზმი** (ბერძნ. pan – ყველაფერი და logos – მოძღვრება, სიტყვა, აზრი) – ობიექტურ-იდეალისტური დოქტრინა ყოფიერებისა და აზროვნების იგივეობის შესახებ, რ-ის მიხედვით ბუნებისა და საზოგადოების მთელი განვითარება წარმოადგენს მსოფლიო გონის, აბსოლუტური იდეის ლოგიკური მოღვაწეობის განხორციელებას. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**პანორამა** (პანორამისა) [ბერძ. pan ყველაფერი და horama ხედი, სანახაობა] – 1. რაიმე მიდამოს, ადგილის ხედი შორ მანძილზე (ჩვეულებრივ, ზემოდან). 2. მრგვალი შენობის კედელზე მოთავსებული უზარმაზარი სურათი, რომელიც შეთავსებულია მის წინ მდებარე “საგნობრივ” პლანთან (დედამიწის მაკეტი, ნაგებობები, ფიგურები და სხვ.). შენობაში მყოფს ეჩვენება, თითქოს ნამდვილ სანახაობას უყურებდეს.

3. სურათი, რომელსაც უყურებენ გამადიდებელი შუშით, ისე რომ საგნები ბუნებრივი სიდიდისა ჩანს. 4. ოპტიკური მოწყობილობა ქვემეხზე; იყენებენ მიზნის დასაზუსტებლად. ქეგლ. ტ.6.

**პარაგრაფ-ი** (პარაგრაფისა) [ბერძ. paragraphē წერილობითი ნიშანი, მინაწერი] – რაიმე ტექსტის მცირე ნაწილი, რომელსაც თავისთავადი მნიშვნელობა აქვს; გადმოიცემა § ნიშნით. გადატ. – თვით ნიშანი §. ქეგლ. ტ.6.

**პარადიგმა** (ბერძნ. paradeigma – მაგალითი, ნიმუში) – კონკრეტული მეცნიერული გამოკვლევის განსაზღვრელი თეორიული და მეთოდოლოგიური წანამძღვრების ერთობლიობა, რ-იც მოცემულ ეტაპზე მეცნიერულ პრატქიკაში ხორციელდება. პარადიგმა წარმოადგენს პრობლემის არჩევის საფუძველს, აგრეთვე მოდელს, ნიმუშს საკვლევი ამოცანების გადასაჭრელად. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**პარადოქსები** (ლოგიკის და სიმრავლეთა თეორიისა) (ბერძნ. paradoxos - მოულოდნელი) – ფორმალურლოგიკური წინააღმდეგობანი. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**პარადოქს-ი** (პარადოქსისა) [ბერძ. paradoxon-იდან მოულოდნელი] – საყოველთაოდ მიღებული, ყველას მიერ აღიარებული შეხედულების საწინააღმდეგო; რაც საღ, ჩვეულებრივ აზრს უპირისპირდება (ზოგჯერ მხოლოდ გარეგნულად). ქეგლ. ტ.6.

**პარადოქსულ-ი** (პარადოქსულისა) – პარადოქსის ხასიათის მქონე, - უჩვეულო, უცნაური. ქეგლ. ტ.6.

**პარადულ-ი** (პარადულისა) – 1. პარადის ხასიათის მქონე, - საზეიმო. 2. გადატ. გარეგნული, მოჩვენებითი.

**პარადულობა** (პარადულობისა) – მოჩვენებითი წარმატე-ბებით დატკბობა, თვითკმაყოფილებით გამოწვეული საზეიმო განწყობილება. ქეგლ. ტ.6.

**პარალელიზმ-ი** (პარალელიზმისა) – 1. ორი მოვლენის მუდმივი თანაფარდობა და თანაარსებობა. 2. საგან-თა ან მოვლენათა მსგავსება, - ანალოგია. ორი პირის, დაწესებულების, ორგანიზაციის მიერ ერთსა და იმავე დროს ერთგვარი სამუშაოს შესრულება ერთმანეთთან შეუთანხმებლად. 3. ორ ან მეტ ერთმა-ნეთის მომდევნო წინადადებაში ერთნაირი წევრების ერთგვარი განლაგება. ქეგლ. ტ.6.

**პარალოგიზმი** (ბერძნ. paralogismos – არასწორი ბჭობა) – ლოგიკის კანონებისა და წესების არაწინასწარ-განზრახული დარღვევა, ბჭობას უკარგავს დასაბუ-თების ძალას და ჩვეულებრივ მივყავართ მცდარ დასკვნამდე. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**პარაფირება** – საერთაშორისო ხელშეკრულების (შეთანხ-მებების) წინასწარი ხელის მოწერა რწმუნებულთა ინიციალებით. პარაფირების დროს ხდება ხელშეკ-რულების ტექსტის შეთანხმება.
პარაფირების შემდგომი ეტაპებია სახელმწიფოს ხელმძღვანელების მიერ მისი ხელმოწერა და, შემდ-გომ, რატიფიცირება. მოკლე პოლიტ. ლექს.

**პარაფსიქოლოგია** (ბერძნ. para – ახლოს, გარეთ) – გამო-კვლევების სფერო; შეისწავლის მგრძნობელობის ფორმებს, რ-ებიც გრძნობის ცნობილი ორგანოების მოქმედებით არ აიხსნება, აგრეთვე გარემომცველ მოვლენებზე კუნთების ძალდატანების გარეშე ცოცხალი ორგანიზმის ზემოქმედების ფორმებს. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**პარაფრაზ-ი** (პარაფრაზისა) [ბერძ. paraphrasis აღწერა, აღწერითი სიტყვასაქცევი] – 1. სხვისი თხზულების,

აზრის, გამოთქმის... გადმოცემა ვრცლად საკუთარი სიტყვებით. 2. რომელიმე მუსიკალური ნაწარმოებიდან აღებული თემის დამუშავება. ქეგლ. ტ.6.

**პარაფრაზირება** (პარაფრაზირებისა) – პარაფრაზით გადმოცემა, დამუშავება. ქეგლ. ტ.6.

**პარიტეტი** – ორი მხარის ურთიერთობის შემთხვევაში მათი თანასწორობა: კონფლიქტის გარჩევის ან რაიმე საკითხის გადაწყვეტის დროს თანასწორი წარმომადგენლობის პრინციპი. მოკლე პოლიტ. ლექს.

**პარლამენტ-ი** (პარლამენტისა) [ინგ. parliament, ფრან. parler-დან ლაპარაკი] – 1. უმაღლესი არჩევითი საკანონმდებლო ორგანო. 2. საფრანგეთში XVIII საუკ. ბურჟუაზიულ რევოლუციამდე – უმაღლესი სასამართლო დაწესებულება. ქეგლ. ტ.6.

**პარლამენტარ-ი** (პარლამენტარისა) [გერმ. Parlamentarier] – 1. პარლამენტის წევრი. 2. პარლამენტარიზმის მომხრე. ქეგლ. ტ.6.

**პარლამენტარიზმ-ი** (პარალამენტარიზმისა) – სახელმწიფოებრივი წყობილება პარლამენტის მქონე ქვეყნებში. ქეგლ. ტ.6.

**პარლამენტიორ-ი** (პარლამენტიორისა) [ფრან. parlementaire] – ერთ-ერთი მეომარი მხარისაგან მოწინააღმდეგესთან მოსალაპარაკებლად გაგზავნილი მოციქული. ქეგლ. ტ.6.

**პარლამენტიორობა** (პარლამენტიორობისა) პარლამენტიორად ყოფნა. ქეგლ. ტ.6.

**პარლამენტურ-ი** (პარლამენტურისა) – პარლამენტის ხასიათისა, პარლამენტზე დამყარებული, პარლამენტ-

თან დაკავშირებული; პარლამენტის მქონე. ქეგლ. ტ.6.

**პარნას-ი** (პარნასისა) [ბერძ. Parnassos-იდან] – პოეზიის სამყარო; რომელიმე ქვეყნის პოეტები ერთად [საბერძნეთში მაღალი მთის სახელწოდებიდან, სადაც, ძველი ბერძნების წარმოდგენით, აპოლონი და მუზები ცხოვრობდნენ]. ქეგლ. ტ.6.

**პაროდია** (პაროდიისა) [ბერძ. parōdia: para უკუ, წინააღმდეგ და ōdē სიმღერა] – 1. სატირული ნაწარმოები, რომელშიაც ხუმრობით, დაცინვით ბაძავენ სხვა ლიტერატურულ ნაწარმოებს ამ უკანასკნელის გარეგანი ფორმისა და ტონის დაცვით. 2. გარეგნულად მიმსგავსებული, მაგრამ არსებითად დამახინჯებული მიბაძვა, რომელიც სასაცილო, კარიკატურულ სახეს ატარებს. ქეგლ. ტ.6.

**პაროდირება** (პაროდირებისა) – 1. პაროდიის დაწერა. 2. ვინმეზე პაროდიის განსახიერება, ვისიმე წარმოდგენა სასაცილოდ. ქეგლ. ტ.6.

**პარტიზანული ომი** – ცალკეულ პირთა ან ჯგუფის მიერ წარმოებული სამხედრო ოპერაციები, რაზეც, როგორც წესი, ოფიციალური სამხედრო ხელისუფლება პასუხს არ აგებს.

**პარტიკულარიზმ-ი** (პარტიკულარიზმისა) [ლათ. particularis ნაწილობრივი, ცალკეული] – 1. სახელმწიფოს ცალკეული ნაწილების მისწრაფება ცენტრისაგან დამოუკიდებლობისაკენ, განცალკევებისაკენ საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესების საზიანოდ. 2. განცალკევებულობა, განკერძოებულობა. ქეგლ. ტ.6.

**პასკვილ-ი** (პასკვილისა) – ცილისმწამებლური, შეურაცხმყოფელი ხასიათის ნაწარმოები [მომდინარეობს

ენამახვილობით განთქმული XV საუკ. იტალიელი მეწაღის Pasquino-ს სახელისაგან; მისი სახელი დაარქვეს ქანდაკებას, რომელზედაც ჰკიდებდნენ ან აკრავდნენ საჭირბოროტო საკითხებზე დაწერილ სატირიკულ ლექსებს]. ქეგლ. ტ.6.

**პასტორალ-ი** (პასტორალისა) [pastoralis-იდან მწყემსური] – 1. ნაწარმოები (უმთავრესად დრამატული), რომელშიც იდილიურად არის დახატული უბრალო მწყემსური ცხოვრება. 2. იდილიური ხასიათის მუსიკალური ნაწარმოები (ოპერა, პანტომიმა, ბალეტი) სოფლის ცხოვრებიდან. ქეგლ. ტ.6.

**პასუხისმგებლობა** – ეთიკისა და სამართლის კატეგორია, ასახავს პიროვნების განსაკუთრებულ სოციალურ და მორალურ-სამართლებრივ დამოკიდებულებას საზოგადოებისადმი (კაცობრიობისადმი მთლიანად), რ-ც ხასიათდება თავისი ზნეობრივი მოვალეობისა და და სამართლებრივი ნორმების შესრულებით. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**პატივი** – მორალური ცნობიერების ცნება და ეთიკის კატეგორია, რომელიც თავის თავში მოიცავს პიროვნების მიერ საკუთარი თავის საზოგადოებრივი მნიშვნელობის გაცნობიერებისა და საზოგადოების მიერ ამ მნიშვნელობის აღიარების მომენტებს. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**პატრიოტიზმ-ი** (პატრიოტიზმისა) – თავისი სამშობლოსა და ხალხის სიყვარული, ერთგულება; მათთვის თავდადება. ქეგლ. ტ.6.

**პატრიცი** (პატრიცისა) [ლათ. patricius] – 1. ხელისუფლების მფლობელ დიდებულთა გვარის ჩამომავალი ძველ რომში. 2. ქალაქის (ვაჭართა) არისტოკრატიის წარმომადგენელი შუა საუკუნეთა გერმანიის ქალაქებში. ქეგლ. ტ.6.

**პატრონ-ი** (პატრონისა) [ლათ. patronus მფარველი] – 1. პრივილეგიური წოდების წარმომადგენელი პატრონყმობის დროს. 2. ყმებისა და მამულის მქონე, - მემამულე, მებატონე, ბატონი. 3. გადატ. რისამე მესაკუთრე, მეპატრონე, მფლობელი, მქონებელი. გადატ. რაიმე სულიერი, გონებრივი ან ფიზიკური თვისების მქონე. გადატ. ოჯახის წევრი თავისი ახლო ნათესავების მიმართ. 4. ძველ რომში – პატრიცი, რომელიც მფარველობდა მასზე დამოკიდებულ კლიენტებს. 5. მფარველი, მზრუნველი, მომვლელი, მეურვე. გადატ. მეუღლე, ქმარი. თავისი თავის პატრონი არის – თავისი თავი თვითონ ეკუთვნის, არავის ემორჩილება, არავინა ჰყავს უფროსი, დამოუკიდებლად მოქმედებს. (თავისი) სიტყვის პატრონი, (ერთი) სიტყვის პატრონი – ვინც თავის სიტყვას პირნათლად ასრულებს, ვინც თავის ნათქვამს არ გადათქვამს. ქეგლ. ტ.6.

**პატრონაჟ-ი** (პატრონაჟისა) [ფრან. patronage მფარველობა, მზრუნველობა]. ქეგლ. ტ.6.

**პაქტი** – ორმხრივი ან მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის მიზანია ისეთი საკითხების რეგულირება, როგორებიცაა ორმხრივი ან კოლექტიური უსაფრთხოების უზრუნველყოფა, ურთიერთდახმარება, თავდაუსხმელობა და სხვ.

**პედანტ-ი** (პედანტისა) [იტალ. pedante] – ვისაც არაარსებითის გამოდევნება სჩვევია, წვრილმანებში ფორმალური წესრიგის ურყევად დამცველი, - ასოკირკიტა, ფორმალისტი. ქეგლ. ტ.6.

**პენტაგონი** – ხუთკუთხიანი შენობა ქ. ვაშინგტონში, რომელშიც მოთავსებულია ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის სამინისტრო. მოკლე პოლიტ. ლექს.

**პერიპატეტიკოს-ი** (პერიპატეტიკოსისა) [ბერძ. peripatētikos მოსეირნე] – არისტოტელის მოწაფე ან მისი ფილოსოფიური სკოლის მიმდევარი (გადმოცემით არისტოტელი თავის ფილოსოფიურ შეხედულებებს მოწაფეებს სეირნობის დროს მოუთხრობდა). ქეგლ. ტ.6.

**პერიპეტია** (პერიპეტიისა) [ბერძ. peripeteia] – უეცარი გარდატეხა ცხოვრებაში, მოულოდნელად შექმნილი რთული მდგომარეობა. ქეგლ. ტ.6.

**პერსონა** (პერსონისა) [ლათ. persona] – 1. პირი, პიროვნება. 2. გადატ. ღირსეული, პატივსაცემი პიროვნება. პერსონა გრატა [ლათ. persona grata სიტყვა-სიტყვით: სასურველი პიროვნება] – რომელიმე სახელმწიფოში დიპლომატიურ წარმომადგენლად გასაგზავნი პიროვნება, რომლის კანდიდატურაც სასურველად არის მიჩნეული ამ სახელმწიფოს მიერ. ქეგლ. ტ.6.

**პერსონა გრატა** – დიპლომატიური წარმომადგენელი, რომლის დანიშვნასაც მთავრობა იწონებს; ნებისმიერი სხვა დიპლომატიური მუშაკი, რომელიც ქვეყანაში შესვლის ნებართვას ღებულობს. მოკლე პოლიტ. ლექს.

**პერსონა ნონ გრატა** – პირი, რომელიც არ იმსახურებს ნდობას და რომლის გაწვევას მთავრობა ითხოვს. მოკლე პოლიტ. ლექს.

**პერსონალურ-ი** (პერსონალურისა) [ლათ. personalis-იდან] – გარკვეულ პირთან დაკავშირებული; ცალკე პირისაგან მომდინარე, - პირადი, პიროვნული. ქეგლ. ტ.6.

**პერსონიფიკაცია** (პერსონიფიკაციისა) [ლათ. persona პიროვნება და facio ვაკეთებ] – ცხოველების, საგნების, ბუნების მოვლენათა ისე დახატვა, თითქოს მათ

ადამიანური თვისებები (გრძნობები, აზრები, მეტყველება...) ჰქონდეთ; გვხვდება ზღაპრებში, იგავებში, - გაპიროვნება. ქეგლ. ტ.6.

**პერსონიფიცირება** (პერსონიფიცირებისა) – პერსონიფიკაციის მოხდენა. ქეგლ. ტ.6.

**პერსპექტივა** (პერსპექტივისა) [ლათ. perspectus –იდან რისამე მიღმა დანახული, გარკვევით დანახული] – შორეული სივრცე. ქეგლ. ტ.6.

**პერსპექტიულ-ი** (პერსპექტიულისა) – პერსპექტივის ხასიათისა; პერსპექტივის მქონე. ქეგლ. ტ.6.

**პერტურბაცია** (პერტურბაციისა) [ლათ. perturbatio არევ-დარევა, აშლა] – არევ-დარევა, წესრიგის მოშლა, მოვლენათა ჩვეულებრივი მსვლელობის მოულოდნელი დარღვევა. ქეგლ. ტ.6.

**პესიმიზმ-ი** (პესიმიზმისა) [ლათ. pessimus –იდან ყველაზე უფრო ცუდი] – მსოფლმხედველობა, რომელსაც არა სწამს მომავალი, მოცულია უიმედობით, მიაჩნია, რომ ბოროტი სძლევს კეთილს. ყველაფერში ცუდი მხარის დაძებნა, ცუდის დანახვა ცხოვრებაზე გულგატეხილობა, უიმედობა. ქეგლ. ტ.6.

**პესიმისტ-ი** (პესიმისტისა) – ფილოსოფიური პესიმიზმის მიმდევარი. ვინც ყველაფერში ცუდ მხარეს ხედავს, ცხოვრებაზე გულგატეხილი, უიმედო ადამიანი. ქეგლ. ტ.6.

**პეტიცია** (პეტიციისა) [ლათ. petitio] – ძვ. კოლექტიური თხოვნა, მიმართვა უფროსებისადმი, მთავრობისადმი. ქეგლ. ტ.6.

**პილიგრიმ-ი** (პილიგრიმისა) [იტალ. pelegrino, ლათ. peregrinus -იდან უცხოელი] – 1. ე.წ. "წმინდა" ადგი-

ლებში სალოცავად მიმავალი მორწმუნე. 2. გადატ. მოგზაური, მგზავრი; ყარიბი. ქეგლ. ტ.6.

**პილოტირება** – ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებისა და ამ მიზნების მიღწევის საშუალებების რეალურობის შემოწმება სკოლებში.

**პიონერ-ი** (პიონერისა) [ფრან. pionnier მკვლევარი] – რაიმე სფეროში ახალი გზის გამკვლევი, რაიმე საქმის წამომწყები. ქეგლ. ტ.6.

**პიჟონ-ი** (პიჟონისა) [ფრან. pigeon მტრედი] – ზედმეტად გამოპრანჭული, ფუქსავატი ახალგაზრდა კაცი. ქეგლ. ტ.6.

**პირი** – ფიზიკური პირი ან იურიდიული პირი საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მიხედვით, საწარმო ან ორგანიზაცია საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით.

**პიროვნება** (პიროვნებისა) – გარკვეულ თვისებათა მქონე ცალკეული ადამიანი, ადამიანის "მე", - ინდივიდი. ქეგლ. ტ.6.

**პიროვნულ-ი** (პიროვნულისა) – 1. პიროვნების დამახასიათებელი, პიროვნების შესაფერი. 2. სხვა პიროვნებათაგან განსხვავებული, - თავისებური, ინდივიდუალური. 3. იგივეა, რაც პირადი. 4. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ქეგლ. ტ.6.

**პირომანია** (პირომანიისა) [ბერძ. pyr და mania] – ცეცხლის წაკიდების ავადმყოფური სურვილი. ქეგლ. ტ.6.

**პიტალო** (პიტალოსი) – 1. სალი, ფრიალო (კლდე, ქვა...). გადატ. – მაგარი, ძლიერი; სწორხედაპირიანი, შიშველი, პრიალა. 2. წმინდა, შეურეველი (ლითონი).

გადატ. – წმინდა, სუფთა, შეურყვნელი; ნამდვილი. ქეგლ. ტ.6.

**პლაგიატი** (პლაგიატისა) [ლათ. plagio-დან ვიტაცებ] – სხვისი (ლიტერატურული, მუსიკალური, სამეცნიერო...) ნაწარმოების მითვისება. ქეგლ. ტ.6.

**პლასტიკა** (პლასტიკისა) [ბერძ. plastikē-დან] – 1. საერთოდ, გამომხატველობითი ხელოვნება. 2. მოძრაობათა და ჟესტების შეთანხმებულობა, ჰარმონიულობა; სხეულის რიტმული და გრაციული მოძრაობის ხელოვნება. ქეგლ. ტ.6.

**პლატფორმა** – ძირითადი, პრინციპული თეორიული დებულებები ან პრაქტიკული პროგრამა, რომლითაც პოლიტიკური პარტია, საზოგადოებრივი ჯგუფი ან ორგანიზაცია ხელმძღვანელობს. მოკლე პოლიტ. ლექს.

**პლებეი** (პლებეისა) [ლათ. plebejus] – ძველ რომში – მოსახლეობის დაბალი ფენებიდან გამოსული თავისუფალი, მაგრამ პოლიტიკურ უფლებებს მოკლებული ადამიანი. ქეგლ. ტ.6.

**პლებისციტ-ი** (პლებისციტისა) [ლათ. plebiscitum ხალხის გადაწყვეტილება] – 1. საერთო-სახალხო კენჭისყრა, - რეფერენდუმი. 2. ძველ რომში – კანონი, რომელსაც დაადგენდა პლებეების კრება. ქეგლ. ტ.6.

**პლებს-ი** (პლებსისა) [ლათ. plebs] – უბრალო ხალხი, პლებეები. ქეგლ. ტ.6.

**პლურალიზმი** (ლათ. pluralis - მრავლობითი) – მონიზმის საპირისპირო კონცეფცია, რ-ის მიხედვით, ყოველივე არსებული შედგება მრავალი ერთნაირი, ტოლფასი

იზოლირებული არსებისაგან, რ-ებიც არ დაიყვანებიან ერთიან საწყისზე. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**პლურალიზმი** – მეტაფიზიკური თვალსაზრისი, რომლის თანახმადაც სინამდვილე შედგება მრავალი დამოუკიდებელი არსისა თუ აზრისაგან.

**პლუტ-ი** (პლუტისა) [რუს. плут] – ძვ. საუბ. გაქნილი, გაიძვერა, მატყუარა, უპატიოსნო (უმთავრესად წვრილმან საქმეებში). ქეგლ. ტ.6.

**პლუტობა** (პლუტობისა) – პლუტის საქციელი. – გაიძვერობა, მატყუარობა, უპატიოსნობა. ქეგლ. ტ.6.

**პლუტოკრატ-ი** (პლუტოკრატისა) – ადამიანი, რომელსაც სიმდიდრითა აქვს მოპოვებული პოლიტიკური ძალაუფლება. ქეგლ. ტ.6.

**პლუტოკრატია** – 1. მდიდართა ხელისუფლება, ფულის ბატონობა; 2. პოლიტიკური წყობილება, რომლის დროსაც სახელმწიფოს მართავს გაბატონებული კლასის ყველაზე მდიდარ წარმომადგენელთა მცირერიცხოვანი ჯგუფი, ხოლო ხალხი სრულიად უუფლებოა. მოკლე პოლიტ. ლექს.

**პოზა** (პოზისა) [ფრან. pose] – 1. ადამიანის სხეულის ესა თუ ის მდგომარეობა. 2. გადატ. არაგულწრფელი, ხელოვნური ქცევა. ქეგლ. ტ.6.

**პოზიორ-ი** (პოზიორისა) [ფრან. poseur] – ვისაც ხელოვნური პოზების მიღება სჩვევია, მოქმედებასა თუ მეტყველებაში გარეგნული ეფექტების მოყვარული. ქეგლ. ტ.6.

**პოზიცია** (პოზიციისა) [ლათ. positio მდგომარეობა] – 1. რისამე მდგომარეობა, მდებარეობა, განლაგება. 2.

თვალსაზრისი ამა თუ იმ საკითხის შესახებ, პრინციპული დამოკიდებულება მის მიმართ; მოქმედება, ქცევა, რომელიც ამ თვალსაზრისით არის გამოწვეული. ქეგლ. ტ.6.

**პოზიციურ-ი** (პოზიციურისა) – პოზიციის შესაფერი, პოზიციიდან გამომდინარე, პოზიციის ხასიათისა. პოზიციური ომი (ბრძოლა) – ისეთი ომი (ბრძოლა), რომლის დროსაც მოწინააღმდეგეები ადგილს არ იცვლიან; იცავენ უწყვეტი ფრონტის გასწვრივ გამაგრებულ პოზიციებს. ქეგლ. ტ.6.

**პოლემიკა** [ბერძ. პოლემიკოს მტრული, საომარი] – კამათი პრესაში. კრებაზე, დისპუტზე რაიმე ლიტერატურული, მეცნიერული, პოლიტიკური საკითხის განხილვის დროს, - პაექრობა. ქეგლ. ტ.6.

**პოლემიკა** – მეცნიერული დავა, სიტყვიერი ომი, ლიტერატურული კამათი.

**პოლემიკურ-ი** (პოლემიკურისა) – პოლემიკის ხასიათისა. ქეგლ. ტ.6.

**პოლემისტ-ი** (პოლემისტისა) – პოლემიკის მოყვარული, პოლემიკაში დახელოვნებული, მოკამათე. ქეგლ. ტ.6.

**პოლიგლოტ-ი** (პოლიგლოტისა) [ბერძ. pōlyglōttos მრავალენოვანი: poly მრავალი და glōtta ენა] – ბევრი ენის მცოდნე. ქეგლ. ტ.6.

**პოლითეიზმ-ი** (პოლითეიზმისა) [ბერძ. poly მრავალი და theos ღმერთი] – მრავალი ღმერთის აღმსარებლობა, - მრავალღმერთობა. ქეგლ. ტ.6.

**პოლიტიკა** (პოლიტიკისა) [ბერძ. politika სახელმწიფო საქმეები] – 1. საზოგადოებრივი კლასების მიერ

თავიანთი ინტერესების დასაცავად გამოყენებული მეთოდები და საშუალებები; საზოგადოებაში ბატონობისათვის, ძალაუფლებისათვის ბრძოლა; სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობა, აგრეთვე სახელმწიფოთა შორის ურთიერთობა. 2. საუბ. მოქმედება რისამე მისაღწევად; სხვა ადამიანებთან ურთიერთობა, დამოკიდებულება. ქეგლ. ტ.6.

**პოლიტიკა** – სახელმწიფოს ხელისუფლების, პარტიის ან საზოგადოებრივი ჯგუფის მოღვაწეობა შიდასახელმწიფოებრივი მართვისა და საერთაშორისო ურთიერთობის დარგში. მოკლე პოლიტ. ლექს.

**პოლიტიკან-ი** (პოლიტიკანისა) [ფრან. politiquant] – ვინც პოლიტიკას პირადი სარგებლობის თვალსაზრისით მისდევს, ვინც თავისი მიზნების მისაღწევად არავითარ საშუალებას არ ერიდება, - პოლიტიკაში ინტრიგანი. ქეგლ. ტ.6.

**პოლიტიკანობა** (პოლიტიკანობისა) – პოლიტიკანის საქციელი, მოქმედება, - პოლიტიკაში უპრინციპობა, ინტრიგანობა. ქეგლ. ტ.6.

**პოლიტიკანურ-ი** (პოლიტიკანურისა) – პოლიტიკანის დამახასიათებელი, პოლიტიკანის შესაფერი. ქეგლ. ტ.6.

**პოლიტიკოს-ი** (პოლიტიკოსისა) – 1. პოლიტიკური მოღვაწე. 2. საუბ. პოლიტიკის საკითხებით დაინტერესებული ადამიანი. ქეგლ. ტ.6.

**პოლიტიკურ-ი** (პოლიტიკურისა) – 1. პოლიტიკის ხასიათის მქონე, პოლიტიკიდან გამომდინარე, გარკვეული პოლიტიკის შესაფერი, პოლიტიკასთან დაკავშირებული. 2. სახელმწიფოებრივი, სამოქალაქო-უფლებრივი. ქეგლ. ტ.6.

**პოლიტიკური ზეწოლა** – არასათანადო ზემოქმედებისა და არასამართლებრივი ჩარევის განხორციელება, რომელიც მოტივირებულია პოლიტიკური მოსაზრებებით, ან პირის (ან პირთა ჯგუფის) მიერ პოლიტიკური მიზნების მიღწევის სურვილით.

**პოპულარიზაცია** (პოპულარიზაციისა) – 1. რაიმე რთული საკითხის გადმოცემა გასაგებად. 2. ფართო მასებში გავრცელება, ყველასათვის ხელმისაწვდომად ქცევა რისამე. ქეგლ. ტ.6.

**პოპულარულ-ი** (პოპულარულისა) [ლათ. popularis-იდან ხალხური, ხალხისათვის სასარგებლო] – 1. გასაგები ფორმით გადმოცემული, - ხელმისაწვდომი. 2. ვინც ან რაც ხალხის პატივისცემით, დაფასებით სარგებლობს, ფართოდ გავრცელებული, საყოველთაოდ ცნობილი და მიღებული. ქეგლ. ტ.6.

**პოპური** (პოპურისა) [ფრან. pot-pourri სხვადასხვა სახის ხორცისა და მწვანილისაგან დამზადებული საჭმელი] – საუბ. გადატ. სხვადასხვაგვარი ნაწილების შენაერთი, ნარევი. ქეგლ. ტ.6.

**პოსტსკრიპტუმ-ი** (პოსტსკრიპტუმისა) [ლათ. postscriptum] – მინაწერი დამთავრებულ, ხელმოწერილ წერილზე; ჩვეულებრივ, აღნიშნავენ ლათინური ასოებით P.S. ქეგლ. ტ.6.

**პოსტულატ-ი** (პოსტულატისა) [ლათ. postulatum მოთხოვნილება] – დებულება, რომელიც დასაბუთების გარეშე არის აღიარებული ჭეშმარიტად და გამოიყენება სხვა დებულებათა საფუძვლად, - აქსიომა. ქეგლ. ტ.6.

**პოსტულირება** (პოსტულირებისა) – პოსტულატად აღიარება, დამტკიცების გარეშე ამოსავალ დებულებად დაშვება. ქეგლ. ტ.6.

**პოტენცია** (პოტენციისა) [ლათ. potentia ძალა] – შესაძლებლობა, ძალა, უნარი რისამე შესასრულებლად, მისაღწევად. ქეგლ. ტ.6.

**პოტენციალ-ი** (პოტენციალისა) – რისამე განხორციელებისათვის საჭირო შესაძლებლობათა ერთობლიობა. ქეგლ. ტ.6.

**პოტენციურ-ი** (პოტენციურისა) – პოტენციის, შესაძლებლობის სახით არსებული, ფარული. პოტენციური ენერგია – უძრავი სხეულის ენერგია; მექანიკური ენერგიის ნაწილი, რომელიც დამოკიდებულია ერთმანეთზე მოქმედ სხეულთა განლაგებაზე. ქეგლ. ტ.6.

**პოხონდრია** (პოხონდრიისა) [ბერძ. hypochondria-დან] – 1. ახირებული, უცნაური, ცვალებადი ხასიათი. 2. ასეთი ხასიათის ადამიანი. ქეგლ. ტ.6.

**პრაგმატიზმ-ი** (პრაგმატიზმისა) [ბერძ. pragma-დან საქმე, მოქმედება] – ჭეშმარიტად თვლის იმას, რაც სასარგებლოა; განსაკუთრებით გავრცელებულია ინგლისსა და ამერიკაში. ქეგლ. ტ.6.

**პრაგმატიზმი** (ბერძ. pragma – საქმე, მოქმედება) – ფართოდ გავრცელებული სუბიექტურ-იდეალისტური მიმდინარეობა. პრაგმატიზმის ფილოსოფიის ცენტრში დგას ე.წ. “პრაგმატოზმის პრინციპი”, რომელიც ცოდნის შინაარსს მისი პრაქტიკული შედეგებით განსაზღვრავს (პირსი). ფილოსოფ. ლექს. 1987.

**პრაგმატული** – პრაქტიკული, რაც ეხება მოქმედებას, ემსახურება პრაქტიკას.

**პრაქტიკოს-ი** (პრაქტიკოსისა) – თავისი საქმის პრაქტიკულად მცოდნე, ამა თუ იმ დარგში დიდი გამოცდილების მქონე ადამიანი. ქეგლ. ტ.6.

**პრაქტიციზმ-ი** (პრაქტიციზმისა) – 1. საქმიანი, პრაქტიკული, საღი დამოკიდებულება მოვლენებისადმი. 2. საკუთარ საქმეთა მოგვარების, მოჭახრაკების უნარი. 3. პრაქტიკული საქმიანობით გატაცება და თეორიის უგულებელყოფა. ქეგლ. ტ.6.

**პრეამბულა** (პრეამბულისა) [ფრან. preambule, ლათ. praeambulus-იდან წინ მიმავალი] – საერთაშორისო ხელშეკრულების, შეთანხმებისა და სხვ. შესავალი ნაწილი, რომელშიაც განმარტებულია ხელშეკრულების დადების მიზეზები და მიზნები. ქეგლ. ტ.6.

**პრედიკატ-ი** (პრედიკატისა) [ლათ. praedicatum შემასმენელი] – ის, რაც მსჯელობაში მსჯელობის საგანზე არის ნათქვამი, - ლოგიკური შემასმენელი. ქეგლ. ტ.6.

**პრედიკატი** (ლათ. predicatum) – მსჯელობის ერთ-ერთი ტერმინი ორიდან, სახელდობრ, ის, რომელშიც რაიმეა გამოთქმული საუბრის საგნის (სუბიექტის) შესახებ. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**პრევენცია** (პრევენციისა) [ლათ. praeventio გაფრთხილება] – წინასწარი ზომების მიღება რისამე თავიდან ასაცდენად. ქეგლ. ტ.6.

**პრეზიდენტი** – სახელმწიფოს მეთაური, არჩეული გარკვეული ვადით ხალხის ან პარლამენტის მიერ.

**პრეზიდენტობა** (პრეზიდენტობისა) – პრეზიდენტის თანამდებობა; პრეზიდენტად ყოფნა. ქეგლ. ტ.6.

**პრეზუმფცია** (პრეზუმფციისა) [ლათ. praesumptio-დან] – 1. შესაძლებელ, საეჭვებისო წინამძღვრებზე დამყარებული მოსაზრება. 2. რაიმე ფაქტის აღიარება სარწმუნოდ, სანამ არ დამტკიცდება მისი მცდარობა (მაგ., ადამიანი ითვლება უდანაშაულოდ მანამ, სანამ კანონით გათვალისწინებული წესით არ დამტკიცდება, რომ ის დამნაშავეა). ქეგლ. ტ.6.

**პრეზუმპცია** – დაშვება ალბათობის საფუძველზე, აგრეთვე "ადამიანის საღი განსჯის" საფუძველზე.

**პრელიმინარული** – წინასწარი შეთანხმებანი, დროებითი გადაწყვეტილებანი. მოკლე პოლიტ. ლექს.

**პრელუდია** (პრელუდიისა) [ლათ. praeludo-დან წინასწარ ვუკრავ, შესავალს ვაკეთებ] – დასაწყისი, შესავალი. ქეგლ. ტ.6.

**პრემიერ-ი** (პრემიერისა) [ფრან. premier პირველი] – იგივეა, რაც პრემიერ-მინისტრი. ქეგლ. ტ.6.

**პრეროგატივა** – სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოს ან თანამდებობის ფანსაკუთრებული უფლება. უპირატესობა. მოკლე პოლიტ. ლექს.

**პრესა** (პრესისა) [ფრან. presse] – პერიოდულ გამოცემათა ერთობლიობა, ჟურნალ-გაზეთები. ქეგლ. ტ.6.

**პრეს-ბიურო** (პრეს-ბიუროსი) [ინგ. press-bureau] – სახელმწიფო და სხვ. ორგანოებთან არსებული მუდმივი (ან დროებითი) სარედაქციო აპარატი, რომელიც პრესას აწვდის მზა სტატიებს, ინფორმაციებს, საილუსტრაციო და სხვ. მასალებს. ქეგლ. ტ.6.

**პრეს-კონფერენცია** (პრეს-კონფერენციისა) [ინგ. press-conference] – სახელმწიფო, პოლიტიკურ, საზოგა-

დოებრივ... მოღვაწეთა ან მეცნიერთა საუბარი პრესის წარმომადგენლებთან რაიმე მნიშვნელოვანი საკითხის შესახებ. ქეგლ. ტ.6.

**პრესტიჟ-ი** (პრესტიჟისა) [ფრან. prestige] – გავლენა, პატივისცემა, ავტორიტეტი. ქეგლ. ტ.6.

**პრეტენდენტ-ი** (პრედენტენტისა) [ლათ. praetendens] – პრეტენზიის მქონე, რაიმე უფლების მაძიებელი. ქეგლ. ტ.6.

**პრეტენზია** (პრეტენზიისა) [ლათ. praetensio] – 1. რისამე მოპოვებისაკენ სწრაფვა, რაიმეზე უფლების გამოცხადება. 2. უკმაყოფილების გამოხატვა, საჩივარი, სარჩელი. 3. ადამიანის მისწრაფება, რომ მას თვლიდნენ იმაზე მეტი ღირსების მქონედ, ვიდრე მას ნამდვილად აქვს, - გადაჭარბებული წარმოდგენა თავის თავზე. ქეგლ. ტ.6.

**პრეტენციოზულ-ი** (პრეტენციოზულისა) [ფრან. prétentieux] – თავის თავზე გადაჭარბებულ წარმოდგენასთან დაკავშირებული, გაზვიადებულ მოთხოვნილებათა მქონე. ქეგლ. ტ.6.

**პრეცედენტ-ი** (პრეცედენტისა) [ლათ. praecedens წინამავალი] – მომხდარი შემთხვევა, რომელიც წარმოადგენს ნიმუშს ან გამართლებას შემდეგდროინდელი მსგავსი შემთხვევებისათვის. ქეგლ. ტ.6.

**პრეცედენტი** – სახელმწიფო ხელისუფლების ან სხვა ორგანოს ადრინდელი გადაწყვეტილება, რომელიც ნიმუშად არის მიღებული სხვა მსგავსი საკითხების გადაწყვეტის დროს. მოკლე პოლიტ. ლექს.

**პრივილეგია** (პრივილეგიისა) [ლათ. privilegium] – 1. კანონით განმტკიცებული უპირატესი უფლებები. 2. განსაკუთრებული უფლება, უპირატესობა. ქეგლ. ტ.6.

**პრიმატ-ი** (პრიმატისა) [ლათ. primatus პირველობა] – უპირატესი მნიშვნელობა, უპირატესი მდგომარეობა, - პირველობა, უპირატესობა. ქეგლ. ტ.6.

**პრიმატი** – ბატონობა, პირველ ადგილზე დაყენებული რამ.

**პრიმიტივ-ი** (პრიმიტივისა) [ლათ. primitivus თავდაპირველი, პირველყოფილი] – 1. სხვებთან შედარებით განუვითარებელი, ჩამორჩენილი მოვლენა. 2. პრიმიტიული ადამიანი. 3. პირველყოფილი ან უძველესი ეპოქის ხელოვნების ნაწარმოები, რომლის გამომხატველობითი საშუალებები შედარებით ნაკლებაა განვითარებული. ქეგლ. ტ.6.

**პრიმიტივიზმ-ი** (პრიმიტივიზმისა) – რთული საკითხის გაუბრალოება, ზედმეტად გამარტივება. ქეგლ. ტ.6.

**პრიმიტიულ-ი** (პრიმიტიულისა) – 1. პირველყოფილი, თავდაპირველი; სხვასთან შედარებით განუვითარებელი, ჩამორჩენილი. 2. მარტივი, არართული. 3. ტლანქი, მოუხეშავი. ქეგლ. ტ.6.

**პრიმიტიულობა** (პრიმიტიულობისა) – პრიმიტივის ან პრიმიტიულის თვისება, - პირველყოფილობა, განუვითარებლობა, ჩამორჩენილობა; სიმარტივე. ქეგლ. ტ.6.

**პრინციპ-ი** (პრინციპისა) [ლათ. principium-იდან დასაწყისი, დასაბამი] – 1. რომელიმე თეორიის, მოძღვრების, მეცნიერების ამოსავალი დებულება, სახელმძღვანელო იდეა, თვალსაზრისი. 2. მოქმედების, ქცევის ძირითადი წესი, რწმენა, თვალსაზრისი. ქეგლ. ტ.6.

**ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲘ** (ლათ. principum – საფუძველი, პირველსაწყისი) – პირველსაწყისი, სახელმძღვანელო იდეა, ქცევის ძირითადი წესი. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲣᲚ-Ი** (პრინციპულისა) – 1. პრინციპიდან გამომდინარე, პრინციპზე დამყარებული. 2. პრინციპების დამცველი, პრინციპების განუხრელად შემსრულებელი. ქეგლ. ტ.6.

**ᲞᲠᲘᲜᲪᲘᲞᲣᲚᲝᲑᲐ** (პრინციპულობისა) პრინციპულის თვისება, - გარკვეული პრინციპების შესაბამისად მოქმედება, პრინციპთა განუხრელად დაცვა. ქეგლ. ტ.6.

**ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢ-Ი** (პრიორიტეტისა) [გერმ. Priorität, ლათ. prior-იდან უფროსი] – 1. პირველობა რისამე აღმოჩენაში, გამოგონებაში, რაიმე იდეის ჩამოყალიბებაში. 2. უპირატესობა. ქეგლ. ტ.6.

**ᲞᲠᲘᲝᲠᲘᲢᲔᲢᲘ** – 1. უპირატესობა, რომლითაც სარგებლობს ადრე შეტანილი განაცხადი უფრო გვიან შეტანილის მიმართ; 2. უპირატესობა, რომელითაც სარგებლობს განაცხადი მასზე გვიან შეტანილ განაცხადთან შედარებით.

**ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐ** (პრობლემისა) [ბერძ. problema ამოცანა] – რთული თეორიული ან პრაქტიკული საკითხი, რომელიც საჭიროებს გარკვევას, შესწავლას. ქეგლ. ტ.6.

**ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲢᲘᲙᲐ** (პრობლემატიკისა) – პრობლემათა ერთობლიობა. ქეგლ. ტ.6.

**ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲐᲢᲣᲠ-Ი** (პრობლემატურისა) [ბერძ. problema-დან] – რაც პრობლემას წარმოადგენს; შესაძლებელი, სავარაუდო, ჯერ კიდევ დაუმტკიცებელი. საეჭვო, არადამაჯერებელი. ქეგლ. ტ.6.

**პროგნოზ-ი** (პროგნოზისა) [ბერძ. prognosis: pro წინ და gnōsis ცნობა, გაგება] – გარკვეულ მონაცემებზე დამყარებით რაიმე მოვლენის, პროცესის განვითარებაში მოსალოდნელ ცვლილებათა წინასწარ განჭვრეტა, წინასწარმეტყველება. ქეგლ. ტ.6.

**პროგნოზირება** – რაიმე მოვლენის განვითარებისა და შედეგების წინასწარ განჭვრეტა, წინასწარმეტყველება არსებული მეცნიერული მონაცემების საფუძველზე. მოკლე პოლიტ. ლექს.

**პროგრამა** (პროგრამისა) [ბერძ. programma განცხადება] – 1. მუშაობის, მოქმედების გეგმა. 2. დოკუმენტი, რომელშიაც დალაგებულია პოლიტიკური პარტიის, ორგანიზაციის ან ცალკეული საზოგადო მოღვაწის მსოფლმხედველობის საფუძვლები, ძირითადი ამოცანები და მიზნები. 3. სასწავლო საგნის შინაარსის (და მეთოდოლოგიური საფუძვლების) მოკლე სისტემატური დალაგება. 4. კონცერტზე (ცირკის წარმოდგენაზე და სხვ.) შესასრულებელი ნომრებისა და მონაწილე პირთა ჩამოთვლა; აგრეთვე სპექტაკლის მოქმედ პირთა, მათ შემსრულებელთა და სპექტაკლის მომზადებაში მონაწილეთა (რეჟისორების, მხატვრების, დირიჟორებისა და სხვ.) სია. 5. პროგრამული მუსიკის თემის (სიუჟეტის) ლიტერატურული გადმოცემა. ქეგლ. ტ.6.

**პროგრამა** – პირდაპირ ან ჩანაწერის მეშვეობით ეთერში გადაცემული ტელერადიოპროდუქცია.

**პროგრეს-ი** (პროგრესისა) [ლათ. progressus-იდან] – განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე ასვლა, ცვლილება უკეთესისაკენ, უფრო სრულყოფილად გახდომა, - წინსვლა, აღმავლობა. ქეგლ. ტ.6.

**პროგრესია** (პროგრესიისა) [ლათ. progressio-დან სიტყვა-სიტყვით: წინსვლა]. ქეგლ. ტ.6.

**პროგრესულ-ი** (პროგრესულისა) – პროგრესის ხელის შემწყობი, - პოლიტიკურად და საზოგადოებრივად მოწინავე. ქეგლ. ტ.6.

**პროზა** (პროზისა) [ლათ. prosa] – 1. თხრობითი მხატვრული ნაწარმოები; გაულექსავი ლიტერატურა (რომანები, მოთხრობები და სხვ.). 2. გადატ. ჩვეულებრივი, ყოველდღიური, მოსაწყენი მხარე ცხოვრებისა. ქეგლ. ტ.6.

**პროზაიზმ-ი** (პროზაიზმისა) – ყოველდღიურ ცხოვრებაში ხმარებული გამოთქმები მხატვრულ ნაწარმოებში. ქეგლ. ტ.6.

**პროზელიტ-ი** (პროზელიტისა) [ბერძ. prosēlytos-იდან მოსული, ახლად მოქცეული] – 1. ვისაც ახლად აქვს მიღებული რომელიმე სარწმუნოება. 2. ვინც ახალი და თავდადებული მიმდევარია, დამცველია რისამე. ქეგლ. ტ.6.

**პროზელიტიზმ-ი** (პროზელიტიზმისა) – 1. მისწრაფება თავის სარწმუნოებაზე, რწმენაზე სხვათა მოქცევისაკენ, პროზელიტების მომხრობისაკენ. 2. განსაკუთრებული ერთგულება ახლადმიღებული სარწმუნოების ან მოძღვრებისა. ქეგლ. ტ.6.

**პროლოგ-ი** (პროლოგისა) [ბერძ. prologos წინასიტყვაობა] – 1. ლიტერატურული ნაწარმოების შესავალი ნაწილი, რომელშიაც, ჩვეულებრივ, აღწერილია ძირითად ნაწილში გადმოცემულზე ადრინდელი ამბები. 2. თეატრში – შესავალი სიტყვა, რომლითაც მსახიობი მიმართავს მაყურებლებს. 3. გადატ. რისამე შესავალი, დასაწყისი. ქეგლ. ტ.6.

**პრონომინაცია** (პრონომინაციისა) [ლათ. pronominatio] – მეტონიმიის ერთ-ერთი სახე – საზოგადო სახელის შეცვლა საკუთარი სახელით ან პირუკუ (მაგ. "კვაჭი" ნაცვლად სიტყვისა: "გაქნილი", "მოხერხებული"). ქეგლ. ტ.6.

**პროპაგანდა** (პროპაგანდისა) [ლათ. propaganda გასავრცელებელი] – პოლიტიკური, მეცნიერული და სხვ. იდეის, მოძღვრების, თეორიის გავრცელება დაწვრილებითი და ღრმა ახსნა-განმარტების გზით. ქეგლ. ტ.6.

**პროპედევტიკა** (პროპედევტიკისა) [ბერძ. propaideuō-დან წინასწარ ვასწავლი] – რომელიმე მეცნიერების შესავალი, მოსამზადებელი კურსი, სისტემატურად, ელემენტარული სახით დალაგებული. ქეგლ. ტ.6.

**პროპორცია** (პროპორციისა) [ლათ. proportio-დან] – 1. გარკვეული თანაფარდობა ნაწილებს შორის. ქეგლ. ტ.6.

**პროტექცია** (პროტექციისა) [ლათ. protectio] – დახმარება, შემწეობა, მფარველობა. ქეგლ. ტ.6.

**პროტექციონიზმ-ი** (პროტექციონიზმისა) [ფრან. protectionnisme, ლათ. protectio-დან დაცვა, მფარველობა]. ქეგლ. ტ.6.

**პროტო-** [ბერძ. prōtos-იდან პირველი] – პირველი შემადგენელი ნაწილი რთული ფუძებისა; აღნიშნავს: 1. პირველს, პირველადს, პირველყოფილს; მაგ., პროტოტიპი. 2. მთავარს, უფროსს; მაგ., პროტოდიაკონი. ქეგლ. ტ.6.

**პროტოტიპ-ი** (პროტოტიპისა) [ბერძ. prototypon] – 1. რეალური პიროვნება, რომლის მიხედვითაც ქმნის

ავტორი თავის ლიტერატურულ ტიპს. 2. რისამე პირველსახე, პირველადი ნიმუში. ქეგლ. ტ.6.

**პროფან-ი** (პროფანისა) [ლათ. profanus სიტყვა-სიტყვით: ტაძრის გარეშე მყოფი] – რაიმე საკითხის, დარგის სრულიად უცოდინარი, უვიცი. ქეგლ. ტ.6.

**პროფანაცია** (პროფანაციისა) [ლათ. profanatio] – უპატივცემულო, უხამსი, შეურაცხმყოფელი დამოკიდებულება საყოველთაოდ აღიარებული მოვლენის (მაგ., ხელოვნების ძეგლის, რაიმე იდეის, მოძღვრების) მიმართ. ქეგლ. ტ.6.

**პროფესია** (პროფესიისა) [ლათ. professio] – მუდმივი ხელობა, საქმიანობა, სპეციალობა, რომლითაც ადამიანი თავს ირჩენს. ქეგლ. ტ.6.

**პროფესია** – ცოდნის, უნარ-ჩვევებისა და კომპეტენციათა ერთობლიობა, რომელთა ფლობა აუცილებელია გარკვეულ სფეროში შრომითი საქმიანობისათვის და რომელთა შეძენა შესაძლებელია სწავლის ან/და შესაბამის სფეროში საქმიანობის შედეგად.

**პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩო** – დოკუმენტი, რომელშიც სისტემატიზებულია საქართველოში არსებული სახელობო და პროფესიული უმაღლესი განათლების შესაბამის ყველა პროფესია, კვალიფიკაცია, კვალიფიკაციის დონე და პროფესიული სტანდარტი.

**პროფესიული განათლება** – სახელობო ან/და პროფესიული უმაღლესი განათლება, რომლის მიზანია პირის მომავალი პროფესიული საქმიანობისათვის მომზადება.

**პროფესიული ორიენტაცია** – ღონისძიებათა სისტემა, რომელიც უზრუნველყოფს მთელი სიცოცხლის

განმავლობაში პირის შემდგომი განათლებისა და დასაქმების შესაძლებლობათა, სხვადასხვა სახის საქმიანობის სპეციფიკის, პროფესიათა შესახებ ინფორმაციასთან დაშვების ხელმისაწვდომობას და ხელს უწყობს მას, პროფესია აირჩიოს ინდივიდუალური თავისებურებების, მიდრეკილებებისა და შესაძლებლობათა გათვალისწინებით.

**პროცეს-ი** (პროცესისა) [ლათ. processus წინსვლა] – 1. რისამე განვითარებაში ერთმანეთის მომდევნო საფეხურთა კანონზომიერი მონაცვლეობა, გარკვეულ ცვლილებათა თანმიმდევრობა, რისამე მიმდინარეობა, მსვლელობა. 2. სასამართლოში საქმის მსვლელობა, საქმის გარჩევა. ქეგლ. ტ.6.

**პროცესი** (ლათ. processus – გავლა, წინ წასვლა) – მოვლენის კანონზომიერი, თანდათანობითი ცვალებადობა, მისი გადასვლა სხვა მოვლენაში (განვითარება). ფილოსოფ. ლექს. 1987.

**პროცესია** (პროცესიისა) [ლათ. procession წინსვლა] – მრავალრიცხოვანი ხალხის სვლა რისამე აღსანიშნავად. ქეგლ. ტ.6.

**პროფესია** – ადამიანის შრომითი საქმიანობის სახე, რომელსაც ის ფლობს სპეციალური განათლების შედეგად მიღებული ცოდნით, უნარითა და გამოცდილებით.

**პროცესუალურ-ი** (პროცესუალურისა) – სასამართლო პროცესთან დაკავშირებული, პროცესის ხასიათისა. პროცესუალური სამართალი – კანონები, რომლებიც განსაზღვრავენ სასამართლოში საქმის წარმოებას. პროცესუალური უფლება – სასამართლო პროცესში მონაწილე მხარეების უფლება. ქეგლ. ტ.6.

**პუბლიკა** (პუბლიკისა) [ლათ. publicus-იდან საზოგადოებ-რივი] – ძვ. გარკვეული სანახაობისათვის (მაგალი-თად, თეატრში, კონცერტზე, გამოფენაზე...) თავშეყ-რილი ხალხი. ქეგლ. ტ.6.

**პუბლიკაცია** (პუბლიკაციისა) [გერმ. Publication, ლათ. publico-დან საჯაროდ ვაცხადებ] – პრესის ან რადიოს საშუალებით გამოქვეყნება, საჯაროდ გამოცხადება; ბეჭდვით ორგანოში მოთავსება რისა-მე. ქეგლ. ტ.6.

**პუბლიცისტ-ი** (პუბლიცისტისა) – მწერალი, რომელიც საზოგადოებრივ-პოლიტიკურ თემებზე წერს. ქეგლ. ტ.6.

**პუბლიცისტიკა** (პუბლიცისტიკისა) [გერმ. Publizistik, ლათ. publicus-იდან საზოგადოებრივი] – საზოგადოებრივ-პოლიტიკური ხასიათის ლიტერატურა თანამედროვე აქტუალურ საკითხებზე. ქეგლ. ტ.6.

**პუბლიცისტურ-ი** (პუბლიცისტურისა) – პუბლიცისტიკის ხასიათისა, პუბლიცისტიკის ან პუბლიცისტის დამა-ხასიათებელი. ქეგლ. ტ.6.

**პუნქტუაცია** (პუნქტუაციისა) [გერმ. Punctuation, ლათ. punctum-იდან წერტილი] – სასვენ ნიშანთა ხმარების წესები. სასვენ ნიშანთა ხმარება. ქეგლ. ტ.6.

**პურიზმ-ი** (პურიზმისა) [ფრან. purisme, ლათ. purus-იდან წმინდა] – 1. ზნეობრივი სიწმინდის დაცვა (ზოგჯერ მოჩვენებით). 2. ენაში უცხო სიტყვათა ჭარბად შემო-ტანის წინააღმდეგ ბრძოლა (ხშირად მიდის სიტყვა-თა ყოველგვარი სესხების გაუმართლებელ უარყო-ფამდე). ქეგლ. ტ.6.

## ჟ

**ჟარგონ-ი** (ჟარგონისა) [ფრან. jargon] – რომელიმე საზოგადოებრივი ჯგუფის, კლასის, პროფესიის თავისებური მეტყველება; განშტოებაა საერთო-სახალხო ენისა, რომლისაგან განსხვავებითაც აქვს ზოგიერთი სპეციფიკური სიტყვა და გამოთქმა. ქეგლ. ტ.6.

**ჟურნალ-ი** (ჟურნალისა) [ფრან. journal გაზეთი] – წიგნის სახის პერიოდული გამოცემა. ქეგლ. ტ.6.

**ჟურნალისტიკა** – 1. ლიტერატურულ-პუბლიცისტური მოღვაწეობა ჟურნალ-გაზეთებში; 2. ჟურნალ-გაზეთები, პერიოდული გამოცემები. მოკლე პოლიტ. ლექს.

## რ

**რადიკალ-ი** (რადიკალისა) [ინგ. ფრან. radical, ლათ. radix-იდან ძირი] – საკითხის ძირეული გადაწყვეტის, უკიდურეს ღონისძიებათა მომხრე. ქეგლ. ტ.6.

**რადიკალიზმ-ი** (რადიკალიზმისა) – უკიდურესი ზომების, გადამწყვეტ ღონისძიებათა მომხრეობა. ქეგლ. ტ.6.

**რადიკალობა** (რადიკალობისა) – რადიკალის თვისება, რადიკალად ყოფნა. ქეგლ. ტ.6.

**რადიკალურ-ი** (რადიკალურისა) – 1. გადამწყვეტი, გადამჭრელი, უკიდურესი, ძირფესვიანი. 2. რადიკალების ან რადიკალიზმის დამახასიათებელი, რადიკალების შეხედულებათა შესაბამისი, რადიკალებისა. ქეგლ. ტ.6.

**რანგ-ი** (რანგისა) [გერმ. Rang, ფრან. rang] – ხარისხი, თანრიგი, რიგი, კატეგორია. ქეგლ. ტ.6.

**რანდევუ** (რანდევუსი) [ფრან. rendez-vous მოდით, გამოცხადდით] – პაემანი, შეხვედრა. ქეგლ. ტ.6.

**რაობა** (რაობისა) – რისამე დედააზრი, ძირითადი თვისება, არსი, ბუნება. ქეგლ. ტ.6.

**რასა** [ფრ.] – ადამიანთა ისტორიულად ჩამოყალიბებული ჯგუფი, რომელიც გაერთიანებულია საერთო წარმოშობით, სხეულის აგებულების ერთნაირი, მემკვიდრეობით გადაცემული ნიშნებით (კანის, თვალის, თმის ფერით, თავის მოყვანილობით და სხვ.).

**რასა** – ანთროპოლოგიაში – ადამიანთა ჯგუფი, რომელშიც დამახასიათებელ გარეგნულ შესახედაობას განაპირობებს საერთო მემკვიდრეობითი კონსტიტუციური ნიშნები (კანის ფერი, თავის ფორმა, სხეულის ზომები, პირისახის ფორმა).

**რატიფიკაცია** (რატიფიკაციისა) [ლათ. ratificatio-დან: ratus გადაწყვეტილი, დამტკიცებული და facio ვაკეთებ] – სახელმწიფოს წარმომადგენლის მიერ დადებული საერთაშორისო ხელშეკრულების დამტკიცება ამ სახელმწიფოს უმაღლესი ხელისუფლების მიერ. ქეგლ. ტ.6.

**რატიფიცირება** (რატიფიცირებისა) – რატიფიკაციის მოხდენა. ქეგლ. ტ.6.

**რატიფიცირებულ-ი** (რატიფიცირებულისა) – რის რატიფიკაციაც მოხდა. ქეგლ. ტ.6.

**რაყამ-ი** (რაყამისა) [არაბ.-თურქ. რაკამ "გამოსახვა"] – ძვ. წერილი, ბრძანება. ქეგლ. ტ.6.

**რაყიფ-ი** (რაყიფისა) [არაბ.-თურქ. რაკიბ] – ძვ. მეტოქე, მოცილე სიყვარულში. ქეგლ. ტ.6.

**რაყიფობ-ს** – მრავლობითში: რაყიფობენ – მეტოქეობას უწევენ, ეცილებიან ერთმანეთს (სიყვარულში). ქეგლ. ტ.6.

**რაყიფობა** (რაყიფობისა) – ძვ. რაყიფის თვისება, - მეტოქეობა, მოცილეობა (სიყვარულში). ქეგლ. ტ.6.

**რაციონალურ-ი** (რაციონალურისა) [ლათ. rationalis-იდან] – გონივრული, მიზანშეწონილი, საფუძვლიანი. ქეგლ. ტ.6.

**რაციონალური** – გონივრული, გონებიდან გამომდინარე, გონების მეოხებით განხორციელებული.

**რაციონალიზმი** (ლათ. rationalis - გონიერი) – მოძღვრება, რ-ის მიხედვითაც საყოველთაობა და აუცილებლობა – სარწმუნო ცოდნის ეს ლოგიკური ნიშნები – ვერ გამოიყვანება ცდიდან და მისი განზოგადებებიდან; ისინი შეიძლება ავიღოთ მხოლოდ თვით გონებიდან: ან ცნებებიდან, რ-ებიც არსებობენ მხოლოდ გონების ჩანასახების, მიდრეკილებების სახით. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**-რე** – ძვ. ნაწილ. ცოტათი უფრო, ოდნავ; უფრო. ქეგლ. ტ.6.

**რეალიზაცია** (რეალიზაციისა) [ლათ. რეალის-იდან ნივთიერი] – 1. რისამე განხორციელება, სისრულეში მოყვანა, ცხოვრებაში გატარება. 2. საქონლის გაყიდვა; ფასიანი ქაღალდების, ქონების ფულად ქცევა, განაღდება. სესხის რეალიზაცია – სესხის გავრცელება. ქეგლ. ტ.6.

**რეალიზდებ-ა** – რეალიზაცია ხდება. ქეგლ. ტ.6.

**რეალიზებულ-ი** (რეალიზებულისა) – რის რეალიზაციაც მოხდა. ქეგლ. ტ.6.

**რეალისტ-ი** (რეალისტისა) – 1. რეალიზმის მიმდევარი. 2. ვინც თავის მოქმედებაში ანგარიშს უწევს რეალურ ვითარებას, - პრაქტიკოსი. 3. რეალური სასწავლებლის მოწაფე. ქეგლ. ტ.6.

**რეალისტურ-ი** (რეალისტურისა) – რეალიზმის დამახასიათებელი, მისგან გამომდინარე, რეალიზმის შესაფერი. რეალისტურად – რეალიზმის შესაბამისად. ქეგლ. ტ.6.

**რეალობა** (რეალობისა) – ობიექტურად არსებული მოვლენა, ფაქტი, - სინამდვილე. ქეგლ. ტ.6.

**რეალურ-ი** (რეალურისა) – 1. ნამდვილად არსებული, - ჭეშმარიტი, ნამდვილი. ქეგლ. ტ.6.

**რეაქცია** (რეაქციისა) [ფრან. réaction: ლათ. re საპირისპირო და actio მოქმედება] – 1. პასუხი რაიმე ზემოქმედებაზე, რისამე საპასუხო მოქმედება, მდგომარეობა, პროცესი. 2. გადატ. ძლიერი აგზნების შემდეგ ძალ-ღონის გამოცლა, დაუძლურება. ქეგლ. ტ.6.

**რეაქცია** [ფრ.] – რაიმე ზემოქმედების საპასუხო მოქმედება.

**რეაქცია** – საპასუხო, საწინააღმდეგო მოქმედება.

**რეაქციულ-ი** (რეაქციულისა) – რეაქციის დამახასიათებელი, რეაქციის დამცველი, პროგრესის საწინააღმდეგო, კონტრრევოლუციური. ქეგლ. ტ.6.

**რეაქციულობა** (რეაქციულობისა) რეაქციულის თვისება, რეაქციული ხასიათი. ქეგლ. ტ.6.

**რეგალია** (რეგალიისა) [ლათ. regalis-იდან სამეფო] – 1. სამეფო ხელისუფლების აღმნიშვნელი საგანი (მაგ.,

გვირგვინი, კვერთხი...). 2. გადატ. განმასხვავებელი ნიშანი (მაგ., ორდენი). ქეგლ. ტ.6.

**რეგენერაცია** (რეგენერაციისა) [ლათ. regeneratio აღდგენა, აღორძინება]. ქეგლ. ტ.6.

**რეგენერაციულ-ი** (რეგენერაციულისა) – რეგენერაციის ხასიათისა, - აღდგენითი, აღდგენით მიღებული. რეგენერაციული ღუმელი – ღუმელი, სადაც წვის გამავალი პროდუქტების სითბო გამოყენებულია ღუმელში შემავალი გაზისა და ჰაერის გასათბობად. რეგენერაციული რადიომიმღები – მილაკიანი რადიომიმღები, რომელშიაც გამოყენებულია რეგენერატორი. ქეგლ. ტ.6.

**რეგენტ-ი** (რეგენტისა) [ლათ. regens-იდან მმართველი] – 1. მონარქიულ ქვეყნებში – მეფის მცირეწლოვანების, ავადმყოფობის ან სხვ. შემთხვევაში სახელმწიფოს დროებითი მმართველი. ქეგლ. ტ.6.

**რეგიონალურ-ი** (რეგიონალურისა) [ლათ. regionalis საოლქო] – რაც მოიცავს, ეხება ცალკეულ მხარეს, ქვეყანას ან რამდენსამე მეზობელ ქვეყანას. რეგიონალური პაქტი – საერთაშორისო ხელშეკრულება ურთიერთდახმარების შესახებ იმ ქვეყნებს შორის, რომლებიც ერთ გეოგრაფიულ რაიონში იმყოფებიან. ქეგლ. ტ.6.

**რეგიონული** – ადგილობრივი, რაც ეხება ცალკეულ მხარეს, ქვეყანას ან რამდენიმე მეზობელ ქვეყანას. მოკლე პოლიტ. ლექს.

**რეგიონული შეთანხმება** – ერთი რეგიონალური რაიონის სახელმწიფოთა მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებები და შეთანხმებები. მოკლე პოლიტ. ლექს.

**რეგისტრ-ი** (რეგისტრისა) [ლათ. registrum] – რისამე სია, მაჩვენებელი; დავთარი. ქეგლ. ტ.6.

**რეგისტრაცია** (რეგისტრაციისა) [ლათ. registratio, registrum-იდან სია] – დავთარში, სიაში (რეესტრში) შეტანა, აღწერა, აღრიცხვა (ადამიანებისა, საქმიანი ქაღალდებისა, ინვენტარისა, მოვლენებისა და სხვ.). ქეგლ. ტ.6.

**რეგისტრირებულ-ი** (რეგისტრირებულისა) – რის რეგისტრაციაც მოხდა, - აღრიცხული, აღწერილი, გატარებული (დავთარში). ქეგლ. ტ.6.

**რეგლამენტ-ი** (რეგლამენტისა) [ფრან. réglement განკარგულება, ლათ. regula-დან წესი] – 1. დაწესებულების, ორგანიზაციის მუშაობის, მოქმედების წესდება, წესების კრებული. 2. სხდომის, კონფერენციის, ყრილობის... ჩატარების წესი. ქეგლ. ტ.6.

**რეგლამენტაცია** (რეგლამენტაციისა) [ფრან. réglementation] – დაწესებულების, ორგანიზაციის მუშაობის წესების დადგენა, რეგლამენტის დაწესება. ქეგლ. ტ.6.

**რეგრეს-ი** (რეგრესისა) [ლათ. regressus-იდან უკუსვლა] – 1. განვითარების შედარებით მაღალი ფორმებიდან უფრო დაბალზე გადასვლა, - დაქვეითება, დაცემა. 2. რაიმე ვალდებულების შემსრულებლის უკუმოთხოვნილება დანახარჯის ანაზღაურების შესახებ იმ პირის მიმართ, ვისი ვალდებულებაც მან შეასრულა. ქეგლ. ტ.6.

**რეგულარულ-ი** (რეგულარულისა) [ლათ. regularis-იდან] – წესიერი, სწორ-თანაბრული, სისტემატური. ქეგლ. ტ.6.

**რეგულატორ-ი** (რეგულატორისა) [ლათ. regulo-დან წარვმართავ, ვაწესრიგებ] – 1. მომწესრიგებული, მარეგულირებელი. 2. ხელის ან ავტომატური მოწყობილობა მანქანის მოქმედების რეგულაციისათვის. ქეგლ. ტ.6.

**რეგულაცია** (რეგულაციისა) [ლათ. regulo-დან წარვმართავ, ვაწესრიგებ] – 1. მოწესრიგება, გარკვეული წესით წარმართვა. 2. ორგანიზმის მიდრეკილება აღადგინოს დაზიანებული ან დაკარგული ნაწილი. ქეგლ. ტ.6.

**რეგულირდებ-ა** – რეგულირება ხდება, - წესრიგდება. ქეგლ. ტ.6.

**რეგულირება** (რეგულირებისა) – 1. რეგულაციის მოხდენა, - მოწესრიგება. 2. დანადგარის, მანქანისა და სხვ. მუშაობისათვის, აგრეთვე ფიზიკურ-ტექნიკური პროცესის მიმდინარეობისათვის საჭირო რეჟიმის დაცვა. ქეგლ. ტ.6.

**რეგულირება** – შესაბამისი კანონით დადგენილი უფლებამოსილების ფარგლებში დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს მიერ სამართლებრივი აქტების მიღება, ლიცენზიების/ნებართვების გაცემა, მონიტორინგის, კოორდინაციის, ზედამხედველობისა და სალიცენზიო/სანებართვო პირობების შესრულებაზე კონტროლის განხორციელება.

**რეგულირებადი პროფესია** – 1. საქმიანობა, რომლის წინაპირობაა, შესაბამისი აკადემიური ხარისხის ან პროფესიული უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის გარდა, სახელმწიფო სასერტიფიკაციო გამოცდა; 2. პროფესია, რომლით საქმიანობის განსახორციელებლად პირმა უნდა მიიღოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმალური განათ-

ლება და ჩააბაროს შესაბამისი სასერტიფიკაციო გამოცდა.

**რეგულირებულ-ი** (რეგულირებულისა) – რის რეგულირებაც მოხდა, - მოწესრიგებული.

**რედაქტირება** (რედაქტირებისა) – რედაქციის გაკეთება.

**რედაქტორ-ი** (რედაქტორისა) [ფრან. rédacteur, ლათ. redactum-იდან მოწესრიგებული] – 1. წიგნის, ჟურნალის, გაზეთის... გამოცემის ხელმძღვანელი და შინაარსის დამდგენი პირი. 2. ვინც ტექსტს რედაქციას უკეთებს, ასწორებს და ამზადებს დასაბეჭდად. ტექნიკური რედაქტორი – ვინც ბეჭდვის ტექნიკურ მხარეს ხელმძღვანელობს. ქეგლ. ტ.6.

**რედაქცია** (რედაქციისა) [ფრან. rédaction] – ხელნაწერის გასწორება, ლიტერატურული დამუშავება და მომზადება დასაბეჭდად. ქეგლ. ტ.6.

**რედემარკაცია** (რედემარკაციისა) [ფრან. redémarcation] – სასაზღვრო ნიშნების აღდგენა სახელმწიფოს საზღვარზე. ქეგლ. ტ.6.

**რევერანს-ი** (რევერანსისა) [ფრან. réverénce] – 1. მდაბლად თავის დაკვრა მუხლის ჩაკეცვით. 2. ირონ. გადატ. პატივისცემისა და მოწიწების გადაჭარბებული გამოხატვა. ქეგლ. ტ.6.

**რევიუ** (რევიუსი) [ფრან. revue მიმოხილვა] – ზოგიერთ ქვეყანაში – ჟურნალის სახელწოდება. ქეგლ. ტ.6.

**რეზერვაცია** (რეზერვაციისა) [ლათ. reservo-დან ვინახავ, ვიზოგავ] – 1. უფლება იმისა, რომ კვლავ დაუბრუნდნენ რაიმე საკითხის განხილვას. 2. ადგილი, სადაც

იძულებითი წესით ასახლებენ ადგილობრივ მკვიდ-
რებს. ქეგლ. ტ.6.

**რეზიდენტ-ი** (რეზიდენტისა) [ფრან. resident, ლათ. residens-იდან ადგილზე მყოფი] – 1. რომელიმე ქვეყნის მოქალაქე, რომელიც მუდმივად უცხო ქვეყანაში ცხოვრობს. 2. დაზვერვის საიდუმლო ხელმძღვანელი უცხო სახელმწიფოს რომელიმე რაიონში. ქეგლ. ტ.6.

**რეზიდენცია** (რეზიდენციისა) [ლათ. residentio] – მთავრობის, სახელმწიფოს მეთაურის ან სხვა მაღალი თანამდებობის პირის ადგილსამყოფელი. ქეგლ. ტ.6.

**რეზიუმე** (რეზიუმესი) [ფრან. résumé] – შრომის, მოხსენების, სტატიის და სხვ. მოკლე შინაარსი, დასკვნა. ქეგლ. ტ.6.

**რეზიუმირება** (რეზიუმირებისა) – რეზიუმეს, დასკვნების გაკეთება, რისამე შეჯამება. ქეგლ. ტ.6.

**რეზიუმირებულ-ი** (რეზიუმირებულისა) – რასაც რეზიუმე გაუკეთდა, - შეჯამებული. ქეგლ. ტ.6.

**რეზოლუცია** (რეზოლუციისა) [ლათ. resolutio გადაწყვეტილება] – 1. ყრილობაზე, კრებაზე, თათბირზე და მისთ. მიღებული დადგენილება, გადაწყვეტილება, ღონისძიება. 2. წერილობითი განკარგულება, რომელშიაც მოცემულია თანამდებობის პირის გადაწყვეტილება (საქმიან ქაღალდში, განცხადებაში, თხოვნაში... დასმული საკითხის შესახებ). ქეგლ. ტ.6.

**რეზონანს-ი** (რეზონანსისა) [ფრან. resonance, ლათ. resono-დან ვეხმაურები] – გამოხმაურება, გამოძახილი. ქეგლ. ტ.6.

**რეზულტატ-ი** (რეზულტატისა) [ლათ. resultatus-იდან ასახული, არეკლილი] – რაიმე მოქმედების, საქმიანობის, მოვლენის შედეგი. ქეგლ. ტ.6.

**რეიტერი** – მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი საინფორმაციო სააგენტო. მოკლე პოლიტ. ლექს.

**რეკვიზირებულ-ი** (რეკვიზირებულისა) – რის რეკვიზირებაც მოხდა, - ჩამორთმეული. ქეგლ. ტ.6.

**რეკვიზიცია** (რეკვიზიციისა) [ლათ. requisitio მოთხოვნილება] – კერძო პირთა ან საზოგადოებრივ ორგანიზაციათათვის ქონების ჩამორთმევა სახელმწიფოს მიერ. ქეგლ. ტ.6.

**რეკლამა** (რეკლამისა) [ფრან. reclame, ლათ. reclamo-დან ვყვირი] – 1. განცხადება, კლიპი, პლაკატი ან სხვა ღონისძიება რამეზე მასის ყურადღების მისაპყრობად, მომხმარებლების, მაყურებლების და სხვ. მოზიდვის მიზნით. 2. ვისიმე ან რისამე შესახებ ცნობების გავრცელება, შექება მისთვის სახელის მოხვეჭის, მისი პოპულარიზაციის მიზნით. ქეგლ. ტ.6.

**რეკლამა** – 1. კომერციული, სოციალური ან წინასაარჩევნო რეკლამა, გარდა მაუწყებლის მიერ საკუთარ ან დამოუკიდებელ პროგრამასთან დაკავშირებით გაკეთებული განცხადებისა, რომელიც არის ფიზიკურ ან იურიდიულ პირზე, საქონელზე, მომსახურებაზე, სამუშაოზე, იდეასა და წამოწყებაზე ნებისმიერი საშუალებითა და ფორმით გავრცელებული ინფორმაცია, რომელიც გამიზნულია პირთა განუსაზღვრელი წრისათვის და ემსახურება ფიზიკური ან იურიდიული პირის, საქონლის, მომსახურების, სამუშაოს, იდეისა და წამოწყებისადმი ინტერესის ფორმირებასა და შენარჩუნებას, აგრეთვე საქონლის, მომსახურების, სამუშაოს, იდეისა და წამოწყების რეალიზაციის ხელშეწყობას; 2. განცხა-

დების გამოქვეყნება ნებისმიერი შესაძლო ფორმით, მათ შორის უწყებების, ნიშნების, ეტიკეტების, სავიზიტო ბარათების, წერილების, კატალოგების, ფასების ნუსხათა ჩვენებით, სურათების, ფოტოების გამოფენით, კინოფილმების დემონსტრაციით, აუდიო-ან ტელეგადაცემებით, კომპიუტერული ქსელებით, სხვადასხვა ჩანაწერების გავრცელებით და ნებისმიერი სხვა მსგავსი სახით.

**რეკლამაცია** (რეკლამაციისა) [ლათ. reclamatio უკმაყოფილება] – საჩივარი, პროტესტი. ქეგლ. ტ.6.

**რეკლამირება** (რეკლამირებისა) – 1. რეკლამის გაკეთება, რეკლამის მოწყობა. 2. ზედმეტად შექება. 3. რეკლამაციის მოხდენა. ქეგლ. ტ.6.

**რეკომენდაცია** (რეკომენდაციისა) [ლათ. recomendatio] – ვისიმე მუშაობის, საქმიანობის დადებითი დახასიათება წერილობით ან სიტყვიერად. ქეგლ. ტ.6.

**რეკონსტრუქცია** – 1. ძირფესვიანი გადაკეთება, გარდაქმნა გაუმჯობესების მიზნით. 2. რისამე აღდგენა, ახლად აგება შემორჩენილი გადმონაშთების ან აღწერის მიხედვით. მოკლე პოლიტ. ლექს.

**რელატიურ-ი** (რელატიურისა) [ლათ. relativus-იდან] – შეფარდებითი, მიმართებითი. ქეგლ. ტ.6.

**რემარკა** (რემარკისა) [ფრან. remarque] – შენიშვნა, მინაწერი. ქეგლ. ტ.6.

**რემილიტარიზაცია** – განიარაღებული სახელმწიფოს ხელახალი შეიარაღება. მოკლე პოლიტ. ლექს.

**რემისია** (რემისიისა) [ლათ. remissio შემცირება, შესუსტება]. ქეგლ. ტ.6.

**რენეგატ-ი** (რენეგატისა) [ლათ. renegatus, renego-დან უარვყოფ] – ვინც უღალატა თავის რწმენას და მოწინააღმდეგის მხარეზე გადავიდა, - მოღალატე, განდგომილი, გამცემი. ქეგლ. ტ.6.

**რენეგატობა** (რენეგატობისა) – რენეგატის საქციელი, თვისება, - ღალატი, გამცემლობა. ქეგლ. ტ.6.

**რენესანს-ი** (რენესანსისა) [ფრან. renaissance აღორძინება] – დასავლეთ და ცენტრალური ევროპის რიგ ქვეყანაში – კულტურული და იდეოლოგიური განვითარების პერიოდი, რომელიც დაიწყო XIV საუკ. იტალიაში; ახასიათებდა ჰუმანიზმი, ანტიკური კულტურისადმი ინტერესის გაღვიძება, - აღორძინების ხანა. ქეგლ. ტ.6.

**რენომე** (რენომესი) [ფრან. renommée] – ამა თუ იმ პირის (მისი საზოგადოებრივი და პირადი ქცევის) შესახებ შექმნილი შეხედულება, - სახელი, რეპუტაცია. ქეგლ. ტ.6.

**რეპატრიაცია** (რეპატრიაციისა) [ლათ. repatriatio, ლათ. repatrio-დან სამშობლოში ვბრუნდები] – ემიგრანტების დაბრუნება თავიანთ ქვეყანაში სამოქალაქო უფლებათა აღდგენით. ქეგლ. ტ.6.

**რეპლიკა** (რეპლიკისა) [იტალ. replica, ლათ. replico-დან ვუპასუხებ, ვეკამათები] – 1. მოკლედ შეპასუხება, შეკამათება. ორატორისათვის კრებაზე ადგილიდან მიცემული მოკლე შენიშვნა. 2. მსახიობის საპასუხო ფრაზა პარტნიორის სიტყვებზე, აგრეთვე მსახიობის უკანასკნელი სიტყვები, რომლის შემდეგ მეორე მსახიობი იწყებს ლაპარაკს. 3. მხარეების შეკამათება სასმართლო პროცესზე. 4. მუსიკალური ფრაზის გამეორება სხვა ტონალობაში ან სხვა ხმის მიერ. ქეგლ. ტ.6.

**რეპორტაჟ-ი** (რეპორტაჟისა) [ფრან. reportage] – საგაზეთო-საჟურნალო ჟანრის ერთ-ერთი სახე – პერიოდული პრესისათვის დღის განმავლობაში მომხდარი ამბების შესახებ ცნობათა შედგენა. მასმედიის მიერ მოპოვებული მასალა ამა თუ იმ საკითხის გასაშუქებლად. ქეგლ. ტ.6.

**რეპორტიორ-ი** (რეპორტიორისა) [ინგ. reporter] – მასმედიის თანამშრომელი, რომელიც აგროვებს ცნობებს სხვადასხვა ამბებისა და შემთხვევების შესახებ. ქეგლ. ტ.6.

**რეპრესალიები** – საერთაშორისო ურთიერთობაში იძულებითი ზომები, რომლებსაც მიმართავს ერთი სახელმწიფო მეორის არაკანონიერი მოქმედების საპასუხოდ. მოკლე პოლიტ. ლექს.

**რეპრესია** – სახელმწიფო ორგანოების მიერ მიღებული სასჯელის ზომა; დასჯა.

**რეპრივატიზაცია** – ნაციონალიზებული საკუთრების კერძო პირებისთვის დაბრუნება. მოკლე პოლიტ. ლექს.

**რეპუტაცია** (რეპუტაციისა) [ფრან. réputation, ლათ. reputatio-დან მოფიქრება] – საზოგადოებრივი აზრი, შეხედულება ცალკე პირის ან ადამიანთა ჯგუფის შესახებ. ქეგლ. ტ.6.

**რეჟიმ-ი** (რეჟიმისა) [ფრან. régime, ლათ. regimen-იდან მართვა] – 1. მმართველობის წესი. 2. სახელმწიფო წყობილება. ქეგლ. ტ.6.

**რესპექტ-ი** (რესპექტისა) [ფრან. respect] – პატივისცემა. ქეგლ. ტ.6.

**რესპექტაბელობა** (რესპექტაბელობისა) რესპექტაბელურის თვისება, – დარბაისლობა, ღირსეულობა. ქეგლ. ტ.6.

**რესპექტაბელურ-ი** (რესპექტაბელურისა) [ფრან. respectable] – პატივსაცემი, ღირსეული, დარბაისლური. ქეგლ. ტ.6.

**რესპუბლიკა** (რესპუბლიკისა) [ლათ. respublica: res საქმე და publicus საზოგადო, სახალხო] – სახელმწიფო მმართველობის ფორმა, რომლის დროსაც უმაღლესი ძალაუფლება ეკუთვნის გარკვეული ვადით არჩეულ პირებს თუ ორგანოებს. ქეგლ. ტ.6.

**რესპუბლიკელ-ი** (რესპუბლიკელისა) – რესპუბლიკური წესწყობილების მომხრე, დამცველი. ქეგლ. ტ.6.

**რესპუბლიკურ-ი** (რესპუბლიკურისა) – რესპუბლიკის დამახასიათებელი, რესპუბლიკის შესაფერი. ქეგლ. ტ.6.

**რესტავრაცია** – 1. ძველი, რევოლუციის მიერ დამხობილი პოლიტიკური წყობილების აღდგენა. 2. ჟამთა ვითარებაში დაზიანებული საგნების აღდგენა პირველადი სახით. მოკლე პოლიტ. ლექს.

**რესტიტუცია** – ძველი უფლებრივი მდგომარეობის აღდგენა; ერთი სახელმწიფოს მიერ მეორისათვის იმ ქონების დაბრუნება, რომელიც ომის დროს უკანონოდ იყო მიტაცებული. მოკლე პოლიტ. ლექს.

**რესურს-ი** (რესურსისა) [ფრან. ressources ფულადი სახსრები] – მარაგი, სახსარი; შემოსავლის წყარო, შესაძლებლობა. ქეგლ. ტ.6.

**რეტროგრად-ი** (რეტროგრადისა) [ლათ. retrogrades უკან მავალი] – ძველის აღდგენის მომხრე, პროგრესის მოწინააღმდეგე, ჩამორჩენილ შეხედულებათა მქონე ადამიანი. ქეგლ. ტ.6.

**რეტროგრადობა** (რეტროგრადობისა) რეტროგრადის თვისება, - ჩამორჩენილობა. ქეგლ. ტ.6.

**რეტროგრადულ-ი** (რეტროგრადულისა) – რეტროგრადის დამახასიათებელი, - ძველის აღდგენისაკენ მიმართული, პროგრესის საწინააღმდეგო, ჩამორჩენილი. ქეგლ. ტ.6.

**რეტროსპექტულ-ი** (რეტროსპექ ტულისა) – წარსულისაკენ მიმართული, წარსულის განხილვისადმი მიძღვნილი. ქეგლ. ტ.6.

**რეტროსპექცია** (რეტროსპექციისა) [ლათ. retro უკან და specto ვიხედები] – წარსულ მოვლენათა მიმოხილვა, - წარსულისაკენ მიმართვა. ქეგლ. ტ.6.

**რეფერატ-ი** (რეფერატისა) [ლათ. referat მოახსენოს, refero-დან ვაუწყებ, მოვახსენებ] – 1. რაიმე შრომის, მოძღვრების, პრობლემის და მისთ. შინაარსის მოკლედ გადმოცემა. 2. მოხსენება, რომელშიაც მოცემულია რაიმე საკითხის შესახებ არსებული ლიტერატურის მიმოხილვა. 3. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ქეგლ. ტ.6.

**რეფერენდუმ-ი** (რეფერენდუმისა) [ლათ. referendum-იდან რაც უნდა აუწყონ] – საჯარო გამოკითხვა, კენჭის ყრით ხალხის აზრის გარკვევა განსაკუთრებით მნიშვნელოვანი სახელმწიფოებრივი საკითხების შესახებ. ქეგლ. ტ.6.

**რეფერენტ-ი** (რეფერენტისა) [ლათ. referens-იდან მომხსენე-ბელი] – 1. რეფერატის წამკითხველი. 2. თანამდებო-ბის პირი, მომხსენებელი, კონსულტანტი გარკვეული საკითხების შესახებ. ქეგლ. ტ.6.

**რეფერირება** (რეფერირებისა) – რეფერატის მომზადება, წაკითხვა. ქეგლ. ტ.6.

**რეფორმა** (რეფორმისა) [ფრან. reforme, ლათ. reformo-დან გარდავქმნი] – 1. გარდაქმნა, გადაკეთება. 2. პოლიტი-კური გარდაქმნა, რომელსაც ახდენს მმართველი კლასი არსებული წყობილების შეუცვლელად. ქეგლ. ტ.6.

**რეფორმატორ-ი** (რეფორმატორისა) [ლათ. reformator გარდამქმნელი] – რეფორმის მომხდენი, გამტარე-ბელი. ქეგლ. ტ.6.

**რეფორმატორობა** (რეფორმატორობისა) – რეფორმატო-რის თვისება, რეფორმატორად ყოფნა. ქეგლ. ტ.6.

**რეფორმატორულ-ი** (რეფორმატორულისა) – რეფორმატო-რის დამახასიათებელი; რეფორმის ხასიათისა. ქეგლ. ტ.6.

**რეფორმაცია** (რეფორმაციისა) [ლათ. reformatio-დან გარ-დაქმნა, გამოსწორება]. ქეგლ. ტ.6.

**რეფორმირება** (რეფორმირებისა) – რეფორმების მოხდენა. ქეგლ. ტ.6.

**რეფორმირებულ-ი** (რეფორმირებულისა) – რამაც რეფორ-მირება განიცადა, რის რეფორმაც მოხდა. ქეგლ. ტ.6.

**რეფორმისტ-ი** (რეფორმისტისა) – რეფორმიზმის მომხრე. ქეგლ. ტ.6.

**რეფორმისტულ-ი** (რეფორმისტულისა) – რეფორმისტის დამახასიათებელი; რეფორმიზმის ხასიათისა. ქეგლ. ტ.6.

**რეჩიტატივ-ი** (რეჩიტატივისა) [იტალ. recitativo, ლათ. recito-დან ხმამაღლა ვკითხულობ] – ვოკალური მუსიკის ერთ-ერთი სახეობა, რომელიც თავისი ხასიათით უახლოვდება გამომხატველობით კითხვას (დეკლამაციას), მოკლებულია ჩამოყალიბებულ კომპოზიციურ ფორმას და სრულდება თავისუფალი რიტმით. ქეგლ. ტ.6.

**რეცენზია** (რეცენზიისა) [ლათ. recensio-დან განხილვა] – ლიტერატურული ან მეცნიერული ნაშრომის, სპექტაკლის, კინოსურათისა და მისთ. კრიტიკული შეფასება. ქეგლ. ტ.6.

**რეცენზირება** (რეცენზირებისა) – რეცენზიის დაწერა რისამე შესახებ. ქეგლ. ტ.6.

**რეცენზირებულ-ი** (რეცენზირებულისა) – რის რეცენზირებაც მოხდა. ქეგლ. ტ.6.

**რეციდივიზმ-ი** (რეციდივიზმისა) – მოვლენათა განმეორებადობა. ქეგლ. ტ.6.

**რეციდივისტ-ი** (რეციდივისტისა) – რეციდივის (განმეორებითი დანაშაულის) ჩამდენი. ქეგლ. ტ.6.

**რიალ-ი** (რიალისა) – 1. არევ-დარევა, აურ-ზაური, შეხლა-შემოხლა. 2. ძვ. მარცხი, ფათერაკი, წარუმატებლობა. 3. ძვ. "ბოროტი მთქმელობა" (საბა). ქეგლ. ტ.6.

**რიტორ-ი** (რიტორისა) [ბერძ. rhetor] – 1. ძველ საბერძნეთში – მჭევრმეტყველების მასწავლებელი. 2. მჭევრმეტყველი, ენამჭევრი, ორატორი. ქეგლ. ტ.6.

**რიტორიკა** (რიტორიკისა) [ბერძ. rhetorike] – 1. მჭევრმეტყველების თეორია. 2. მჭევრმეტყველება, ენამჭევრობა, ორატორობა. ქეგლ. ტ.6.

**რიტორიკულ-ი** (რიტორიკულისა) [ბერძ. rhetorikos-იდან] – 1. რიტორიკასთან დაკავშირებული, რიტორიკის წესების შესაბამისი. 2. მჭევრმეტყველური, ორატორული. საუბ. ირონ. მაღალფარდოვანი. რიტორიკული ფიგურა – განსაკუთრებული სინტაქსური კონსტრუქცია (მაგ., ინვერსია, რიტორიკული კითხვა...), რომელსაც მწერალი ან ორატორი იყენებს მხატვრულ მეტყველებაში მეტი გამომხატველობისათვის. რიტორიკული კითხვა – რიტორიკული ფიგურის ერთ-ერთი სახე, - მტკიცება, რომელიც შეკითხვის ფორმით არის გამოხატული. ქეგლ. ტ.6.

**რიტორობ-ს** – რიტორია, მჭევრმეტყველობს, ენამჭევრობს, ორატორობს. ქეგლ. ტ.6.

**რიტორობა** (რიტორობისა) – სახელი *რიტორობს* ზმნის მოქმედებისა, - მჭევრმეტყველება, ენამჭევრობა, ორატორობა. ქეგლ. ტ.6.

**რიტორულ-ი** (რიტორულისა) – რიტორის დამახასიათებელი. ირონ. – მაღალფარდოვანი. ქეგლ. ტ.6.

**როიალიზმ-ი** (როიალიზმისა) [ფრან. royalisme; roi-დან მეფე] – მეფის ხელისუფლების მომხრეობა, - მონარქიზმი. ქეგლ. ტ.6.

**როიალისტ-ი** (როიალისტისა) – როიალიზმის მიმდევარი, - მეფის ხელისუფლების მომხრე, მონარქისტი. ქეგლ. ტ.6.

**რომანიზაცია** (რომანიზაციისა) – რომის საზოგადოებრივ ურთიერთობათა, კულტურისა და ენის ელემენ-

ტების შეთვისება რომის იმპერიის გავლენის ქვეშ მოქცეულ ხალხთა მიერ. ქეგლ. ტ.6.

**რომანტიზაცია** (რომანტიზაციისა) – რომანტიკულად მიჩნევა, - გაიდეალება. ქეგლ. ტ.6.

**რომანტიკა** (რომანტიკისა) – განწყობილება, რომელშიაც გრძნობა სჭარბობს გონებას, ოცნებისადმი მიდრეკილება, სინამდვილის იდეალიზაცია. ქეგლ. ტ.6.

**რომანტიკოს-ი** (რომანტიკოსისა) – 1. რომანტიზმის მიმდევარი. 2. გადატ. მეოცნებე, გრძნობების ამყოლი ადამიანი, ვისაც სინამდვილის გაიდეალება სჩვევია. ქეგლ. ტ.6.

**რომანულ-ი** (რომანულისა) [ფრან. roman, ლათ. romanus-იდან რომაული, რომისა] – ძველი რომის სახელმწიფოს, რომაელების დამახასიათებელი. რომანული ფილოლოგია – ფილოლოგიის დარგი, რომელიც რომანულ ენებსა და ხალხთა კულტურას სწავლობს. რომანული სტილი – სტილი, რომელიც გავრცელებული იყო ევროპის ხელოვნებაში X-XIII საუკუნეებში. 2. რომანის ხასიათისა, ქალ-ვაჟის სიყვარულთან დაკავშირებული. ქეგლ. ტ.6.

**როტავ-ს** – უჭკუოდ, უაზროდ, უთავბოლოდ ლაპარაკობს, - ყბედობს, როშავს. ქეგლ. ტ.6.

**როტაცია** (როტაციისა) [ლათ. rotatio] – ტრიალი, ბრუნვა, წრებრუნვა. ქეგლ. ტ.6.

**როტაცია** – საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს, დიპლომატიური წარმომადგენლობისა და საკონსულო დაწესებულების დიპლომატიური თანამდებობის პირთა ურთიერთშენაცვლება.

**რუბიკონ-ი** (რუბიკონისა): რუბიკონის გადალახვა (გადასვლა) – გადატ. ურყევი გადაწყვეტილების მიღება, გადამწყვეტი ნაბიჯის გადადგმა [იმ მდინარის სახელიდან, რომელიც მიჯნავდა იტალიას გალიისაგან. 49 წ.ძვ.წ., მიუხედავად სენატის აკრძალვისა, იულიუს კეისარმა გადალახა ეს მდინარე; ამას მოჰყვა სამოქალაქო ომი, რომელიც კეისრის გამარჯვებით დამთავრდა]. ქეგლ. ტ.6.

**რუბრიკა** (რუბრიკისა) [ლათ. rubrica კანონის სათაური, წითელი საღებავით დაწერილი, ruber-იდან წითელი] – 1. ძვ. რაიმე თხზულების ნაწილის, კარის სათაური, რომელიც წითელი მელნით იწერებოდა. 2. რისამე ნაწილი, განყოფილება, დანაყოფი. ქეგლ. ტ.6.

**რუდუნება** (რუდუნებისა) – ძვ. სახელი რუდუნებს ზმნის მოქმედებისა, - შრომა, გარჯა, ზრუნვა, ღვაწლი. ქეგლ. ტ.6.

**რუპორ-ი** (რუპორისა) [ჰოლან. roeper, roepen-იდან ყვირილი, ძახილი] – გადატ. სხვის შეხედულებათა, აზრთა გამმეორებელი, გამავრცელებელი. ქეგლ. ტ.6.

**რუტინა** (რუტინისა) [ფრან. routine, route-იდან გზა] – დაწესებული შაბლონის მონური მორჩილება, მოძველებული, დრომოჭმული წესებისა და ჩვეულებათა წინაშე ქედის მოხრა, - ჩამორჩენილობა, კონსერვატიულობა. ქეგლ. ტ.6.

**რუტინულ-ი** (რუტინულისა) – რუტინის ხასიათისა, დახავსებულ, დრომოჭმულ წეს-ჩვეულებათა შესაბამისი, - ჩამორჩენილი, კონსერვატიული. ქეგლ. ტ.6.

**რწმუნებულების სიგელი** – დოკუმენტი, რომელსაც სახელმწიფოს მეთაური დიპლომატიურ წარმომადგენელს პოსტზე დანიშვნის დროს გადასცემს. მოკლე პოლიტ. ლექს.

# ს

**სააგენტო** (სააგენტოსი) – 1. დაწესებულება, რომელიც ასრულებს სხვადასხვა ორგანიზაციის ან კერძო პირთა დავალებებს. 2. დაწესებულება, რომელიც თავისი კორესპონდენტების საშუალებით აგროვებს ცნობებს ან აწვდის ინფორმაციას. ქეგლ. ტ.6.

**სააგენტო** – საინფორმაციო დაწესებულება, რომელიც პოლიტიკურ და ეკონომიკურ მოვლენებზე, სამეცნიერო და კულტურულ ცხოვრებაში მომხდარ ამბებზე აგროვებს მასალას და მას პრესას, რადიოსა და ტელევიზიას აწვდის. მოკლე პოლიტ. ლექს.

**საარჩევნო სისტემა** – იურიდიული ნორმებით განმტკიცებული და სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკით ჩამოყალიბებული წარმომადგენლობითი დაწესებულებების არჩევნების ორგანიზაციისა და მათი ჩატარების წესი. მოკლე პოლიტ. ლექს.

**საგანგებო მდგომარეობა** – ქვეყნის შიგნით განსაკუთრებული სამართლებრივი მდგომარეობა, რომელსაც გარკვეული პერიოდით აწესებენ. მოკლე პოლიტ. ლექს.

**საგარეო პოლიტიკა** – საერთაშორისო ასპარესზე სახელმწიფოთა და ხალხთა შორის ურთიერთობათა რეგულირების პოლიტიკა. მოკლე პოლიტ. ლექს.

**სადემარკაციო ხაზი** – 1. ნახაზი, რომელიც ტერიტორიას ან ქვეყანას ორ ან რამდენიმე ზონად ყოფს; 2. ხაზი, რომელიც დროებითი ზავის დროს მოწინააღმდეგეთა ჯარებს ყოფს. მოკლე პოლიტ. ლექს.

**სადუნ-ი** (სადუნისა) – ძვ. “სხვადასხვა ენის მცოდინარე კაცი” (საბა). ქეგლ. ტ.6.

**საელჩო** – სახელმწიფოს დიპლომატიური წარმომადგენლობა სხვა ქვეყნის მთავრობასთან. მოკლე პოლიტ. ლექს.

**საერთაშორისო სამართალი** – კანონთა სისტემა, რომელიც აწესრიგებს სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობებს.

**საერთაშორისო სამართალი** – იმ იურიდიული პრინციპებისა და ნორმების ერთობლიობა, რომლებიც პოლიტიკის და კულტურის დარგში სახელმწიფოთა ურთიერთობებს აწესრიგებს. სახელმწიფოებს შორის სამართლებრივი ნორმები ხელშეკრულებების დადებით წესდება. მოკლე პოლიტ. ლექს.

**საერთაშორისო სასამართლო** – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მთავარი სასამართლო ორგანო. შეიქმნა 1945 წ.

**საერთაშორისო წითელი ჯვარი** – ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციების გაერთიანება, რომლის მიზანია დაჭრილების, სამხედრო ტყვეების და ომის სხვა მსხვერპლთა, აგრეთვე სტიქიური მოვლენების შედეგად დაავადებულების და დაზარალებულების დახმარება. მოკლე პოლიტ. ლექს.

**სავალუტო კურსი** – ერთი ქვეყნის ფულადი ერთეულის ფასი, გამოხატული მეორე ქვეყნის ფულადი ერთეულით. მოკლე პოლიტ. ლექს.

**საზ-ი** (საზისა) [სპარ. საზ] – აღმოსავლური სიმებიანი საკრავი. ქეგლ. ტ.6.

**საზანდარ-ი** (საზანდრისა) [სპარ. საზანდე-დან] – 1. საზის დამკვრელი. 2. დასი, რომელიც შედგება საზის, თარის, ჭიანურის დამკვრელისა და დაირის დამკვრელ-

მომღერლისაგან. 3. უხმარიათ მესტვირის მნიშვნელობით. ქეგლ. ტ.6.

**საზოგადოება** (საზოგადოებისა) – ერთობლიობა, ჯგუფი გარკვეულ წარმოებით ურთიერთობაში მყოფი ადამიანებისა, რომლებსაც აკავშირებს მატერიალური ცხოვრების საერთო, კონკრეტულ-ისტორიული პირობები. ქეგლ. ტ.6.

**საზოგადოებრივ-ი** (საზოგადოებრივისა) – საზოგადოების დამახასიათებელი, საზოგადოების შესახები; საზოგადოებაში არსებული; საზოგადოებაში ადამიანთა საქმიანობასთან დაკავშირებული. ქეგლ. ტ.6.

**საზოგადოებრივი აზრი** – საზოგადოებრივი ცნობიერების არსებობის თავისებური წესი, გამოხატული რ-მე სოციალური ჯგუფის, საერთო ინტერესებით დაკავშირებულ ადამიანთა გაერთიანების არაოფიციალური მასობრივი ცნობიერების სახით, რ-შიც ფიქსირებულია მათი დამოკიდებულება საზოგადოებრივი ცხოვრების მოვლენებისადმი, პარტიათა მოღვაწეობისადმი, დაწესებულებათა და პიროვნებათა მოქმედებისადმი. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**საზოგადოებრივი ურთიერთობები** – ურთიერთობები ადამიანთა შორის, რ-ბიც ყალიბდებიან მათი ერთობლივი პრაქტიკული და სულიერი მოღვაწეობის პროცესში. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**საზრ-ი** (საზრისა) “გონებით მოსინჯვა” (საბა), - ფიქრი, აზრი, მოსაზრება. ქეგლ. ტ.6.

**სათაელ-ი** (სათაელისა) – ეშმაკი, ავი სული. ქეგლ. ტ.6.

**საკაბელო მაუწყებლობა** – საკაბელო ქსელის გამოყენებით მაუწყებლობა.

**საკონსულო** (საკონსულოსი) – 1. ერთი სახელმწიფოს წარმომადგენლობა კონსულის მეთაურობით სხვა სახელმწიფოს რომელიმე ქალაქში. 2. კონსულისა და მისი კანცელარიის შენობა. 3. კონსულის კუთვნილი, - კონსულისა. ქეგლ. ტ.6.

**საკრალურ-ი** (საკრალურისა) [ლათ. sacer-იდან] – რელიგიური კულტისა და რიტუალის შესახები. ქეგლ. ტ.6.

**სალამათ-ი** (სალამათისა) [არაბ. სალამათ "ჯანმრთელობა"]. ქეგლ. ტ.6.

**სალოს-ი** (სალოსისა) – ძვ. 1. სულელი, შმაგი, ცოფი (დ. ჩუბინ.). 2. ცრუმორწ. გიჟი, რომელსაც ვითომდა წინასწარმეტყველების უნარი აქვს. ქეგლ. ტ.6.

**სალტომორტალე** (სალტომორტალესი) [იტალ. Salto mortale სასიკვდილო ნახტომი] – სახიფათო საქციელი, ნაბიჯი. ქეგლ. ტ.6.

**სალუქ-ი** (სალუქისა) [სპარ. სოლუქ "გზა", "ქცევა", "მოქმედება"] – 1. კოხტა, მოხდენილი. 2. ნაზი, წმინდა, ფაქიზი, ნატიფი. ქეგლ. ტ.6.

**სამარაქო** (სამარაქოსი) – ძვ. "სალაპარაკო დედაკაცთა" (დ. ჩუბინ.).

**სამარქაფო** (სამარქაფოსი) მარქაფისათვის განკუთვნილი, - სათადარიგო, სარეზერვო, სამარაგო. ქეგლ. ტ.6.

**სამორინე** (სამორინისა), სამორინო (სამორინოსი) – ძვ. ნარდის, ბანქოს, ჭადრაკისა და მისთ. სათამაშო სახლი. ქეგლ. ტ.6.

**სანტიმენტალობა** (სანტიმენტალობისა) – სანტიმენტალური ქცევა, გადაჭარბებული გრძნობიერების, გულჩვილობის გამოჩენა. ქეგლ. ტ.6.

**სანქცია** (სანქციისა) [ლათ. sanctio დაურღვეველი დადგენილება] – 1. ზემდგომი ინსტანციის მიერ რაიმე აქტის დამტკიცება, რაც მას იურიდიულ ძალას ანიჭებს. 2. გადატ. დადასტურება, თანხმობის მიცემა, მოწონება. ქეგლ. ტ.6.

**სანქციონირება** (სანქციონირებისა) – სანქციის მიცემა, ნების დართვა; რისამე ცნობა კანონიერად, მართებულად. ქეგლ. ტ.6.

**სარაია** (სარაიისა) [სპარ. "სახლი", "სასახლე", "სავანე"] – ძვ. სასახლე, სრა. ქეგლ. ტ.6.

**სარანგ-ი** (სარანგისა) [სპარ. "ჯარის მეთაური", "სარდალი"] – წესრიგის დამცველი; ბოქაული, იასაული. ქეგლ. ტ.6.

**სატელიტ-ი** (სატელიტისა) [ლათ. satelles-იდან თანამგზავრი; მცველი] – 1. სხვისი ნების უსიტყვო შემსრულებელი, სხვისი ყურმოჭრილი ყმა, - დამქაში. 2. სახელმწიფო ან ხელისუფლება, რომელიც ფორმალურად დამოუკიდებელია, ფაქტიურად კი სხვა სახელმწიფოს ექვემდებარება. 3. პლანეტის თანამგზავრი. 4. სპექტრის სუსტი ზოლი ძლიერი ზოლის მეზობლად. ქეგლ. ტ.6.

**სატრაპ-ი** (სატრაპისა) [ბერძ. satrapes. ძვ. სპარ. sitrab-იდან] – 1. ოლქის მმართველი ძვ. სპარსეთში. 2. გადატ. უხეში, თვითნება მმართველი, - დესპოტი. ქეგლ. ტ.6.

**საღი აზრი** – შეხედულებათა, ჩვევათა, აზროვნების ფორმათა ერთობლიობა, რ-საც იყენებს რიგითი ადამიანი ყოველდღიურ პრაქტიკულ მოღვაწეობაში. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**სახელმწიფოებრივ-ი** (სახელმწიფოებრივისა) – სახელმწიფოს კუთვნილი, სახელმწიფოს დამახასიათებელი; სახელმწიფოს შესახები, - სახელმწიფოსი. ქეგლ. ტ.6.

**სახელმწიფოებრიობა** (სახელმწიფოებრიობისა) – სახელმწიფოებრივ დაწესებულებათა, ორგანიზაციათა, ღონისძიებათა და სხვ. ერთობლიობა; სახელმწიფოებრივი წყობილება. ქეგლ. ტ.6.

**სეგმენტ-ი** (სეგმენტისა) [ლათ. segmentum მონაკვეთი] – გადატ. რისამე ერთგვაროვანი ნაწილები. ქეგლ. ტ.6.

**სეკულარიზაცია** – საეკლესიო და სამონასტრო საკუთრების გადაქცევა სახელმწიფო საკუთრებად. მოკლე პოლიტ. ლექს.

**სენსაცია** (სენსაციისა) [ფრან. sensation, ლათ. sensus-იდან გრძნობა, შეგრძნება] – 1. ძლიერი შთაბეჭდილება, რომელსაც საზოგადოებაზე ახდენს რაიმე მოვლენა, შემთხვევა, ამბავი. 2. თვით ეს მოვლენა, შემთხვევა, რომელიც ძლიერ შთაბეჭდილებას, ხმაურს, მითქმა-მოთქმას იწვევს. ქეგლ. ტ.6.

**სენსაციურ-ი** (სენსაციურისა) – სენსაციის გამომწვევი, სენსაციის ხასიათისა. ქეგლ. ტ.6.

**სენსაციურობა** (სენსაციურობისა) – სენსაციურის ხასიათი, სენსაციურის თვისება. ქეგლ. ტ.6.

**სენტენცია** (სენტენციისა) [ლათ. sententia აზრი, მსჯელობა] – მორალური ხასიათის გამონათქვამი, ზნეობრივი დარიგება. ქეგლ. ტ.6.

**სეპარატიზმ-ი** (სეპარატიზმისა) [ფრან. séparatisme, ლათ. separatus-იდან გამოყოფილი] – გამოყოფის, განკერძოებისაკენ სწრაფვა. ქეგლ. ტ.6.

**ᲡᲔᲞᲐᲠᲐᲢᲘᲡᲢᲣᲚ-Ი** (სეპარატისტულისა) – სეპარატისტის დამახასიათებელი, სეპარატიზმთან დაკავშირებული. ქეგლ. ტ.6.

**ᲡᲔᲞᲐᲠᲐᲢᲣᲚ-Ი** (სეპარატულისა) [ლათ. separatus-იდან გამოყოფილი] – განკერძოებული, განცალკევებული. სეპარატული ზავი – ერთი ან რამდენიმე სახელმწიფოს მიერ მოკავშირეებთან შეუთანხმებლად დადებული ზავი. ქეგლ. ტ.6.

**ᲡᲘᲕᲠᲪᲔ** – გეოპოლიტიკის ძირითადი ცნება. წარმოადგენს არა რაოდენობრივ, არამედ ხარისხობრივ კატეგორიას.

**ᲡᲘᲖᲘᲤ-Ი** (სიზიფისა): სიზიფის შრომა – დაუსრულებელი და უნაყოფო შრომა [ძველი ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, კორინთის მეფეს სიზიფს ღმერთების მოტყუებისათვის მისჯილი ჰქონდა მაღალ მთაზე აეგორებინა დიდი ქვა, რომელიც ატანისთანავე ისევ ჩამოგორდებოდა]. ქეგლ. ტ.6.

**ᲡᲘᲛᲑᲘᲝᲖ-Ი** (სიმბიოზისა) [ბერძ. symbiosis თანაცხოვრება] – სხვადასხვა სახეობის ორგანიზმთა თანაცხოვრება, რაც სასარგებლოა თითოეული მათგანისათვის. ქეგლ. ტ.6.

**ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲘᲙᲐ** (სიმბოლიკისა) – 1. იდეათა. ცნებათა და გრძნობათა გამოხატვა სიმბოლოებით, პირობითი ნიშნებით. 2. სიმბოლოთა ერთობლიობა; სიმბოლური მნიშვნელობა. ქეგლ. ტ.6.

**ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲘᲡᲢᲣᲠ-Ი** (სიმბოლისტურისა) – სიმბოლიზმის ან სიმბოლისტის დამახასიათებელი, სიმბოლიზმის ან სიმბოლისტის ხასიათისა. ქეგლ. ტ.6.

**ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲝ** (სიმბოლოსი) [ბერძ. symbolon პირობითი ნიშანი] – პირობითი ნიშანი (საგანი ან მოქმედება),

რომელიც რაიმე ცნებას, იდეას გამოხატავს. სარწმუნოების სიმბოლო – ქრისტიანული სარწმუნოების ძირითად დოგმატთა მოკლე გადმოცემა. ქეგლ. ტ.6.

**სიმპათია** (სიმპათიისა) [ბერძ. symphateia თანაგრძნობა] – 1. კეთილი განწყობილება, თანაგრძნობა, შინაგანი სწრაფვა, ვისიმე ან რისამე მიმართ. 2. საუბ. გადატ. ვინც მოსწონთ, ვინც უყვართ, - სატრფო. ქეგლ. ტ.6.

**სიმულაცია** (სიმულაციისა) [ლათ. simulatio] – რისამე (მაგ., ავადმყოფობის) მოგონება ვისიმე მოტყუების, შეცდომაში შეყვანის მიზნით, - თვალთმაქცობა. ქეგლ. ტ.6.

**სიმქისე** (სიმქისისა) – მქისის თვისება: 1. ხორკლიანობა, დახეთქილობა. 2. უხეშობა, ხეშეშობა. 3. გადატ. სიმკაცრე, უკმეხობა. ქეგლ. ტ.6.

**სინამდვილე** – ის, რაც რეალურად არსებობს და ვითარდება, თავისთავში შეიცავს საკუთარ არსებასა და კანონზომიერებას, აგრეთვე საკუთარი მოქმედებისა და განვითარების შედეგებს. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**სინდისი** – ეთიკური კატეგორია, რ-იც გამოხატავს პიროვნების მორალური თვითკონტროლის უნარის უმაღლეს ფორმას, მისი თვითცნობიერების მხარეს. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**სინდრომ-ი** (სინდრომისა) [ბერძ. syndromos ერთად მორბენალი] – რომელიმე ავადმყოფობის დამახასიათებელი ნიშნების, სიმპტომების ერთობლიობა. ქეგლ. ტ.6.

**სინკრეტიზმ-ი** (სინკრეტიზმისა) [ბერძ. synkretismos შეერთება] – 1. შერწყმულად არსებობა, დაუნაწევრებლობა, გაუდიფერენცირებლობა, რაც რაიმე მოვლენის განვითარების საწყის საფეხურებზე გვხვდება. 2.

ეკლექტიზმის ერთ-ერთი სახეობა: სხვადასხვაგვარ, ერთმანეთის საწინააღმდეგო თვალსაზრისთა გაერთიანება. ქეგლ. ტ.6.

**ᲡᲘᲜᲝᲤᲡᲘᲡ-Ი** (სინოფსისისა) [ბერძ. synopsis მიმოხილვა] – სტატიების ან მასალების კრებული ერთი რაიმე საკითხის შესახებ. ქეგლ. ტ.6.

**ᲡᲘᲜᲥᲠᲝᲜᲘᲖᲛ-Ი** (სინქრონიზმისა) [ბერძ. synchronismos ერთდროულობა] – ორი ან რამდენიმე მოვლენის ან პროცესის დამთხვევა დროში, ერთდროული მიმდინარეობა. ქეგლ. ტ.6.

**ᲡᲘᲜᲥᲠᲝᲜᲣᲚ-Ი** (სინქრონულისა) – სინქრონიზმის ხასიათისა, - ერთსა და იმავე დროს წარმოებული, მიმდინარე. ქეგლ. ტ.6.

**ᲡᲘᲝᲜᲘᲖᲛᲘ** – ებრაელი ხალხის საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობა, რომლის მიზანია პალესტინაში, "აღთქმელ მიწაზე" ებრაული სახელმწიფოს დაარსება და განმტკიცება.

**ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲢᲘᲖᲐᲪᲘᲐ** (სისტემატიზაციისა) [ფრან. systématisation] – სისტემაში მოყვანა, საგნებს, მოვლენებს შორის არსებულ კავშირთა დადგენა, - მოწესრიგება, დასისტემება. ქეგლ. ტ.6.

**ᲡᲘᲡᲢᲔᲛᲐᲢᲣᲠ-Ი** (სისტემატურისა) – 1. რაც სისტემას ქმნის, სისტემას მისდევს, სისტემის ხასიათისა, გარკვეული წესის მიხედვით განლაგებული, წარმოებული. 2. რაც გამუდმებით მეორდება, - განუწყვეტელი. ქეგლ. ტ.6.

**ᲡᲘᲢᲣᲐᲪᲘᲐ** (სიტუაციისა) [ფრან. situation, ლათ. situs-იდან მდებარეობა] – 1. შექმნილი პირობების ერთობლიობა, - გარემოება, მდგომარეობა, ვითარება. 2. რუკა-

ზე ან გეგმაზე სათანადო ნიშნების საშუალებით გამოხატული მდებარეობა (მდინარეებისა, ტყეებისა, მთებისა, დასახლებული ადგილებისა და სხვ.). ქეგლ. ტ.6.

**სიტი** - ლონდონის ცენტრალური ნაწილი, სადაც თავმოყრილია სავაჭრო და სამრეწველო მონოპოლიების, სანაოსნო კომპანიების, ბანკების, იურიდიული ფირმების მმართველობა და კანტორები, ბირჟა და სხვ. მოკლე პოლიტ. ლექს.

**სიტყვაობა** (სიტყვაობისა) – 1. სიტყვების თქმა, ლაპარაკი. 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ქეგლ. ტ.6.

**სიტყვარ-ი** (სიტყვარისა) – ლექსიკონი. ქეგლ. ტ.6.

**სკანდალ-ი** (სკანდალისა) [ბერძ. scandalon-იდან დაბრკოლება, საცდური] – 1. სამარცხვინო, თავის მოსაჭრელი ამბავი, შემთხვევა ან საქციელი. 2. აურზაური, აყალმაყალი, შფოთი, ჩხუბი. ქეგლ. ტ.6.

**სკანდალურ-ი** (სკანდალურისა) – 1. სკანდალის ხასიათისა, - სამარცხვინო. 2. სკანდალების აღმწერი. ქეგლ. ტ.6.

**სკეპტიკოს-ი** (სკეპტიკოსისა) [ბერძ. skeptikos] – ადამიანი, რომელიც ყველაფერს ეჭვის თვალით უყურებს, უნდობლად ეკიდება. ქეგლ. ტ.6.

**სკეპტიციზმ-ი** (სკეპტიციზმისა) [ბერძ. skepsis-იდან განხილვა] – კრიტიკული, უნდობლური დამოკიდებულება, დაეჭვება რისამე სისწორეში ან შესაძლებლობაში. ქეგლ. ტ.6.

**სკეფსის-ი** (სკეფსისისა) [ბერძ. skepsis განხილვა] – ეჭვი, უნდობლობა. ქეგლ. ტ.6.

**სნობ-ი** (სნობისა) – ადამიანი, რომელიც ცდილობს ყველაფერში მიბაძოს მაღალი საზოგადოების მოდებსა და ქცევას და დაიცვას ე.წ. "კარგი ტონის" მოთხოვნილებები. ქეგლ. ტ.6.

**სნობიზმ-ი** (სნობიზმისა) – სნობის თვისება, - მოდისა და კარგი ტონის მოთხოვნილებათა დაცვა. ქეგლ. ტ.6.

**სოლიდარობა** – ერთსულოვნება, შეთანხმებულობა; თანაგრძნობა.

**სოლიდარობა** – ერთმანეთის მტკიცე მხარდაჭერა საერთო მოთხოვნების განხორციელების დროს.

**სოფიზმ-ი** (სოფიზმისა) [ბერძ. სოპჰისმა] – მცდარად გაკეთებული დასკვნა, რომელიც ერთი შეხედვით სწორი ჩანს; ემყარება ცნებათა ორაზროვნებას, ამოსავალ დებულებათა განზრახ უმართებულოდ შერჩევას და სხვ. ქეგლ. ტ.6.

**სოციოლოგია** (ლათ. societas – საზ-ბა და ბერძნ. logos – მოძღვრება, სიტყვა) – მეცნიერება როგორც გლობალური (საზ-ბა მთლიანად), ისე კერძო სოციალური სისტემების განვითარებისა და ფუნქციონირების კანონზომიერებათა შესახებ. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**სოციოლოგია** – მეცნიერება საზოგადოების, მისი სოციალური ინსტიტუტების (სახელმწიფო, სასამართლო, მორალი და სხვ.) პროცესების და საზოგადოებრივი ჯგუფების შესახებ. მოკლე პოლიტ. ლექს.

**სპეციალიზაცია** (სპეციალიზაციისა) [ფრან specialisation, ლათ. specialis-იდან განსაკუთრებული, თავისებური] – რაიმე სპეციალობის მიღება, რაიმე სპეციალობაში დახელოვნება, - დასპეციალება. ქეგლ. ტ.6.

**სპეციალისტობა** (სპეციალისტობისა) – სპეციალისტის თვისება; სპეციალისტად ყოფნა. ქეგლ. ტ.6.

**სპეციფიკა** (სპეციფიკისა) [ლათ. specificus თავისებური] – ის, რაც ამა თუ იმ საგანს, მოვლენას განასხვავებს დანარჩენებისაგან, - თავისებურება. ქეგლ. ტ.6.

**სპონტანურ-ი** (სპონტანურისა) [ლათ. spontaneus თვითნებური] – გარეგანი გავლენის გარეშე, თავისთავად, შინაგანი მიზეზების გამო წარმოქმნილი. ქეგლ. ტ.6.

**სტაბილიზაცია** (სტაბილიზაციისა) [ფრან stabilisation, ლათ. stabilis-იდან მყარი, გამძლე] – ურყევი, მყარი მდგომარეობის შექმნა, განმტკიცება. ქეგლ. ტ.6.

**სტაბილურობა** (სტაბილურობისა) – სტაბილურის თვისება, - სიმტკიცე, სიმყარე, გამძლეობა, უცვლელობა. ქეგლ. ტ.6.

**სტადია** (სტადიისა) [ბერძ. stadion] – რისამე განვითარების საფეხური, პერიოდი, ხანა, ფაზა. ქეგლ. ტ.6.

**სტანდარტ-ი** (სტანდარტისა) [ინგ. standard] – შაბლონი, ტრაფარეტი, არაორიგინალური რამ (შემოქმედების ნაყოფი, ნააზრევი...). ქეგლ. ტ.6.

**სტანდარტულ-ი** (სტანდარტულისა) – გადატ. დამც. თავისებურებას მოკლებული, ერთფეროვანი, შაბლონური, ტრაფარეტული. ქეგლ. ტ.6.

**სტატუსი** – საერთაშორისო სამართალში ფიზიკური ან იურიდიული პირის სამართლებრივი მდგომარეობა.

**სტატუსი** – 1. წესდება, დებულება რისამე შესახებ; 2. ზოგიერთი ქვეყნის საკანონმდებლო აქტები; 3. წესდება რომელიმე ორდენის მინიჭების შესახებ. მოკლე პოლიტ. ლექს.

**სტატუს-ქვო** – გარკვეულ მომენტში არსებული ფაქტიური ან სამართლებრივი მდგომარეობა.

**სტილი** (ხელოვნებაში) – ისტორიულად ჩამოყალიბებული მყარი ერთობა ხატოვანი სისტემების, მხატვრული გამოხატვის საშუალებებისა და წესების, რ-იც განპირობებულია იდეურ-ესთეტიკური და საზოგადოებრივ-ისტორიული შინაარსის ერთიანობით. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**სტილისტიკა** (სტილისტიკისა) [ფრან. stylistique, styl-იდან] – 1. ლიტერატურის თეორიის დარგი, რომელიც სწავლობს ამა თუ იმ მწერლის, ლიტერატურული მიმდინარეობის მხატვრული ენის თავისებურებებს. 2. ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს ენის გამომხატველობით საშუალებებს. ქეგლ. ტ.6.

**სტილისტურ-ი** (სტილისტურისა) – ამა თუ იმ სტილის დამახასიათებელი, სტილით განსაზღვრული, სტილთან დაკავშირებული. ქეგლ. ტ.6.

**სტოიკოს-ი** (სტოიკოსისა) [ბერძ. stōikos] – გაჭირვებისა და განსაცდლის ამტანი, მტკიცე ადამიანი. ქეგლ. ტ.6.

**სტოიციზმ-ი** (სტოიციზმისა) – გადატ. განსაცდელსა და გაჭირვებაში სიმტკიცე, გამძლეობა, ამტანიანობა. ქეგლ. ტ.6.

**სუბლიმაცია** (ლათ. sublimo - ვმაღლდები) – ენერგიის გადართვა სოციალურად მიუღებელი (ქვენა) მიზნებიდან და ობიექტებიდან სოციალურად მისაღებზე (მაღალზე, ამაღლებულზე). ფილოსოფ. ლექს. 1987.

**სუბორდინაცია** (სუბორდინაციისა) [ლათ. subordinatio, ლათ. sub ქვე და ordino ვმართავ, ვნიშნავ] – უმცრო-

სის სამსახურებრივი დაქვემდებარება უფროსისადმი, სამსახურებრივი დისციპლინის წესთა დაცვა. საერთოდ, დაქვემდებარება. ქეგლ. ტ.6.

**სუბსტანცია** (ლათ. substantia - არსება) – ობიექტური რეალობა მისი თვითგანვითარების ყველა ფორმის შინაგანი ერთიანობის ასპექტში, ბუნებისა და ისტორიის მოვლენათა მთელი მრავალგვარობის, ადამიანისა და მისი ცნობიერების ჩათვლით. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**სუვერენიტეტ-ი** (სუვერენიტტისა) [გერმ. Souverenität, ფრან. souveraineté-დან] – 1. სუვერენის უფლებრივი მდგომარეობა, უმაღლესი უფლება. 2. სახელმწიფოს დამოუკიდებლობა; საკუთარი მმართველობის უფლება. ქეგლ. ტ.6.

**სუვერენობა** (სუვერენობისა) – სუვერენიტეტის უფლება, - დამოუკიდებლობა. ქეგლ. ტ.6.

**სუვერენულ-ი** (სუვერენულისა) – სუვერენის ან სუვერენიტეტის დამახასიათებელი, შესაფერი; დამოუკიდებელი. ქეგლ. ტ.6.

**სუროგატ-ი** (სუროგატისა) [ლათ. surrogatus სხვის მაგიერ მოთავსებული, შენაცვლებული] – 1. საგანი, ნივთიერება, რომელიც მხოლოდ ზოგიერთი თვისებით, ნაწილობრივ ენაცვლება სხვა საგანს ან ნივთიერებას. 2. გადატ. ყალბი, ფალსიფიცირებული რამ. ქეგლ. ტ.6.

**სქემატიზმი** - გაუბრალოება, ტრაფარეტულობა აზროვნებაში, რისამე გადმოცემაში, გამოსახვაში. დოგმატიზმის ერთ-ერთი სახეობა. მოკლე პოლიტ. ლექს.

**სქოლასტიკა** (სქოლასტიკისა) [ბერძ. scholastikos-იდან სწავლული] – ცხოვრებასა და პრაქტიკას მოწყვეტილი, უშინაარსო, უნაყოფო მსჯელობა. ქეგლ. ტ.6.

**სქოლასტიკურ-ი** (სქოლასტიკურისა) – 1. სქოლასტიკის დამახასიათებელი, სქოლასტიკის ხასიათისა. 2. ცხოვრებას მოწყვეტილი, ფორმალური, უნაყოფო და უშინაარსო (მსჯელობა). ქეგლ. ტ.6.

## ტ

**ტავტოლოგია** (ტავტოლოგიისა) [ბერძ. tautos იგივე და logos სიტყვა] – 1. ერთისა და იმავეს გამეორება სხვა სიტყვებით; ზოგჯერ ნათქვამს არაფერს მატებს და გაუმართლებელია. 2. ლოგიკაში – მსჯელობა, რომელშიც ქვემდებარე და შემასმენელი ერთი და იგივეა. ქეგლ. ტ.6.

**ტარატურა** (ტარატურასი) – ძვ. “ჩქარ მოუბარი ვერ კეთილად” (საბა), - ტარამანა. ქეგლ. ტ.6.

**ტაქტ-ი** (ტაქტისა) [ლათ. tactus-იდან შეხება] – თავის დაჭერის უნარი, ზომიერების გრძნობა, - თავდაჭერილობა. ქეგლ. ტ.6.

**ტაქტიკა** (ტაქტიკისა) [ბერძ. taktikē] – გადატ. საზოგადოებრივი, პოლიტიკური ბრძოლის ხერხებისა და საშუალებათა ერთობლიობა. ქეგლ. ტ.6.

**ტენდენცია** (ტენდენციისა) [გერმ. Tendenz, ლათ. tendo-დან მივისწრაფვი] – 1. რისამე განვითარების მიმართულება. მიდრეკილება, მისწრაფება. ქართველთა მონასტრების საქართველოს გარეშე, ქრისტიანული კულტურის უცხოეთის მაშინდელ განთქმულ ცენტროებში დაარსების ტენდენცია... V საუკ. შუა წლებში ყოფილა წარმოშობილი (ივ. ჯავახ.). 2. დედააზრი, იდეა, რომელიც საფუძვლად უდევს

რაიმე მხატვრულ ან მეცნიერულ ნაწარმოებს. როგორც ცნობილია, "სიბრძნე-სიცრუის წიგნში" ორი ზნეობრივი ტენდენცია ებრძვის ერთმანეთს (გ. ქიქ.). 3. წინასწარ შემუშავებული ცალმხრივი აზრი, რომელსაც თავს ახვევენ მკითხველს, მაყურებელს. ეს სიები რომ გარკვეული ტენდენციის მიხედვით უნდა იყოს შედგენილი, ეს გარემოება მაინც, ვგონებ, ცხადი უნდა იყოს (ივ. ჯავახ.). ორივე ეს წყაროც გარკვეული ტენდენციით არის გამსჭვალული (ივ. ჯავახ.). ქეგლ. ტ.6.

**ტენდენცია** – მისწრაფების ან მოვლენის განვითარების მიმართულება; განსაზღვრა, მისწრაფება, მიზანი. ტენდენციური – გარკვეული განზრახვით.

**ტენდენციურ-ი** (ტენდენციურისა) – ტენდენციით გამსჭვალული, წინასწარ შემუშავებული, - ცალმხრივი, მიკერძოებითი. ქეგლ. ტ.6.

**ტერიტორიულ-ი** – ტერიტორიის მიხედვით დადგენილი, არსებული, ტერიტორიასთან დაკავშირებული. ტ. წყლები.

**ტერიტორიული წყლები** – 12 საზღვაო მილის სიგანის წყლის სივრცე, რომელიც გასდევს სახელმწიფოს სანაპირო ზოლს.

**ტერორ-ი** (ტერორისა) [ლათ. terror შიში] – ფიზიკური ძალადობა (მკვლელობა...) კლასობრივი და პოლიტიკური მოწინააღმდეგის დაშინების მიზნით. ქეგლ. ტ.6.

**ტერორიზმ-ი** (ტერორიზმისა) – ტერორის ტაქტიკა, ტერორის პოლიტიკა. ქეგლ. ტ.6.

**ტერორისტ-ი** (ტერორისტისა) – ვინც ტერორს მიმართავს, ტერორისტული აქტის მონაწილე. ქეგლ. ტ.6.

**ტიპ-ი** (ტიპისა) [ბერძ. typos ანაბეჭდი] – რისამე არსებითი თვისებრივი ნიშნების მქონე ნიმუში; რისამე სახე, ფორმა. ქეგლ. ტ.6.

**ტიპაჟ-ი** (ტიპაჟისა) [ფრან. typage] – თვისებათა ერთობლიობა, რომელიც ტიპს აყალიბებს, ქმნის. ადამიანი, რომელსაც ასეთი თვისებები გააჩნია, - სახე. ქეგლ. ტ.6.

**ტიპობრივ-ი** (ტიპობრივისა) – გარკვეული ტიპის შესაბამისი, - სანიმუშო. ქეგლ. ტ.6.

**ტირადა** (ტირადისა) [ფრან. tirade] – პათოსით წარმოთქმული ვრცელი სიტყვა, მონოლოგი. ქეგლ. ტ.6.

**ტირან-ი** (ტირანისა) [ბერძ. tyrannos] – 1. მკაცრი, სასტიკი მმართველი, - დესპოტი. 2. გადატ. თავნება, მკაცრი ადამიანი, - დესპოტი. 3. ხელისუფლების ძალადობით დამპყრობი ერთმმართველი ძველ საბერძნეთში. ქეგლ. ტ.6.

**ტირანია** (ტირანიისა) [ბერძ. tyrania] – 1. მკაცრი, სასტიკი, თვითნებური მმართველობა, - დესპოტიზმი. 2. ტირანის მმართველობა ძველ საბერძნეთში. ქეგლ. ტ.6.

**ტოტალიტარიზმი** – ცნება, რომელიც აღნიშნავს მე-20 საუკუნის მთელ რიგ სოციალურ რეჟიმებს, სადაც ეკონომიკას, კულტურას, საზოგადოებრივ და პირად ცხოვრებას მთლიანად გამსჭვალავს სახელმწიფო იდეოლოგია. განასხვავებენ კომუნისტურ და ფაშისტურ ტოტალიტარიზმს (ტერმინი შემოიტანა ბენიტო მუსოლინიმ).

**ტოტალიტარიზმი** (ლათ. totalis – სულმთლად, მთელი, სრული) – საზოგადოებრივ-პოლიტიკური წყობილება, რ-საც ახასიათებს საზოგადოებრივი ორგანიზმის

ყველა მოქმედებაში, ცალკეულ პიროვნებათა ცხოვრებაში ავტორიტარულ-ბიუროკრატიული სახელმწიფოს ყოვლისმომცველი დესპოტური ჩარევა. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**ტოტალური** - ყოვლისმომცველი. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ტრადიცია** (ტრადიციისა) [ლათ. traditio გადაცემა] – 1. ისტორიულად ჩამოყალიბებული, თაობიდან თაობაზე გადაცემული ადათები, წესები, ყოფაქცევის ნორმები. 2. თქმულება; ისტორიული მასალის ზეპირსიტყვიერი გადმოცემა. ქეგლ. ტ.6.

**ტრადიციონალიზმი** – ტრადიციების როლის გაზვიადება მეცნიერებაში, ხელოვნებაში, ზნე-ჩვეულებებსა და რწმენაში, პოლიტიკაში. საფუძვლად უდევს ყოველ კონსერვატიულ აზროვნებას.

**ტრანსკრიფცია** (ტრანსკრიფციისა) [ლათ. transcriptio გადაწერა] – რომელიმე ენის სამეტყველო ბგერათა ზუსტად გადმოცემა საგანგებო ნიშნებით. ქეგლ. ტ.6.

**ტრანსფორმაცია** (ტრანსფორმაციისა) [ლათ. transformatio] – 1. რისამე გარდაქმნა, სახეცვლილება, შეცვლა. 2. განსაზღვრული ძაბვის ცვლადი დენის გარდაქმნა ტრანსფორმატორის საშუალებით მეტი ან ნაკლები ძაბვის დენად. ქეგლ. ტ.6.

**ტრაქტატ-ი** (ტრაქტატისა) [ლათ. tractatus-იდან განხილვა] – 1. მეცნიერული შრომა, რომელშიც განხილულია რაიმე ცალკეული საკითხი. 2. საერთაშორისო ხელშეკრულება. ქეგლ. ტ.6.

**ტრიბუნალი** – საგანგებო სასამართლო. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ᲢᲠᲘᲕᲘᲐᲚᲣᲠ-Ი** (ტრივიალურისა) [ფრან. trivia, ლათ. trivialis-იდან ჩვეულებრივი] – ყველასთვის ცნობილი, გაცვეთილი, სიახლეს, ორიგინალობას მოკლებული. ქეგლ. ტ.6.

**ᲢᲠᲘᲣᲛᲤ-Ი** (ტრიუმფისა) [ლათ. ტრიუმპჰუს] – 1. საზეიმო შეხვედრა, რომელსაც უწყობდნენ გამარჯვებით დაბრუნებულ სარდალსა და მის ჯარს ძველ რომში. 2. გადატ. – ბრწყინვალე წარმატება, გამარჯვების ზეიმი. ქეგლ. ტ.6.

**ᲢᲠᲘᲣᲛᲤᲐᲚᲣᲠ-Ი** (ტრიუმფალურისა) – ტრიუმფის ხასიათისა, ტრიუმფით აღნიშნული, - საზეიმო, სადღესასწაულო. ტრიუმფალური თაღი – თაღებიანი ნაგებობა ღირსშესანიშნავი ისტორიული ამბის აღსანიშნავად ამართული; აქვს ერთი ან სამი გასასვლელი (ძველ რომში – ტრიუმფატორის გასატარებლად). ქეგლ. ტ.6.

**ᲢᲠᲘᲣᲛᲤᲐᲢᲝᲠ-Ი** (ტრიუმფატორისა) – ძველ რომში – მტერზე გამარჯვებული სარდალი, რომელსაც რომში დაბრუნებისას ტრიუმფით ხვდებოდნენ. ქეგლ. ტ.6.

**ᲢᲠᲝᲐᲡ ᲪᲮᲔᲜᲘ** – გადატანითი მნიშვნელობით – ნიშნავს საჩუქარს, რომელსაც დაღუპვის მიზნით ჩუქნიან მტერს.

## Უ

**ᲣᲐᲛᲔᲡ-Ი** (უამესისა) – უფრო მეტად სასიამოვნო; მეტის მეტად საამო. ქეგლ. ტ.6.

**ᲣᲑᲐᲓᲝ** (უბადოსი) – ძვ. “ცუდი, ავი” (საბა). ქეგლ. ტ.6.

**ᲣᲑᲐᲠ-Ი** (უბრისა) – ვინც არ ელაპარაკება ვისმე; მომდურავი, უმძრახი. ქეგლ. ტ.6.

**უზირ-ი** (უზირისა) – 1. უვიცი, უმეცარი. 2. ასეთი ადამიანის დამახასიათებელი (სიტყვა, ლაპარაკი...). 3. კუთხ. (ფშ.) უშნო, ულამაზო, შეუხედავი. ქეგლ. ტ.6.

**უდიერობა** (უდიერობისა) – უდიერი საქციელი, - მოურიდებლობა, მოძალადეობა, უტიფრობა. ქეგლ. ტ.6.

**უებრო** (უებროსი) – ვისაც (რასაც) ტოლი, მსგავსი, ბადალი არა ჰყავს (არა აქვს), - უბადლო, სწორუპოვარი. ქეგლ. ტ.6.

**უვი-ს** – იგივეა, რაც ჰყავს. ქეგლ. ტ.6.

**უზურპატორ-ი** (უზურპატორისა) [ლათ. usurpator] – პირი, რომელმაც უკანონოდ ჩაიგდო ხელში ძალაუფლება ან ძალით მიითვისა სხვისი უფლებები. ქეგლ. ტ.6.

**უზურპაცია** (უზურპაციისა) [ლათ. usurpatio] – უკანონოდ ხელში ჩაგდება, - მითვისება (ძალაუფლებისა, სხვისი უფლებებისა). ქეგლ. ტ.6.

**ულტიმატუმ-ი** (ულტიმატუმისა) [ლათ. ultimus-იდან ბოლო, ყველაზე უკანასკნელი] – უკანასკნელი, საბოლოო მოთხოვნა, რომელსაც წაუყენებს ერთი სახელმწიფო მეორეს და რომლის შეუსრულებლობა გამოიწვევს ზემოქმედების რაიმე საშუალების დაუყოვნებლივ გამოყენებას (თვით ომსაც-კი). ქეგლ. ტ.6.

**ულტიმატუმი** – 1. საერთაშორისო სამართალში ერთი სახელმწიფოს მიერ მეორე სახელმწიფოსათვის დიპლომატიური ნოტის გაგზავნა; 2. სიტყვის ფართო მნიშვნელობის - მტკიცე, კატეგორიული მოთხოვნა, რომელსაც მუქარა ახლავს. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ულტრანაციონალიზმ-ი** (ულტრანაციონალიზმისა) – უკიდურესი ნაციონალიზმი, - შოვინიზმი. ქეგლ. ტ.6.

**ულტრანაციონალისტურ-ი** (ულტრანაციონალისტურისა) – უკიდურესად ნაციონალისტური, - შოვინისტური. ქეგლ. ტ.6.

**ულტრარეაქციონერ-ი** (ულტრარეაქციონერისა) – უკიდურესი რეაქციონერი. ქეგლ. ტ.6.

**ულტრარეაქციულ-ი** (ულტრარეაქციულისა) – უკიდურესად რეაქციული. ქეგლ. ტ.6.

**ულტრარეაქციულობა** (ულტრარეაქციულობისა) – ულტრარეაქციულის თვისება. ქეგლ. ტ.6.

**ულტრაფორმალიზმ-ი** (ულტრაფორმალიზმისა) – უკიდურესი ფორმალიზმი. ქეგლ. ტ.6.

**უმეცარ-ი** (უმეცრისა) – უსწავლელი, გაუნათლებელი; უცოდინარი, უვიცი. ქეგლ. ტ.6.

**უმეცრება** (უმეცრებისა) – უმეცრის თვისება, - უვიცობა, უსწავლელობა, გაუნათლებლობა. ქეგლ. ტ.6.

**უნია** – გაერთიანება, კავშირი, ორი მონარქიული სახელმწიფოს გაერთიანება ერთ-ერთის მეფის მეთაურობით ან კათოლიკური და მართლმადიდებელი ეკლესიებისა რომის პაპის მეთაურობით. მოკლე პოლიტ. ლექს.

**უნივერსალობა** (უნივერსალობისა) – უნივერსალურის თვისება, - ყოველმხრივობა, ყოვლისმცოდნეობა. ყოვლისშემცველობა. ქეგლ. ტ.6.

**უნივერსალურ-ი** (უნივერსალურისა) [ლათ. universalis საყოველთაო] – 1. საყოველთაო, ყოველმხრივი. 2.

ისეთი (ჩარხი, დაზგა...), რომლითაც შესაძლებელია ამა თუ იმ სამუშაოს სხვადასხვა ოპერაციის შესრულება. ქეგლ. ტ.6.

**უნიკუმ-ი** (უნიკუმისა) [ლათ. unicum ერთადერთი] – მეტის მეტად იშვიათი, განუმეორებელი რამ. ქეგლ. ტ.6.

**უნიფიკაცია** (უნიფიკაციისა) [ლათ. unus ერთი და facio ვაკეთებ] – გაერთნაირება, საერთო ნორმაზე, ფორმაზე დაყვანა. ქეგლ. ტ.6.

**უნიფიცირებულ-ი** (უნიფიცირებულისა) – რის უნიფიკაციაც მოხდა. ქეგლ. ტ.6.

**უპორტფელო მინისტრი** – მთავრობის წევრი, რომელიც უშუალოდ არ მართავს სამინისტროს ან სახელმწიფოს მმართველობის ორგანოს. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ურბანიზაცია** – საზოგადოებაში ქალაქების როლის ზრდის ისტორიული პროცესი. უ-ის მთავარ მაჩვენებელს ქალაქების მოსახლეობის წილის ზრდა წარმოადგენს. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ურჯუკ-ი** (ურჯუკისა) – 1. ძვ. ურწმუნო, უღმერთო. 2. გადატ. დაუნდობელი, შეუბრალებელი, გულქვა. ქეგლ. ტ.6.

**ურჯუკობა** (ურჯუკობისა) – ურჯუკის თვისება, - შეუბრალებლობა, დაუნდობლობა. ქეგლ. ტ.6.

**უტილიტარიზმი** – ეთიკური მიმართულება, რომელსაც მიაჩნია, რომ ადამიანის ქცევის მიზანი უნდა იყოს სარგებლიანობა, კეთილდღეობა, იმის მიუხედავად, საქმე ეხება ინდივიდს თუ საზოგადოებას.

**უტილიტარიზმი** (ლათ. უტილიტას - სარგებლობა) – ეთიკური თეორია, რ-იც ქცევის ზნეობრიობის კრიტერიუმად მის სარგებლიანობას თვლის. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**უტოპია** (უტოპიისა) [ლათ. u არ და topos ადგილი, ე.ი. არარსებული ადგილი]. ქეგლ. ტ.6.

**უტოპია** [ბერძ.] – ფანტასტიკური რამ, განუხორციელებელი ოცნება.

**უტოპია** – "ქვეყანა, რომელიც არსად არის" (თომას მორი). უტოპისტი – ადამიანი, რომელსაც ქადაგებს საზოგადოების გაუმჯობესების განუხორციელებელ გეგმებს ან იდეებს.

**უტოპისტ-ი** (უტოპისტისა) – უტოპიური სოციალიზმის მქადაგებელი. გადატ. – მეოცნებე, ფანტაზიორი. ქეგლ. ტ.6.

**უტოპიურ-ი** (უტოპიურისა) – უტოპიის ხასიათისა, - განუხორციელებელი, ფანტასტიკური. ქეგლ. ტ.6.

**უფლებამოსილება** – დამოუკიდებელი მარეგულირებელი ორგანოს შესაბამისი კანონით განსაზღვრული და ამ მარეგულირებელ ორგანოზე სპეციალურად დელეგირებული უფლებები და მოვალეობები.

**უფლებაუნარიანობა** – პირის შესაძლებლობა, იქონიოს უფლებები და მოვალეობები.

**უყისმათო** (უყისმათოსი) – ცუდი ყისმათისა, - უბედო, უბედური, უიღბლო. ქეგლ. ტ.6.

**უშ-ი** (უშისა) – კვნესა, ოხვრა, ვაება, წუხილი. ქეგლ. ტ.6.

**უშიშროების საბჭო** – გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მნიშვნელოვანი და მუდმივად მოქმედი ორგანო. გაერო-ს წესდების თანახმად, უ. ს-ს ევალება საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების დაცვა. მოკლე პოლიტ. ლექს.

**უშტ-ი** (უშტისა) – ძვ. ათი მილიონი. ქეგლ. ტ.6.

**უშტის-უშტ-ი** (უშტის-უშტისა) – ძვ. ასი მილიონი. ქეგლ. ტ.6.

**უხამს-ი** (უხამსისა) – უდიერი, უწესო, უმსგავსი. ქეგლ. ტ.6.

**უხამსობა** (უხამსობისა) – უხამსის თვისება, - უწესობა, უმსგავსობა. ქეგლ. ტ.6.

**უჯერო** (უჯეროსი) – 1. დაუჯერებელი, ურწმუნო. 2. რაც დასაშვები არ არის, - დაუშვებელი. ქეგლ. ტ.6.

**უჯერობა** (უჯერობისა) – უჯეროს თვისება, - დაუჯერებლობა, ურწმუნოება. ქეგლ. ტ.6.

**უჯიათ-ი** (უჯიათისა) – 1. გაუგონარი, შეუსმენარი, თავნება; ჯიუტი, კერპი. 2. ასეთი ადამიანის შესაფერი (თვისება). ქეგლ. ტ.6.

**უჯიათობა** (უჯიათობისა) – უჯიათის თვისება, - სიჯიუტე, გაუგონრობა, კერპობა. ქეგლ. ტ.6.

**უჯიგრო** (უჯიგროსი) – გადატ. ვისაც (რასაც) მშობლიური, ნათესაური სიყვარულის გრძნობა არა აქვს. ქეგლ. ტ.6.

**უჯიგრობა** (უჯიგრობისა) – გადატ. უჯიგროს თვისება. ქეგლ. ტ.6.

**უჯილაგო** (უჯილაგოსი) – ცუდი ჯილაგისა, - უგვარო, უჯიშო. გადატ. – ცუდი, უხეირო. ქეგლ. ტ.6.

**უჯილაგობა** (უჯილაგობისა) – უჯილაგოს თვისება, - უგვარობა, უჯიშობა; უხეირობა. ქეგლ. ტ.6.

## ფ

**ფავორიტ-ი** (ფავორიტისა) [ლათ. favor-იდან კეთილგანწყობილება] – ძვ. 1. ადამიანი, რომელიც სარგებლობს გავლენიანი, მაღალი თანამდებობის პირის კეთილგანწყობილებით, მოსარჩლეობით, მფარველობით, სიყვარულით. საერთოდ, ვისიმე სიყვარული, გამორჩეული პირი. 2. მეფის ან დედოფლის საყვარელი, რომელსაც დიდი გავლენა ჰქონდა სახელმწიფოებრივ ან საზოგადოებრივ საქმეთა გადაწყვეტისას. ქეგლ. ტ.7.

**ფაზა** (ფაზისა) [ფრან. phase, ბერძ. phasis-იდან] – 1. ისტორიული განვითარების გარკვეული პერიოდი. 2. ცალკეული მომენტი, საფეხური რომელიმე მოვლენის განვითარებაში. ქეგლ. ტ.7.

**ფალსიფიკაცია** (ფალსიფიკაციისა) [ლათ. falsificatio] – სწორის, ჭეშმარიტის, ნამდვილის თვალთმაქცურად შეცვლა არასწორით, არანამდვილით, მცდარით, - გაყალბება, დამახინჯება. ქეგლ. ტ.7.

**ფალსიფიცირებულ-ი** (ფალსიფიცირებულისა) – რასაც ფალსიფიკაცია უყვეს, - გაყალბებული. ქეგლ. ტ.7.

**ფამილიარობა** (ფამილიარობისა) – ფამილიარულად მოპყრობა, - მოურიდებლობა, შინაურულობა, ზედმეტი სითამამე. ქეგლ. ტ.7.

**ᲤᲐᲛᲘᲚᲘᲐᲠᲣᲚ-Ი** (ფამილიარულისა) [ლათ. familiaris ოჯახური, შინაურული] – მეტად შინაურული, - მოურიდებელი, თამამი, თავისუფალი, უბოდიშო. ქეგლ. ტ.7.

**ᲤᲐᲜᲢᲐᲖᲘᲐ** (ფანტაზიისა) [ბერძ. phantasia წარმოსახვა] – შემოქმედებითი წარმოსახვა. ქეგლ. ტ.7.

**ᲤᲐᲜᲢᲐᲡᲛᲐᲒᲝᲠᲘᲐ** (ფანტასმაგორიისა) [ბერძ. phantasma მოჩვენება და agoreuo ვამბობ] – 1. უცნაური, ფანტასტიკური, მოჩვენებითი, ბოდვისებური ხილვა, სურათი; არ არსებული რამ. 2. სხვადასხვა ოპტიკური ხელსაწყოებით მიღებული ფერთა და ჩრდილთა უცნაური თამაში, - მოჩვენებითი გამოხატულება. ქეგლ. ტ.7.

**ᲤᲐᲜᲢᲐᲡᲢᲘᲙᲐ** (ფანტასტიკისა) – გამოგონილი, არარეალური, ფანტაზიასთან დაკავშირებული, ზღაპრული რამ. ქეგლ. ტ.7.

**ᲤᲐᲜᲢᲐᲡᲢᲘᲙᲣᲠ-Ი** (ფანტასტიკურისა) – ფანტასტიკის ხასიათისა, - არნახული, დაუჯერებელი, ზღაპრული. ქეგლ. ტ.7.

**ᲤᲐᲜᲢᲐᲡᲢᲘᲙᲣᲠᲝᲑᲐ** (ფანტასტიკურობისა) – ფანტასტიკურის თვისება, - არარეალურობა. ქეგლ. ტ.7.

**ᲤᲐᲠᲛᲐᲜ-Ი** (ფარმანისა) [სპარ. ფარმან, “ბრძანება”] – ძვ. იგივეა, რაც ფირმანი. ქეგლ. ტ.7.

**ᲤᲐᲠᲡᲐᲒ-Ი** (ფარსაგისა) – რიგიანი, ხეირიანი, გამოსადეგი; კარგი, კეთილი. ქეგლ. ტ.7.

**ᲤᲐᲢᲐᲚᲘᲖᲛ-Ი** (ფატალიზმისა) [ლათ. fatalis-იდან საბედისწერო] – რაც მოსასვლელია, იმის გარდაუვალობის რწმენა, ბედისწერის (ფატუმის) არსებობის რწმენა. ქეგლ. ტ.7.

**ფატალურ-ი** (ფატალურისა) [ლათ. fatalis საბედისწერო] – ფატალიზმის დამახასიათებელი, რასაც ვერ აიცდენ, გარდაუვალი. ქეგლ. ტ.7.

**ფატუმ-ი** (ფატუმისა) [ლათ. fatum ბედი, ბედისწერა] – გარდუვალი ხვედრი, იღბალი, ბედისწერა. ქეგლ. ტ.7.

**ფაშიზმ-ი** (ფაშიზმისა) [იტ. fascismo, ლათ. fascis-დან] – უკიდურესად რეაქციული პოლიტიკური მიმდინარეობა.

**ფაშიზმი** – ავტორიტარული პოლიტიკური სისტემა და ტოტალიტარული სოციალური რეჟიმი, რომელსაც 1922 წელს ჩაუყარა იტალიაში საფუძველი ბენიტო მუსოლინიმ ჯენტილეს იდეებზე დაყრდნობით.

**ფახ-ი** (ფახისა) – მოჩვენებითი გამბედაობა, - რიხი. ქეგლ. ტ.7.

**ფედერაცია** [ფრ.] – 1. სახელმწიფოს წყობილების ფორმა, რომლის დროსაც რამდენიმე სახელმწიფოსაგან იქმნება ერთი სახელმწიფო. 2. ცალკეულ საზოგადოებათა, ორგანიზაციათა კავშირი.

**ფედერაცია** – სახელმწიფო მოწყობის ფორმა, რომლის დროსაც ორი ან რამდენიმე სახელმწიფოსაგან (მხარისაგან) იქმნება ერთი სახელმწიფო ძლიერი ცენტრალური ხელისუფლებითა და ერთიანი კონსტიტუციით.

**ფეთ-ი** (ფეთისა) – 1. გიჟი, ფეთიანი. 2. ღამით საოცრისაგან შეშინება (საბა). ქეგლ. ტ.7.

**ფეთიან-ი** (ფეთიანისა) – ვისაც ან რასაც ფეთება სჭირს, - დაფეთებული, დამფრთხალი, შეშინებული; გიჟი. ქეგლ. ტ.7.

**ფემინიზმ-ი** (ფემინიზმისა) [ფრან. féminisme, ლათ. femina-დან ქალი, დედაკაცი] – პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც მოითხოვს ქალთა უფლებრივ ფორმალურ გათანასწორებას მამაკაცებთან. ქეგლ. ტ.7.

**ფენომენ-ი** (ფენომენისა) [ბერძ. phainomenon მოვლენა] – არაჩვეულებრივი, გაუგონარი (მოვლენა, ადამიანი). ქეგლ. ტ.7.

**ფენომენალურ-ი** (ფენომენალურისა) – ფენომენის ბუნებისა, განსაკუთრებული, არაჩვეულებრივი. ქეგლ. ტ.7.

**ფეტიშ-ი** (ფეტიშისა) [ფრან. fétiche] – 1. რაიმე ნივთი, საგანი, რომელსაც (პირველყოფილი ტომები) მიაწერდნენ ღვთაებრივ ძალას, მიიჩნევდნენ თაყვანისსაცემ საგნად (კერპად, ხატად...). 2. გადატ. საგანი, რომელსაც ბრმად თაყვანსა სცემენ, აღმერთებენ. ქეგლ. ტ.7.

**ფეტიშიზმ-ი** (ფეტიშიზმისა) – 1. რელიგიური თაყვანისცემა ფეტიშებისა. 2. გადატ. ფეტიშების ბრმად თაყვანისცემა, რისამე გაღმერთება. ქეგლ. ტ.7.

**ფეშქაშ-ი** (ფეშქაშისა) [სპარ. ფიშკაშ] – საჩუქარი, ძღვენი. ფეშქაშ! საუბ. მიჩუქებია! მომიძღვნია! ქეგლ. ტ.7.

**ფილანთროპ-ი** (ფილანტროპისა) [ბერძ. philantropos] – კაცთმოყვარე; ქველმოქმედი; მოწყალე. ქეგლ. ტ.7.

**ფილანთროპია** (ფილანტროპიისა) [ბერძ. philanthropia] – კაცთმოყვარეობა; ქველმოქმედება; მოწყალეობა. ქეგლ. ტ.7.

**ფილიპიკა** (ფილიპიკისა) – მკაცრი მამხილებელი სიტყვა, მიმართული რომელიმე პიროვნების წინააღმდეგ [ბერძ. philippika მომდინარეობს მეფე ფილიპე მაკედონელის წინააღმდეგ მიმართული ძველი

ბერძენი ორატორის დემოსთენის მამხილებელი პოლიტიკური სიტყვების სახელწოდებიდან]. ქეგლ. ტ.7.

**ფიქცია** (ფიქციისა) [ლათ. fictio] – მოგონილი, შეთხზული რამ. სინამდვილის შეუფერებლის, არარსებულის მიჩნევა ნამდვილ ფაქტად. ქეგლ. ტ.7.

**ფიქციურ-ი** (ფიქციურისა) – სინამდვილის შეუფერებელი, მოსაჩვენებელი, მოგონილი, ყალბი. ქეგლ. ტ.7.

**ფიქციურობა** (ფიქციურობისა) – ფიქციურის თვისება. ქეგლ. ტ.7.

**ფლეგმა** (ფლეგმისა) [ბერძ. phlegma ლორწო, სისველე] – 1. აუღელვებლობა, გულგრილობა, უსიცოცხლობა, მოდუნებულობა. 2. საუბ. ფლეგმატური ადამიანი. ქეგლ. ტ.7.

**ფლეგმატიზმ-ი** (ფლეგმატიზმისა) – გულგრილობა, აუღელვებლობა, მოდუნებულობა. ქეგლ. ტ.7.

**ფლეგმატურ-ი** (ფლეგმატურისა), ფლეგმატიკურ-ი (ფლეგმატიკურისა) – ფლეგმატიზმის ხასიათისა, გულგრილი, უსიცოცხლო, აუღელვებელი. ქეგლ. ტ.7.

**ფოლიანტ-ი** (ფოლიანტისა) [გერმ. Foliant, ლათ. folium-იდან ფურცელი] – სქელი, დიდი ფორმატის წიგნი. ქეგლ. ტ.7.

**ფორმალისტიკა** (ფორმალისტიკისა) – ფორმალიზმის მეტისმეტი დაცვა, - ფორმალობა. ქეგლ. ტ.7.

**ფორმალისტურ-ი** (ფორმალისტურისა) – ფორმალიზმის ბუნებისა, ფორმალიზმთან დაკავშირებული, ფორმალიზმით გამსჭვალული. ქეგლ. ტ.7.

**ᲤᲝᲠᲛᲐᲚᲝᲑᲐ** (ფორმალობისა) – ფორმალური მხარე, რისამე გარეგნული, არაარსებითი მხარე. ქეგლ. ტ.7.

**ᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ** (ფორმაციისა) [ლათ. formatio წარმოება; სახე] – 1. ადამიანთა საზოგადოების განვითარების საფეხური, რომელსაც ახასიათებს წარმოებით ურთიერთობათა ერთობლიობის გარკვეული ტიპი (პირველყოფილ-თემური, მონათმფლობელური, ფეოდალური, კაპიტალისტური). 2. ერთი პერიოდის გეოლოგიური ფენები. 3. ამა თუ იმ ფორმის, სახის შექმნა, ჩამოყალიბება. 4. ტიპი, სტრუქტურა, წყობა (ადამინაის სულიერი მხარისა). ქეგლ. ტ.7.

**ᲤᲝᲠᲛᲘᲠᲔᲑᲣᲚ-Ი** (ფორმირებულისა) – გაფორმებული, ჩამოყალიბებული. შედგენილი, დაკომპლექტებული. ქეგლ. ტ.7.

**ᲤᲝᲠᲛᲣᲚᲘᲠᲔᲑᲐ** (ფორმულირებისა) – მოკლედ და ზუსტად გამოთქმა, განსაზღვრა, ფორმულად ჩამოყალიბება, - დაფორმულება. ქეგლ. ტ.7.

**ᲤᲝᲠᲞᲝᲡᲢ-Ი** (ფორპოსტისა) [გერმ. Vorposten] – 1. მოწინავე გამაგრებული პოზიცია, - ავანპოსტი. 2. გადატ. მოწინავე, რისამე წამომწყები; დასაყრდენი. ქეგლ. ტ.7.

**ᲤᲝᲠᲢᲣᲜᲐ** (ფორტუნისა) [ლათ. fortuna შემთხვევა] – 1. რომაულ მითოლოგიაში – ბედ-იღბლის ღვთაება. 2. ბედნიერი შემთხვევა, ბედი. ქეგლ. ტ.7.

**ᲤᲝᲠᲣᲛ-Ი** (ფორუმისა) [ლათ. forum] – 1. მოედანი ძველ რომში, სადაც იმართებოდა სხვადსხვა სახის შეკრებილობა (პაექრობა, სასამართლო, ბაზარი და სხვ.). 2. შეკრების ადგილი, სადაც იმართება გამოსვლები; თავმოყრის ცენტრი. ქეგლ. ტ.7.

**ფოტოგრაფიულ-ი** (ფოტოგრაფიულისა) – ფოტოსურათის მსგავსად ზუსტი, შემოქმედებას, ფანტაზიას მოკლებული. ქეგლ. ტ.7.

**ფრაზეოლოგია** (ფრაზეოლოგიისა) [ბერძ. phrasis გამოთქმა და logos მოძღვრება] – 1. მტკიცედ ჩამოყალიბებული გამონათქვამები, ამა თუ იმ ენის დამახასიათებელი თავისებური სიტყვათა შეერთებანი, სიტყვათსაქცევი. 2. ენათმეცნიერების დარგი, რომელიც სწავლობს ასეთ გამოთქმებს. 3. რომელიმე მწერლის ლიტერატურული მიმდინარეობის ან გარკვეული პერიოდის საზოგადოებრივი ჯგუფის დამახასიათებელი სიტყვიერი ხერხები. 4. ლამაზი, მაღალფარდოვანი ფრაზები და გამოთქმები, რომლითაც ცდილობენ აზრის სიღარიბე მიჩქმალონ. ქეგლ. ტ.7.

**ფრაზიორ-ი** (ფრაზიორისა) [ფრან. phraseur] – ადამიანი, რომელსაც უყვარს მჭერმეტყველური, მაღალფარდოვანი, ლამაზი, მაგრამ უშინაარსო სიტყვებისა და ფრაზების ხმარება. ქეგლ. ტ.7.

**ფრაზიორობა** (ფრაზიორობისა) – ფრაზიორის თვისება; მაღალფარდოვანი, უშინაარსო ფრაზებით ლაპარაკი. ქეგლ. ტ.7.

**ფრანს პრესის სააგენტო** – საფრანგეთის საინფორმაციო სააგენტო, მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი. შეიქმნა 1944 წ. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ფრაქცია** (ფრაქციისა) [ლათ. fractio გატეხა, ნატეხი] – 1. დაჯგუფება პარტიის შიგნით, რომელიც პარტიის ძირითად ხაზს არ იზიარებს. 2. ერთი რომელიმე პარტიის წევრ დეპუტატთა დაჯგუფება პარლამენტში ან სხვა წარმომადგენლობითს დაწესებულებაში თავისი პარტიის პოლიტიკის ორგანიზებულად წარმოების მიზნით. ქეგლ. ტ.7.

**ფსევდოეპიგრაფიკულ-ი** (ფსევდოეპიგრაფიკულისა) – იგივეა, რაც სახელნატყუარი. ქეგლ. ტ.7.

**ფსევდოკლასიკურ-ი** (ფსევდოკლასიკურისა) – იგივეა, რაც ცრუკლასიკური. ქეგლ. ტ.7.

**ფსევდოკლასიციზმ-ი** (ფსევდოკლასიციზმისა) – იგივეა, რაც ცრუკლასიციზმი. ქეგლ. ტ.7.

**ფსიქოზ-ი** (ფსიქოზისა) [ბერძ. psyche-დან სული] – რაიმე უცნაურობა, არანორმალურობა ადამიანის ფსიქიკაში. ქეგლ. ტ.7.

**ფუნქცია** (ფუნქციისა) [ლათ. functio სამუშაოს შესრულება] – შესასრულებელი საქმე, სამოქმედო საგანი, მოვალეობა. ქეგლ. ტ.7.

**ფუნქციონირება** (ფუნქციონირებისა) [ლათ. functio-დან სამუშაოს შესრულება] – მოქმედებაში ყოფნა, - თავისი დანიშნულების, ფუნქციის შესრულება. ქეგლ. ტ.7.

**ფურორ-ი** (ფურორისა) [ლათ. furor სიშმაგე, მძვინვარება] – წარმატება, რომელიც იწვევს საზოგადოებაში დიდ აღტაცებას. ქეგლ. ტ.7.

## ქ

**ქადაგებ-ს** – 1. წარმოთქვამს. 2. გადატ. რაიმე მოძღვრებას, სწავლას, იდეას ავრცელებს ზეპირად ან წერილობით. ქეგლ. ტ.7.

**ქადაგება** (ქადაგებისა) – რელიგიურ-დამრიგებლობითი შინაარსის სიტყვა, ეკლესიაში წარმოთქმული. ქეგლ. ტ.7.

**ქადაგობა** (ქადაგობისა) – ქადაგად ყოფნა, ქადაგის თვისება. ქეგლ. ტ.7.

**ქალამ-ი** (ქალმისა) – 1. იხმარება სალამ სიტყვასთან ერთად და გამოხატავს ურთიერთ მისალმებას. ქეგლ. ტ.7.

**ქალკედონიანობა** (ქალკედონიანობისა), ქალკიდონიანობა (ქალკიდონიანობისა) – ერთერთი დოგმატური მიმდინარეობა ქრისტიანულ ეკლესიაში [ქ. ქალკედონის (საბერძნეთშია) კრების (გაიმართა 451 წ.) მიხედვით]. ქეგლ. ტ.7.

**ქამანდარ-ი** (ქამანდრისა) [სპარ. ქამანდარ "მშვილდოსანი"] – ქამანდის მსროლელი, - ჩუბინი. ქეგლ. ტ.7.

**ქამანდრობა** (ქამანდრობისა) – კუთხ. (მოხევ.) ქამანდრის თვისება. – მარჯვედ სროლა, კარგად სროლა. ქეგლ. ტ.7.

**ქარაგმა** (ქარაგმისა) – 1. "ასონაკლების ნიშანი" (საბა), - ძველ ხელნაწერებში, წარწერებში – შემოკლებული სიტყვის თავზე დასმული ნიშანი ~. 2. შემოკლებულად დაწერილი სიტყვა, რომელსაც ასეთი ნიშანი უზის. ქეგლ. ტ.7.

**ქარაგმულ-ი** (ქარაგმულისა) – ორაზროვანი, გადაკრული (სიტყვა, ლაპარაკი). ქეგლ. ტ.7.

**ქარტია** (ქარტიისა) [ბერძ. chartion, chartēs-იდან პაპირუსის ფურცელი, საწერად გამოსაყენებელი] – 1. ძვ. ხელნაწერი პაპირუსი ან პერგამენტი. სიგელ-გუჯარი. 2. გადატ. სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის დოკუმენტი. ქეგლ. ტ.7.

**ქარტია** – სახელმწიფოებრივ-პოლიტიკური მნიშვნელობის მქონე ზოგი დოკუმენტის სახელწოდება. იგი

გამოხატავს ფართო სახალხო მოძრაობის ძირითად მოთხოვნებს, რიგ შემთხვევაში საერთაშორისო აქტებს ან ხელშეკრულებებს ქარტიას უწოდებენ. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ქაფარ-ი** (ქაფრისა) [არაბ.] – 1. ძვ. მაჰმადიანთა მეტყველებაში – არამაჰმადიანი; ურწმუნო, ურჯულო; საერთოდ უცხო ტომის კაცი. ქეგლ. ტ.7.

**ქეზ-ი** (ქეზისა): ქეზს მოიდებს – გათამამდება, თავს გავა. ქეგლ. ტ.7.

**ქეზება** (ქეზებისა) – სიტყვით აღზავება ბოროტის საქნელად (საბა), - შეგულიანება. ქეგლ. ტ.7.

**ქერუბიმ-ი** (ქერუბიმისა), ქერუბინ-ი (ქერუბინისა) [ძვ. ებრ. kerūbim] – რელიგიური მითოლოგიით: ანგელოზი უმაღლესი რანგისა. ქეგლ. ტ.7.

**ქვენა** (ქვენასი) – ქვევითა, ქვედა, დაბლითა. ქვენა გრძნობა – მდაბალი, არაადამიანური, პირუტყვული გრძნობა. ქეგლ. ტ.7.

**ქვენაბამ-ი** (ქვენაბამისა) – ძვ. გასასუქებლად ნაბამი; ნასუქი. ქეგლ. ტ.7.

**ქვე-ქვე** – ძვ. გულში, გუნებაში, ჩუმად. “მე თუ ზეპირ მიცინია, ქვე-ქვე მითქვამს იდუმალ ვა” (რუსთაველი). ქეგლ. ტ.7.

**ქილიკაობ-ს** – ხუმრობს, ოხუნჯობს. ქეგლ. ტ.7.

**ქილიკაობა** (ქილიკაობისა) – ხუმრობა, ოხუნჯობა. ქეგლ. ტ.7.

**ქიმერულ-ი** (ქიმერულისა) – განუხორციელებელი, ფანტაზიური. ქეგლ. ტ.7.

**ქირდვა** (ქირდვისა) – სახელი ქირდავს ზმნის მოქმედე-ბისა, აუგის თქმა, ლაპარაკი ვინმეზე, - ძრახვა, დაცინვა, კიცხვა, კილვა. ქეგლ. ტ.7.

**ქლამინდ-ი** (ქლამინდისა) – ძვ. სამეფო წამოსასხმელი (საბა), - მანტია. ქეგლ. ტ.7.

**ქლესა** (ქლესასი) – გადატ. ფლიდი, ფარისეველი. ქეგლ. ტ.7.

**ქოლერიკ-ი** (ქოლერიკისა) [ლათ. cholericus, ბერძ. cholē-დან ნაღველი] – ფიცხი ადამიანი. ქეგლ. ტ.7.

**ქოლერიკულ-ი** (ქოლერიკულისა) – ქოლერიკის დამახა-სიათებელი, ფიცხი. ქეგლ. ტ.7.

**ქორონიკონ-ი** (ქორონიკონისა) – წელთაღრიცხვის ძველი სისტემა, რომელიც მიღებული იყო ქრისტიანულ ქვეყნებში. ქეგლ. ტ.7.

**ქრთამ-ი** (ქრთამისა) – 1. “საცოდავი ძღვენი” (საბა). 2. ძვ. და კუთხ. (ფშ.) საჩუქარი, გასამრჯელო საქმის გარიგების ან რაიმე სამსახურის გაწევისათვის. 3. კუთხ. (კახ. ქართლ. ფშ.) საპატარძლოსათვის ფუ-ლად მისაცემი თანხა მზითევთან ერთად. ქეგლ. ტ.7.

**ქრონიკა** (ქრონიკისა) [ბერძ. chronika] – საზოგადოებრივი მოვლენების, ფაქტების ქრონოლოგიური აღნუსხვა, ყოველწლიური ჩანაწერი, - მატიანე. ქეგლ. ტ.7.

**ქრონიკალობა** (ქრონიკალობისა) – ქრონიკალურის ხასიათისა; მიმდინარე ცხოვრების მომენტთა მოკლედ, გაუშლელად აღწერა, - სქემატურობა. ქეგლ. ტ.7.

**ქრონოლოგია** (ქრონოლოგიისა) [ბერძ. chronos დრო და logos მოძღვრება] – 1. ისტორიული მოვლენების

თანმიმდევრობა დროის მიხედვით. 2. დამხმარე ისტორიული დისციპლინა, რომელიც ადგენს ისტორიული მოვლენებისა და დოკუმენტების თარიღებს. ქეგლ. ტ.7.

**ქრონოლოგიურ-ი** (ქრონოლოგიურისა) – დროის მიხედვით თანმიმდევრობითი, მიყოლებითი. ქეგლ. ტ.7.

**ქსუ** (ქსუსი) – 1. შეუჩვეველი, მფრთხალი (ცხოველი, ფრინველი). 2. გადატ. მიუკარებელი (ადამიანი). ქეგლ. ტ.7.

**ქტიტორ-ი** (ქტიტორისა) [ბერძ. ktētōr მფლობელი, პატრონი] – ბიზანტიაში და ზოგ სხვა ქვეყანაში – პირი, რომელმაც საკუთარი ხარჯებით ააშენა და დააარსა ქრისტიანული ტაძარი. ქეგლ. ტ.7.

**ქულბაქ-ი** (ქულბაქისა) – ძვ. "ბაზარი" (საბა). ქეგლ. ტ.7.

**ქუფრ-ი** (ქუფრისა) – შავი, ბნელი. ქუფრად – შავად, პირქუშად. ქეგლ. ტ.7.

**ქუშ-ი** (ქუშისა) – მწყრალი, მოღუშული, პირქუში. ქეგლ. ტ.7.

## ღ

**ღადო**[1] (ღადოსი) – ძვ. 1. "ზღვის ღელვის ნჭრევა" (საბა), - ტალღა. 2. ტალღებად დაფენილი თმა, კულულები. ქეგლ. ტ.7.

**ღადო**[2] (ღადოსი) – 1. ოღრო-ჩოღრო, უსწორ-მასწორო ადგილი, კლდე-ღრე. 2. კავკასიონის მთის ერთ-ერთი შტოს სახელი, - სამცხის მთები. ქეგლ. ტ.7.

**ღაზავათ-ი** (ღაზავათისა) [არაბ. ღაზავათ] – "საღვთო ომი" არამუსულმანთა წინააღმდეგ ისლამის გასავრცელებლად. ქეგლ. ტ.7.

**ღაზო** (ღაზოსი) [არაბ.-სპარ. ღაზაბ "რისხვა"] – 1. შურიანი, ბოროტი. 2. უბედურება, საზიანო რამ. 3. კუთხ. (ქიზ.) უნარი, ფხა, გამჭრიახობა. ქეგლ. ტ.7.

**ღალიან-ი** (ღალიანისა) – ღალის მქონე, - გამოსავლიანი; ბარაქიანი; ნოყიერი. ცხიმიანი. ქეგლ. ტ.7.

**ღალიან-ბარაქიან-ი** (ღალიან-ბარაქიანისა) – ღალიანი და ბარაქიანი. ქეგლ. ტ.7.

**ღაფალ-ი** (ღაფლისა) [არაბ.] – ძვ. 1. მოცდუნებული (საბა), - მოტყუებული. 2. უხალისო. ქეგლ. ტ.7.

**ღაღად-ი** (ღაღადისა) – ხმამაღლა თქმული მოწოდება. ხმამაღალი ხვეწნა, მუდარა. ხმამაღალი მოთხოვნა. ქეგლ. ტ.7.

**ღაღადყოფ-ს** (ღაღადყო, ღაღადუყვია) – ძვ. ღაღადით ამბობს, ხმამაღლა იტყვის, წამოიძახებს. ქეგლ. ტ.7.

**ღაღან-ი** (ღაღანისა) – ფერადი ციმციმი, ფერის ელვარება, ბზინვა, ხასხასი (ნათესისა, ბალახისა...). ქეგლ. ტ.7.

**ღდინ-ი** (ღდინისა) [არაბ. დინ "სარწმუნოება"]: ღდინს ართმევს, [გა]ავლის, [გა]აგდებინებს – სულს ხდის, ძალ-ღონეს [გამო]აცლის. ღდინში, ღდინამდის ჩაჰყვება, ჩასდევს – არ მოეშვება; დაწვრილებით გამოიკითხავს, გამოიძიებს. საშინლად უყვარს ზედმიწევნილობა, ყველაფერი უნდა გამოიძიოს, გამოიწვლილოს, ღდინამდე უნდა ჩაჰვეს (თ. სახოკ. თარგმ.). საკითხს ღდინამდე ჩავსდი (დ. შენგ.). ქეგლ. ტ.7.

**ღირებულებანი** – გარემომცველი სამყაროს ობიექტების სპეციფიკური სოციალური განსაზღვრებანი, რ-ბიც გამოავლენენ მათს დადებით ან უარყოფით მნიშვნელობას ადამიანისა და საზ-ბისათვის (სიკეთე, კეთილი და ბოროტი, მშვენიერი და მახინჯი, რაც საზოგადოებრივი ცხოვრების ან ბუნების მოვლენებს ახასიათებს). გარეგნულად ღირებულებანი საგნის ან მოვლენის თვისებებია, თუმცა ისინი მათ ახასიათებს არა ბუნებრივად, არა თავად ობიექტის შინაგანი სტრუქტურის გამო, არამედ იმიტომ, რომ იგი ჩართულია ადამიანის საზოგადოებრივი ყოფიერების სფეროში და გარკვეული სოციალური მიმართებების მატარებელია. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**ღონისძიება** (ღონისძიებისა) – ამა თუ იმ მიზნის შესრულებისათვის საჭირო მოქმედება, - ზომა, ცდა. საშუალება, სახსარი. ქეგლ. ტ.7.

### ყ

**ყაბულ-ი** (ყაბულისა) [არაბ. კაბულ]: ყაბული არის, ყაბულს არის თანახმაა, თანხმობას აცხადებს. ქეგლ. ტ.7.

**ყაბულობ-ს** – რისამე ყაბულია, ყაბულს არის, - თანახმაა, თანხმდება. ქეგლ. ტ.7.

**ყაბულობა** (ყაბულობისა) – იგივეა, რაც თანხმობა. ქეგლ. ტ.7.

**ყად-ი** (ყადისა) [არაბ. ყადი] – მუსულმანთა სასულიერო მსაჯული, მოსამართლე. ქეგლ. ტ.7.

**ყადარ-ი** (ყადარისა) [არაბ. კადარ "ღირებულება"] – საფერი საკადრისი, ტოლი, ღირსი. ქეგლ. ტ.7.

**ყადაღა** (ყადაღისა) [თურქ. კადაღ "აკრძალვა"] – ხელისუფლების ან სასამართლო ორგანოების მიერ კერძო პირის ან ორგანიზაციის კუთვნილი ქონების მიმოქცევა-გამოყენების აღკვეთა. ყადაღას დაადებს – კრძალავს, უკრძალავს მიმოქცევას. ყადაღა [და]ედება – ყადაღას [და]ადებენ. ყადაღას ხსნის (ახსნის, მოხსნის) ყადაღადადებულ ქონებას ათავისუფლებს, ნებას რთავს თავისუფალი მიმოქცევა-გამოყენებისას. ქეგლ. ტ.7.

**ყადრ-ი** (ყადრისა) [არაბ. კადრ] – ფასი, ღირებულება; დაფასება; მნიშვნელობა. ქეგლ. ტ.7.

**ყავლ-ი** (ყავლისა) [არაბ. კავლ "პირობა"] – განსაზღვრული, დათქმული, დაწესებული დრო რისამე პირობებისა, - ვადა. ქეგლ. ტ.7.

**ყაიდა** (ყაიდისა) [არაბ.] – 1. როგორიმე წესი, რიგი, ხასიათი. 2. ძვ. დაფა-ზურნის დაკვრის ესა თუ ის კილო, ჰანგი. ქეგლ. ტ.7.

**ყაირათ-ი** (ყაირათისა) – იგივეა, რაც მომჭირნეობა. ქეგლ. ტ.7.

**ყაირათიანობა** (ყაირათიანობისა) – იგივეა, რაც მომჭირნეობა. ქეგლ. ტ.7.

**ყალამ-ი** (ყალმისა) [არაბ. კალამ] – მხატვრის ფუნჯი. ქეგლ. ტ.7.

**ყალთაბანდ-ი** (ყალთაბანდისა) [სპარ. კალთაბან "საზიზღარი"] – ვინც სიყალბეს სჩადის, - მატყუარა, თაღლითი, კომბინატორი. ქეგლ. ტ.7.

**ყალიბ-ი** (ყალიბისა) [არაბ. კალიბ "ფორმა", "მოდელი"] – 1. ამა თუ იმ მოყვანილობის სათავსი, რაშიც ასხამენ რაიმე მასას სათანადო ფორმის მისაცემად, -

დარჯაკი, ფორმა. 2. იგივეა, რაც კალიბრი. ქეგლ. ტ.7.

**ყალიბდებ-ა** (ჩამოყალიბდა, ჩამოყალიბებულა) – გადატ. გამოკვეთილი, საბოლოო სახე ეძლევა, - ფორმდება; არსდება. ქეგლ. ტ.7.

**ყალყ-ი** (ყალყისა) [არაბ. კალაკ "მოძრაობა", "შფოთვა"]. ქეგლ. ტ.7.

**ყანდ-ი** (ყანდისა) [სპარ.-არაბ. კანდ "შაქარი"] – ძვ. დაწმენდილი, თეთრი შაქარი (დ. ჩუბინ.). ქეგლ. ტ.7.

**ყვითელი პრესა** – იმ პრესის კრებითი სახელწოდება, რომელიც სენსაციებითაა გატაცებული, არ ეთაკილება ცილისწამება, ფაქტების დამახინჯება. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ყისმათ-ი** (ყისმათისა) [თურქ. კისმათ] – საუბ. ბედი, იღბალი. ქეგლ. ტ.7.

**ყისმათიან-ი** (ყისმათიანისა) – საუბ. ყისმათის მქონე, - იღბლიანი. ქეგლ. ტ.7.

**ყმუნვა** (ყმუნვისა) – ძვ. გაჩუმება, დუმილი. ქეგლ. ტ.7.

**ყონაღ-ი** (ყონაღისა) [თურქ. კუნაკ] – საუბ. სტუმრობით დამეგობრებული პირი. ქეგლ. ტ.7.

**ყონაღობა** (ყონაღობისა) – საუბ. ყონაღად ყოფნა, - მეგობრობა. ქეგლ. ტ.7.

**ყორღან-ი** (ყორღნისა) [თურქ. კურგან "ციხე-სიმაგრე"] – ძველი დროის საფლავზე გაკეთებული მაღალი ბორცვი.

## შ

**შაბლონ-ი** (შაბლონისა) [გერმ. Schablone] – გამოთქმის, გამოსახვის გაცვეთილი ფორმა, - ტრაფარეტი. ქეგლ. ტ.7.

**შაბლონურ-ი** (შაბლონურისა) – შაბლონის ხასიათისა, მრავალგზის განმეორებული, - გაცვეთილი, ტრაფა-რეტული. ქეგლ. ტ.7.

**შათირ-ი** (შათირისა) [არაბ. შატირ "მალემსრბოლი"] – ძვ. იგივეა, რაც შიკრიკი. ქეგლ. ტ.7.

**შამან-ი** (შამანისა) [თურქ. შამან "ჯადოქარი", "გრძნე-ული"] – ზოგ ხალხებში – მკურნალი-ჯადოქარი, რომელიც თითქოს სულების დახმარებით კურნავს ავადმყოფებს. ქეგლ. ტ.7.

**შამანიზმ-ი** (შამანიზმისა) – პირველყოფილი თემური წყობილების რღვევისა და კლასობრივ საზოგა-დოებაში გადასვლის ხანაში წარმოშობილი რელიგი-ური მსოფლმხედველობა, რომელიც დაკავშირე-ბულია წინაპართა სულების არსებობასა და შამანებისაგან მათი გამოწვევის შესაძლებლობის რწმენასთან. ქეგლ. ტ.7.

**შანტაჟ-ი** (შანტაჟისა) [ფრან. chantage] – რეპუტაციის შემლახველი, შემარცხვენელი ცნობების გამჟღავ-ნების მუქარა (რამე სარგებლობის მიღების მიზნით). ქეგლ. ტ.7.

**შანტაჟი** – პირის იძულება შეასრულოს ან არ შეასრუ-ლოს რაიმე მოქმედება მისთვის ან მისი ახლობ-ლებისათვის სახელის გამტეხი ან სხვა საზიანო ცნობების გახმაურების მუქარით.

**შარ-ი** (შარისა) – უსაფუძვლო დაწამება, დაბრალება უსიამოვნების მიყენების განზრახვით, - ცილისწამება. დავა, დავიდარაბა. ქეგლ. ტ.7.

**შარიათ-ი** (შარიათისა) [შარიათ "კანონი"] – მაჰმადიანთა იურიდიკული და რელიგიური ნორმები (კანონები), ჩამოყალიბებული ყურანის საფუძველზე. ქეგლ. ტ.7.

**შარიათი** – ზოგიერთ მუსლიმანურ სახელმწიფოში მუსლიმანური ფეოდალური სამართლის რელიგიურ და იურიდიულ ნორმათა ერთობლიობა. მოკლე პოლიტ. ლექს.

**შარლატან-ი** (შარლატნისა) [ფრან. charlatan] – მცოდნედ, სპეციალისტად თავის გამსაღებელი უვიცი, - მატყუარა; გაიძვერა. ქეგლ. ტ.7.

**შარლატნობა** (შარლატნობისა) – შარლატნის თვისება, - გაიძვერობა. ქეგლ. ტ.7.

**შარლატნურ-ი** (შარლატნურისა) – შარლატნურის დამახასიათებელი; შარლატნის შესაფერი, - გაიძვერული. ქეგლ. ტ.7.

**შარნა** (შარნისა) – 1. კუთხ. (იმერ. გურ. ლეჩხ.) საცოლის დასანიშნი ნივთი, - ბელგა. 2. იგივეა, რაც შანა. ქეგლ. ტ.7.

**შაჰ-ი** (შაჰისა) [სპარ. შაჰ] – ირანის (სპარსეთის) მეფე. ქეგლ. ტ.7.

**შაჰინშაჰ-ი** (შაჰინშაჰისა) [სპარ. შაჰინ შაჰ] – მეფეთ მეფე. ქეგლ. ტ.7.

**შაჰსეი-ვაჰსეი** (შაჰსეი-ვაჰსეისა) [სპარ. შაჰ ჰოსეინ, ვაჰ ჰოსეინ] – შიიტ მუსულმანთა რელიგიური ცერემონია, რომელიც იმართება ირანსა და ზოგ სხვა

ქვეყანაში მთვარის წლის პირველ თვეში და გამოხატავს ხალიფა ალის შვილის ჰუსეინის წამებას (680 წ.); ცერემონიის მონაწილენი თავსა და ტანზე იცემენ ხმალს ან ლახტს და მოთქვამენ: "შაჰ ჰუსეინ, ვაჰ ჰუსეინ!". ქეგლ. ტ.7.

**შეთითხნა** (შეთითხნისა) – 1. შესვრა, შეთხვრა, შეთხუპნა. 2. გადატ. შეთხზვა, მოგონება (უხამსი რისამე, ჭორების...), - მოჩმახვა. ქეგლ. ტ.7.

**შეითან-ი** (შეითნისა) [არაბ.] – ეშმაკი, სატანა. ქეგლ. ტ.7.

**შეითვისტომებ-ს** (შეითვისტომა, შეუთვისტომებია) – თავისად, თვისტომად მიიღებს, - შეითვისებს. ქეგლ. ტ.7.

**შერიფი** – 1. ინგლისში, ირლანდიისა და ამერიკის შეერთებულ შტატებში თანამდებობის პირი, რომელიც ასრულებს ადმინისტრაციულ და სასამართლო ფუნქციებს. 2. მუსლიმანურ ქვეყნებში მაჰმადის შთამომავალთა საპატიო წოდებულება. მოკლე პოლიტ. ლექს.

**შესხმა** (შესხმისა) – ქება, ხოტბა, დიდება. ქეგლ. ტ.7.

**შეფრფინვა** (შეფრფინვისა) – სიამით, ტრფიალით, აღტაცებით ცქერა; შეხარილი. ქეგლ. ტ.7.

**შთაბეჭდილება** (შთაბეჭდილებისა) – ადამიანის შემეცნებაში შეგრძნებების გზით მიღებული გარეგამღიზიანებლის კვალი. ქეგლ. ტ.7.

**შთაგონება** (შთაგონებისა) – 1. სხვის ნებისყოფაზე ზემოქმედება, რათა მან (ზემოქმედების ობიექტმა) შეუცნობლად შეასრულოს ზემოქმედის სურვილი, - ჰიპნოზი. 2. წაქეზება, შეგულიანება. 3. რჩევა-დარიგება რამეში დარწმუნების მიზნით, - შეგონება. 4.

შემოქმედებითი აღფრთოვანება. სამოქმედოდ განწყობა, - აღძვრა. ქეგლ. ტ.7.

**შთაგონებად-ი** (შთაგონებადისა) – ვინც შთაგონებას ადვილად ემორჩილება. ქეგლ. ტ.7.

**შთაგონებით-ი** (შთაგონებითისა) – შთაგონების ხასიათისა, შთაგონების გამომწვევი. ქეგლ. ტ.7.

**შთაგონებლობა** (შთაგონებლობისა) – შთაგონებისადმი დამორჩილების თვისება, უნარი. ქეგლ. ტ.7.

**შთაგონებულ-ი** (შთაგონებულისა) – 1. რაც შთააგონეს, შთაგონებით მიღებული. 2. ვისაც შთააგონეს, შთაგონების ობიექტი. ქეგლ. ტ.7.

**შთებ-ა** – რჩება. ქეგლ. ტ.7.

**შთენილ-ი** (შთენილისა) – იგივეა, რაც რჩენილი. ქეგლ. ტ.7.

**შიფრი** – პირობითი ნიშნების სისტემა, რომელსაც იყენებენ დიპლომატები ან სამხედრო პირები საიდუმლო ბრძანებების, განკარგულებების, ცნობების გადასაცემად. მოკლე პოლიტ. ლექს.

**შოვინიზმ-ი** (შოვინიზმისა) – უკიდურესი ნაციონალიზმი, რომელიც ქადაგებს სხვა ხალხებისადმი სიძულვილს და აღვივებს ეროვნულ შუღლს. [ფრანგი ჯარისკაცის Chauvin-ის სახელის მიხედვით, რომელიც აღფრთოვანებული იყო ნაპოლეონის დამპყრობლური პოლიტიკით]. ქეგლ. ტ.7.

**შოვინიზმი** [ფრ.] – უკიდურესი ნაციონალიზმი.

**შოვინიზმი** – ნაციონალიზმის უკიდურესი ფორმა, პოლიტიკა, რომელიც ეროვნულ განსაკუთრებულობას

ქადაგებს და მიმართულია ეროვნული შუღლის გაღვივებისაკენ.

**შორსმჭვრეტელობა** (შორსმჭვრეტელობისა) – შორსმჭვრეტელის თვისება, წინასწარ კარგად [გან]ჭვრეტის უნარი, - წინდახედულობა, შორსმხედველობა. ქეგლ. ტ.7.

**შტატი** – ფედერაციული სახელმწიფოს შემადგენლობაში შემავალი სახელმწიფოებრივ-ტერიტორიული ერთეული, რომელსაც აქვს თვითმმართველობა. მოკლე პოლიტ. ლექს.

**შუმ-ი** (შუმისა) – წმინდა, ხალასი, ნამდვილი; თავანკარი. ქეგლ. ტ.7.

## ჩ

**ჩვევები** – მოქმედებანი, რ-ებიც ხანგრძლივი განმეორების შედეგად ავტომატიზებული ხდებიან. ფილოსოფ. ლექს. 1987.

## ც

**ცალკეტუჩობა** (ცალკეტუჩობისა) – მარტო თავისთვის ზრუნვა (თ. სახოკ.). ქეგლ. ტ.8.

**ცალყბა** (ცალყბასი) – სასხვათაშორისო, უგულო, გულგრილი. ცალყბად ზმნს. უგულოდ, სხვათა შორის. ქეგლ. ტ.8.

**ცამრგვალ-ი** პარგვალი (ცამრგვლისა) – ცის გუმბათი, კამარა. ქვეყანა, სამყარო. ქეგლ. ტ.8.

**ცარვა** (ცარვისა) – სახელი ცარავს ზმნის მოქმედებისა, - დაშლა, დარღვევა უკუღმა ტრიალით (დაძახული, დაგრეხილი ძაფისა, თოკისა). ქეგლ. ტ.8.

**ცდისეულ-ი** (ცდისეულისა) – იგივეა, რაც ემპირიული. ქეგლ. ტ.8.

**ცდისპირ-ი** (ცდისპირისა) – სპეც. ვისზედაც ცდას ახდენენ. ქეგლ. ტ.8.

**ცდომა** (ცდომისა) – იგივეა, რაც შეცდომა. ქეგლ. ტ.8.

**ცდომილება** (ცდომილებისა) – იგივეა, რაც შეცდომა. ქეგლ. ტ.8.

**ცენზ-ი** (ცენზისა) [ლათ. census აღწერა, ქონების შეფასება] – მოქალაქის პოლიტიკური (ან სამსახურეობრივი) უფლების განსაზღვრის ესა თუ ის სახეობა. ქონებრივი ცენზი. – განათლების ცენზი. ქეგლ. ტ.8.

**ცენზორ-ი** (ცენზორისა) [ლათ. censor] – 1. თანამდებობის პირი, რომელიც მეთვალყურეობას უწევს ბეჭდვით სიტყვას და საჯარო გამოსვლებს. 2. არჩევითი თანამდებობის პირი ძველ რომში; ხელმძღვანელობდა მოსახლეობის ქონებრივ აღწერას, თვალყურს ადევნებდა საზოგადოებრივ ზნეობას და სხვ. ქეგლ. ტ.8.

**ცენზურა** (ცენზურისა) [ლათ. censura] – 1. სახელმწიფოს მეთვალყურეობა ბეჭდვით სიტყვაზე ან საჯარო გამოსვლებზე. 2. სახელმწიფო ორგანო, რომელიც მეთვალყურეობას უწევს ბეჭდვით სიტყვასა და საჯარო გამოსვლებს. ქეგლ. ტ.8.

**ცენზურულ-ი** (ცენზურულისა) – ცენზურით გამოწვეული; ცენზურის შესაფერისი. ქეგლ. ტ.8.

**ცენტრ-ი** (ცენტრისა) [ლათ. centrum] – 1. ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე დასახლებული პუნქტი, სადაც მოთავსებულია ამ ერთეულის

მმართველი ორგანოები. 2. მთავარი ქალაქი; დიდი უმნიშვნელოვანესი ქალაქი. ქეგლ. ტ.8.

**ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ** (ცენტრალიზაციისა) [ფრან. centralisation] – მართვის თავმოყრა ერთ ადგილას; ცენტრისათვის დაქვემდებარება. ქეგლ. ტ.8.

**ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚ-Ი** (ცენტრალიზებულისა) – ცენტრს დაქვემდებარებული, ცენტრის ხელმძღვანელობით გაერთიანებული. ქეგლ. ტ.8.

**ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲘᲖᲛ-Ი** (ცენტრალიზმისა) – მმართველობის (ან ორგანიზაციის) სისტემა, რომლის მიხედვითაც ადგილობრივი ორგანოები მოქმედებენ ცენტრის ხელმძღვანელობითა და მითითებებით. დემოკრატიული ცენტრალიზმი პრინციპი, რომლის მიხედვითაც ხელმძღვანელი ორგანო არჩევითია და ამასთანავე ზემდგომი ორგანოს გადაწყვეტილება სავალდებულოა. ქეგლ. ტ.8.

**ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠ-Ი** (ცენტრალურისა) – ცენტრში მოთავსებული; ცენტრისა, უმნიშვნელოვანესი, ძირითადი. ქეგლ. ტ.8.

**ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲓᲐᲜᲣᲚ-Ი** (ცენტრიდანულისა) – ცენტრიდან გარეთ, პერიფერიისაკენ მიმსწრაფი (მოძრაობის დროს). ქეგლ. ტ.8.

**ᲪᲔᲜᲢᲣᲠᲘᲐ** (ცენტურიისა) [ლათ. centuria] – ძველი რომის მოქალაქეთა სამხედრო-პოლიტიკური დაყოფის ერთეული. ქეგლ. ტ.8.

**ᲪᲔᲜᲢᲣᲠᲘᲝᲜᲘ** (ცენტურიონისა) [ლათ. centurio] – ცენტურიის უფროსი ძველი რომაელების ჯარში. ქეგლ. ტ.8.

**ცერემონია** (ცერემონიისა) [ლათ. caerimonia მოკრძალება, მოწიწება] – ოფიციალური ზეიმი განსაზღვრული წესითა და რიგით. ქეგლ. ტ.8.

**ცერემონიალ-ი** (ცერემონიალისა) [ფრან. cérémonial] ცერემონიის ოფიციალურად მიღებული წესი. ქეგლ. ტ.8.

**ცერემონიალი** – ოფიციალური საზეიმო აქტი, რომელიც წინასწარ დადგენილი გეგმის, განსაზღვრული წესების ან ტრადიციების მიხედვით წარიმართება. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ციაგი** (ციაგისა) – 1. სხივი, შუქი, ბრწყინვალება. 2. გასხივოსნებული, ბრწყინვალე, ნათელი. მოციმციმე მოკიაფე. ქეგლ. ტ.8.

**"ცივი ომი"** – ტერმინი, რომელიც იხმარება დაძაბული საერთაშორისო მდგომარეობის აღსანიშნავად. წარმოიშვა მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, როდესაც აშშ და სხვა იმპერიალისტური სახელმწიფოები საბჭოთა კავშირისა და სოციალისტური სახელმწიფოების მიმართ მტრული პოლიტიკის გატარებას ცდილობენ. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ცივილიზაცია** (ცივილიზაციისა) [ფრან. civilisation] – 1. ამა თუ იმ ფორმაციის შესაბამისი დონე საზოგადოებრივი განვითარებისა და მატერიალური კულტურისა. 2. ბარბაროსობის მომდევნო საფეხური კაცობრიობის განვითარებისა. ქეგლ. ტ.8.

**ცივილიზაცია** – 1. კულტურის სინონიმი; 2. საზოგადოებრივი განვითარებისა და მატერიალური კულტურის განვითარების დონე, რომელსაც მიაღწია ამა თუ იმ საზოგადოებრივ-ეკონომიკურმა ფორმაციამ; 3. საზოგადოებრივი განვითარების საფეხური, რომელიც ბარბაროსობას მოსდევს. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐᲗᲐ ᲨᲔᲮᲚᲐ** – ს. ჰანთინგტონის ტერმინი. 7-8 ცივილიზაციას შორის გეოპოლიტიკური კონფლიქტების პერმანენტულობის და მუდმივობის თეორია.

**ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲔᲑᲐ** (ცივილიზებისა) – ცივილიზაციის შეტანა. ქეგლ. ტ.8.

**ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚ-Ი** (ცივილიზებულისა) – ვინც ცივილიზაციას მიაღწია, ცივილიზაცია აითვისა. ქეგლ. ტ.8.

**ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲡᲢᲘ** (ცივილისტისა) [ლათ. civilist სამოქალაქო] – სამოქალაქო სამართლის სპეციალისტი. ქეგლ. ტ.8.

**ᲪᲘᲕᲘᲚᲣᲠ-Ი** (ცივილურისა) [ლათ. civilis] – წიგნ. არასამხედრო, სამოქალაქო. ქეგლ. ტ.8.

**ᲪᲘᲕᲘ ᲝᲛᲘ** – საბჭოთა კავშირსა და მის მოკავშირეებს, ერთი მხრივ, და აშშ-სა და მის მოკავშირეებს შორის, მეორე მხრივ, დაძაბულობა, დაპირისპირება, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ წარმოიშვა და დასრულდა სსრ კავშირის დაშლის შემდეგ.

**ᲪᲘᲙᲚ-Ი** (ციკლისა) [ბერძ. kyklos წრე] – დროის განსაზღვრულ მონაკვეთში მოვლენათა (პროცესთა) განვითარების დასრულებული წრე. ქეგლ. ტ.8.

**ᲪᲘᲜᲘᲖᲛ-Ი** (ცინიზმისა) [ბერძ. kynismos] – 1. ზნეობისა და წესიერების ნორმათა აბუჩად აგდება. 2. ფილოსოფიური მოძღვრება, შექმნილი ცინიკოსების ("კინიკოსების") მიერ საბერძნეთში. ქეგლ. ტ.8.

**ᲪᲘᲜᲘᲙᲝᲡ-Ი** (ცინიკოსისა) [ბერძ. kynikos] – 1. ადამიანი, რომელიც აბუჩად იგდებს ზნეობისა და წესიერების ნორმებს. 2. ცინიზმის მიმდევარი. ქეგლ. ტ.8.

**ცინიკურ-ი** (ცინიკურისა) ცინიკოსის დამახასიათებელი, - უწესო უწმაწური. ცინიკურად ზმნს. ისე, როგორც ცინიკოსს ახასიათებს. ქეგლ. ტ.8.

**ციტატა** (ციტატისა) [გერმ. Zitat, ლათ. citatum-იდან] – სიტყვასიტყვითი ამონაწერი სხვა ტექსტიდან (რისამე დასამოწმებლად მოყვანილი). ქეგლ. ტ.8.

**ციტატომანია** (ციტატომანიისა) – საუბ. დასაბუთების შეცვლა ციტატებით. ქეგლ. ტ.8.

**ციტირება** (ციტირებისა) – ციტატის მოყვანა, ციტატის სახით დამოწმება. ქეგლ. ტ.8.

**ციტირებულ-ი** (ციტირებულისა) – ციტატად მოყვანილი, ამოწერილი. ქეგლ. ტ.8.

**ცნობიერება** (ცნობიერებისა) – ადამიანის ტვინის უნარი – ასახოს სინამდვილე და განსაზღვროს თავისი დამოკიდებულება გარესამყაროსთან. ქეგლ. ტ.8.

**ცოდნა** – ადამიანთა საზოგადოებრივი მატერიალური და სულიერი მოღვაწეობის პროდუქტი; ბუნებრივი და ადამიანური სამყაროს ობიექტური თვისებებისა და კავშირების იდეალური გამოხატვა ნიშანთა ფორმით. ცოდნა შეიძლება იყოს მეცნიერებამდელი (ყოველ-დღიური) და მეცნიერული. ეს უკანასკნელი იყოფა ემპირიულად და თეორიულად. გარდა ამისა, საზ-ბაში გვხვდება ცოდნა მითოლოგიური, მხატვრული, რელიგიური და ა.შ. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**ცრიატ-ი** (ცრიატისა) – მბჟუტავი, მკთალი (სინათლე); ღია, ბაცი ფერისა, – ციატი. უმზეო, ღრუბლიანი. ცრიატად ზმნს. მკრთალად. ქეგლ. ტ.8.

**ცრუობა** (ცრუობისა) – სახელი ცრუობს ზმნის მოქმედე-ბისა, – ტყუილის თქმა. ქეგლ. ტ.8.

**ცუდენობა** (ცუდენობისა) – ლანძღვა-გინება; მითქმა-მოთქმა. ქეგლ. ტ.8.

**ცუდმოუბარ-ი** (ცუდმოუბრისა) – ცუდის მოუბარი, - ყბედი, ავყია. ქეგლ. ტ.8.

**ცქაფ-ი** (ცქაფისა) – ძვ. მატყუარა. ქეგლ. ტ.8.

## ძ

**ძალაუფლება** (ძალაუფლებისა) – 1. საზოგადოების ხელმძღვანელი კლასის (ან პიროვნების) პოლიტიკური ბატონობა. 2. იგივეა, რაც უფლება. ქეგლ. ტ.8.

**ძალაუფლება** – საზოგადოების სოციალური ორგანიზაციის ერთ-ერთი ძირითადი ფუნქცია, ავტორიტეტული ძალა, რ-საც აქვს იმის რეალური შესაძლებლობა, რომ მართოს ადამიანთა მოქმედებები, შეათანხმოს წინააღმდეგობრივი ინდივიდუალური ან ჯგუფური ინტერესები, დაუმორჩილოს ისინი ერთიან ნებას დარწმუნების ან იძულების საშუალებით. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**ძალაუფლება** – ფიზიკური ძალმომრეობისაგან განსხვავებით, ძალა, რომელიც ზემოქმედებას ახდენს სხეულზე, სულსა და გონებაზე, მსჭვალავს მათ, თავისი ნების კანონს უმორჩილებს სხვას.

**ძალთა ბალანსი** – დასავლეთ ევროპული სახელმწიფოების მიერ გატარებული პოლიტიკა, რომლის მიზანია კონტინენტზე ჰეგემონიის აღმოცენების შესაძლებლობის აღმოფხვრა.

**"ძია სემი"** – აშშ-ის კრებსითი, ხშირად ირონიული სახელწოდება. წარმოიქმნა აშშ-ის სახელწოდების პირველი ასოების ოხუნჯული წაკითხვის შედეგად (USA - uncle sam - ძია სემი).

## წ

**წყალი** (ან ზღვა) – თალასოკრატიის აღმნიშვნელი სპეციალური ტერმინი.

## ჭ

**ჭაშნაგირ-ი** (ჭაშნაგირისა) [სპარს. ჩაშნაგირ] ძვ. ჭაშნიკის მნახველი, ღვინის შემრჩევი.

**ჭაშნიკ-ი** (ჭაშნიკისა) [ფალ. ჭაშნიკ "გემოს გასინჯვა"] – სასმლის ნიმუში გემოს გასასინჯად. ქეგლ. ტ.8.

**ჭეშმარიტ-ი** (ჭეშმარიტისა) [ფალ. ჩიშმარიტ] – მართალი, ნამდვილი, უტყუარი. ჭეშმარიტად ზმნს. ნამდვილად, სწორად. ეკლ. პასუხი სააღდგომო მისალმებაზე. ქეგლ. ტ.8.

**ჭეშმარიტება** (ჭეშმარიტებისა) – 1. სინამდვილე, სიმართლე, სისწორე. 2. ფილოს. მატერიალური სამყაროს სწორი ასახვა ადამიანის ცნობიერებაში. ქეგლ. ტ.8.

**ჭეშმარიტება** – აზრში სინამდვილის სწორი, მართებული ასახვა. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**ჭვრიტ-ი** (ჭვრიტისა) – "თვალი ელამი მარღი" (დ. ჩუბინ.). ქეგლ. ტ.8.

**ჭიატ-ი** (ჭიატისა) – ღრუბლებიდან, ნისლიდან გამოშუქება (მზისა). ქეგლ. ტ.8.

**ჭიატა** (ჭიატასი) – 1. ციმციმა, ბრჭყვიალა. 2. კუთხ. (ქართლ.) იგივეა, რაც ჭრაქი. ქეგლ. ტ.8.

**ჭიატობ-ს** (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) – ღრუბლებიდან, ნისლიდან აშუქებს (მზე). ქეგლ. ტ.8.

**ხᲐᲓᲘ-Ს** (ხადა, -) – ძვ. გრდმ. 1. უხმობს, ეძახის, უწოდებს. 2. იგივეა, რაც რაცხს. ქეგლ. ტ.8.

**ხᲐᲓᲘᲚ-Ი** (ხადილისა) – 1. ძვ. იგივეა, რაც შერაცხვა. 2. წვეულება, ლხინი; შექცევა. კუთხ. (იმერ. რაჭ.) ქალის დანიშვნასთან დაკავშირებული წვეულება. 3. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ქეგლ. ტ.8.

**ხᲐᲓᲘᲚᲝᲑ-Ს** (იყენ. იხადილა, უხადილია) – გრდუვ. სტატ. საუბრობს (თავის შესაქცევად), მასლაათობს. ქეგლ. ტ.8.

**ხᲐᲓᲣᲛ-Ი** (ხადუმისა) [არაბ. ხადიმ "მსახური"] – საჭურისი ან მოახლე. ქეგლ. ტ.8.

**ხᲐᲗᲐ** (ხათისა) – კუთხ. (მოხევ.) არყის გამონახადი, - ბუზალაყი. ქეგლ. ტ.8.

**ხᲐᲗᲐᲑᲐᲚᲐ** (ხათაბალისა) [არაბ. ხატაბალა] – საუბ. დავიდარაბა, უბედურება. ქეგლ. ტ.8.

**ხᲐᲗᲠ-Ი** (ხათარისა) [არაბ.-სპარ. ხათირ] – პატივისცემა, თავაზი. ხათრს დასდებს – პატივს დასდებს, უხათრებს. ხათრს [შე]უნახავს – პატივსა სცემს, თხოვნას [შე]უსრულებს, ხათრს [და]სდებს. უხათრებს. თუ ხათრი გაქვს – ძალიან გთხოვ. ქეგლ. ტ.8.

**ხᲐᲗᲠᲘᲐᲜ-Ი** (ხათრიანისა) – ვინც ხათრს ვერ უტეხს, - მორიდებული, მოკრძალებული. ხათრიანად ზმნს. მორიდებულად, თავაზიაიანად. ქეგლ. ტ.8.

**ხᲐᲗᲠᲘᲯᲐᲛ-Ი** (ხათრიჯამისა) [არაბ-სპარს. ხათრიჯამ] – ძვ. 1. დარწმუნებული, იმედიანი, არხეინი. 2. იგივეა, რაც ხათრი. ქეგლ. ტ.8.

**ხათრიჯამობა** (ხათრიჯამობისა) – ძვ. იგივეა, რაც ხათრიანობა. ქეგლ. ტ.8.

**ხათუმი-ი** (ხათუმისა) – ძვ. იგივეა, რაც ხათუნი. ქეგლ. ტ.8.

**ხათუნ-ი** (ხათუნისა) [მონღ. ხათუნ] – ძვ. ცოლი; ქალბატონი. ქეგლ. ტ.8.

**ხაკან-ი** (ხაკანისა) – მეფის ტიტული ხაზარებთან და ზოგ სხვა ხალხთან. ქეგლ. ტ.8.

**ხალას-ი** (ხალასისა) [არაბ. ხალას] – 1. ისეთი, რასაც სხვა არაფერი ურევია, – წმინდა (უპირატესად ლითონებზე ითქმის). ნამდვილი უტყუარი. ქეგლ. ტ.8.

**ხალვა** (ხალვისა) [არაბ. ხალვათ “მარტოობა”] – ძვ. მარტო ყოფნა; მარტოობით მოწყენილობა. ქეგლ. ტ.8.

**ხალვათ-ი** (ხალვათისა) [არაბ. ხალვათ] – 1. ფართო, განიერი. 2. თავისუფალი, შეუზღუდავი, უდარდელი. 3. ძვ. იგივეა, რაც ხალვათობა. 4. განმარტოებული, გაცალკევებული (ადგილი). 5. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ქეგლ. ტ.8.

**ხალვათობა** (ხალვათობისა) – თავისუფლად ყოფნა; თავისუფლება; არა სივიწროვე. ქეგლ. ტ.8.

**ხალის-ი** (ხალისისა) [არაბ. ხალის] – 1. მონდომება, გაკეთების სურვილი. 2. კარგი გუნება, მხიარული განწყობილება. ქეგლ. ტ.8.

**ხალიფა** (ხალიფისა) [არაბ. ხალიფა “მოადგილე, ნაცვალი (მაჰმადისა)”] – არაბთა სასულიერო და სახელმწიფო მეთაური. 2. ზოგი ისლამური სახელმწიფოს მეფის (მაგ.; ოსმალეთის სულთნის) ტიტული. ქეგლ. ტ.8.

**ხამ-ი** (ხამისა) [სპარ. ხამ] – 1. დაუმუშავებელი, გამოუყვანელი, მოუქნელი. ქეგლ. ტ.8.

**ხამ-ს** (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) – ძვ. გარდუვ. სტატ. 1. ჯერ არს, საჭიროა. ქეგლ. ტ.8.

**ხამლ-ი** (ხამლისა) – ძვ. ფეხსაცმელი, წაღა. ქეგლ. ტ.8.

**ხამობა** (ხამობისა) – სახელი ხამობს ზმნის მოქმედებისა, – უცხოობა. ხამის თვისება, – გამოუცდელობა, შეუჩვევლობა. ქეგლ. ტ.8.

**ხამუშობ-ს** (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) – გარდუვ. სტატ. 1. ხამივით იქცევა, – უცხოობს, მორცხვობს. 2. უხერხულად, საჩოთიროდ ეჩვენება რაიმე. ქეგლ. ტ.8.

**ხანაგა** (ხანაგისა) [სპას. ხანგაჰ "მონასტერი", "სავანე"] – ძვ. თავშესაფარი სახლი დავრდომილებისა და ობლებისათვის. ქეგლ. ტ.8.

**ხანდაკ-ი** (ხანდაკისა) [არაბ. ხანდაკ] – ძვ. თხრილი, სანგარი. ქეგლ. ტ.8.

**ხარაჯა** (ხარაჯისა) [არაბ. ხარაჯ. "სახელმწიფო გადასახადი", "გამოსაღები"] – ძვ. ხარკი, გადასახადი, კონტრიბუცია. ქეგლ. ტ.8.

**ხარდან-ი** (ხარდანისა) [სპარს.-თურქ. ხარდან] – 1. კუთხ. (იმერ.) სარი, ჭიგო. 2. ზოგიერთი დაბლარი ვაზის ჯიშის სახელი დასავლეთ საქართველოში. ქეგლ. ტ.8.

**ხარკ-ი** (ხარკისა) [არაბ. ხარაჯა-დან] – გადასახადი, რომელსაც უცხო სახელმწიფოს უხდიან. ქეგლ. ტ.8.

**ხარკალ-ი** (ხარკლისა) – იგივეა, რაც არტაშანი. ქეგლ. ტ.8.

**ხარლად-ი** (ხარლადისა) – 1. მამალი ირემი, – ხარირემი. 2. "რამდენიმე წლის მამალი ჯიხვი" (ა. ყაზბეგი). ქეგლ. ტ.8.

**ხარო** (ხაროსი) – 1. ღრმა ორმო. 2. ქვიტკირის ორმო (საბა). ქეგლ. ტ.8.

**ხარჯ-ი** (ხარჯისა) [არაბ. ხარჯ] – 1. რაც იხარჯება, – გასავალი, დანახარჯი. 2. რაც უნდა მოსცილდეს რასმე და გადაიყაროს, – მინარევი, ნაკმაზი. 3. ადამიანთა გარკვეული რაოდენობისათვის საჭირო სასმელ-საჭმელი, სანოვაგე. ქეგლ. ტ.8.

**ხას-ი** (ხასისა) [არაბ. ხასსა] – ძვ. 1. მეფესთან (დედოფალთან) დაახლოებული პირი. 2. ნამდვილი, წმინდა, ხალასი. 3. დახვეწილი აბრეშუმი. 4. გაბედული, მოურიდებელი (მოქმედება). ქეგლ. ტ.8.

**ხასდებ-ა** (გახასდა, გახასებულა) – გარდუვ. ვნებ. ხასი ხდება, – თამამდება. ქეგლ. ტ.8.

**ხასიათ-ი** (ხასიათისა) [არაბ. ხასიათ] – 1. ადამიანის ფსიქიკურ თვისებათა ერთობლიობა, – ზნე. 2. სულიერი განწყობილება, – გუნება. 3. რისამე თვისება. 4. ლიტერატურული ნაწარმოების გმირის დამახასიათებელ თვისებათა ერთობლიობა. ქეგლ. ტ.8.

**ხასობ-ს** (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) – გარდუვ. სტატ. ხასად, თამამად იქცევა. ქეგლ. ტ.8.

**ხასობა** (ხასობისა) – ხასად ყოფნა, - სითამამე, მოურიდებლობა. ქეგლ. ტ.8.

**ხატაეთ-ი** (ხატაეთისა) – ისტ. სახანო ჩრდილო ჩინეთში. ქეგლ· ტ.8·

**ხატაურ-ი** (ხატაურისა) – ძვ. ხატაეთისა, ჩრდილოეთ ჩინეთისა; ჩინური (ქსოვილი...). ქეგლ· ტ.8.

**ხატ-ღმერთ-ი** (ხატ-ღმერთისა) – ხატი და ღმერთი; ღვთაება. ქეგლ· ტ.8·

**ხაფ-ი** (ხაფისა) – ძლიერი, მჭექარე, ზარდამცემი (ხმა). ქეგლ· ტ.8·

**ხაშ-ი** (ხაშისა) [სპარ. ხაშ "ჩამონაჭრები", "ნარჩენები"] – 1. წვნიანი კერძი ძროხის ან ცხვრის კარგად მოხარშული ფაშვისა (აგრეთვე ჩლიქებისა). ქეგლ· ტ.8.

**ხაშლამა** (ხაშლამისა) [თურქ. ჰაშლამა] – ძროხის ან ცხვრის ცივად მოხარშული ხორცი (შეუკაზმავად). ქეგლ· ტ.8·

**ხაშხაშ-ი** (ხაშხაშისა) [სპარ. ხაშხაშ "ყაყაჩო" "ყაყაჩოს თესლი"] – ერთწლიანი მცენარე ყაყაჩოსებრთა ოჯახისა. ქეგლ· ტ.8.

**ხაციც-ი** (ხაციცისა) – კუთხ. (იმერ) პირის გახსნილება მარხვის შემდეგ (შობა დილით). ქეგლ· ტ.8.

**ხახამ-ი** (ხახმისა) [ებრ. ხახამ] – ებრაელების სასულიერო პირი. ქეგლ· ტ.8.

**ხეკაც-ი** (ხეკაცისა) – უგრძნობელი, გულქვა კაცი. ქეგლ· ტ.8.

**ხელდასხმა** (ხელდასხმისა) – ძვ. კურთხევა (საეკლესიო თანამდებობაზე). ქეგლ· ტ.8.

**ხელდასხმულ-ი** (ხელდასხმულისა) – ძვ. ნაკურთხი (საეკლესიო თანამდებობაზე). ქეგლ. ტ.8.

**ხელთმოქმედება** (ხელთმოქმედებისა) – მოქმედება, მოღვაწეობა. ქეგლ. ტ.8.

**ხელისუფლება** (ხელისუფლებისა) – 1. პოლიტიკური ბატონობა, სახელმწიფოში მოქალაქეთა მოქმედების წარმართვის უფლება და შესაძლებლობა. ქეგლ. ტ.8.

**ხელმწიფა** (ხელმწიფასი) – ძვ. ხელოვნ. ხელმწიფე ქალი, – დედოფალი. ქეგლ. ტ.8.

**ხელმწიფე** (ხელმწიფისა) – 1. სახელმწიფოს უმაღლესი გამგებელი, მპყრობელი – მეფე. 2. სათამაშო ქაღალდი, რომელზედაც გამოსახულია თავზე გვირგვინიანი მამკაცი, – პაპა. ქეგლ. ტ.8.

**ხელმწიფება** (ხელმწიფებისა) – ხელმწიფის ძალაუფლება. ქეგლ. ტ.8.

**ხელოვან-ი** (ხელოვანისა) – ხელოვნების მუშაკი, ხელოვნების რომელიმე დარგის წარმომადგენელი (მხატვარი, მუსიკოსი, მსახიობი და სხვ.). ქეგლ. ტ.8.

**ხელოვნება** (ხელოვნებისა) – 1. მხატვრული შემოქმედება. 2. რაიმე პროფესიის ზედმიწევნით ცოდნა, - ოსტატობა. 3. ნაკეთობა. ქეგლ. ტ.8.

**ხელოვნებათმცოდნეობა** (ხელოვნებათმცოდნეობისა) – მეცნიერება ხელოვნების ისტორიისა და თეორიის შესახებ. ქეგლ. ტ.8.

**ხელოვნურობა** (ხელოვნურობისა) – ხელოვნურის თვისება, ხელოვნურად ყოფნა, - არაბუნებრივობა. ქეგლ. ტ.8.

**ხელრთვა** (ხელრთვისა) – ხელმოწერა (გაკრული ხელით). ქეგლ. ტ.8.

**ხელსაყრელ-ი** (ხელსაყრელისა) – სასარგებლო, სახეირო, სარფიანი. ქეგლ. ტ.8.

**ხელუქმნელ-ი** (ხელუქმნელისა) – იხ. ხელთუქმნელი. ქეგლ. ტ.8.

**ხელქვეითობა** (ხელქვეითობისა) – ვისიმე (ან რისამე) ხელქვეით, ვისიმე (ან რისამე) უფლება-განკარგულებაში ყოფნა. ქეგლ. ტ.8.

**ხელყოფა** (ხელყოფისა) – სახელი ხელყოფს ზმნის მოქმედებისა, - დანაშაულის ჩადენის ცდა. ქეგლ. ტ.8.

**ხელჯაგ-ი** (ხელჯაგისა) – 1. ხელთათმანი (უპირატესად უთითებო). 2. ძვ. ჯაჭვის თათმანი, – მეომრის აღჭურვილობის ნაწილი. ქეგლ. ტ.8.

**ხემს-ი** (ხემსისა) – მცირე რამ საჭმელი, ორიოდე ლუკმა. ქეგლ. ტ.8.

**ხეტ-ი** (ხეტისა) – განუსჯელად მოქმედი, – წინდაუხედავი. ქეგლ. ტ.8.

**ხვავიან-ი** (ხვავიანისა) – ხვავის მქონე, – ხვავრიელი, ბარაქიანი. ქეგლ. ტ.8.

**ხვავრიელ-ი** (ხვავრიელისა) – 1. ბარაქიანი, ხვავიანი. ხვავრიელად ზმნს. ბარაქიანად, ხვავიანად. 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ქეგლ. ტ.8.

**ხვაიშან-ი** (ხვაიშნისა) [სპარ. ხვიშან "ნათესავები", "თავისიანები"] – ძვ. "საშველად მოხმარება" (საბა); მიშველება. ქეგლ. ტ.8.

**ხვალ-ზეგ** – ზმნს. ხვალ თუ ზეგ. რამდენიმე დღის შემდეგ, ახლო მომავალში. ქეგლ. ტ.8.

**ხვასტაგ-ი** (ხვასტაგისა) [სპარ. ხუასთაგ] – ძვ. მსხვილფეხა საქონელი. ქეგლ. ტ.8.

**ხვატ-ი** (ხვატისა) – დიდი სიცხე, – პაპანაქება, ალხი. ქეგლ. ტ.8.

**ხვაშიად-ი** (ხვაშიადისა) [სპარ. ხუაშიად "ტკბილსახსოვარი"] – საიდუმლო, გულისნადები. ქეგლ. ტ.8.

**ხვდომილ-ი** (ხვდომილისა) – შეხვედრილი, რგებული. ქეგლ. ტ.8.

**ხვედრ-ი** (ხვედრისა) – რაც ვისმე ერგება, – კუთვნილი, წილი, ულუფა, კერძი. ქეგლ. ტ.8.

**ხვიარა** (ხვიარასი) – 1. რაც რამეზე დახვევით იზრდება (მცენარე). 2. ასეთი მცენარე. 3. კუთხ. (იმერ.) იგივეა, რაც ხვართქლა. ქეგლ. ტ.8.

**ხვითო** (ხვითოსი) – ნატვრის თვალი, რომელსაც თითქოს გველი ინახავს და ზოგჯერ ათამაშებს. ქეგლ. ტ.8.

**ხვიშტ-ი** (ხვიშტისა) – ვულგ. იტყვიან, როდესაც რასმე ელიან და ვერ მიიღებენ. ქეგლ. ტ.8.

**ხიზან-ი** (ხიზნისა) [სპარ. ხიზან] – 1. დროებით სხვას შეკედლებული პირი (მტრის შემოსევის ან ავადმყოფობის გარცელების დროს და სხვ.) 2. ისტ. მემამულის მიწაზე მოსახლე თავისუფალი გლეხი, რომელიც გადასახადს ყმის თანაბრად იხდიდა. 3. ძვ. იგივეა, რაც მძევალი. 4. კუთხ. (მთიულ-ზ. იმერ.) ოჯახის წევრები. ქეგლ. ტ.8.

**ᲮᲘᲖᲕᲜᲐ** (ხიზვნისა) სახელი ხიზნავს ზმნის მოქმედებისა, – დროებით სხვაგან დაბინავება. ქეგლ. ტ.8.

**ᲮᲘᲖᲘᲚᲐᲚᲐ** (ხიზილალისა) [თურქ.-სპარს. ყიზილ-ალა] – თევზის ქვირითი, საჭმელად გამზადებული. ქეგლ. ტ.8.

**ᲮᲘᲖᲜᲝᲑᲐ** (ხიზნობისა) – დროებით (სადმე) თავის შეფარება, – შეხიზნება. ქეგლ. ტ.8.

**ᲮᲘᲖᲜᲣᲠ-Ი** (ხიზნურისა) – ხიზნის ან ხიზნობის დამახასიათებელი, შესაფერი. ქეგლ. ტ.8.

**ᲮᲘᲛᲐᲜ-Ი** (ხიმანისა) – ფანდი, შარი, კილოს გამობმა. ქეგლ. ტ.8.

**ᲮᲘᲠᲡᲐ** (ხირსისა) – შემაგრებული ტკბილი ღვინო. ქეგლ. ტ.8.

**ᲮᲘᲠᲮᲐ** (ხირხისა) – ქათიბის მსგავსი სამოსი ქალისა. ქეგლ. ტ.8.

**ᲮᲘᲡᲢ-Ი** (ხისტისა) – ხეშეში, ხმელი, ხამი. ქეგლ. ტ.8.

**ᲮᲘᲤᲐᲗ-Ი** (ხიფათისა) [არაბ. ხიფფათ] – ფათერაკი, განსაცდელი, საფრთხე.

**ᲮᲛᲐᲐᲛᲝᲯᲓᲝᲛᲘᲗ** – გულამოსკვნით. ქეგლ. ტ.8.

**ᲮᲛᲐᲚᲓᲐᲠᲐᲙᲘᲐᲜ-Ი** (ხმალდარაკიანობისა) – ძვ. ფარხმლიანი. ქეგლ. ტ.8.

**ᲮᲛᲐᲚ-ᲓᲔᲚᲐᲛᲤᲐᲠ-Ი** (ხმალ-დელამფრისა) – კარგი ხმლის ეპითეტია. ქეგლ. ტ.8.

**ᲮᲛᲐᲛᲔᲓᲒᲠᲐᲓ** – მედგარი ხმით; მტკიცედ, შეუპოვრად. ქეგლ. ტ.8.

**ხმამიმქრალ-ი** (ხმამიმქრალისა) – ვისაც (რასაც) მიმქრა-ლი, სუსტი ხმა აქვს; ვისაც ხმა მიუსუსტდა. ქეგლ. ტ.8.

**ხმოსან-ი** (ხმოსნისა) – 1. ხმის მქონე, - ხმიანი. ხმის ამომღები, - მოლაპარაკე. 2. ძვ. ხმის უფლების მქონე. 3. ქალაქის თვითმართველობის ან ერობის საბჭოს დეპუტატი. ქეგლ. ტ.8.

**ხმოსნობა** (ხმოსნობისა) – ხმოსნად ყოფნა; ხმოსნის ადგილი, დეპუტატობა ქალაქის თვითმმართველო-ბაში. ქეგლ. ტ.8.

**ხოდაბუნ-ი** (ხოდაბუნისა) [სპარ. ხუდაბუნ "საბატონო მიწა"] – 1. "დიდი ახო ტყეში" (ა. შან.) 2. დიდი ფართობის, კარგი სახნავ-სათესი მიწა. ქეგლ. ტ.8.

**ხომლ-ი** (ხომლისა) – 1. ვარსკვლავთა ერთ-ერთი კრებული კუროს თანავარსკლავედში. 2. მაღლა დასაკიდი სასანთლე, - ჭაღი. ტოტებიანი დიდი შანდალი, - კანდელაბრი. ქეგლ. ტ.8.

**ხომრიელ-ი** (ხომრიელისა) – კუთხ. (ქიზ. ქართლ. ფშ.) იგივეა, რაც ხვავრიელი. ქეგლ. ტ.8.

**ხონდ-ი** (ხონდისა) – ძვ. დაკბილული, კბილოვანი (დ. ჩუბინ.). ქეგლ. ტ.8.

**ხონთქარ-ი** (ხონთქრისა) [სპარ. ხოდავანდგარ "მბრძანებელი"] – ძვ. ოსმალეთის მეფე, - სულთანი. ქეგლ. ტ.8.

**ხორაგ-ი** (ხორაგისა) [სპარ. ხორაქ] – სურსათსანოვაგე; საჭმელი. ქეგლ. ტ.8.

**ხორასნულ-ი** (ხორასნულისა) – ძველად განთქმული ხმალი [ქალაქ ხორასნის (ირანშია) სახელის მიხედვით]. ქეგლ· ტ.8.

**ხორშაკ-ი** (ხორშაკისა) – 1. ცხელი ქარი. 2. იგივეა, რაც ხორხოშელა. ქეგლ· ტ.8.

**ხორცშემსხმელ-ი** (ხორცშემსხმელისა) – ხორცის შემსხმელი, - განმახორციელებელი. ქეგლ. ტ.8.

**ხორცშესხმულ-ი** (ხორცშესხმულისა) – 1. რასაც ხორცი აქვს შესხმული, - ხორციელი, ცოცხალი (არსება). 2. სინამდვილედ ქცეული, განხორციელებული, შესრულებული. ხორცშესხმულად – ხელშესახებად, ცოცხლად. ქეგლ. ტ.8.

**ხოსროვან-ი** (ხოსროვნისა) [სპარ.] – ძვ. ერთგვარი ჯაჭვის პერანგი. ქეგლ. ტ.8.

**ხოტბა** (ხოტბისა) [არაბ. ხუტბა] – 1. შექება, ქება-დიდება, შესხმა. 2. სახოტბო ლექსი, ოდა. ხოტბას ასხამს – ქებით ამკობს, დიდად აქებს. ქეგლ. ტ.8.

**ხოტონიკობ-ს** – ცინიკურად ლაპარაკობს, ავსიტყვაობს. ქეგლ· ტ.8.

**ხოშ-ი** (ხოშისა) [სპარ. ხოში "სიხარული", "სიამოვნება"] – სურვილი, ნდომა, ჟინი. ქეგლ. ტ.8.

**ხოშორ-ი** (ხოშორისა) – "წვრილისა და სხვილის საშუალი" (საბა), მომსხო. მომსხოდ დაფქული. ქეგლ. ტ.8.

**ხოჯა** (ხოჯისა) [სპარ. ხოჯა] – 1. საპატიო პირი, წარჩინებული, თავი კაცი (სპარსეთის შაჰის კარზე). 2. იგივეა, რაც საჭურისი. ქეგლ. ტ.8.

**ხოჯახნობა** (ხოჯახნობისა) – ხოჯახანის (აღა მაჰმად ხანის) შემოსევის დრო. ქეგლ. ტ.8.

**ხრიკ-ი** (ხრიკისა) – 1. ძვ. "მორკინალთ ხელოვნება" (საბა). 2. გაიძვერული ხერხი რისამე მისაღწევად, - ოინი. ხრიკს [მო]უდებს – იგივეა, რაც შარს მოსდებს. ქეგლ. ტ.8.

**ხრიკიან-ი** (ხრიკიანისა) – 1. ხრიკების მოყვარული, - გაიძვერა, თაღლითი, გაქნილი. 2. ხრიკებით მოწყობილი. ქეგლ. ტ.8.

**ხრიკიანობა** (ხრიკიანობისა) – ხრიკიანის თვისება, - გაიძვერობა, თაღლითობა, გაქნილობა. ქეგლ. ტ.8.

**ხრმალ-დარაკა** (ხრმალ-დარაკისა) – ძვ. ხმალი და დარაკა (ფარი), - ფარ-ხმალი. ქეგლ. ტ.8.

**ხულიგან-ი** (ხულიგნისა) – თავზეხელაღებული ადამიანი, რომელიც არღვევს საზოგადოებრივ წესრიგს [ინგლისური საკუთარი სახელის Hooligan-ის მიხედვით]. ქეგლ. ტ.8.

**ხულიგნობა** (ხულიგნობისა) – ხულიგნის საქციელი: საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევა. ქეგლ. ტ.8.

**ხუმრობაგარეშებით** – 1. ხუმრობის გარეშე, - სერიოზულად. 2. იტყვიან, როცა საუბარში სახუმარო კილოს შეცვლიან სერიოზულით. ქეგლ. ტ.8.

**ხუნდ-ი** (ხუნდისა) – 1. ძვ. ფეხის ბორკილი – ფეხების ჩასაყოფი ნახვრეტების მქონე გრძელი, მსხვილი ძელი. 2. დიდი ნადირის დასაჭერი მახე. 3. იგივეა, რაც მორგვი. 4. შემოსაჭერი მოწყობილობა. 5. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ქეგლ. ტ.8.

**ხუნტა** – სამხედრო დაჯგუფებები, რომლებიც სამხედრო გადატრიალების შედეგად ფაშიზმის მსგავს სამხედრო დიქტატურას ამყარებენ. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ხუნტრუც-ი** (ხუნტრუცისა) – ხტუნვა, ცუნდრუკი. ქეგლ. ტ.8.

**ხუნტრუცობ-ს** (იხუნტრუცა, უხუნტრუცია) – 1. ხტის, ცუნდრუკობს. 2. ამსუბუქებულია; უგვანად არშიყობს. ქეგლ. ტ.8.

**ხურდა** (ხურდისა) [სპარ. ხორდე "წვრილი", "მცირე", "ნამცეცი"] – რისამე ყიდვის დროს მსხვილი ფულიდან მიღებული ნაშთი, ჩვეულებრივ, წვრილი ფული. ქეგლ. ტ.8.

**ხურთ-ი** (ხურთისა) – 1. იგივეა, რაც მჟიდი. 2. შეკონილი წკეპლები. ქეგლ. ტ.8.

**ხურუშ-ი** (ხურუშისა) [სპარ. ხურუშ "გაცეცხლება", "ყვირილი"] – 1. ძვ. დიდი სურვილი (რისამე). 2. ვნებათა ღელვა. ქეგლ. ტ.8.

**ხუტორ-ი** (ხუტორისა) [უნგრ. hatàr] – განცალკევებული გლეხური კარ-მიდამო და ადგილ-მამული (რუსეთსა და ზოგ სხვა ქვეყანაში). რამდენიმე კომლისაგან შემდგარი მცირე დასახლება (უკრაინაში). ქეგლ. ტ.8.

**ხუშტურ-ი** (ხუშტურისა) – ახირებული სურვილი, -ჟინი. ხუშტური სჭირს – ახირება სჩვევია. ქეგლ. ტ.8.

**ხუშტურიან-ი** (ხუშტურიანისა) – ვისაც (რასაც) ხუშტური სჭირს, - ჟინიანი, ახირებული. ქეგლ. ტ.8.

**ᲯᲐᲐᲗ-Ი** (ჯაათისა) [არაბ. ჯიჰათ “მიზეზი”, “საბაბი”] – ჯიბრი, ჯინი; წინააღმდეგობა. ქეგლ. ტ.8.

**ᲯᲐᲑᲐᲓᲐᲠ-Ი** (ჯაბადრისა) [თურქ.-სპარ. ჯაბადარ] – ძვ. ჯავშან-საჭურვლის მნე, ჯაბახანის გამგე. ქეგლ. ტ.8.

**ᲯᲐᲑᲐᲜ-Ი** (ჯაბნისა) [არაბ. ჯაბან] – 1. მშიშარა, მხდალი, ლაჩარი (ადამიანი). 2. ლაჩრული, არავაჟკაცური (ხასიათი). 3. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ქეგლ. ტ.8.

**ᲯᲐᲒᲘᲐᲜ-Ი** (ჯაგიანისა) – 1. ჯაგით დაფარული ადგილი, - ჯაგნარი. 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ქეგლ. ტ.8.

**ᲯᲐᲒᲚᲐᲒ-Ი** (ჯაგლაგისა) – 1. ძალიან გამხდარი, უხეირო (ცხენი). 2. უხეირო ცხენი. ქეგლ. ტ.8.

**ᲯᲐᲒᲜᲐᲠ-Ი** (ჯაგნარისა) – ჯაგით დაფარული ადგილი. – ჯაგიანი. ქეგლ. ტ.8.

**ᲯᲐᲓᲝ** (ჯადოსი) [სპარ. ჯადუ] – ისეთი რამ (ნივთი, წამალი), რაც ავნებს, შეკრავს, შებოჭავს მას, ვისაც გაუკეთებენ, ვის სახელზედაც გააკეთებენ, - თილისმა. ქეგლ. ტ.8.

**ᲯᲐᲓᲝᲑᲐᲖ-Ი** (ჯადობაზისა) [სპარ. ჯადობაზი] – იგივეა, რაც ჯადოქარი. ქეგლ. ტ.8.

**ᲯᲐᲓᲝᲡᲘᲢᲧᲕᲐ** (ჯადოსიტყვისა) – მაგიური სიტყვები, სიტყვიერი ფორმულა, რომლითაც ვითომდა ჯადოთი შეკვრა წარმოებს. ქეგლ. ტ.8.

**ჯადოსნურ-ი** (ჯადოსნურისა) – რასაც ჯადოს ძალა აქვს; რაც ჯადოს ან ჯადოსანს შეეხება, - სასწაულებრივი. ქეგლ. ტ.8.

**ჯადოქალ-ი** (ჯადოქალისა) – მომჯადოებელი, წარმტაცი ქალი. ქეგლ. ტ.8.

**ჯავარდენ-ი** (ჯავარდნისა) [არაბ. ჯავჰარ-იდან] – 1. ფერადი ტალღა ჩუქურთმაზე; ზოლიანი ელვარება (ი. გრიშაშ.). 2. საგანგებოდ ნაწრთობი ფოლადის ხმალი. ქეგლ. ტ.8.

**ჯავარიან-ი** (ჯავარიანისა) – 1. ჯავარის მქონე, - მბრწყინავი, მოციმციმე, მოელვარე. 2. გადატ. მოხდენილი, შნოიანი, ლაზათიანი. 3. ბუნებრივი ლამაზი სახეების მქონე (ხე, ქვა...). 4. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ქეგლ. ტ.8.

**ჯავარიანობ-ს** (მხოლოდ ნაკვთთა აწმყოს წყებაში) – ჯავარიანია, მოხდენილად გამოიყურება, მომხიბლავი იერი აქვს. ქეგლ. ტ.8.

**ჯავარსრულ-ი** (ჯავარსრულისა) – ჯავარის მქონე, - უნაკლო აგებულების და შეხედულებისა; სიტურფით და მშვენებით სავსე. ქეგლ. ტ.8.

**ჯავრ-ი** (ჯავრისა) [არაბ. ჯავრ "უსამართლობა", "ძალადობა"] – დარდი, საწუხარი, საფიქრალი. ქეგლ. ტ.8.

**ჯალაბ-ი** (ჯალაბისა) [სპარ. ჯალაბ] – ოჯახი, ოჯახის წევრები, - სახლეული.

**ჯამაგირ-ი** (ჯამაგირისა) [სპარ. ჯამაგი] – საუბ. იგივეა, რაც ხელფასი. ქეგლ. ტ.8.

**ᲯᲐᲜ!** [სპარ. ჯან "სული", "სიცოცხლე", "სულიკო!"] – ალტაცების შეძახილი. 2. მოფერების, ხვეწნის გამომხატველი ნაწილაკი. ქეგლ. ტ.8.

**ᲯᲐᲜᲓᲐᲒ-Ი** (ჯანდაგისა) – გამხდარი. მჭლე. ქეგლ. ტ.8.

**ᲯᲐᲜᲦ-Ი** (ჯანღისა) – ნისლი, ბურუსი. ქეგლ. ტ.8.

**ᲯᲐᲠᲕᲐ** (ჯარვისა) – ძვ. დიდძალი ხალხის შეყრა, მოწყდომა, - მოჯარვა, შეჯარვა. ქეგლ. ტ.8.

**ᲯᲐᲤᲐ** (ჯაფისა) [არაბ. ჯაფა] – 1. მძიმე შრომა. 2. რთული ფუძის მეორე შემადგენელი ნაწილი. ქეგლ. ტ.8.

**ᲯᲐᲨᲣᲨ-Ი** (ჯაშუშისა) [არაბ. ჯასუს] – 1. პირი, რომელიც რომელიმე მთავრობის დავალებით იგებს სხვა სახელმწიფოს სამხედრო საიდუმლოს. 2. საუბ. მაბეზღარი, ადმინისტრაციასთან ენის მიმტანი.

**ᲯᲐᲨᲣᲨᲝᲑᲐ** (ჯაშუშობისა) – 1. ამა თუ იმ სახელმწიფოს აგენტების ფარული საქმიანობა სხვა სახელმწიფოთა სამხედრო და სხვ. საიდუმლოებათა მოსაპოვებლად. 2. საუბ. მაბეზღარობა, ენატანიობა. ქეგლ. ტ.8.

**ᲯᲐᲮᲘᲠ-Ი** (ჯახირისა) – წვალება; წვალებით კეთება რისამე. ქეგლ. ტ.8.

**ᲯᲐᲮᲠᲐᲙ-Ი** (ჯახრაკისა) – ჯანდაგი, ჯაგლაგი. ქეგლ. ტ.8.

**ᲯᲐᲯᲒᲣᲠ-Ი** (ჯაჯგურისა) – მოჭიდება და აქეთ-იქით წევა. გაწამაწია, ალიაქოთი, წეწვაგლეჯა. ქეგლ. ტ.8.

**ᲯᲐᲯᲦᲐᲜ-Ი** (ჯაჯღანისა) – საუბ. ხმამაღლა უკმაყოფილო კილოთი ლაპარაკი, - ჭაჭყანი. ქეგლ. ტ.8.

**ᲯᲒᲠᲝ** (ჯგროსი) – საუბ. ჯგუფი, ხროვა. ქეგლ. ტ.8.

**ჯდ-ა** – იგივეა, რაც იჯდა. ერთხელ ჯდა ჩემთან ქალი ლამაზი (ილია). ნახეს უცხო მოყმე ვინმე, ჯდა მტირალი წყლისა პირსა (რუსთაველი). ქეგლ. ტ.8.

**ჯეზიერ-ი** (ჯეზიერისა) – იგივეა, რაც ჯაზაირი, ჯაზეირი. ქეგლ. ტ.8.

**ჯეილ-ი** (ჯეილისა) [არაბ. ჯაჰილ] – ახალგაზრდა, ჭაბუკი, ყმაწვილი. ქეგლ. ტ.8.

**ჯეილობა** (ჯეილობისა) – ჯეილის თვისება, ჯეილად ყოფნა, - ახალგაზრდობა, სიჭაბუკე. ქეგლ. ტ.8.

**ჯეირან-ი** (ჯეირნისა) [თურქ. ჯეირან] – იგივეა, რაც ქურციკი. ქეგლ. ტ.8.

**ჯენტლმენური შეთანხმება** – არაფორმალური დიპლომატიური მორიგება სახელმწიფოთა (ან პიროვნებებს) შორის ნოტების გაცვლის ან სახელმწიფო მეთაურთა შორის ზეპირი ურთიერთობის დროს.

**ჯეროვან-ი** (ჯეროვნისა) – 1. ისეთი, როგორიც უნდა იყოს, - სათანადო; მართებული, რიგიანი. 2. იქ, სადაც ჯერ არს. ჯეროვნად – სათანადოდ, მართებულად. ქეგლ. ტ.8.

**ჯეროვნება** (ჯეროვნებისა) – ძვ. წესიერება, მართებულობა. ქეგლ. ტ.8.

**ჯიათ-ი** – ჯიბრს გაუწევს, - გაუკერპდება. ქეგლ. ტ.8.

**ჯიბრ-ი** (ჯიბრისა) [არაბ. ჯაბრ. "ძალა"; "ჩაგვრა"] – სურვილი რამეში ჯობნისა – ქიშპი, ინადი. ქეგლ. ტ.8.

**ჯიბრიან-ი** (ჯიბრიანისა) – ვინც ჯიბრით იქცევა, ვისაც ჯიბრში ჩადგომა უყვარს, - ინადიანი. ქეგლ. ტ.8.

**ჯიბარ-ი** (ჯიგრისა) [სპარ. ჯიგარ] – 1. საუბ. სისხლით ნათესავი, ახლობელი. 2. საუბ. ნათესაობის გრძნობა; სიყვარული, სიბრალული. ქეგლ. ტ.8.

**ჯილდო** (ჯილდოსი) [სპარ. ჯალდუ] – 1. საპატიო საჩუქარი ვისიმე დამსახურების, ღვაწლის აღსანიშნავად. 2. უხმარიათ გასამრჯელოს მნიშვნელობით. ქეგლ. ტ.8.

**ჯომარდ-ი** (ჯომარდისა) [სპარ. ჯავანმარდ] – ძვ. გულადი, ყოჩაღი, ჩაუქი, ქველი. ქეგლ. ტ.8.

**ჯუღელ-ი** (ჯუღელისა) – ავგული, ღრძო. ქეგლ. ტ.8.

ჰ

**ჰაბიტუს-ი** (ჰაბიტუსისა) [ლათ. habitus] – გარეგნობა, შესახედაობა. ქეგლ. ტ.8.

**ჰაგიოგრაფ-ი** (ჰაგიოგრაფისა) – ჰაგიოგრაფიულ თხზულებათა მწერალი. ქეგლ. ტ.8.

**ჰაგიოგრაფია** (ჰაგიოგრაფიისა) [ბერძ. hagios წმინდანი და graphō ვწერ] – საქრისტიანო ლიტერატურის დარგი – წმინდანების ცხოვრების აღწერილობა. ქეგლ. ტ.8.

**ჰაგიოგრაფიულ-ი** (ჰაგიოგრაფიულისა) – ჰაგიოგრაფიის ხასიათისა, წმინდანების ცხოვრების შესახები (ნაწარმოები, მწერლობა). ქეგლ. ტ.8.

**ჰარმონია** (ჰარმონიისა) [ბერძ. harmonia კავშირი, თანხმობა, შეხმატკბილება] – სხვადასხვა საგნების, სხვადასხვა ნაწილების მწყობრი შეხამება. ქეგლ. ტ.8.

**ჰარმონიულ-ი** (ჰარმონიულისა) – ჰარმონიის მქონე: მწყობრად შეხამებული. ჰარმონიულად – 1. შეხამე-

ბულად, შეთანხმებულად. 2. ხმაშეწყობილად, შეხმატკბილებულად. ქეგლ. ტ.8.

**ჰაშიშ-ი** (ჰაშიშისა) [არაბ. ჰაშიშ] – ინდური კანაფისგან მიღებული ნარკოტიკი. ქეგლ. ტ.8.

**ჰაჯი** (ჰაჯისა) [არაბ. ჰაჯჯი] – მექაში მოსალოცავად ნამყოფი მაჰმადიანის საპატიო წოდება (ჩვეულებრივ ამ სიტყვას ხმარობენ სახელის წინ). ქეგლ. ტ.8.

**ჰეგემონ-ი** (ჰეგემონისა) [ბერძ. hegemonia წინამავალი, მეთაური] – ჰეგემონიის მქონე, ხელმძღვანელი, წინამძღოლი. ქეგლ. ტ.8.

**ჰეგემონია** [ბერძ. hegemonia პირველობა, ბატონობა] – პირველობა, უპირატესობა გავლენასა და ძალაში; ხელმძღვანელი როლი. ქეგლ. ტ.8.

**ჰეგემონია** – ერთი სახელმწიფოს გაბატონებული მდგომარეობა, მეორის მიმართ, რომელიც მიიღწევა დიპლომატიის, ეკონომიკის ან სამხედრო გამარჯვების გზით.

**ჰეგემონობა** (ჰეგემონობისა) – ჰეგემონის მდგომარეობა, - ხელმძღვანელი როლი, უპირატესობა. ქეგლ. ტ.8.

**ჰიმნ-ი** (ჰიმნისა) [ბერძ. hymnos] – 1. საზეიმო საგალობელი (მიღებული სახელმწიფოებრივი ან კლასობრივი ერთიანობის სიმბოლოდ). 2. ღვთაების სადიდებელი საგალობელი. ქეგლ. ტ.8.

**ჰიმნი** – პოეტიკურ-მუსიკალური ნაწარმოები, რომელიც ადიდებს სამშობლოს, სახელმწიფოს, ისტორიულ მოვლენებს და მათ გმირებს. მოკლე პოლიტ. ლექს.

**ჰიმნოგრაფ-ი** (ჰიმნოგრაფისა) [ბერძ. hymnos ჰიმნი და graphō ვწერ] – ძვ. ჰიმნების მთხზველი. ქეგლ. ტ.8.

**ჰიმნოგრაფია** (ჰიმნოგრაფიისა) – სასულიერო პოეზია. ქეგლ. ტ.8.

**ჰიმნოლოგია** (ჰიმნოლოგიისა) [ბერძ. hymnos ჰიმნი და logos სიტყვა, მოძღვრება] – ჰიმნების შეთხზვის ხელოვნება. ქეგლ. ტ.8.

**ჰიპნოზ-ი** (ჰიპნოზისა) [ბერძ. hypnos ძილი] – 1. ხელოვნურად გამოწვეული ძილისებური მდგომარეობა. 2. ზემოქმედება ვინმეზე ასეთ მდგომარეობაში მოსაქცევად. გადატ. – მოხიბლულობა, ვისიმე გავლენაში მოქცევა. ქეგლ. ტ.8.

**ჰიპოთეზა** (ჰიპოთეზისა) [ბერძ. hypothesis] – დაუმტკიცებელი, მაგრამ სავარაუდო დაშვება, რომელსაც იყენებენ ზოგიერთი საკითხის გადაწყვეტისას მეცნიერებაში. ქეგლ. ტ.8.

**ჰიპოთეზა** (ბერძნ. hypothesis – საფუძველი, ვარაუდი) – ვარაუდი, რ-ის დროსაც რიგი ფაქტების საფუძველზე კეთდება დასკვნა ობიექტის, კავშირის ან მოვლენის მიზეზის არსებობის შესახებ, ამასთან ეს დასკვნა არ შეიძლება ჩაითვალოს მთლიანად სარწმუნოდ. ფილოსოფ. ლექს. 1987.

**ჰუმანიზმი** (ლათ. humanus - ადამიანური) – შეხედულებათა ერთობლიობა, რ-ებიც გამოხატავენ ადამიანის ღირსებისა და უფლებებისადმი პატივისცემას, მისი როგორც პიროვნების ღირებულებას, ზრუნვას ადამიანთა კეთილდღეობისათვის, მათი ყოველმხრივი განვითარებისათვის, ადამიანისათვის საზოგადოებრივი ცხოვრების ხელსაყრელი პირობების შექმნას. ფილოსოფ. ლექს. 1987

# ფიგურალური სიტყვა-თქმანი

## ააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო

ვამბობთ მაშინ, როცა ვინმეს ან რაიმეს უვარგისობას, არარაობას, უნიათობას ვხედავთ: როცა მიგვაჩნია, რომ ამ საქმიდან, საგნიდან თუ პიროვნებიდან არა გამოვა რა.

## აბუჩად აიგდო

"აბუჩ" – უხამსი სტუმარი" – განმარტავს სულხან-საბა. აქედან გამომდინარე, გამოთქმა "აბუჩად აიგდო" ნიშნავს: არად ჩააგდო, არად მიიჩნია, არ დააფასა. "აბუჩ" სიტყვა, ცხადია, აღნიშნავს ისეთ სტუმარს, რომელიც არც დაუპატიჟია მასპინძელს და არც იმსახურებს სტუმრის ღირსებას, თორემ, თუნდაც დაუპატიჟებელი სტუმარი ქართველ კაცს აბუჩად არც არასოდეს აუგდია და არც აიგდებს.

## ადგილის კურდღელს ადგილის მწევარი იჭერს

გამოთქმა მარტივად, მაგრამ გონივრულადაა გააზრებული: იგულისხმება, რომ ყოველი საქმის გაკეთებას თავისი ცოდნა სჭირდება. ადამიანი იმ არე-მიდამოში, იმ საზოგადოებაში, იმ საქმიანობაში ბევრად უფრო კარგად ავლენს თავის ყოველგვარ ნიჭსა და უნარს, რომელთანაც მას ახლო ურთიერთობა აქვს.

## ავ თვალს არ ენახვება

ასე ამბობენ ხოლმე ძალიან კარგ, მშვენიერ რამეზე ან ლამაზ ადამიანზე.

## ავგიას თავლა

უსუფთაობის სინონიმია. ხმარობენ დანაგვიანებული ადგილების და აგრეთვე მეტისმეტად არეულ-აწეწილი საქმეების აღსანიშნავად.

ძველი ბერძნული მითის თანახმად, ელადის მეფეს ავგიასს უამრავი ჯოგი ჰყავდა და უზარმაზარი

თავლები ჰქონდა. ავგიას თავლა ოცდაათი წლის განმავლობაში არ გასუფთავებულა და იქ იმდენი ნეხვი დაგროვდა, რომ მისი გაწმენდა მხოლოდ მითიურმა ჰერაკლემ (რომაელების ჰერკულესმა) შესძლო და სხვამ ვერავინ. ამისათვის ჰერაკლემ არხი გათხარა და ორი მდინარე – ალფეი და პენეი მიუშვა თავლაში.

### ავგური. ავგურის ღიმილი

სიცრუისა და თვალთმაქცობის სინონიმია. ძველ რომში ავგურები ანუ ქურუმები მორწმუნეებს უმარტავდნენ რელიგიურ წესებს, მრავალრიცხოვანი ღმერთების ნება-სურვილს, წინასწარმეტყველებდნენ მომავალს და ა.შ. ციცერონის გადმოცემით, უვიცი ხალხის მატყუარა შარლატანები ერთმანეთთან შეხვედრისას ძლივს იკავებდნენ სიცილს. საზოგადოებაში ახლაც მოიპოვებიან ისეთი ადამიანები, რომლებიც საიდუმლოებით მოსავენ თავიანთ ვითომდა ღრმა ცოდნას, თვალთმაქცურად ატყუებენ სხვებს და შეგნებული აქვთ, რასაც ჩადიან.

### ათას ერთი ღამე

ხატოვნად: არაჩვეულებრივი, დიდმშვენიერი, ზღაპრული.

სპარსეთის მბრძანებელს შეხრიარს ასეთი წესი ჰქონდა შემოღებული: ყოველ საღამოს მოაყვანიებდა ულამაზეს ქალწულს, დარჩებოდა მასთან გათენებამდე და დილით მოაკვლევინებდა თავისი პირუტყვული ჟინის მსხვერპლს. გამოილია ქვეყნად ლამაზი ქალიშვილები – ზოგი დესპოტის ველური ზნის მსხვერპლი შეიქმნა, ზოგიც მშობლებთან ერთად შორს გადაიხვეწნენ სატახტო ქალაქიდან. მეფის ვეზირი საგონებელში ჩავარდა, როდესაც ერთ მშვენიერ დღეს აღარავინ შერჩა თავის მბრძანებლის ჰარამხანაში რომ მიეყვანა. დაღონდა ვეზირი. შიშმა შეიპყრო. ეს შეამჩნია მისმა ულამაზესმა ასულმა შაჰერაზადამ, და როცა მამის დაღონების მიზეზი

გაიგო, სთხოვა მას მე წამიყვანე მეფესთანო. თან ამშვიდებდა – ნუ შეშინდები, უვნებელი გადავრჩებიო.

გაატარა ღამე მეფესთან ვეზირის მშვენიერმა ასულმა შაჰერაზადამ. გათენებისას მან წარმტაცი ზღაპარი მოუყვა მეფეს, ხოლო როცა გათენდა ყველაზე უფრო საინტერესო ადგილზე შეწყვიტა თხრობა. ზღაპრით გატაცებულმა მეფემ მოისურვა დასასრულის მოსმენა მეორე ღამეს და შაჰერაზადა აღარ მოაკვლევინა დილით, როგორც ეს წესად ჰქონდა შემოღებული. მეორე ღამეს ქალმა წინაღამით დაწყებული ამბავი დაასრულა, მაგრამ ახლა მეორე, კიდევ უფრო საინტერესო ზღაპარი წამოიწყო. გათენებისას, ეს მეორე ზღაპარიც დაუსრულებელი დარჩა და მეფემ კვლავ გადადო მთხრობელის მოკვლა. ასე გაგრძელდა 1001 ღამე. ამ დროის განმავლობაში შახრიარი იმდენად შეეჩვია ჭკვიან შაჰერაზადას, რომ გადაწყვიტა მასთან ცხოვრება სიკვდილამდე.

ასეა გადმოცემული ეს საუცხოო სპარსულ-არაბულ-ინდურ ზღაპრების კრებული. იგი 1804 წ. გალანმა თარგმნა ფრანგულად. შემდეგ სხვა ევროპულ ენებზედაც ითარგმნა. ქართულ ენაზე 1001 ღამე პირველად 1894 წ. თარგმნა და გამოსცა თბილისში სერგი მდივანოვმა.

## აინუნშიაც არ მოსდის

ეს გამოთქმა ნიშნავს: ფიქრადაც არ მოსდის, არაფრად აგდებს, არც კი ამჩნევს, არ მოსწონს.

## აკრძალული ხილი

ხმარობენ ისეთი რამის აღსანიშნავად, რაც მეტად სასურველი, მიმზიდველი, სახარბიელო და მაცთუნებელია, მაგრამ ადვილი მისაწვდომი როდია.

ბიბლიის გადმოცემით, ღმერთმა ადამი და ევა თავიანთ ნებაზე მიუშვა სამოთხეში და მოქმედების სრული თავისუფლება მიანიჭა მათ. ერთი რამ

აუკრძალა მხოლოდ – არ შეხებოდნენ ნაყოფს "ხისა ცნობადისა კეთილისა და ბოროტებისა". ეშმაკის ჩაგონებით სწორედ ამ ნაყოფს დაეტანა ცნობისმოყვარე ევა და ადამსაც აგემა ეს ნაყოფი. ბიბლიური ლეგენდა გადმოგვცემს, რომ რაკი ადამმა და ევამ აკრძალული ხილი იგემეს, ცოდვით დაეცნენ და ამისათვის ღმერთმა განდევნა ისინი სამოთხიდან.

## ალმა მატერ

ლათინურად ნიშნავს მასაზრდოებელს, ძუძუს მაწოვებელს ანუ ძიძას. ასე უწოდებდნენ სტუდენტები თავიანთ უმაღლეს სასწავლებელს ჯერ კიდევ შუა საუკუნეებში.

## ალტერ ეგო

აგრეთვე ლათინური გამოთქმაა და ნიშნავს "მეორე მე". ასე უწოდებენ უახლოეს ადამიანს, რომელსაც საკუთარი თავივით ენდობიან.

## ალფა და ომეგა

ალფა პირველი, ხოლო ომეგა უკანასკნელი ასოა ბერძნულ ანბანში. ფიგურალურად ნიშნავს თავსა და ბოლოს. გამოთქმა ბიბლიური წარმოშობისაა. იოვანე ღვთისმეტყველი თავის გამოცხადებაში გადმოგვცემს მითიურ ქრისტეს იგავს: "მე ვარ ალფა და ომეგა, დასაწყისი და დასასრული... პირველი და უკანასკნელი".

## ალფონსი

უზნეობის სინონიმია. ალფონსს უწოდებენ მამაკაცს, რომელსაც ქალებთან სატრფიალო დამოკიდებულება საარსებო წყაროდ გადაუქცევია. 1873 წ. ფრანგმა მწერალმა ალ. დიუმა-შვილმა გამოაქვეყნა პიესა სახელწოდებით "ბატონი ალფონსი". პიესის გმირი, გარეგნული სილამაზით დაჯილდოებული ალფონსი მსუბუქი ყოფაქცევის ქალების ხარჯზე ატარებს დროს.

### ᲐᲛᲐᲝᲔᲑᲐ ᲐᲛᲐᲝᲔᲑᲐᲗᲐ ᲓᲐ ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲐᲛᲐᲝᲐ!

ადამიანის არსებობის უმიზნობისა და ურგებობის გამომხატველი გამოთქმაა, რომელიც, გადმოცემის თანახმად, ისრაელთა მეფეს, სოლომონს (VIII საუკ. ჩვენს ერამდე) ეკუთვნის. სოლომონმა თავისი სიცოცხლე განცხრომაში და მიწიერ სიამეში გაატარა, ხოლო სიბერის დროს ამგვარი სავალალო შეფასება მისცა ადამიანის არსებობას.

### ᲐᲛᲘᲜ

ძველი ებრაული სიტყვაა, შემდეგ ბერძნულში გადმოტანილი და ნიშნავს: ჭეშმარიტად, ნამდვილად. ყველა ეკლესიური ლოცვა ამ სიტყვით ბოლოვდება ნიშნად იმისა, რომ ლოცვაში გამოთქმული აზრი ჭეშმარიტებას, სინამდვილეს შეიცავს. ზეპირ ქადაგებასაც მღვდელმსახურნი ამ სიტყვით აბოლოვებენ. რელიგიური ზღაპრების თანახმად, ავ სულებსაც ძალიან შინებიათ ამ სიტყვის და ამიტომ ყველა მათი მზაკვრობის საწინააღმდეგო შელოცვების უკანასკნელი სიტყვა არის: ამინ!

### ᲐᲛᲝᲠᲫᲐᲚᲘ

განსაკუთრებით ძველბერძნულ და სხვა ხალხთა მითებშიც გარკვეული ადგილი უჭირავთ მებრძოლ ქალებს, რომლებიც სხვადასხვა მწერლის ცნობით სხვადასხვა ადგილებში ცხოვრობდნენ. ისინი მამაკაცებისადმი ზიზღით გამოირჩეოდნენ, მაგრამ გარკვეულ დროს მათ შთამომავლობის გასაგრძელებლად მაინც უკავშირებოდნენ. ამ კავშირის შემდეგ ისინი კვლავ თავის ქვეყანაში ბრუნდებოდნენ და თუ ვაჟი შეეძინებოდათ, ან მამასთან გზავნიდნენ, ან ასახიჩრებდნენ და მერე შავ სამუშაოზე იყენებდნენ. ხოლო, თუ ქალი დაიბადებოდა, მეომრად ზრდიდნენ. ამორძალები (ბერძნულად ამაძონები) დიდი სილამაზით, სიმამაცითა და სიძლიერით გამოირჩეოდნენ. აქედან გამომდინარე ქართულ ენაშიც დაიმკვიდრა ადგილი “ამაძონის”

სახეშეცვლილმა ფორმამ "ამორძალი" ლამაზი, მამაცი და ძლიერი, მამაკაცებისაგან განდგომილი ქალიშვილის მნიშვნელობით. იგივე სახელი მედიცინის ენაზე ეწოდება ქალებს, რომელთაც მოკვეთილი აქვთ ცალი ძუძუ; ამის მიზეზი ის არის, რომ, მითების თანახმად, ამაძონები ახლადშობილ გოგონებს მარცხენა ძუძუს ამოუშანთავენ ხოლმე, რომ მშვილდისა და სხვა იარაღის ხმარებაში ხელი არ შეეშალა. ზოგი მკვლევარის აზრით "ამაძონიც" ამ მითთანაა კავშირში, რადგანაც ბერძნულად "ძუძუს" "მაძოს" ჰქვია, "ა" კი უარყოფითობის მაწარმოებელი ნიშანია და, აქედან გამომდინარე, "ამაძონ" "უძუძუ-ოს" ნიშნავს.

## ანათემა

წყევლა-კრულვა, შეჩვენება, ხატზე გადაცემა, ეკლესიისაგან განკვეთა.

რელიგიურ სასჯელთა სისტემაში სასჯელის ერთ-ერთი სახე არის ცოდვის ჩამდენის დაწყევლა და ეკლესიისაგან მისი განკვეთა.

## არიადნეს ძაფი (გორგალი)

მძიმე მდგომარეობიდან გამოსავალი საშუალების სინონიმია. ბერძნული მითის გადმოცემით, ატიკის გმირმა, ეგეოსის ვაჟიშვილმა თესეოსმა, ურჩხული მინოტავრი მოჰკლა და მით საშინელი ხარკისაგან იხსნა თავისი სამშობლო.

ეგეოსი ცხრა წელიწადში ერთხელ (მეორე ვარიანტით – ყოველწლიურად) კრეტის მეფეს, მინოსს, ხარკის სახით უგზავნიდა თავისი ქვეყნის ულამაზეს შვიდ ქალიშვილსა და შვიდ ჭაბუკს ლაბირინთში შეფარებული ურჩხულის, მინოტავრის გამოსაკვებად.

თესეოსისათვის ლაბირინთში შესვლა და ურჩხულის მოკვლა არცთუ ისე ძნელი იყო, მაგრამ საქმეს ართულებდა ლაბირინთიდან უკან გამოსასვლელი გზის გაკვლევა.

მეფე მინოსის ქალიშვილს, მშვენიერ არიადნეს, პირველ დანახვისთანავე შეუყვარდა გმირი ჭაბუკი თესეოსი. მან გორგალი მისცა შეყვარებულს, თესეოსმა ძაფის წვერი ლაბირინთის შესასვლელთან დაამაგრა, ხოლო გორგალი თან გაიყოლა და, როდესაც ურჩხული მოჰკლა, გამოჰყვა ძაფს და ადვილად გამოაგნო გზა ლაბირინთიდან.

### არკადია

გადატანით ნიშნავს ბედნიერ ქვეყანას. არკადია მთაგორიანი ოლქია საბერძნეთში, სადაც ძველთაგანვე მესაქონლეობა იყო განვითარებული. მოსახლეობა ღვთისმოშიშობითა და სტუმართ-მოყვარეობით იყო განთქმული. შემდეგ არკადია პოეტების საყვარული თემა გახდა, რომელსაც ისინი პოეტურად შელამაზებულ, მიმზიდველ, იდილიურ ფორმებში გვიხატავენ. ძველი ბერძნული მითის თანახმად, ეს სახელწოდება წარმოიშვა ღმერთთა ღმერთის, ზევსის ვაჟის არკადის საკუთარი სახელიდან. ის იყო მწყემსების ღმერთის, პანის და მშვენიერი ნიმფების სამყოფელი.

### არც მწვადი დაწვა არც შამფური...

გამოთქმა ნიშნავს საქმის ისე გაკეთებას, რომ არავინ დაზარალდეს, საქმის არცერთი მხარე არ დაზიანდეს. სიტყვა "მწვადი" წვის პროცესზე მიუთითებს და, აქედან გამომდინარე, წვადასრულე-ბული მწვადი უკვე არც სახელს და არც დანიშ-ნულებას აღარ ამართლებს. კარგმა მზარეულმა, მართლაც, არც მწვადი უნდა დაწვას (შეწვას ბოლომდე) და, მითუმეტეს, არც შამფური.

### არჩევანი მომხდარია! ანუ: რუბიკონი გადალახულია!

ეს თქმა იულიოს კეისარს ეკუთვნის (პლუტარქე, სვეტონიუსი), რაც გადატანით ნიშნავს გაბედული ნაბიჯის გადადგმას, მტკიცე გადაწყვეტილების მიღებას, ამ შემთხვევაში – ომის გამოცხადებას.

მისი წარმოშობა დაკავშირებულია შემდეგ ისტორიულ ამბებთან:
58 წელს ჩვენს ერამდე კაიუს იულიოს კეისარი გალების ქვეყნის მმართველად დანიშნეს, რომელსაც იგი მართავდა რვა წლის განმავლობაში. მისი მოწინააღმდეგის, პომპეუსის, შთაგონებით რომის სენატმა 49 წ. უკანვე გამოიწვია კეისარი. ის არ დაემორჩილა სენატის განკარგულებას, გაილაშქრა რომზე თავისი ლეგიონებით და ხელთ იგდო ძალაუფლება.

## აქილევსის ქუსლი (ტერმ)

ადამიანის ყველაზე უფრო სუსტი, მოწყვლადი ადგილის სინონიმია.
ბერძნული მითოლოგიის საყვარელი გმირის აქილევსის მოკვლა მეტად ძნელი საქმე იყო. ეს იმიტომ რომ, როდესაც აქილევსი დაიბადა, დედამისმა, ზღვის ქალღმერთმა ფეტიდამ, მას ქუსლში ჩაავლო ხელი და ქვესკნელთ სამეფოს ჯადოსნურ მდინარე სტიქსში ამოავლო. მითის თანახმად, სტიქსის წყალი ადამიანის სხეულს უვნებლად ხდიდა. აქილევსის სხეულიც უვნებელი გახდა, გარდა იმ ერთი ქუსლისა, რომელშიაც დედას ხელი ჰქონდა ჩავლებული და რომელსაც ამის გამო გრძნეული წყალი არ მიჰკარებია. სწორედ ეს იყო უძლეველი გმირის, აქილევსის ერთადერთი სუსტი ადგილი.
ტროას მეფისწულმა პარისმა ქალღმერთ აფროდიტეს დახმარებით სპარტას მეფეს მოსტაცა ცოლი, მშვენიერი ელენე. ამან ხანგრძლივი ომი გამოიწვია ბერძნებსა და ტროელებს შორის. ბერძენთა გმირმა აქილევსმა ტროას მეფის ვაჟი, უმამაცესი ჰექტორი მოკლა ბრძოლაში. ჰექტორის ძმამ, პარნასმა გაუგო აქილევსს მისი სუსტი ადგილი – ქუსლის მოწყვლადობა, მოხერხებულად სტყორცნა ქუსლში ისარი და მოკლა იგი.

## აწმყო, შობილი წარსულისაგან, არის მშობელი მომავალისა

ამ ხოტავან თქმაში მოცემულია ბუნებისა და საზოგადოების განვითარების დიალექტიკური ფორმულა. გამოთქმა ეკუთვნის ცნობილ გერმანელ ფილოსოფოსსა და მეცნიერ გოტფრიდ-ვილჰელმ ლეიბნიცს (1646-1716).

## აღთქმული ქვეყანა, მხარე

პირდაპირი მნიშვნელობით იგულისხმება პალესტინა, ხატოვნად კი ნიშნავს ბედნიერ, სანატრელ ქვეყანას, მხარეს. რელიგიური მითებისა და ლეგენდების კრებული, ბიბლია გადმოგვცემს, რომ ღმერთმა, დაპირების თანახმად, იუდელები იხსნა ეგვიპტეს ტყვეობიდან და მათთვის სანატრელ პალესტინაში მიიყვანა.

## ახია მაგაზე (მასზე)

ასე ვამბობთ ნიშნის მოგებით, როცა ვინმე ცუდი საქციელისათვის დამსახურებულ სასჯელს მიიღებს, საკადრისად მიეზღვება.

## ბაბილონის გოდოლი, ბაბილონის გოდოლის შენება

წარმოსდგება ბიბლიური ლეგენდიდან და ხატოვანად ნიშნავს უაზრო ხმაურს, ღრიანცელს, არევდარევას, უწესრიგობასა და უთავბოლობას, ალიაქოთს.

ლეგენდა გადმოგვცემს, რომ ნოეს შვილის, ქამის შთამომავალმა, ვინმე ნიმროდმა ძლიერი ბაბილონის სამეფო შექმნა ქალდეაში. ნიმროდმა მთელ ქვეყანაზე გაბატონება განიზრახა და თავისი ძლიერების გამოსაჩენად შეუდგა ისეთი გოდოლის აშენებას, რომლის მწვერვალი ცას უნდა ყოფილიყო მიბჯენილი.

დიდძალი ხალხი მიუსიეს მშენებლობას. ღმერთმა იწყინა ნიმროდის თავხედობა, მით უმეტეს, რომ ნოეს ვაჟი ქამი და მისი შთამომავალნი ცის მბრძა-

ნებლის წინასწარდასახულობით მუდამ სხვების მონობაში უნდა ყოფილიყვნენ. უფალმა აურია გოდოლის მშენებელთა საერთო ენა და თვითეული მათგანი სხვადასხვა ენაზე აალაპარაკა, რამაც ისე არივ-დარია ყველაფერი, რომ მუშებს ერთი-მეორის აღარაფერი გაეგებოდათ და ამის გამო მშენებლობა ჩაიფუშა.

**ბალზაკის ასაკი**

იტყვიან მოწიფულობაში შესული ქალის ასაკზე. წარმოსდგება გამოჩენილი ფრანგი მწერლის, ონორე ბალზაკის რომანიდან "ქალი ოცდაათი წლისა", რომელიც 1831 წელს გამოვიდა.

**ბარბაროსი**

ძველ ბერძნებს ყველა არაბერძენი ველურ, განუვითარებელ ადამიანად მიაჩნდათ და ბარბაროსებს ეძახდნენ. ბარბაროსს ახლა ვუწოდებთ სწორედ ისეთ ადამიანებს, რომლებიც არაადამიანური, ველური კანონებით მოქმედებენ, არ ემორჩილებიან ზოგადსაკაცობრიო ეთიკას. აქედანაა აგრეთვე სიტყვა "ბარბარიზმი" უცხოს, არაეროვნულის მნიშვნელობით.

**ბართლომეს ღამე (პარიზის სისხლიანი კვირა)**

ამ გამოთქმაში იგულისხმება უმფარველო ხალხის მასობრივი სისხლიანი ჟლეტა-ხოცვა.

კათოლიკური ეკლესიის ბურჟუაზიულმა რეფორმებმა ყველაზე ნათელი გამოხატულება ჰპოვეს კალვინის მოძღვრებაში. კალვინისტებს საფრანგეთში ჰუგენოტები ეწოდებოდა. კათოლიკებსა და ჰუგენოტებს შორის ბრძოლის იდეური სარჩული იყო რელიგია, მაგრამ სინამდვილეში ჰუგენოტები დაკარგული პრივილეგიებისა და დამოუკიდებლობის აღდგენისათვის იბრძოდნენ.

1572 წ. ჰუგენოტების ბელადი ჰენრიხ ნავარელი საფრანგეთის მეფის კარლო IX დას, მარგარიტას

ირთავდა. ქორწილზე დასასწრებლად პროვინციებიდან ბევრი გავლენიანი ჰუგენოტი ჩამოვიდა პარიზში. კათოლიკებმა ისარგებლეს ამ შემთხვევით და გადაწყვიტეს ჰუგენოტებთან ანგარიშის გასწორება. წინასწარ ჩამოუარეს და ფარულად თეთრი ჯვრები დაუსვეს სახლებს, სადაც ჰუგენოტები ეგულებოდათ. ღამით, 1572 წ. 23 აგვისტოს, წმ. ბართლომეს დღესასწაულის წინ, ატყდა ზარების რეკვა, რაც იმის სიგნალი იყო, რომ შესდგომოდნენ ჰუგენოტების ხოცვას.

## ბახუსი, იგივე დიონისე. ბახუსის თაყვანისცემა

ამ გამოთქმაში იგულისხმება ღვინო, ლხინი, ლოთობა. ნაბახუსევიაო იტყვიან ხოლმე ნასვამ კაცზე.

ღმერთთა ღმერთმა და ოლიმპოს მბრძანებელმა ზევსმა მოკვდავი მეფის ასული, მშვენიერი სემელა შეიყვარა. სემელას ზევსისაგან ვაჟი შეეძინა, რომელსაც სახელად დიონისე (ბახუსი) დაარქვეს. ზევსის “კანონიერი” მეუღლის, ქალღმერთ ჰერას ინტრიგების შედეგად მშვენიერი სემელა ცეცხლში დაიღუპა, მისი ახალშობილი ვაჟი კი მამის ღვთაებრივ სურვილისამებრ გადაურჩა ხანძარს. ჰერამ ჭკუაზე შეშლილ ათამანტეს მეშვეობით ბავშვის დაღუპვაც მოინდომა, მაგრამ ღმერთმა ჰერმესმა იხსნა იგი ათამანტესაგან და ნიმფებს ჰიადებს მიაბარა აღსაზრდელად ვენახით მოშენებულ ნისეის ველზე. როდესაც ბახუსი წამოიზარდა, ზევსმა იგი მეღვინეობის ღმერთად გახადა, ხოლო მისი აღმზრდელი ჰიადები ზეცაში წაიყვანა და ისინი ღამღამობით ორიონის თანავარსკვლავედიდან დაციმციმებენ დედამიწას.

ვაზის გვირგვინებით შემკობილი მუდამ მხიარული ბახუსი მენადების თანხლებით დადის ქვეყნიდან ქვეყნად და სალამურის ხმაზე მართავს ცეკვათამაშს, სიმღერებს, ავიწყებს ადამიანებს მწუხარებას, გაჭირვებას, ამხნევებს სულით დაცემულთ,

ძალ-ღონესა და სითამამეს ჰმატებს სუსტებსა და მშიშარებს.
მრავლდებიან და მატულობენ ღვინის ღმერთის მორწმუნენი და თაყვანისმცემელნი, დღესასწაულებს (დიონისიებს) უმართავენ მას, მომღერლები დითირამ-ბებს უგალობენ ლოთობის ღმერთს, მხიარულ ბახუსს.

**ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული**

ეს კაცი ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებულაო, - იტყვიან ადამიანზე, რომელსაც გარემოება ხელს შეუწყობს და საქმე კარგად წაუვა, ყველაფერში ხელი მოემართება.

**ბელზებელი (უფრო სწორია: ბელზებული)**

ავი სულების მეთაური, სატანა. ძველად ფინიკიაში ბელზებელი შხამიანი მწერების ღმერთად ითვლებოდა.

**ბეწვის ხიდი**

ძველების წარმოდგენით ადამიანის სიკვდილის მერე მისი სული არ კვდება და სხვა ქვეყანაში გადაი-ნაცვლებს. სააქაოდან საიქიოში გადასვლისას ადამიანის სული თითქოს სიბნელითა და მრავალი საშინელებით სავსე უფსკრულის თავზე გადებულ ბეწვის ხიდზე გაივლის. თუ ადამიანი სიკეთეს აკეთებდა და არ ცოდავდა, მისი სული თავისუფლად გაივლის ბეწვის ხიდზე, რადგან მას ჩადენილ ცოდვათა წონა არ დაამძიმებს და მადლი, რომელსაც სიცოცხლეში იქმოდა, მხრებში ამოუდგება და, თუ რამ ცოდვით იყო დამძიმებული, გაუბათილებს, ვინც შეძლებს ამ ხიდზე გავლას, მარადსანეტარო სამოთ-ხეში მოხვდება, ხოლო ცოდვათაგან დამძიმებულს ფეხქვეშ ჩაუწყდება და ჯოჯოხეთში, მარადიულ სატანჯველში ჩავარდება.

ამ წარმოდგენიდან გამომდინარე, შეიქმნა მხატვრული გამოთქმა «ბეწვის ხიდი» ან “ბეწვის ხიდზე გავლა”, რაც ნიშნავს მეტად ძნელ მიზნამდე ან ადგილამდე მიღწევას, სადამდე მისვლაც დიდ სიფრთხილეს და გამბედაობას მოითხოვს.

### ბრმა ბედი

ძველი რომაელების წარმოდგენით, ბედნიერების ღმერთი ფორტუნა თვალახვეული მიჰქრის და სიუხვის რქიდან აბნევს ათასგვარ საჩუქარს. ვის გაუღიმებს ბედი, ვის მოხვდება საჩუქარი, - არავინ იცის, ეს მხოლოდ შემთხვევაზეა დამოკიდებული. ამიტომ ამბობენ, ბედი ბრმააო.

### ბურთი და მოედანი

გადატანით ამ ფრაზაში იგულისხმება ისეთი სარბიელი, ხელსაყრელი პირობები და საშუალებანი, როცა ადამიანს სრული შესაძლებლობა ექმნება გამოავლინოს თავისი სიმამაცე, ცოდნა, ნიჭი, უნარი და საერთოდ საგმირო საქმენი.

### გათიშე და იბატონე!

ცნობილი ლათინური გამოთქმაა. ამ დევიზით მოქმედებდნენ რომის ხელისუფალნი დაპყრობილ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის ნაწილს გარკვეულ პრივილეგიებს ანიჭებდნენ და ამით იწვევდნენ უთანხმოებას, რაც აადვილებდა რომაელთა ბატონობას ამ ქვეყნებში.

### გალაქტიკა

“გალაქტოს” რძეს ჰქვია ბერძნულად, “გალაკტიკოს” კი “რძიანს” ნიშნავს. საქმე იმაშია, რომ ცის სივრცე, რომელსაც გალაქტიკას ვუწოდებთ, თითქოს, მართლაც, რძისფერია. ალბათ, ცის ასეთმა აღქმამ შექმნა ბერძნული მითი იმის შესახებ, რომ ეს ჰერას რძით მორწყული თუ განბანილი სივრცეა. ზოგი

მითის მიხედვით ეს არის გზა ოლიმპოდან დედამიწისაკენ.

**განკითხვის დღე**

ბიბლიური წარმოშობისაა და ხატოვანად ნიშნავს საყოველთაო გასამართლების ჟამს, რომელიც, მითის თანახმად, უნდა დადგეს ქვეყნის დასასრულს. განკითხვის დღეს ქრისტე ჩამოვა დედამიწაზე, დაახარისხებს ადამიანებს, მადლის მქნელთ სამოთხეში შეუშვებს, ხოლო ცოდვილებს – ჯოჯოხეთში და მით დაიხურება კაცობრიობის დავთარი დედამიწაზე.

**განტევების ვაცი (ვაცი განტევებისა)**

გადატანითი მნიშვნელობით განტევების ვაცს უწოდებენ ისეთ ადამიანებს, რომლებსაც სხვის ცოდვებს აკისრებენ და სხვების მიერ ჩადენილ დანაშაულისათვის აგებინებენ პასუხს.

უძველეს დროში ებრაელებს ასეთი წესი ჰქონდათ შემოღებული: წელიწადში ერთხელ, საშემოდგომო დღესასწაულზე "ცოდვებისაგან განწმენდის" დღეს, მთელი თემი შეიკრიბებოდა ველზე, უხუცესი ჯერ წირვას გადაიხდიდა, მერე გამოიყვანდა ვაცს, დააკისრებდა მას მთელი წლის განმავლობაში მრევლის მიერ ჩადენილ ცოდვებს და მიუშვებდა ტყეში მგლების დასაგლეჯად.

**განხეთქილების ვაშლი**

დავისა და უკმაყოფილების გამომწვევი მიზეზი. ძველ ბერძნებს ძალიან უყვარდათ მითები. ხალხის ფანტაზიამ კიდევაც შექმნა მრავალი შესანიშნავი მითი. ტროელებსა და ბერძნებს შორის ჩამოვარდნილი განხეთქილების მიზეზი ასეა გადმოცემული მითში:

"თესალიის მეფეს პელეოსს, ზღვის ქალღმერთს თეტიდას რომ ირთავდა ცოლად, ქორწილი ჰქონდა, რომელზედაც მოწვეული ჰყავდა ყველა ქალღმერთი,

გარდა განხეთქილების ქალღმერთისა – ერიდასი. განრისხებულმა ერიდამ გადასწყვიტა წაეჩხუბებინა ნადიმის მონაწილენი. როცა ღმერთები და ქალღმერთები სუფრას მიუსხდნენ, მათ შორის ვაშლი ისროლა; ვაშლს ეწერა: "მას, ვინც ყველაზე უმშვენიერესია".

ქალღმერთებს შორის მაშინვე დავა ატყდა იმაზე, თუ ვის ეკუთვნის ეს ვაშლი. განსაკუთრებით დიდი დავა ჰქონდა სამ ქალღმერთს: ზევსის ცოლს ჰერას, სიბრძნის ქალღმერთს ათენას და სილამაზის ქალღმერთს აფროდიტეს. დავის გადასაწყვეტად ზევსს მიმართეს, მაგრამ ზევსმა მათი მოსამართლეობა არ ისურვა და ტროის მეფის პრიამეს ვაჟთან, პარისთან გაგზავნა. პარისთან რომ მივიდნენ, თითოეული ქალღმერთი ცდილობდა მისი გული მოეგო. ჰერა დაჰპირდა, რომ თუ პარისი იმას აირჩევდა, მთელი სამყაროს მბრძანებელს გახდიდა; ათენა აღუთქვამდა – უდიდეს გმირად და ბრძენად გადაგაქცევო; აფროდიტე კი პირობას აძლევდა: მთელს ქვეყნიერებაზე ულამაზეს ქალს შეგრთავო. ჭაბუკმა პარისმა ეს უკანასკნელი ამჯობინა და ვაშლი აფროდიტეს მიაკუთვნა. მას აქეთ ათენამ და ჰერამ შეიძულეს პარისი და მასთან ერთად მთელი ტროის ხალხიც. აფროდიტემ კი მიცემული პირობა შეასრულა და პარისს დაეხმარა მოეტაცა სპარტის მეფეს მენელაოსის ცოლი – მშვენიერი ელენე".

## გედის სიმღერა

ადამიანის დიდებისა და სახელის უკანასკნელი გამოვლინება. მეტწილად იტყვიან მხატვრის, პოეტის, მწერლის უკანასკნელ, სიკვდილის წინ ან მოღვაწეობის დასასრულს შექმნილი ნაწარმოების შესახებ.

ჯერ კიდევ ძველ ბერძნულ მითებში ვხვდებით ხალხურ ლეგენდას იმის შესახებ, რომ გედი მთელ თავის სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ მღერის – სიკვდილის წინ.

**გეთსიმანიის ბაღი**

მშვენიერი, მყუდრო, წყნარი ადგილი, გადატანით კი ნიშნავს მძიმე განცდათა ადგილს.

სახარების ლეგენდის თანახმად, იერუსალიმის მახლობლად მდებარე გეთსიმანიის ბაღში უყვარდა ქრისტეს განმარტოვება და ლოცვებში დროს გატარება. აქ ევედრებოდა იგი მამა ღმერთს: “თანაწარმხედინ მე სასმელი ესე”. აქვე გასცა იუდამ ქრისტე თავისი ამბორით.

**გეენია**

სიტყვა გენია არაბულად ნიშნავს ჯოჯოხეთს. ასე უწოდებდნენ უძველეს დროში იერუსალიმის მახლობლად მდებარე ველს, სადაც ღვთაებისათვის შეწირულ ბავშვებს სწვავდნენ კოცონზე. იხმარება ჯოჯოხეთის, ჯოჯოხეთური ტანჯვა-წამების მნიშვნელობით.

**გოლგოთა**

თხემის ადგილი, სასჯელის ადგილი. მძიმე ტანჯვაწამების მნიშვნელობით იხმარება.

უძველეს დროში ერთ-ერთი გორაკაზე იერუსალიმის მახლობლად სიკვდილით სჯიდნენ დამნაშავეებს. ამ გორაკს, რომელიც შემდეგში უკვე ქალაქის ფარგლებშია მოქცეული და რომელზედაც ეკლესიები და მონასტრებია აგებული, გოლგოთა ეწოდა, რაც ძველ ებრაულ ენაზე პირდაპირი მნიშვნელობით ნიშნავს თავის ქალას, ხოლო გადატანითი – სასჯელის ადგილს, სატანჯველ ადგილს. სახარების თანახმად, ქრისტეც გოლგოთაზე აცვეს ჯვარს. ლეგენდა იმასაც მოგვითხრობს, რომ ცოდვილი დედამიწის პირველი მცხოვრები – ადამი თითქოს გოლგოთაზე იყოს დამარხული.

**გორდიას ნასკვი (გორდიას ნასკვის გაჩრა)**

ეს ფიგურალური თქმა ნიშნავს მეტად რთულ, ძნელ და დახლართული საკითხის ან საქმის ერთი გაბედული დაკვრით გადაჭრას.

**გუნდრუკის კმევა**

სურათხატოვნად ხოტბას, ქებათა ქებას ნიშნავს, ხშირ შემთხვევაში მლიქვნელურს, პირფერობითს. გუნდრუკი (საკმელი) კეთილსურნელოვანი ნივთიერებაა, რომელსაც ეკლესიაში აკმევენ ხოლმე წირვის დროს.

**დათვური სამსახური**

ბრიყვულად განხორციელებული სამსახური, რომელსაც, განზრახული სიკეთის ნაცვლად, ზიანი და უსიამოვნება მოსდევს.

**დამოკლეს მახვილი**

მუდამ მოსალოდნელი საშიშროების სიმბოლო. ძველი ბერძნული თქმულების თანახმად, სირაკუზის ტირანი დიონისე უფროსი (IV საუკ. ჩვ. ერამდე) ძალიან მდიდარი კაცი იყო. მისი მახლობელი მეგობარი იყო მაამებელი და მლიქვნელი პიროვნება, ვინმე დამოკლე. დამოკლეს ეხარბებოდა დიონისეს სიმდიდრე და მუდამ იმის ლაპარაკში იყო, რომ იგი უბედნიერესი კაციაო. ტირანს მობეზრდა დამოკლეს მაამებლობა და განიზრახა ჭკუა ესწავლებინა მისთვის. ამ მიზნით მან სასტუმრო დარბაზში, მაღლა ჭერში შიშველი მახვილი ჩამოაკიდებინა ცხენის ძუაზე. ნადიმზე მიწვეული დამოკლე დასვა სწორედ იქ, სადაც მახვილი იყო ჩამოკიდებული. სუფრაზე დამოკლე მეტად მხიარულად და ბედნიერად გრძნობდა თავს, მაგრამ როდესაც შემთხვევით მაღლა აიხედა და მახვილს შეავლო თვალი, შეკრთა, ღვინით სავსე თასი გაუვარდა ხელიდან, წამოხტა და სწრაფად განერიდა იმ ადგილს.

### ᲓᲐᲛᲠᲩᲐ ᲜᲘᲕᲠᲘᲡ ᲜᲐᲩᲣᲠᲩᲐᲚᲘ

გადატანით ეს ნიშნავს: მოტყუებული დავრჩი, შრომამ ტყუილად ჩაიარა, არაფერი შემრჩა ხელთ.

### ᲓᲐᲤᲜᲘᲡ ᲒᲕᲘᲠᲒᲕᲘᲜᲘ

სახელისა და დიდების სიმბოლოა. უძველეს დროში ღმერთების გამოსახულებას სხვადასხვა გვირგვინებით ამშვენებდნენ, მაგალითად, იუპიტერს ნაირნაირი ბალახებისა და ყვავილების გვირგვინით ამკობდნენ, ბახუსს სუროსა და უსურვაზის გვირგვინს მიუძღვნიდნენ, ქალღმერთ მინერვას – ზეთის ხილის მწვანე რტოების გვირგვინს და ა.შ. თანდათანობით ეს ჩვეულება ქურუმებზეც გავრცელდა და იმათაც გვირგვინებით ამკობდნენ. დროთა მსვლელობაში შემოიღეს საქორწინო გვირგვინი, სამგლოვიარო გვირგვინი, სამეფო გვირგვინი (ჯიღა) და სხვ.

### “ᲓᲐᲧᲐᲕᲘ ᲓᲐ ᲘᲑᲐᲢᲝᲜᲔ”

წესი, რომელსაც ძველი რომის მმართველები და სარდლები იყენებდნენ, რათა დაემორჩილებინათ დაპყრობილი ხალხები.

### ᲓᲔᲓᲐᲑᲝᲫᲘ

ბოძი, ბურჯი, რომელსაც შენობის სახურავის მთელი სიმძიმე აწევს. აქედან გადატანით დედაბოძს უწოდებენ ოჯახის მეთაურს, გამძღოლს, მარჩენალს, ე.ი. იმას, ვისაც ოჯახის მოვლა-პატრონობის მთელი სიმძიმე ეკისრებოდა.

### ᲓᲘᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲐᲠᲐᲕᲐᲜᲓᲘ

წინათ მიაჩნდათ, რომ წმინდანებს მუდამ ნათელი ადგათ თავს. ამ ნათლის შუქს ჰქვია სწორედ შარავანდი (სიტყვა წარმოშობით სპარსულია და ნიშნავს “მეფურს”, “ბრწყინვალეს”).

## დითირამბი

ძველ საბერძნეთში ერქვა საზეიმო სიმღერას ღვინისა და მხიარულების ღმერთის დიონისეს პატივსაცემად; შემდეგ ასევე უწოდებდნენ საერთოდ ღმერთებისადმი მიძღვნილ ჰიმნებსა და სიმღერებს.

## დონ კიხოტი

"დონ კიხოტს" ვუწოდებთ ადამიანს, რომელიც სინამდვილეს მოწყვეტილია, ფანტაზიით და ოცნებით ქმნის, ან ანადგურებს; მართალია, სიკეთით სავსეა, მაგრამ უძლურია იმ საქმის გასაკეთებლად, რომლისთვისაც იბრძვის. დონ კიხოტი სერვანტესის ცნობილი გმირია, მას სანჩო პანსა "მწუხარე სახის რაინდს" უწოდებს.

დონ კიხოტი ქარის წისქვილს ბოროტ არსებად მიიჩნევს და თავგამოდებით ებრძვის მას, აქედანაა გამოთქმა "ქარის წისქვილთან ბრძოლა".

## დონ ჟუანი

საზოგადო სახელია აშაღლარი, ხორციელი სიამით გატაცებული მამაკაცისა, რომელიც ფეხქვეშ თელავს საზოგადოების ზნეობრივ ნორმებს და არაფერს იშურებს იმისათვის, რომ თავის სატრფიალო მიზნებს მიაღწიოს.

არსებობს ლეგენდა, რომ ძველად ესპანეთში ცხოვრობდა რაინდი, სახელად დონ ჟუან ტენორიო, გამბედავი და ურიდი ტენორიოს სატრფიალო თავგადასავალი სავსე იყო ავანტურისტული შემთხვევებით. ბევრი სისხლის სამართლის დანაშაული ჩაიდინა დონ ჟუან ტენორიომ, მაგრამ იგი ყოველთვის დაუსჯელი რჩებოდა, რადგან მას ესპანეთის მეფე დონ პედრო (XIV საუკ.) მფარველობდა.

## ეგ არის და გორის ციხე

გამოთქმა წმინდა ქართულია, ვამბობთ მაშინ, როცა საკმაოდ ძნელ და მომქანცველ საქმეს დავასრუ-

ლებთ, რომლის დასრულებითაც მეტად კმაყოფილი ვართ. ჩანს, რომ გამოთქმა ისტორიულ გორის ციხესთანაა დაკავშირებული. ცნობილია, რომ გორის ციხე მრავალგზის დააქცია გარეულმა თუ შინაურმა მტერმა, მაგრამ ქართველობამ კვლავ აღადგინა. მომქანცველი, მაგრამ მეტად საჭირო შრომის დამთავრების შემდეგ ალბათ, სიამოვნებით წამოიძახებდნენ ხოლმე ჩვენი წინაპრები: ეგ არის და... გორის ციხე ისევ აშენებულია! მტერო, ახლა ვერაფერს დაგვაკლებო.

ედემის ბაღი

"ბიბლიის" მიხედვით, სიკვდილის შემდეგ ადამიანის სული საიქიოში მიდის საიქიო ორი ნაწილისაგან – ჯოჯოხეთისა და სამოთხისაგან შედგება. ჯოჯოხეთში ავისმქმნელნი და ურწმუნონი ხვდებიან, სამოთხეში კი – კეთილისმოქმედნი და მორწმუნეები. სამოთხე მარადიული სანეტარო ადგილია, ედემის ბაღი კი – მისი საუკეთესო კუთხე. ამიტომაც ედემის ბაღს ულამაზეს, სიმშვენიერითა და სიმდიდრით განთქმულ ადგილს ვუწოდებთ.

ევრიკა

სურათხატოვნად ამ თქმას ხმარობენ მოულოდნელად რთული საკითხის გადაჭრის მიგნების, რთული ამოცანის უცბად ამოხსნის მნიშვნელობით. ბერძნულ ენაზე ევრიკა ნიშნავს: ვიპოვე.

გადმოცემის თანახმად, ამ თქმას ძველი დროის უდიდეს მათემატიკოსს არქიმედეს მიაწერენ. რომაელი ინჟინერი ვიტრუვიუსი (პირველი საუკუნე ჩვ. წელთაღრიცხვამდე) მოგვითხრობს, რომ სირაკუზის მეფე ჰიერონი დაეჭვებულა სასახლის ოქრომჭედლის პატიოსნებაში, რომელსაც ოქროს სამეფო გვირგვინის დამზადება ჰქონდა დავალებული. მეფეს ეჭვი ჰქონდა, ოსტატმა მეტი ვერცხლი და ნაკლები ოქრო იხმარაო. შენადნობის შედგენილობის გამორკვევა

ჰიერონმა არქიმედეს მიანდო. გენიოსმა მათემატიკოსმა ბევრი იწვალა, მაგრამ ვერას გახდა. ერთხელ ის აბაზანაში იწვა. ბანაობის დროსაც დაკისრებული ამოცანის ამოხსნაზე ფიქრობდა. მოულოდნელად მას აზრმა გაუელვა ჰიდროსტატიკის ძირითადი კანონის შესახებ, რომლის თანახმად სითხეში ჩაძირული ყოველი სხეული ჰკარგავს იმდენ სიმძიმეს, რამდენიც არის მის მიერ გამოდევნილი სითხე. ამ აზრმა არქიმედე აღტაცებაში მოიყვანა; ის ამოხტა აბაზანიდან და ტიტველი გაიქცა სახლში თავისი აზრის შესამოწმებლად. გარბოდა და თან გაიძახოდა: ევრიკა! ევრიკა!

### ეზოპეს ენა

ხატოვნად ნიშნავს შენიღბულ ფორმებში, ალეგორიებითა და გადაკვრით აზრის გამოთქმას.

ძველი საბერძნეთის სახელგანთქმული იგავთმწერალი ეზოპე (VI საუკ. ჩვ. ერამდე), გადმოცემის თანახმად, სამოსელი იადმონის მონა იყო. მას, როგორც მონას, არ შეეძლო აშკარად გამოეთქვა თავისი მამხილებელი აზრები და ის შენიღბულ ფორმებს მიმართავდა, რისთვისაც ალაპარაკებდა ცხოველებს, უსულო საგნებს.

### ეკლიანი გზა

გადატანითი მნიშვნელობით დუხჭირს, ტანჯვაწამებით სავსე ცხოვრებას ნიშნავს.

### ეკლის გვირგვინი

მძიმე ტანჯვა-წამების სიმბოლოდ ითვლება. სახარების მითის მიხედვით, როდესაც ქრისტე გოლგოთაზე აიყვანეს, მდევრებმა მას, წამების გაძლიერების მიზნით, ეკლის გვირგვინი დაადგეს თავზე.

### ელისეს მინდვრები

ელისეს ანუ ელისიის მინდვრები, ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ულამაზესი მხარეა

საიქიოში, სადაც საუკუნოდ ცხოვრობენ ადამიანთა სულები. აქ არც ზამთრის სიცივე აწუხებს ვინმეს და არც ზაფხულის სიცხე. ელისიის მინდვრები შეიძლება გავაიგივოთ ქრისტიანულ სამოთხესთან. ნიშნავს ლამაზ, მდიდარ მხარეს.

ეძიებდე და ჰპოვებდე
ლუკა მოციქულის სიტყვებია სახარებაში. ნიშნავს: თავი შეიწუხე, გაისარჯე, მოინდომე, ხელი გაანძრიე და მოიპოვებ სასურველს.

ზეთისხილის შტო
"ბიბლიის" მიხედვით მსოფლიო წარღვნის დროს ნოეს მიერ კიდობნიდან გაშვებულმა მტრედმა, იმის ნიშნად, რომ წყალმა დაიწია და ხმელეთი გამოჩნდა, შვიდი დღის შემდეგ მას ზეთისხილის შტო მიუტანა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ წარღვნა დამთავრდა და ქვეყანა დამშვიდდა. ამიტომაა, რომ ზეთისხილის შტო ახლა სიმშვიდისა და მშვიდობის სიმბოლოა. ბერძნულ-რომაულ მითოლოგიაში იგი მშვიდობის ქალღმერთის – ეირენეს მარადიული ატრიბუტია.

ზოდიაკი
"ცხოველთა წრეს" ნიშნავს ბერძნულად და ასე იმიტომ ეწოდება, რომ თორმეტ თანავარსკვლავედს, რომელთაც დედამიწიდან ხილულ ორბიტაზე მზე გაივლის წელიწადში, ბერძნული მითოლოგიიდან გამომდინარე, ცხოველთა სახელები ერქვა. მაგალითად: ვერძი, კურო, ღრიანკალი, ლომი, კიბო, თევზი და სხვ.

თავსლაფდასხმული
ასე იტყვიან ადამიანზე, რომელიც სამარცხვინო საქმეს ჩაიდენს, რაიმეს დააშავებს. ახლა ამას აღარ აქვს იმდენად შემარცხვენელი მნიშვნელობა, რამდენიც ძველ საქართველოში ჰქონდა. ძველად იმას, ვინც იქურდებდა, იმრუშებდა, ან სხვა ისეთ

დანაშაულს ჩაიდენდა, რისთვისაც სიკვდილს არ იმსახურებდა, მთელი სოფელი ან უბანი დაესეოდა და თავზე ლაფს ასხამდა. ეს თავისთავად დამამცირებელი აქტი იყო, მაგრამ ამის შემდეგ დამნაშავეს "თავსლაფდასხმული" ეწოდებოდა და მას არც სტუმრად მიიღებდა ვინმე. არც მეზობლობას და ამხანაგობას გაუწევდა, ერთი სიტყვით, მასთან ურთიერთობას ყველა ერიდებოდა. თავსლაფდანასხამ პიროვნებას ბევრი დრო და კეთილმოქმედება სჭირდებოდა იმისათვის, რომ ეს სამარცხვინო წოდება მოეხსნა. მაგრამ არ იყო გამორიცხული, რომ გამოჯავრების მიზნით შემდეგაც "თავსლაფდასხმულს" დაუძახებდნენ. აქედან მომდინარეობს დღეისათვის არც თუ ისე მკაცრად გაგებული წყევლა: "დაგესხა თავსლაფი!".

## თემიდა, თემიდას მსახური

სამართლიანობის ქალღმერთად ძველბერძნულ მითოლოგიაში დიკე ითვლებოდა. მაგრამ მის გვერდით მარად დიდი ავტორიტეტითა და პოპულარობით სარგებლობდა მართლმსაჯულებისა და წინასწარმეტყველების მფარველი ქალღმერთის თემიდა. მისი კულტი აღმოსავლური წარმომავლობისაა. იგი განსაკუთრებით მოუსყიდავი და ობიექტური მსჯავრმდებლების მფარველად ითვლებოდა. ამიტომ, გადატანითი მნიშვნელობით, თემიდა მართლმსაჯულებას ნიშნავს, ხოლო მოსამართლეებსა და საერთოდ იურისტებს "თემიდას მსახურებს" ეძახიან. ხელოვნებაში თემიდა თვალახვეულ ქალად გამოისახებოდა, რომელსაც ხელში სიუხვის რქა და სასწორი ეჭირა. თვალახვეულად იმიტომ გამოისახებოდა, რომ ვერ დაენახა, ვის ასამართლებდა და ყველას მიმართ ერთნაირი ყოფილიყო, სიუხვის რქით კი იმიტომ, რომ მართლმსაჯულება ადამიანებისათვის გარკვეულწილად სიმდიდრის გარანტიაცაა. სასწორით კი, როგორც ქართულად ვიტყვით, დამნაშავეთა ცოდვა-ბრალი იწონებოდა.

### თეთრი ყვავი

გადატანით: არაჩვეულებრივი, შესანიშნავი, განსაკუთრებული, იშვიათი გამონაკლისი.

### თეთრი ძაფით შეკერილი

ამ გამოთქმას ხმარობენ ისეთ შემთხვევაში, როდესაც სურთ აღნიშნონ არც თუ ისე მოხერხებულად შენიღბული ფარული განზრახვა.

### თვალი თვალისა წილ, კბილი კბილისა წილ!

მისაგებელის საზომის დევიზი, მოცემული ებრაელთა კანონმდებლის მოსეს (მე-16 საუკ. ჩვენს ერამდე) ათ მცნებაში, რაც ნიშნავს მოყენებულ ზიანისათვის სამაგიერო ტოლმნიშვნელოვანი ზიანის მიყენების დებულებას – კბილების ჩამტვრევისათვის იმდენივე კბილის ჩამტვრევა, მკლავის მოტეხისათვის მკლავის მოტეხა, თვალის ამოთხრისათვის თვალის ამოთხრა და ა.შ. წარმართული ეპოქის მისაგებელის ამ დებულებას ქრისტიანულმა მორალმა მონური მორჩილების პრინციპი დაუპირისპირა: “მარცხენა ყბაში გაგარტყან, მარჯვენა მიაგებეო”.

### თვალისჩინივით მოვლა-გაფრთხილება

განსაკუთრებული ზრუნვითა და სიფრთხილით მოპყრობა ვინმესადმი ან რამესადმი.

### თვალსა და ხელს შუა

აზრი: თვალნათლივ, ყველას დასანახად, მაგრამ უცებ და მოულოდნელად გაუჩინარება.

### თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმევა

იგულისხმება: ოღონდაც სურვილი და მონდომება იყოს და საქმე მოგვარდება.

## თუ მთა არ მიდის მაჰმადთან, მაჰმადი უნდა მივიდეს მთასთან

ხუმრობით იტყვიან დიდი, ცნობილი ვინმე რომ ეწვევა პატარა, უცნობ პიროვნებას. ან კიდევ – შექმნილი მდგომარეობის გამო, უნდა დაემორჩილო იმას, ვისი დამორჩილებაც შენ გინდოდა.

## იკაროსი

ლეგენდარული ბერძენი გამომგონებლისა და ხელოსნის – დედალოსის ვაჟი იკაროსი სანთლით მიწებებული ფრთებით მამასთან ერთად ცაში აფრინდა. მზის სითბომ სანთელი დაადნო, ფრთები დაცვივდა, ყმაწვილი ზღვაში ჩავარდა და დაიხრჩო. მისი სახელის მიხედვით ეწოდება ციურ სხეულს "იკაროსი". მის გალათინურებულ სახელთანაა დაკავშირებული ავტოქარხნის "იკარუსი" და ამ მარკის ავტობუსების სახელწოდება.

## იობის მოთმინება

"ბიბლიის" მიხედვით არაბეთში, ესის მხარეში ცხოვრობდა ერთი წმინდა კაცი – იობი. იგი ღმერთისადმი ერთგულებითა და ყოველგვარი კეთილმოქმედებით გამოირჩეოდა. იყო მდიდარი და ბედნიერი, ჰყავდა შვიდი ვაჟი, სამი ასული, ურიცხვი მსახური და აუარებელი პირუტყვი. ჰქონდა დიდძალი ქონება. მთელ დროს ღმრთისმსახურებასა და ლოცვავედრებაში ატარებდა. ღმერთიც ისმენდა მის ღაღადისს და სჯეროდა, რომ იობს მარად ეყვარებოდა. ეშმაკს შეშურდა და მისი მცდელობით ღმერთმა უკიდურესად გააშწარა იობი იმ მიზნით, რომ ეშმაკისათვის მისი სიწმინდე და ღმრთისადმი ერთგულება დაემტკიცებინა. სულ მოკლე ხანში იობს ხელიდან გამოეცალა ყოველგვარი სიმდიდრე. მერე ქარიშხალმა სასახლე დაუქცია და ათივე შვილი ერთდროულად დაუხოცა. გამწარებულმა მოხუცმა სამოსი შემოიხია, თმა გადაიპარსა და თავისი გაჩენის დღეს წყევლიდა. მაგრამ ღმერთი-

სადმი საყვედური მაინც არ შეუკადრებია, პირიქით, შემწეობას სთხოვდა.
ღმერთმა იფიქრა, ეძლიე ეშმაკსო, მაგრამ ეშმაკმა უთხრა: ეგ არაფერია, თავის თავზე განვაცდევინოთ მძიმე ტკივილები და ვნახოთ, თუ არ გაგინებსო. იობს კეთრი შეეყარა და მთელი სხეული საშინლად დაუწყლულდა. იგი საშინელი ხორციელი ტკივილით იტანჯებოდა, ბედშავ მოხუცს მწუხარებით გული გაელია, მაგრამ ღმერთის აუგად მოხსენიება აზრადაც არ მოსდიოდა. მერე მისი მეგობრები მივიდნენ, ასეთი საშინელებების გამო მიუსამძიმრეს, მაგრამ გული საშინლად ატკინეს – უმტკიცებდნენ, ალბათ, ცოდვილი ხარ, თორემ ღმერთი ასე არ დაგსჯიდაო. ბოლოს, სიკვდილის პირას მისულ დავრდომილს სულის სიღრმემდე შეძრწუნებული ცოლიც მიეჭრა და ტარტაროზის მრისხანებით უბრძანა: დაგმე ღმერთი, რომ ამ სატანჯველს შენც განერიდო და მეც მომასვენოო, მაგრამ ვერაფერმა ძალამ ვერა და ვერ დააგმობინა იობს ღმერთი. არაადამიანური სიმტკიცით ითმენდა იგი ყოველივეს. ღმერთმა რომ ეს დაინახა და ამით ეშმაკს მოუგო, იობს ახალი სიცოცხლე არგუნა: შვილები აღუდგინა და მთელ ქვეყანაზე უბედნიერეს ადამიანად აქცია. აი, ამ ბიბლიური მითიდან მომდინარეობს გამოთქმა “იობის მოთმონება” ან “იობის ტანჯვა”.

**ᲘᲝᲢᲘᲡᲝᲓᲔᲜᲐ**

“იოტა” ბერძნული ანბანის ყველაზე პატარა ნიშანია. ფიქრობენ, რომ ამის გამო უნდა იყოს ეს სიტყვა ძალიან პატარას სინონიმი.

**ᲘᲣᲓᲐᲡ ᲐᲛᲑᲝᲠᲘ**

იუდა მითიური ქრისტეს ერთ-ერთი მოციქული იყო. ეს გამოთქმა გადატანითი მნიშვნელობით გულისხმობს ერთგულების ნიშნით შენიღბულ ღალატსა და გამცემლობას.

"სახარების თხრობის თანახმად, ქრისტემ, ერთი დღით ადრე, ვიდრე მას შეიპყრობდნენ და შემდეგ ჯვარს აცვამდნენ, საღამო გაატარა თავის მოწაფეებთან. მათ შორის იყო იუდა.

ქრისტემ დამოძღვრა მოწაფეები, მოწაფეთადმი სიყვარულის აღსანიშნავად ქრისტემ დაბანა ფეხი მოწაფეებს, მათ შორის იუდასაც.

ქრისტემ და მოწაფეებმა ერთად მიიღეს პური ("საიდუმლო სერობა"). ქრისტემ უთხრა მოწაფეებს, რომ ერთ-ერთი მოწაფეთაგანი, რომელიც მათთან ერთად ესწრება სერობას და საერთო ლანგარიდან (პინაკიდან) სჭამს პურს, გასცემს მას. მიუხედავად მოწაფეების ვედრებისა, ქრისტემ არ დაასახელა გამცემელი.

იმ საღამოსვე იუდამ გასცა ქრისტე, რისთვისაც მიიღო 30 ვერცხლი.

რათა ქრისტე ეცნოთ მის შესაპყრობად მოსულებს, იუდამ, წინასწარ ნიშნის თანახმად, გადაჰკოცნა ქრისტე შეხვედრის დროს".

ეს ბიბლიური ლეგენდა იმით მთავრდება, რომ იუდამ ვერ გაუძლო სინდისის ქენჯნას, გადაჰყარა მიღებული მისაგებელი – 30 ვერცხლი და თავი ჩამოიხრჩო.

## კართაგენი უნდა დაემხოს

ძველი ქალაქი – კართაგენი მართლაც დაამხვეს რომაელებმა. გამოთქმა დიდ მხედართმთავარსა და სახელმწიფო მოღვაწეს – კატონ უფროსს ეკუთვნის, იგი თავის ყოველ გამოსვლას სენატში ამ წინადადებით ამთავრებდა.

## კატა ვერ შეწვდა ძეხვსაო, პარასკევია დღესაო

გამოთქმა გამოიყენება მაშინ, როცა ვინმე მიზანს ვერ მიაღწევს და სხვის გასაგონად ამბობს, შემეძლო ამ საქმის გაკეთება, მაგრამ რაღაც საპატიო მიზეზით გადავიფიქრეო. გამოთქმა, ცხადის, დაცინვაა, რადგან კატა არ დაგიდევს მარხვას (პარასკევი ხომ სამარხულო დღეა), თუკი სადმე ძეხვი იშოვა.

### ᲙᲐᲪᲘᲐ ᲓᲐ ᲥᲣᲓᲘ ᲮᲣᲠᲐᲕᲡ

ხალხური გამოთქმაა და ხატოვნად ადამიანის მაღალი ღირსების მაჩვენებელ ფორმულას შეიცავს.

### ᲙᲔᲠᲑᲔᲠᲘ

ავ, მრისხანე დარაჯს, მოუსყიდველ მცველს ხშირად უწოდებენ ხოლმე კერბერს, ან ცერბერს. ეს გამოთქმა დაკავშირებულია ძველ-ბერძნულ მითოლოგიაში საყოველთაოდ ცნობილ ურჩხულთან, რომელიც ჯოჯოხეთის ანუ ჰადესის კარს დარაჯობდა. იგი იყო საშინელი ძოფაკი, მას ჰქონდა სამი საზიზღარი თავი, მის კისრებზე საშინელი გველები იკლაკნებოდნენ და კუდადაც მრისხანე გველი ჰქონდა. კერბერი ჰადესში (ზოგჯერ ჰადესი გაიგივებულია საერთოდ სულების ქვეყანასთან) ყველას უშვებდა, იქიდან კი – არავის. ერთადერთი, ვინც მობრუნდა, ორფევსი იყო, რომელმაც საუცხოო მელოდიით კერბერის მრისხანე გულიც კი მოალბო. ცერბერი კერბერის ლათინური სახელია.

### ᲙᲝᲕᲖᲘ ᲜᲐᲪᲐᲠᲨᲘ

აზრი: იმედის მოულოდნელად ჩაფუშვა, მოულოდნელი მარცხის განცდა მაშინ, როდესაც წარმატება უზრუნველყოფილი გგონია.

### ᲙᲣᲑᲝᲡ ᲙᲐᲠᲐᲛᲓᲔ

კუბოს ფიცრამდე. – ესე იგი მთელ სიცოცხლეში, სიკვდილამდე.

### ᲙᲣᲞᲘᲓᲝᲜᲘᲡ ᲘᲡᲐᲠᲘ

სიყვარულის სიმბოლო.

ადამიანის ყოვლის შემცველი გრძნობის – სიყვარულის თემას ძველ ბერძნულ და რომაულ მითებში ფართო ადგილი აქვს დათმობილი. პეპლისფრთებიანი, შეუდარებელი სილამაზის გოგონა ფსიქეა და მისი დამოკიდებულება ეროსთან, რომაელების

კუპიდონი, ანუ ამური – მშვილდითა და ისრებით შეიარაღებული პატარაფრთებიანი ულამაზესი ბიჭუნა და სხვა მრავალი მშვენიერი მითი ამ თემაზე შექმნა ხალხის ფანტაზიამ. კუპიდონის ისრის ტყორცნა – ეს არის მიზანში ამოღებულის გულში სიყვარულის აღძვრა.

### კუს ნაბიჯი

აზრი: მეტისმეტად ნელი ტემპი, ნელი სვლა.

### ლაბირინთი

ძველი მწერლები და ისტორიკოსები ოთხ ლაბირინთს იცნობენ, მაგრამ მათ შორის ყველაზე უფრო ცნობილია კრეტის ლაბირინთი, რომელიც, მითების თანახმად, დედალოსმა მიწისქვეშ კრეტის მეფე მინოსის ბრძანებით გამოკვეთა ეგრეთწოდებული მინოტავრისათვის. ესაა რამდენიმე ათასი ოთახისაგან შემდგარი მიწისქვეშა ნაგებობა. ოთახები ერთიმეორეს ძნელადგასაგნები ხვრელებითა და კარებით უკავშირდებიან. თანამედროვე გაგებით "ლაბირინთი" ნიშნავს არა მარტო ასეთ ნაგებობას, არამედ არეულ, გამოუვალ მდგომარეობას, რთულ სიტუაციას, საიდანაც ძნელი, ზოგჯერ შეუძლებელიცაა თავის მიღწევა. აქედანაა წარმოქმნილი, როგორც ჩანს, ანატომიური ტერმინი (ყურის) ლაბირინთი.

### ლაზარეს აღდგინება

"სახარების" მიხედვით, ქრისტემ ოთხი დღის გარდაცვლილი ლაზარე გააცოცხლა. აქედან გამომდინარე, "ლაზარეს აღდგინებას" მძიმე ავადმყოფობისაგან განკურნებას, კლინიკური სიკვდილიდან დაბრუნებას, დასაღუპავად განწირულის გადარჩენას ვუწოდებთ.

## ლომის არშივი

ძალმომრეობის პრინციპით განუსაზღვრელად მეტისა და შეუდარებლად უკეთესი ნაწილის მიღება რაიმეს გაყოფის დროს.

## მამა აბრამის ბატკანი

ამ გამოთქმას გადატანით ხმარობენ მშვიდ, წყნარ, გულუბრყვილო და უმანკო ადამიანის მიმართ.

ბიბლიური მითი: მამამთავრის, აბრაამის ერთგულების გამოსაცდელად უფალმა უბრძანა მას შენი ერთადერთი ვაჟი, ისააკი შემომწირეო. ღვთის მორჩილმა აბრაამმა დააწვინა თავისი ვაჟი და ის იყო უნდა გამოეჭრა ყელი, რომ ანგელოზმა სტაცა ხელი მაჯაში და უთხრა ნუო, აი, ის ბატკანი შესწირე ღმერთს შენი შვილის ნაცვლადო და მიუთითა უვნებელ ბატკანზე. აბრაამი ასეც მოიქცა.

## მარათონული რბენა

იხმარება ძალ-ღონის დაძაბულობის აღსანიშნავად.

490 წელს ჩვ. წელთაღრიცხვამდე ბერძნებსა და სპარსელებს შორის დიდი ბრძოლა გაიმართა მარათონის ველზე. მშობლიური მიწაწყლის დაცვის გრძნობით გამხნევებულმა ბერძნებმა სძლიეს რიცხობრივად ჭარბ მომხდურებს. არსებობს გადმოცემა, რომ, როგორც კი ბრძოლის შედეგი გამოირკვა, ბერძნებმა მალემსრბოლი აფრინეს ათენში გამარჯვების მახარობლად. მახარობელმა დაუსვენებლივ გაირბინა მთელი მანძილი მარათონიდან ათენამდე, მოასწრო სასიხარულო ცნობის გადაცემა, მაგრამ იქვე დაეცა მიწაზე და სული განუტევა – მისმა სხეულმა ვერ აიტანა ასეთი დიდი ფიზიკური დაძაბულობა.

1896 წ. ათენში გაიმართა რბენაში შეჯიბრება მარათონიდან ათენამდე. გაზომეს ეს მანძილი და აღმოჩნდა, რომ იგი 42 კმ. და 195 მეტრს უდრის. ეს დისტანცია საფუძვლად დაედო ეგრეთ წოდებულ მარათონულ რბენას.

**მარილზე წავიდა**

გამოთქმა წმინდა ქართულია და საქართველოს მძიმე წარსულთანაა დაკავშირებული. ძველ საქართველოში მარილი, ადამიანის არსებობის ეს ერთ-ერთი მთავარი საშუალებაა, აღზევანიდან შემოჰქონდათ, მაგრამ აღზევანს გამგზავრება დიდ სიძნელეებთან იყო დაკავშირებული, რადგან ხშირად მგზავრებს ყაჩაღები ესხმოდნენ თავს და ძარცვავდნენ ან ხოცავდნენ. ამიტომაც, მარილზე წასული კაცი ძნელად და იშვიათად თუ ბრუნდებოდა უკან ცოცხალი. მარილზე წასულთა სიკვდილიანობა ისეთი ხშირი გახდა, რომ წარმოიშვა გამოთქმა "მარილზე წავიდა", რაც ნიშნავს "მოკვდა", "გარდაიცვალა".

**მგელი ცხვრის ტყავში**

იგულისხმება პირმოთნე, ორპირი, ცბიერი ადამიანი, რომელიც სათნოების ნიღბის ქვეშ თავის ცუდ განზრახვებს ფარავს.

**მე მხოლოდ ის ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი**

ამ აფორიზმით ძველი საბერძნეთის ცნობილი ფილოსოფოსი სოკრატე (469-399 ჩვ. წელთაღრიცხვამდე) ცდილობდა აღეძრა ხალხში ცოდნისადმი სიყვარული. მას კარგად ესმოდა ცოდნა-განვითარების მნიშვნელობა და ბევრს ქადაგებდა ამის შესახებ. მისი საყვარელი სიტყვები იყო აგრეთვე: "იცან თავი შენი" – წარწერა დელფოსის ტაძარზე.

**მენტორი**

ჰომეროსის "ოდისეას" მიხედვით (ამასვე გადმოგვცემენ გვიანდელი მითები) მენტორი იყო ოდისევსის ვაჟის – ტელემაქეს მეურვე და დამრიგებელი, ბრძენი და გამოცდილი პიროვნება, სიბრძნით დადინჯებული მოხუცი. მენტორად გარდასახული ათენა ქალღმერთი დაჰყვებოდა ტელემაქეს, როცა იგი მამის საძებნად მოგზაურობდა. აქედან გამომდინარე, ლიტერა-

ტურასა და ყოველდღიურ სამეტყველო ენაში "მენტორი" დარჩა ჭკვიანი, ცხოვრებისაგან გამობრძმედილი დამრიგებლის სიმბოლოდ. რა თქმა უნდა, აქედან მომდინარეობს აგრეთვე ესოდენ გავრცელებული გამოთქმა "მენტორული ტონი"

**მეხუთე კოლონა**
ამ თქმაში იგულისხმება ვერაგობა, ღალატი, სამშობლოს გამცემლები და მშობლიური ხალხის მოღალატეები, მოსყიდული უცხო სახელმწიფოს ჯაშუშები, დივერსანტები.

**მეშვიდე ცა**
არისტოტელეს მიხედვით ცა შედგება შვიდი უძრავი კრისტალური სფეროსაგან, რომლებზეც მიმაგრებულია ვარსკვლავები და პლანეტები. მეშვიდე ცაზე უდიდესი განცხრომა და ღვთაებრივი ნეტარებაა.

**მეცენატი**
ძველი წელთაღიცხვის პირველი საუკუნის მეორე ნახევარში რომში ცხოვრობდა სახელგანთქმული და კეთილი, ამავე დროს მდიდარი კაცი გაიუს ცილინიუს მეცენატი, რომელიც დიდ მფარველობას უწევდა მხატვრებს, პოეტებს, მეცნიერებს... ახლა მეცენატს ვუწოდებთ ადამიანს, რომელიც საერთოსახალხო რაიმე კეთილ საქმეს მფარველობს და ეხმარება.

**მზე შუბის ტარზე დგას**
ნიშნავს ისეთ დროს, როცა მზის ჩასვლას შუბის ტარის სიგრძე მანძილიღა აკლია.

**მიახუთშაბათა**
როგორც ვიცით, იყო დრო, როდესაც, რელიგიური რწმენის საფუძველზე, პარასკევი უქმე დღედ ითვლებოდა და ამის გამო ხუთშაბათ საღამოსაც აღარ შეიძლებოდა მუშაობა. ამიტომ კაცი, რომელიც

ხუთშაბათს რაიმე საქმეს ადგა, მას აჩქარებულად, უხარისხოდ აკეთებდა, როგორმე რომ მოესწრო. იგივე წარმოშობისაა გამოთქმა "მიაშაბათა", რადგან კვირა და კვირაძალი (შაბათ საღამო) უქმედ ითვლებოდა და შაბათს მიმდინარე საქმეც აჩქარებულად, უხარისხოდ კეთდებოდა, რომ მშრომელისათვის კვირაძალს არ მოესწრო და სამუშაო დაუმთავრებელი არ დარჩენოდა. ამიტომაა, რომ ახლა "მიხუთშაბათებას" ან "მიშაბათებას" საქმის აჩქარებულად, უხარისხოდ, უგულოდ გაკეთებას ვუწოდებთ.

**მიზეზ-მიზეზ რაშიოაო, დოს მარილი აკლიაო**

გამოთქმას ვიყენებთ მაშინ, როცა ვინმე უმიზეზოდ ჭირვეულობს. საქმე ისაა, რომ დოს საერთოდ არ სჭირდება მარილი.

**მოვედი, ვნახე, დავამარცხე (VENI, VIDI, VICI)**

ეს ფრაზა იულიუს კეისარს ეკუთვნის, რაც გადატანით ნიშნავს სწრაფ მოქმედებას, სწრაფად საქმის დაბოლოვებას.

"ეგვიპტის შინაურ საქმეებში რომაელთა ჩარევამ და მათმა გამომძალველობამ აჯანყება გამოიწვია რომაელთა წინააღმდეგ. მეფის სასახლეში მყოფ კეისარს ალყა შემოარტყეს. სასახლისათვის ალყის შემორტყმის დროს დაიწვა ცნობილი ალექსანდრიის ბიბლიოთეკაც. კეისარს პირველ ხანებში ცოტა ჯარი ჰყავდა და მისი მდგომარეობა მეტად სახიფათო იყო. კეისარმა აჯანყების ჩაქრობა მხოლოდ მაშინ შესძლო, როცა მაშველი ჯარი მიუვიდა აზიიდან. მან ეგვიპტის ტახტზე კლეოპატრა დასვა და 47 წლის გაზაფხულზე დასტოვა ეგვიპტე.

ამის შემდეგ კეისარმა ჯარი დასძრა მითრიდატეს შვილის ფარნაკის წინააღმდეგ, რომელმაც მცირე აზიის ნაწილი დაიპყრო. კეისარმა ისე სწრაფად დაამარცხა იგი, რომ ამის შესახებ რომს მხოლოდ სამი სიტყვით აცნობა: "მოვედი, ვნახე, დავამარცხე".

**მოჯადოებული წრე**

ფიგურალურად მძიმე და გამოუვალ მდგომარეობას ნიშნავს.

ძველ დროში ცრუმორწმუნე ხალხის გაგებით არსებობდნენ გრძნეული ადამიანები, რომლებსაც საიდუმლო შელოცვით შეეძლოთ ისეთი წრის შემოვლება ირგვლივ, სადაც ავი სული ვეღარ შეაღწევდა და ვერც იმ მოჯადოებულ წრიდან გამოვიდოდა. ავი სულის უვნებელსაყოფად ჯვარისებრ გაკეთებულ თაფლის სანთლის ნამცეცებსაც მიაწებებდნენ ხოლმე ბავშვების თმაზე საფეთქლებთან, ბეღლის კარზე, თავლაზე, სახლზე, ეზოს ჭიშკარზე.

**მრგვალი მაგიდა**

სიმბოლურად თანასწორუფლებიანობას ნიშნავს დიპლომატების ენაზე. მრგვალი მაგიდის სიმბოლური მნიშვნელობა ისაა, რომ მას არ გააჩნია თავი, ბოლო, კიდე, ე.ი. ერთიმეორისაგან განსხვავებული ნაწილები და, ამრიგად, მის ირგვლივ მსხდომ სახელმწიფოთა წარმომადგენლებს ტოლუფლებიანი ადგილი უკავიათ.

**მურმანის ეკალივით**

ცნობილი ქართული ზღაპრის”ეთერის” მიხედვით, ეთერზე შეყვარებული მეფე აბესალომი გარდაიცვალა იმის გამო, რომ მისივე მიზეზით მისი ახლადშერთული მეუღლე, უმშვენიერესი ეთერი ცბიერებით ხელთ იგდო მისმა ვეზირმა – მურმანმა. აბესალომის სიკვდილით გამწარებულმა ეთერმაც თავი მოიკლა. ისინი ერთად, გვერდიგვერდ დამარხეს. ეს რომ შორი ქვეყნიდან დაბრუნებულმა მურმანმა გაიგო, მათ საფლავებს შორის თავისი საფლავი ამოჭრა, შიგ ჩაწვა და თავი მოიკლა.

ლეგენდის თანახმად, აბესალომისა და ეთერის საფლავებზე ამოდის ვარდი და ია ერთიმეორისათვის ჩასაკონებლად, მაგრამ ხელს უშლით მურმანის საფლავზე ამოსული ეკალი.

გამოთქმას ვიყენებთ მაშინ, როცა ვინმე მესამე დგას შეყვარებულ ქალ-ვაჟს შორის და მათ ურთიერთსიყვარულის საშუალებას არ აძლევს.

### მღვრიე წყალში თევზის ჭერა

ეს გამოთქმა გადატანით იმას ნიშნავს, რომ ანგარების მიზნით ადამიანმა ისარგებლო შემთხვევით, როდესაც ვინმე განიცდის გაჭირვებას, სიძნელეებს, აბნეულობას და რამე გამორჩე მას.

### მშვიდობის მტრედი

თეთრი მტრედი მშვიდობის ემბლემად არის მიჩნეული. ეს უვნებელი ფრთოსანი ძველთაგანვე საყვარელი ფრინველი იყო ადამიანისათვის. ეს იქიდანაც ჩანს, რომ ჯერ კიდევ 4500 წლის წინათ, როგორც ამას ბიბლიური ლეგენდა გადმოგვცემს, მსოფლიო წარღვნის დროს მხოლოდ მტრედმა შეასრულა მითიური ნოეს მინდობილობა: გაფრინდა კიდობნიდან, მოიარა ქვეყანა, დარწმუნდა, რომ აღარ წვიმდა, რომ ქვეყნად სიწყნარე დასადგურებულიყო, დაბრუნდა და ნისკარტში გამოდებული ზეთისხილის შტოს მოტანით ამცნო ამის შესახებ ნოეს.

### ნამუსის ქუდი

ქართველი კაცისთვის ქუდი, ქალისთვის კი მანდილი ანუ ლეჩაქი პატიოსნების, სინდის-ნამუსის სიმბოლოდ ითვლებოდა, თავდაუხურავად სიარული დიდი სირცხვილი იყო.

### ნარცისი

თავის თავზე შეყვარებულ ადამიანზე იტყვიან ირონიულად.

ძველი ბერძნული მითის თანახმად, მდინარის ღმერთის, კეფისის ვაჟი, ნარცისი, ღვთაებრივი სილამაზით იყო დაჯილდოებული. მეტად ამაყი იყო კეფისის ძე, და იგი მშვენიერ ნიმფებსაც არაფრად აგდებდა. ამიტომ იყო, რომ ნიმფამ ნარცისი ანკარა

წყაროში ჩაახედა, მისი ულამაზესი სახე დაანახა შიგ და ისეთი ძლიერი სიყვარული აღუძრა თავისი თავისადმი, რომ მალე გადაჰყვა კიდეც ამ სიყვარულს. იქ, სადაც ეს თავის თავში შეყვარებული ჭაბუკი დამარხეს, მალე მშვენიერი ყვავილი ამოვიდა, რომელსაც ხალხმა ნარცისი (ნარგიზი) უწოდა.

### ნეტარ არიან მორწმუნენი

უწყინარი ირონიით იტყვიან გულუბრყვილოდ დამჯერ ადამიანზე.

### ნიანგის ცრემლები

თურმე ნიანგი რომ მსხვერპლს იხელთებს, სანამ შეჭამდეს, ცრემლებს ღვრის. "ნიანგის ცრემლებს ღვრისო" – ამბობენ ადამიანზე, რომელიც თვალმაქცურად, თითქოს იზიარებს სხვის უბედურებას, სინამდვილეში კი კიდეც უხარია მისი გასაჭირი.

### ნუ დაუშენ წინაშე მარგალიტთა ღორთა...

ითქმის მაშინ, როცა ვინმე უვიცსა და რეგვენს არ ესმის იმ სიტყვების სიკეთე, რასაც ეუბნებიან, ვერ გებულობს იმ სიკეთეს, რასაც მისთვის აკეთებენ და, სიკეთეზე ბოროტებით, ან სირეგვნით პასუხობს. გამოთქმა "სახარებიდან" მომდინარეობს.

### ოდისეა

ამ გამოთქმას აქვს დიდი, ხანგრძლივი და ფათერაკებით აღსავსე თავგადასავლის მნიშვნელობა. იგი ბერძენი გმირის, ტროას ციკლის თქმულებათა ერთ-ერთი მთავარი მოქმედი პირის – ოდისევსის თავგადასავალთანაა დაკავშირებული. მან ათ წელს იხეტიალა ზღვაზე ტროადან გამობრუნების შემდეგ და მშობლიურ ითაკას მხოლოდ შემდეგ მიაღწია. საერთოდ იგი მშობლიურ ითაკას ოცი წელი იყო მოწყვეტილი და მარად შინ დაბრუნებაზე ოცნებობდა, რის საფუძველზეც

წარმოიშვა კიდევ ერთი მხატვრული გამოთქმა “ითაკა”, რასაც საოცნებო, მშობლიური კუთხის მნიშვნელობა აქვს.

ᲝᲚᲘᲛᲞᲘᲣᲠᲘ ᲡᲘᲛᲨᲕᲘᲓᲔ

დინჯი, ზომიერი, მშვიდი, დარბაისელი, ყოველგვარ წუხილს, შეჭირვებას და შიშს მოკლებული სულიერი განწყობილების აღსანიშნავად ხმარობენ ამ გამოთქმას, უფრო ხშირად ირონიულად. ძველი ბერძნების წარმოდგენით ოლიმპოს მთა (ჩრდ. საბერძნეთში) ღმერთების სამყოფელი იყო, სადაც სიწყნარე და მშვიდობა სუფევდა.

ᲝᲠᲘ ᲙᲣᲠᲓᲦᲚᲘᲡ ᲓᲐᲭᲔᲠᲐ

გადატანით ნიშნავს ერთი მოქმედებით, ერთი ღონისძიებით, მარჯვე ფანდით, ერთ ჯერზე ორი შედეგის მიღწევას.

ᲝᲠᲞᲘᲠᲝᲕᲐᲜᲘ, ᲝᲠᲞᲘᲠᲡᲐᲮᲘᲐᲜᲘ ᲘᲐᲜᲣᲡᲘ

იანუსი ძველი რომაელების ღვთაება იყო. სახავდნენ ორპირსახოვან არსებად – ერთ სხეულზე ერთიმეორის საწინააღმდეგოდ მიმართულ ადამიანის ორ სახეს. ერთი იყო ჭაბუკის სახე, მეორე – მოხუცის. სიმბოლურად ჭაბუკის სახე ნიშნავდა მომავალს, მოხუცისა – წარსულს, განვლილ დროს.

ᲝᲠ ᲪᲔᲪᲮᲚᲨᲣᲐ

ეს არის ისეთი საშიში და გამოუვალი მდგომარეობა, როდესაც შექმნილი საშიშროება თუ უსიამოვნება ორი მხრიდან მოგელის ადამიანს.

ᲝᲡᲐᲜᲐ!

ებრაული სიტყვაა და ძველად იხმარებოდა მნიშვნელობით: გვიხსენ! დაიხსენ! დაიფარე!

ამ საეკლესიო სამადლობელს ხალხი ხმარობდა საზეიმო შემთხვევაში, ან როდესაც რომელიმე

პიროვნებას მიმართავდა, რომლისგანაც სიკეთას, ბედნიერებას, მფარველობას გამოითხოვდა. ირონიულად ახლაც ხმარობენ.

### ოცდაათი ვერცხლი

ქრისტეს გაცემაში მისმა მოციქულმა იუდამ ოცდაათი ვერცხლი მიიღო. აქედან ეს თქმა ფიგურალურად ნიშნავს ღალატსა და გამცემლობაში აღებულ სასყიდელს.

### პანდორეს ყუთი

ძველბერძნული მითები გვიამბობენ, რომ პრომეთემ ზევსს ცეცხლი მოსტაცა და ადამიანებს გადასცა. პრომეთეზე განრისხებულმა ზევსმა ადამიანების დასჯა განიზრახა და ასეთ ხერხს მიმართა: მჭედლობის ღმერთს – ჰეფესტოს უბრძანა, ქალღმერთის სიმშვენიერის ქალი შეექმნა. ჰეფესტომ რომ ზევსის ბრძანება აღასრულა, მთავარმა ღმერთებმა სხვადასხვა ქალური ღირსება მიმადლეს ახლადშექმნილ არსებას. ქალს პანდორე დაარქვეს, რაც ბევრისაგან დასაჩუქრებულს ნიშნავს. შემდეგ, ზევსის სურვილის შესაბამისად, პანდორე ცოლად შეირთო პრომეთეს ძმამ – ეპიმეთემ. ეპიმეთემ საქორწილო საჩუქრად ზევსისაგან მიიღო რაღაც თავდახურული ყუთი, რომელშიც, თურმე, ადამიანთა მოდგმის შემაწუხებელი ყოველგვარი სენი და გასაჭირი იყო ჩაკეტილი. ზევსმა ეპიმეთეს ამ ყუთის გახსნა აუკრძალა.

ერთხელ პანდორე მარტო დარჩა სახლში, ქალურმა ცნობისმოყვარეობამ წასძლია და ყუთს თავი ახადა. ყუთიდან უმალ ამოფრინდა ყოველგვარი სენი და სიდუხჭირე და მთელ დედამიწას ელვის სისწრაფით მოედო. ქალმა სასწრაფოდ დახურა ყუთი, მაგრამ მასთან იმედიღა დარჩა.

ამ მითის შინაარსიდან გამომდინარე, "პანდორეს ყუთი" ეწოდება სენის, დაავადებების გამომწვევ მიზეზთა ერთობლიობას ან ადგილსამყოფელს,

სიდუხჭირის, ადამიანთა გაჭირვების წარმომშობ მოვლენებსა და საგნებს.

## პანიკური შიში

თავზარდამცემი შიში. ძველ საბერძნეთში უამრავ ღმერთებს შორის ტყის, ჯოგისა და მწყემსების მფარველი ღმერთიც იყო, რომელსაც პანი ერქვა სახელად.

ნიმფა დრიოპესა და ჰერმესს (ვაჭრობა-მოგზაურობის, მჭევრმეტყველების, სიზმრის, გამომ-გონებლობისა და ხელობის, მეჯოგეობისა და საძოვრების მფარველი ღმერთი) ვაჟი შეეძინათ. იგი გრძელწვერა დაიბადა, თხის ფეხებითა და რქებით. დედას ელდა ეცა და განერიდა შვილს, გახარებულ-მა მამამ კი თავისი ძე ოლიმპოს ღმერთს წარუდ-გინა. ღმერთებიც გამხიარულდნენ და ბევრი იცინეს უცნაური ყმაწვილის დანახვაზე. ოლიმპოს ყველა ღმერთის გაცინებისათვის მას პანი (ბერძნულად - ყველა) დაარქვეს სახელად, თან ტყის, ჯოგისა და მწყემსების მფარველ ღმერთად გახადეს. მწყემსების სამეფოს, არკადიის მთებში იმყოფებოდა გულკეთი-ლი და მხიარული პანი. მისი სალამურის ნაზი ხმით სტკბებოდნენ ნიმფები, მწყემსები, მთელი არემარე. ღვინისა და მხიარულების ღმერთთან, ბახუსთანაც, ხშირად შეხვდებოდით პანს სალამურით ხელში. სიცხე რომ მოატანდა ბურვილ ტყეში უყვარდა პანს განმარტოებულად მოსვენება. მაშინ საშიშია პანის შეწუხება. მას თავისი მრისხანე ხმით შეუძლია თავზარი დასცეს ყველას – მთის ღმერთებს, ნიმ-ფებს, ადამიანებს და პანიკური ძრწოლა გამოიწვიოს მათში. აკი მან თავისი საშინელი ხმით თავზარი დასცა საბერძნეთში შემოჭრილ სპარსელებს და თავგზააბნეული გაჰფანტა მრავალრიცხოვანი ჯარი. ამისათვის მას ღვიმეც კი აუგეს.

## პარნასი

ძველი ბერძნების წარმოდგენით, პოეზიის, მუსიკისა და ხელოვნების სხვა დარგების მფარველი ღვთაებები პარნასის მთაზე ბინადრობდნენ. პარნასის მთის ძირას გაშენებული იყო ქალაქი დელფო და აპოლონის სახელობის დელფოს განთქმული სამისნო. თანამედროვე გაგებით "პარნასი" პოეტთა ჯგუფს, კრებულს ნიშნავს. "პარნასელ დებს" მუზებს, "პარნასელ ყვავილებს" კი ლექსებს უწოდებენ.

## პიგმალიონი

კუნძულ კვიპროსზე ოდესღაც უცხოვრია სახელგანთქმულ მოქანდაკეს, რომელსაც პიგმალიონი რქმევია. მას მრავალი უმშვენიერესი ქანდაკება შეუქმნია, მაგრამ ყველაზე ლამაზი და მოხდენილი ზღვის ულამაზესი ფერიას, გალატეას ქანდაკება ყოფილა. თურმე პიგმალიონს ისე შეუყვარდა თავისი ქმნილება, რომ მთელ დროს მასთან ალერსსა და ლაციცში ატარებდა, უცნაური სიყვარულით გათანგული ხელოვანი სხვას ვეღარაფერს აკეთებდა. სიყვარულის ქალღმერთს – აფროდიტეს შეებრალა ხელოვანი და გალატეას ქანდაკება გააცოცხლა. აღფრთოვანებულმა ხელოვანმა იგი ცოლად შეირთო. თანამედროვე გაგებით "პიგმალიონი" თავის ქმნილებაზე მეტისმეტად, უაზროდ შეყვარებულ ხელოვანს ნიშნავს.

## პირველი აპრილი

ეს დღე უვნებელი მოტყუების დღედ ითვლება ძველთაგან. პირველ აპრილს ნაცნობ-მეგობრები ხუმრობით ატყუებენ ერთმანეთს და თუკი ტყუილი გაუვიდათ, სიცილით წარმოთქვამენ: დღეს პირველი აპრილია! ეს ჩვეულება დასავლეთ ევროპის ხალხებშიაც არის გავრცელებული. მას შორეული ტრადიცია აქვს. ძველად რომაელები ხუმრობის დღედ, რომელსაც მაშინ "სულელთა დღეს" უწოდებდნენ, 17

თებერვალს თვლიდნენ, ინდოელები – 31 მარტს, ხოლო ძველი სლავები და გერმანელები – 1 აპრილს.

### პირშავი

ძველად დამნაშავის დასჯის ერთ-ერთი სახე ყოფილა პირზე მურის წასმა და ასე პირგაშავებულის ანუ პირშავის ჩამოტარება სოფელში, აქედან შემდეგ პირშავი დაერქვა საერთოდ დამნაშავეს, მტყუანს, შერცხვენილსა და სახელგატეხილს.

### პრომეთე, პრომეთეს ცეცხლი

პრომეთესთანაა დაკავშირებული ადამიანთა მოდგმისათვის მრავალი სიკეთის მოტანა. მითოლოგიის მიხედვით თვით მან შექმნა ადამიანი და შემდეგ მარად ზრუნავდა მისი კეთილდღეობისათვის. ყველაზე მეტად მაინც პრომეთესაგან ადამიანებისათვის ცეცხლის გადაცემაა ცნობილი.

რადგანაც ადამიანებისათვის ცეცხლის აღმოჩენას და დაპატრონებას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა და ადამიანთა გონება ამას პრომეთეს სახელთან აკავშირებდა, რადგანაც ამისათვის პრომეთემ უდიდესი ტანჯვა-წვალება გადაიტანა, შეიქმნა მხატვრული გამოთქმა "პრომეთეს ცეცხლი", რაც დიადი და ძვირფასისაკენ მისწრაფების აღსანიშნავად იხმარება. თვით სიტყვა პრომეთე (პრომეთეოსი) კი ზოგად სახელად იქცა და დიადის, ძლიერისა და ზეაღმატებულის, ხალხისათვის თავდადებული გმირის სიმბოლოდ გამოიყენება. "ვარ გულმხურვალე პრომეთეოსი, ჩემი სამშობლო საქართველოსი" (გ. ლეონიძე).

### პური და სანახაობა ( ანემ ეტ ცირცენსეს)

ეს იყო სჯარო სანახაობებს დახარბებული ბრბოს დევიზი ძველ რომში.

კონსულების, ედილებისა და სხვა მაღალი თანამდებობის პირთა არჩევნების დროს წამოყენებული

კანდიდატები არაფერს იშურებდნენ იმისათვის, რომ ამომრჩევლები მოემადლიერებინათ და თავიანთ მხარეზე გადაებირებინათ ისინი. საარჩევნო ხმებით ვაჭრობა სავსებით დაუფარავ, აშკარა ფორმებში ხდებოდა, და კანდიდატები ამ საქმისათვის დიდ თანხებს ხარჯავდნენ.

**პური ჩვენი არსობისა**

გამოთქმა ამოღებულია სახარების ლოცვიდან: "მამაო ჩვენო". მორწმუნე მიმართავს ღმერთს და გამოსთხოვს მას ყოველდღიურ საარსებო ლუკმა პურს. გადატანითი მნიშვნელობით ხმარობენ ისეთი რამის აღსანიშნავად, რაც სასიცოცხლო საჭიროებას, საარსებო მოთხოვნილებას წარმოადგენს.

**როგორც ქუხდა ისე არ წვიმს**

აზრი: არც ისე საშიში ყოფილა განსაცდელი, ჩვენ რომ გვეგონა და მოველოდით.

**რუბიკონის გადალახვა**

ჩვენს ერამდე 49 წელს, რომის სენატის აკრძალვის მიუხედავად, იულიუს კეისარმა სახელოვანი არმიით გადალახა მდინარე რუბიკონი, რომელიც უმბრიასა და ჩრდილოეთ იტალიას შორის გაედინება. გადატანითი მნიშვნელობით გამოთქმა რაიმე აკრძალულის, ძნელად გასაკეთებელის გაკეთებას ნიშნავს.

**სადათას ძილი**

უღვიძარი, მაგარი ძილი.

**სახელმწიფო – ეს მე ვარ**

ქვეშევრდომისადმი მეფის უკიდურესი დესპოტური დამოკიდებულების ამსახველი ფორმულა, რომელსაც საფრანგეთის მეფეს ლუდოვიკო XIV (1638-1715) მიაწერენ.

**ᲡᲐᲮᲢᲐᲓ ᲓᲐᲠᲩᲐ**

ამ გამოთქმას ყველა ვიცნობთ და ხშირად ვხმარობთ, როცა გვინდა ხატოვნად ვთქვათ, მოულოდნელობისაგან გაშტერდა, განცვიფრდა, გაოცდაო; ეს სიტყვა წარმოშობით ოსურია და დარჭობილს ან დარგულს ნიშნავს.

**ᲡᲔᲛᲘᲠᲐᲛᲘᲓᲘᲡ ᲑᲐᲓᲔᲑᲘ**

სემირამიდა არის ასირიის ნახევრადმითიური დედოფლის (IX ს. ჩვენს ერამდე) – შამურამატის გაბერძნულებული სახელი, რომელსაც მრავალი მითი და ლეგენდა უკავშირდება. თითქოს მან დაარსა მრავალი ქალაქი, მათ შორის ბაბილონი და ეგრეთწოდებული სემირამიდას ჩამოკიდებული ბაღები გააშენებინა. ეს ბაღები სინამდვილეში ჩვენს ერამდე მეექვსე საუკუნეში გაუშენებიათ მეფე ნაბუქოდონოსორის დროს ამ უკანასკნელის მეუღლის სურვილით, მაგრამ, როგორც ჩანს, ჩვენს ერამდე მეხუთე საუკუნიდან მოყოლებული, მას სემირამიდას ბაღებად იცნობენ. კარგახანია გამოთქმა პოეტური ლექსიკის კუთვნილება გახდა.

**ᲡᲘᲖᲘᲤᲔᲡ ᲨᲠᲝᲛᲐ**

ფუჭი, უნაყოფო, დაუსრულებელი შრომა.

**ᲡᲘᲠᲘᲜᲝᲖᲘᲡ ᲮᲛᲐ**

კარგ მომღერალზე ვამბობთ ხოლმე – "სირინოზის ხმა აქვსო". იგივე შეიძლება ითქვას ვინმეზე დაცინვით, ვისაც მეტად არამუსიკალური ხმა აქვს. გამოთქმა ძველბერძნული მითოლოგიიდან გამომდინარეობს. მითების თანახმად იტალიის სამხრეთ სანაპიროზე ცხოვრობდნენ უცნაური ქალიშვილები, რომლებიც უტკბილესი სიმღერით ხიბლავდნენ ახლოგამვლელ მგზავრებს, თავისთან მიჰყავდათ და შემდეგ ხოცავდნენ. მათ სხეულის ზემო ნაწილი ქალისა ჰქონდათ, ქვედა კი – ფრინველის. ამათ

სირინოზები ერქვათ. ჰომეროსის “ოდისეას” მიხედვით ისინი სკილასა და კირკეს კუნძულს შორის მდებარე პატარა კუნძულზე ბინადრობდნენ. მათ კუნძულთან ჩავლისას ოდისევსმა თანამგზავრებს ყურები ცვილით ამოუგმანა, საკუთარი თავი კი მტკიცე თოკებით ანძაზე მიაკვრევინა და ბრძანა, არავითარ შემთხვევაში არ აეშვათ იგი, სანამ სირინოზების კუნძულს არ გაშორდებოდნენ, რომ მათი სიმღერით მოხიბლული ზღვაში არ გადამხტარიყო და მათთან არ წასულიყო. სირინოზების კუნძულს რომ მიუახლოვდნენ, ორფევსმა სიმღერა დაიწყო, სირინოზების ხმა დაჩრდილა და მათ ასე მშვიდობით ჩაიარეს ეს საშიში ადგილი. სირინოზებს ზოგჯერ “სირინებსაც” ეძახიან.

**სოდომ-გომორი**

უწესრიგობის, ალიაქოთის, აურზაურის, გარყვნილებისა და ზნედაცემულობის ბუდის სინონიმია.

**სხვის თვალში ბეწვს ამჩნევს (ზოგჯერ უმატებენ: საკუთარში – დირესაც არაო)**

სახარებიდან მომდინარე გამოთქმაა. ეხება იმათ, ვისაც ჩვევად აქვს სხვის მცირე ნაკლოვანებაზე მითითება, საკუთარი კი დიდი ნაკლიც ვერ შეუმჩნევია (დირე სახლის საძირკვლად ან სარტყლად დადებულ დიდ ხეს ჰქვია).

**სხვის დაკრულზე ცეკვა**

გამოთქმა არა საკუთარი სურვილით, არამედ სხვისი ბრძანებით ან მითითებით მოქმედებას ნიშნავს. ჰეროდოტე გვიამბობს: სპარსეთის მეფე კირიოსმა რომ მიდია დაიპყრო, მცირეაზიელმა ბერძნებმა, რომელთა მიმხრობას იგი ადრევე ცდილობდა, ქედი მოიხარეს და შეპირდნენ, რომ ყველაფერს დაუჯერებდნენ. კირიოსმა მათ ასეთი არაკი უამბო: ერთი ფლეიტისტი თევზებით სავსე ზღვის პირას დადგა და

ფლეიტის  დაკვრა დაიწყო იმ იმედით, რომ თევზები ხმელეთზე ამოვიდოდნენ. როცა ეს არ მოხდა, ბადე მოუსვა, ბევრი თევზი ამოიყვანა და მათ რომ ბადე-ზე ფართხალი დაიწყეს, ფლეიტისტმა მიმართა: გეყოფათ ცეკვა, როცა მე ვუკრავდი, მაშინ რატომ არ ინებეთ ხმელეთზე ამოსვლა და ცეკვაო... ამით კირიოსმა ბერძნებს კარგად აუხსნა მათ შორის დამოკიდებულება.

### ტალანტი

ტალანტი ფულის ერთეულია. ფულის ეს ერთეული ძველთაგანვე გამოიყენებოდა ისრაელში, შემდეგ კი საბერძნეთსა და სხვა ძველ ქვეყნებში იგი წონის ერთეულადაც ითვლებოდა. მოგვიანებით კი, ჩანს ბიბლიური თქმულების მიხედვით, მან გადატანითი მნიშვნელობა შეიძინა და რაიმე საქმიანობაში დიდ უნარს, ნიჭს ეწოდა.

### ფარისეველი

ეს სიტყვა თავის დროზე არსებითი სახელი იყო, ახლა კი ზედსართავ სახელადაა გაგებული და ნიშნავს ისეთ ადამიანს, რომელიც ერთს ფიქრობს და მეორეს ამბობს, ყველანაირად ცდილობს, მოსაუბრეს თავი კეთილად მოაჩვენოს, სინამდვილე-ში კი გულბოროტი და მისთვის ავისმზრახველია. გამოთქმაც და სიტყვაც “ბიბლიიდან” მომდინარეობს და არის არამეული “ფარიშაიას” ბერძნულ-ქართული გახმოვანება. არამეულ ენაზე იგი, სიტყვასიტყვით რომ ვთარგმნოთ, “განცალკევებულს” ნიშნავს. ფარისევლობა რელიგიურ-სექსტანტური მიმდინარეო-ბა იყო ძველი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნიდან ახალი წელთაღრიცხვის მეორე საუკუნის ბოლომდე. “სახარების” მიხედვით ისინი (ფარისევლები) ხასიათდებოდნენ ისეთივე თვისებებით, როგორც დღეს გვესმის ამ სიტყვის მნიშვნელობა.

ფენიქსი

ძველბერძნული მითოლოგიის მიხედვით არაბეთიდან ეგვიპტეში ხუთას წელიწადში ერთხელ მიფრინდებოდა ხოლმე მოოქროსფერო-მოალისფრო არწივი, რომელსაც ფენიქს ეძახდნენ. სხვადასხვა მითების მიხედვით, როდესაც ფენიქსი 500, 1461 თუ 7006 წლისა გახდა, თავი დაიწვა, ფერფლიდან გაახალგაზრდავებული წამოდგა და კვლავ განაგრძო ცხოვრება. ამიტომაც, თანამედროვე გაგებით, ფენიქსი განახლებად, აღდგენად რაიმეს, მარადისობას, განახლებას, კვლავ აღდგენას ნიშნავს.

ფერია

ლამაზ, სათნო სახისა და ხასიათის ქალიშვილებს ვეძახით. დაახლოებით ამავე მნიშვნელობით იხმარება სიტყვა ანგელოსი. ბერძნული მითოლოგიის მიხედვით, ფერიები იყვნენ ტყეებსა და ველებში მცხოვრები მშვენიერი ქალიშვილები, სიკეთისა და სილამაზის განსახიერებანი და ხელოვნებაშიც ასევე წარმტაც, ყმაწვილ ქალებად გამოისახებოდნენ.

ფიასკო. ფიასკოს განცდა

იტალიურად ფიასკო ბოთლია, ხოლო ხატოვნად ეს სიტყვა მარცხს ნიშნავს.

არსებობს თქმულება, რომ ფლორენციელ არტისტს არლეკინ ბიანკონელს, როცა სცენაზე გამოდიოდა, მუდამ რაიმე ნივთი ეჭირა ხელში და ამ ნივთის გამო ნათქვამ მოსწრებულ ოხუნჯობით აცინებდა მაყურებლებს. ერთხელ არტისტი ბოთლით გამოვიდა სცენაზე. მან მოსწრებული სიტყვებით ჩამოაგდო საუბარი ბოთლზე, მაგრამ სასურველ ეფექტს ვერ მიაღწია – ხალხი დუმილით შეხვდა მის ოხუნჯობას. არტისტმა დაინახა, რომ მან ამჯერად მარცხი განიცადა, გადაისროლა ზურგს უკან ბოთლი და თან მიაძახა, ყველაფერი შენი ბრალიაო. მაყურებლებმა ხარხარი ასტეხეს. ამის შემდეგ არის შემოღებული ხმარებაში ეს გამოთქმა სრული

წარუმართებლობისა და მარცხის განცდის მნიშვნელობით.

ფორტუნა

რომაული მითოლოგიის მიხედვით ფორტუნა ბედნიერების, წარმატების, შემთხვევით მოპოვებული სიკეთის მფარველი ქალღმერთი იყო. თითქოს მის ნებაზე გახლდათ დამყარებული ცალკეული პირის ბედი და უბედობა. ფორტუნა ლამაზ ქალად გამოისახებოდა, ხელში სიუხვის რქა ეჭირა და იქიდან მონეტებს ყრიდა. გადატანითი მნიშვნელობით ფორტუნა ბედს ნიშნავს, ხოლო "ფორტუნამ ზურგი მაქცია" – ბედნიერების დაკარგვას, ბედის ბორბალის უკუღმა დატრიალებას. გამოსახულებებში ფორტუნა ზოგჯერ სფეროზე ან ბორბალზე დგას. აქედანაა გამოთქმა "ფორტუნას ბორბალი", რაც ბედის ცვლას, საერთოდ ცვალებადობას ნიშნავს. ასეთივე მნიშვნელობისაა ბედის ბორბალი.

ფული არ ყარს

როცა რომის იმპერატორმა – ვესპასიანემ (69-79) საზოგადოებრივ საპირფარეშოებზე გადასახადი დააწესა, შვილმა – ტიტუსმა უსაყვედურა, სირცხვილიაო... მაშინ აქედან აღებული პირველი ფული მამამ მას ცხვირთან მიუტანა და ჰკითხა, ყარს თუ არაო. შვილმა რომ უარყოფითი პასუხი გასცა, მამამ მიუგო: ჰოდა, ეს ხომ შარდიდან მომდინარეობსო. ამას ეყრდნობა იუვენალის ლექსის სტრიქონიც: "ყოველგვარ შემოსავალს კარგი სუნი აქვს, საიდანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი". ამავე გაგებით იხმარება ახლა ეს გამოთქმა – რა ბინძური გზითაც არ უნდა შეიძინო ფული, იგი მაინც სასიამოვნო და სასიხარულოა... გამოთქმაც და აზრიც, ცხადია მიუღებელია კულტურული და ჰუმანური საზოგადოებისა და ყოფიერებისათვის.

**უკვდავების წყარო**

ამ გამოთქმას, რომელიც გადატანით სიცოცხლის მომგვრელ ძალას ნიშნავს.

**ურწმუნო თომა**

იტყვიან ისეთ იჭვიან და მიუნდობელ ადამიანზე, რომელსაც ადვილად ვერაფერში დააჯერებ.

სახარებაში მოყვანილ ლეგენდის თანახმად, ქრისტეს თორმეტი მოციქული ჰყავდა. ერთს მათგანს თომა ერქვა სახელად. ქრისტე ჯვარს ხუთშაბათს ღამით აცვეს, შაბათს ღამით კი იგი მკვდრეთით აღსდგა, 40 დღე მან კიდევ დაჰყო ცოდვილ დედამიწაზე და მხოლოდ ამის შემდეგ ავიდა ზეცას.

მკვდრეთით ამდგარი ქრისტე თავის მოწაფეებს გამოეცხადა. იმ დროს მათ შორის თომა მოციქული არ იყო. როდესაც მოციქულებმა თომას უამბეს ქრისტეს მკვდრეთით აღდგომის შესახებ, მან ეს არ დაიჯერა. რვა დღის შემდეგ თომამ პირადად ინახულა ქრისტე, გაუსინჯა მას ჯვარზე მილურსმვის დროს მიღებული ჭრილობები და მხოლოდ მაშინ ირწმუნა ქრისტეს აღდგომა მკვდრეთით.

**ქათმის მეხსიერება**

მეტისმეტად სუსტი მეხსიერების ადამიანზე იტყვიან, ქათმის მეხსიერება აქვსო.

**ქამელეონი**

უპრინციპობისა და ყოველ გარემოებასთან შეგუების სიმბოლოა. ქამელეონი (მსვენ-ლომი) ეწოდება პატარა ხვლიკს, რომელიც ხეზე ბინადრობს და რომლის დამახასიათებელი თვისება ის არის, რომ სინათლისა და კლიმატის ზემოქმედებით ძალიან სწრაფად იცვლის თავის გარეგნულ ფეროვნებას: მწვანეში იგი მწვანედ იყურება, ხოლო ყვითელ ფოთლებში ყვითელ ფერს იძენს.

ქვაკუთხედი

ბიბლიური წარმოშობისაა და ხატოვნად ნიშნავს ფუძეს, მთავარ იდეას, ამოსავალ წერტილს.

ქვანიც ღაღადებენ

ამ გამოთქმას ხმარობენ ისეთი შემაძრწუნებელი ფაქტის აღსანიშნავად, რომელსაც აღშფოთებაში მოჰყავს არამცთუ გონიერი არსება – ადამიანი, არამედ ქვაც. ქვაც კი აღაღადდებაო, იტყვიან ხოლმე.

ქოქოლა მიაყარა

ეს ნიშნავს: ხმამაღლა მიაწყევლა, არ დაინდო; თანაც ამ დროს მაწყევარი თითებს გაფარჩხავს და ხელს გაიქნევს მოწინააღმდეგისაკენ, თითქოს ქვა ესროლაო, ეს ხელის გაქნევა გადატანით, სიმბოლურად სწორედ ქვის სროლას აღნიშნავს.

ქუდზე კაცი

ნიშნავს: ყველა, სულ ყველა, უკლებლივ.

ქუდზე კაცის გამოსვლა

ნიშნავს ყველა მამაკაცის გამოსვლას, უკლებლივ ყველას შეკრებას საომრად ან რაიმე საზოგადო საქმეზე.

ღვთისა – ღმერთსა და კეისრისა – კეისარს

ამ გამოთქმას თვით ქრისტეს მიაწერენ. სახარების ლეგენდის თანახმად, ფარისეველთა წარმომადგენლების შეკითხვაზე, რამდენად დასაშვებია გადასახადი აძლიონ კეისარს, ქრისტემ უპასუხა, რომ ღვთისა თვით ღმერთს უნდა მიეცეს და კეისრისა კეისარსო.

ყველა გზა რომში მიდის

თქმულება, რომელიც იმას გულისხმობს, რომ მრავალ საშუალებიდან თვითეულს, ცალკე აღე-

ბულს, ერთი და იმავე მიზნისაკენ მივყავართ, ოღონდ შესძელი მათი გამოყენება.

### ყურმოჭრილი ყმა

გამოთქმა წმინდა ქართული წარმომავლობისაა. როგორც მეცნიერებას მიაჩნია, ძველ საქართველოში ყმისათვის ყურის მოჭრის ჩვეულება ყოფილა გავრცელებული. ყურმოჭრილ ყმას მებატონისაგან გაქცევა აღარ შეეძლო და მის უერთგულეს (იძულებით) მსახურად ითვლებოდა. ყოფილა იმისი შემთხვევაც, რომ ნამდვილად ერთგულ ყმას ბატონის პატივისაცემად თავისი სურვილით მოუჭრია საკუთარი ყური. ამჟამად გამოთქმა ყურმოჭრილი ყმა ნიშნავს ისეთ ადამიანს, რომელიც თავისი ქონებრივი, დანაშაულებრივი თუ სხვა რაიმე მდგომარეობით იძულებულია იაროს ვინმეს ჭკუაზე, ვინმეს სასიამოვნოდ.

ადამიანებს რომ ყურს აჭრიდნენ, მოშუშების მიზნით ჭრილობაზე დაკეპილ ხახვს აყრიდნენ. აქედან წარმოიშვა გამოთქმა "ყურებზე ხახვი არ დამაჭრა", რაც ნიშნავს: ერთბაშად, მე შენი მონა, ყმა არ გავხდე, შენ ყური არ მომაჭრა და მერე ზედ ხახვი არ დამაჭრა მოსაშუშებლადო. ესე იგი, ვერაფერსაც ვერ მიზამ, ძალიანაც რომ მოინდომოო.

### შავით თეთრზე

ამ საყოველთაოდ ხმარებულ ფრაზაში იგულისხმება შავი მელნით ან სასტამბო საღებავით თეთრ ქაღალდზე დაწერილ-დაბეჭდილი. ხატოვნად კი ეს გამოთქმა ნიშნავს ფაქტის უეჭველობას, სიაშკარავეს.

### შეიცან თავი შენი

ასეთი წარწერაა აპოლონის ტაძარზე დელფოში. ბერძნულად იგი ასე ჟღერს: "გნოსთი სე აუტუ". გამოთქმა შვიდი ბერძენი ბრძენიდან ერთ-ერთს

მიეწერება და ნიშნავს, რომ ადამიანმა უნდა გაიც-ნობიეროს თავისი არსებობა.

### შემოდგომის აზნაური

გახუნებული, დამშეული ადამიანის აღსანიშნავად იტყვიან.

### შენს პირს შაქარი

ძველი ჩვეულება: კარგი და სასიხარულო ამბავის მაუწყებელი შაქრის ნატეხს მიაგებებდნენ პირში – დასტკბეს შენი პირი ასეთი დიდი სიხარულის მოტანისათვისო, ან კიდევ – ნეტამც აღსრულდე-ბოდეს შენი ნათქვამიო!

### შერმადინი

შერმადინს ერთგულ, უფროსისათვის თავდადებულ ქვეშევრდომს ვუწოდებთ შ. რუსთაველის "ვეფხის-ტყაოსნის" მიხედვით. შერმადინი ხომ ავთანდილის უერთგულესი ქვეშევრდომი იყო.

### შინაურ მღვდელს შენდობა არა აქვს

ასე ვამბობთ მაშინ, როცა ჩვენს სიკეთესა და გარჯას ჩვენივე მახლობელი ადამიანები ვერ ხედავენ, არ აფასებენ. გამოთქმა "სახარებიდან" მომდინარეობს.

### შიოს მარანი

VI საუკუნეში ქართლში მოსულა ცამეტი ასურელი მამა (ბერი), რომელთაც ფართო სამონასტრო-საეკლესიო მოღვაწეობა გაუჩაღებიათ. მათ ხალხი მრავალ სასწაულს მიაწერდა. ერთ-ერთი მათგანის – შიო მღვიმელის შესახებ არსებობს გადმოცემა, რომ მისი მონასტრის მარანში ქვევრები მუდამ ღვინით იყო სავსე, რადგან დანაკლულებული ქვევრები ღვთის ძალით მაშინვე ისევ ღვინით ივსებოდაო. იდიომი "შიოს მარანი" ამ ლეგენდის საფუძველზეა

შექმნილი და ნიშნავს ულეველ დოვლათს, სიუხვეს, ბარაქიანობას.

**ჩაილურის წყალი დალია**

გამოთქმა ნიშნავს: წავიდა, დაიკარგა, გარდაიცვალა. ჩაილური პატარა მდინარეა გარე კახეთში. ძველ საქართველოში, ქართლიდან მიმავალი კაცი რომ ამ მდინარეს გადაივლიდა, ძნელად ბრუნდებოდა უკან, იქ ბევრი ხიფათი ელოდა. ასეთივე აზრისაა გამოთქმა "მარილზე წავიდა".

**ჩალის ფასად**

ძალიან იაფად, თითქმის მუქთად.

**ჩიტის რძე**

ის, რაც ბუნებაში არ არსებობს. იტყვიან ხოლმე გაწყობილ სუფრას ჩიტის რძეღა აკლდაო, რაც იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი უხვად და უკლებლად იყო.

**ჩხირი კედელს**

გამოთქმა უძველესი წარმოშობისა ჩანს. მიაჩნიათ, რომ იგი დამწერლობის წარმოშობამდეა შექმნილი. როდესაც რაიმე მნიშვნელოვანი ამბავი მოხდებოდა, ან რაიმე დიდი, ღირსშესანიშნავი და სამახსოვრო საქმე გაკეთდებოდა, ამის აღსანიშნავად და სამახსოვროდ უფროსი ხელქვეითს უბრძანებდა, ტინის კედელში ჩხირი ჩაერჭო, ან ნახშირით კერიაზე აღნიშვნა გაეკეთებინათ. აი, აქედან წარმოიშვა გამოთქმები: "ჩხირი კედელს", "კერიას ნახშირი". ასე მაშინ ვამბობთ, როდესაც ისეთი ვინმე მოვა, რომელსაც სინამდვილეში უკვე დიდი ხანია ველოდებოდით, (ანდა პირიქით. მაშინ გამოთქმას აქვს ირონიული ხასიათი), ანდა გაკეთდება ან მოხდება რაიმე ისეთი, რომელიც ადრე უნდა მომხდარიყო და ახლა, როგორც იქნა, დაადგა საშველი.

ცა ქუდად არ მიმაჩნია, დედამიწა ქალამნად

იტყვიან უზრუნველ, დაუდევარ და უდარდელ ადამიანზე, რომელსაც ყველაფერი ეადვილება.

ცერბერი

მკაცრი, უსულგულო და ულმობელი დარაჯის სინონიმია. ბერძნული მითის თანახმად, ცერბერი სამთავიან ქოფაკად გვესახება. მას შხამიანი გველების ფაფარი ჰქონდა, კუდის ბოლოც გველეშაპის თავს წარმოადგენდა. ცერბერი იწვა სპილენძით მოჭედილ ჯოჯოხეთის კარებთან და თუ რომელიმე ცოდვილი სული იქიდან გამოპარვას განიზრახავდა, ცოფმორეული ყეფით დაესხმოდა თავს ასეთ უტიფარს. ცერბერის დამორჩილება და მიკენის მეფესთან, ევრისთევსისთან მისი მოყვანა ჰერკულესის მეთერთმეტე გმირობად ითვლება ბერძნულ მითებში, რაც სიმბოლურად ბნელეთზე ნათელის გამარჯვებას ნიშნავს.

ცეცხლზე ნავთის დასხმა

ნიშნავს ისედაც გამწვავებული მდგომარეობის კიდევ უფრო გართულებას, უსიამოვნო განცდების კიდევ უფრო მეტად გაღვივებას.

ციდან ჩამოფრენილი

მოულოდნელად და უეცრად მოვლინებულ რამეზე იტყვიან, ან კიდევ ისეთ პიროვნებაზე, რომელსაც არ შესწევს იმის გააზრების უნარი, თუ რა ხდება მის ირგვლივ.

ციკლოპი

ციკლოპი ლათინურად და კიკლოპი ბერძნულად ეწოდება მითოლოგიურ პერსონაჟს, ბუმბერაზ, კაცისმაგვარ არსებას, რომელსაც შუბლის შუაში ერთადერთი თვალი აქვს. ეს თვალი მრგვალია და სიტყვა-სიტყვით ბერძნულ “კიკლოპს” ქართულად “მრგვალთვალა” ან “წრეთვალა” შეესაბამება. ადამი-

ანებთან შედარებით ციკლოპი სიძლიერით, სხეულის უხეშობით და სიმახინჯით გამოირჩეოდა. ამიტომაც კიკლოპურს ან ციკლოპურს დღესაც ვუწოდებთ ხოლმე ისეთ ნაგებობას, რომელიც უზარმაზარი ლოდებით არის აშენებული. ამჟამად კიკლოპს ან ციკლოპს დიდი ფიზიკური ძალის მქონე, ტლანქი შესახედაობის მქონე ულამაზო მამაკაცებს ვუწოდებთ, მითუმეტეს მაშინ, თუ იგი ცალთვალაა.

ბერძნული მითოლოგიის მიხედვით კიკლოპები მჭედლობის ღმერთს – ჰეფესტოს ეხმარებოდნენ ხოლმე და ამიტომ ამჟამად კიკლოპებს მჭედლებსაც უწოდებენ.

### ციური მანანა

ბიბლიური ზღაპარი მოგვითხრობს, რომ ეგვიპტის ტყვეობიდან აღთქმულ ქვეყანაში უკაცური არაბეთის უდაბნოთი მიმავალ იუდეველებს ღმერთი ყოველ დილით ორმოცი წლის განმავლობაში ციდან მანანას უგზავნიდა საზრდოდ. აქედან წარმოიქმნა გამოთქმა "ციური მანანა", რაც ფიგურალურად ნიშნავს მეტად სანატრელსა და სასურველს. მეორე მნიშვნელობით, მანანით საზრდოობა გადატანით ნიშნავს ხშირ შიმშილობასა და ლუკმა-პურის ნაკლებობას.

### ცოცხალი ლეში

ხელგამოუვალი, უქნარი, გამოუსადეგარი, უსარგებლო და უნაყოფო ადამიანი. მეტისმეტად გადაბერებულ ადამიანზედაც იტყვიან ფიგურალურად.

### ცხოვრების ჭაპანი

ჭაპანი განსაკუთრებით მაგარი თასმებისაგან დაგრეხილი, საგუთნე თოკია, რომელსაც ხვნის დროს დიდი ძალა ადგას. ცხოვრების მძიმე პირობებთან ბრძოლა ძველად ამ ჭაპანის გაწევასთან იყო შედარებული და ამიტომაც ამბობდნენ: ჭაპანწყვეტაშია, ცხოვრების ჭაპანს ეწევაო.

**ცხრა მთას იქით**
გადატანით: შორს, შორს გადაკარგულში.

**ცხრათვალა მზე**
ჩვენს წინაპრებს ცხრა მიჩნეული ჰქონდათ საკრალურ ან საიდუმლო ძალის მქონე, ღვთაებრივ, წმინდა რიცხვად. ამიტომ ეს რიცხვი ხშირად გვხვდება სხვადასხვა სიტყვაში. ანდაზებსა და გამოთქმებში, როგორიცაა: ცხრათვალა მზე, მეცხრე ცა, ცხრამუხა, ცხრაწყარო, ცხრაკლიტული, ცხრათავიანი დევი...

**ძაღლის თავი ჩამარხული**
რაიმე გაუგებარი საკითხის გამოცნობის შემთხვევაში ხმარობენ ამ ფიგურალურ გამოთქმას მნიშვნელობით: აი რაში ყოფილა საქმე; საკითხის დედაარსიც, გამოცანაც ამაშია.

**წახვალ – ინანებ, არ წახვალ – მაინც ინანებ**
ნიშნავს: ორ შესაძლებლობათა შორის ორივე საზიანოა.

**წვეთი ზღვაში**
ფიგურალურად ნიშნავს მეტად მცირე, სავსებით უმნიშვნელო რაოდენობას იმასთან შედარებით, რაც საჭირო და აუცილებელია.

**წყლის ნაყვა**
ამაო, ფუჭი და უსარგებლო შრომა.

**ხე ცნობადისა და ბოროტისა**
ცდუნებისა და, საერთოდ, “ცოდვების” სინონიმად ხმარობენ. ამ ხის მაცდუნებელი ნაყოფის შეჭმით დაეცნენ ცოდვით სამოთხეში ადამი და ევა.

**ხელის დაბანა**

ამ გამოთქმის წარმოშობის შესახებ სახარების ლეგენდა ასე მოგვითხრობს: რომის პროკონსულმა პონტოელმა პილატემ უარი თქვა ქრისტეს გასამართლებაზე და სხვებს მიანდო მასთან ანგარიშის გასწორება. ამასთან ერთად, პილატემ ხალხს განუცხადა: არა ვარ მონაწილე მისი სისხლის დაღვრისაო. ლეგენდის თანახმად, ამ სიტყვების წარმოთქმისას პილატემ ხელებზე წყალი გადაისხა, რაც იმას ნიშნავდა, რომ იგი სავსებით სუფთა და უცოდველი იყო ამ საქმეში. ფიგურალურად ეს გამოთქმა ნიშნავს საპასუხისმგებლო საქმისაგან თავის არიდებას, განზე განდგომას.

**ხელის მოთბობა**

გადატანითი მნიშვნელობით: მოცემულ შემთხვევით სარგებლობა, არაკეთილსინდისიერი გზით ხელის მომართვა, სარგებელის ნახვა.

**ხმა მღაღადებლისა უდაბნოსა შინა**

ამ გამოთქმას სახარებაში ვხვდებით. ფიგურალურად ნიშნავს უყურადღებოდ და უშედეგოდ დატოვებულ ვინმესადმი მიმართვას, მოწოდებას, მოხმობას, ძახილს, თხოვნას.

**ჯარასავით ტრიალებს**

ასე იტყვიან სულ მუდამ მოფუსფუსე და საქმეში გართულ, მკვირცხლ, დაუზარელ ადამიანზე. ჯარა ძაფის სართავ მანქანას ეწოდება, რომელიც წინათ ყოველ ოჯახში ედგათ, როცა ქსოვილებს შინაურული წესით ამზადებდნენ. ქსოვის დროს ამ მანქანის ბორბალი სწრაფად ბრუნავს და ადამიანის საქმიანობაც გადატანით სწორედ მასთან არის შედარებული.

ჯვაროსნული ლაშქრობა (ომი)

იტყვიან ხოლმე: გამოეცხადოს ჯვაროსნული ლაშქრობა ბურჟუაზიულ გადანაშთებს, რელიგიურ ცრუმორწმუნეობას და ა.შ., რაც ფიგურალურად ნიშნავს ვისიმე ან რაიმეს წინააღმდეგ დაუნდობელ, ორგანიზებულ შეტევებს.

ჯვარცმა

ფიგურალურად ამ სიტყვას ხმარობენ ადამიანის სულიერი ტანჯვა-წამების აღსანიშნავად. უძველეს დროში სიკვდილით დასჯის ერთ-ერთი სახე იყო სიკვდილმისჯილის ხის ჯვარზე მილურსმვა. თანახმად სახარებისა, ქრისტეც ჯვარზე აცვეს გოლგოთის მთაზე.

ჰანიბალის ფიცი

სამიდღემჩიოდ მიცემული მტკიცე, სერიოზული, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ფიცი.

ჰეროსტრატე

იმისათვის, რომ თავისი სახელი უკვდავეყო, ეფესელმა ჰეროსტრატემ ჩვენს ერამდე 356 წელს დაწვა არტემიდე ეფესელის დიდებული ტაძარი – შვიდი საოცრებიდან ერთ-ერთი. გადატანითი მნიშვნელობით ჰეროსტრატეს ვუწოდებთ პატივმოყვარეობით დაბრმავებულ ადამიანს, რომელიც მზადაა, დიდებისაკენ მიმავალ გზაზე ყველაფერი გაანადგუროს. "ჰეროსტრატეს დიდებას" სამარცხვინო საქციელით განთქმულ სახელს ვუწოდებთ.

ჰეროსტრატეს დიდება

იხმარება სამარცხვინო სახელისა და დიდების მნიშვნელობით.

**ჰომერული ხარხარი**

ასე ხმამაღალ, თავშეუკავებელ სიცილს ეწოდება ჰომეროსის პოემების მიხედვით. ოლიმპიელი ღმერ-თები ხმამაღლა და თავშეუკავებლად ხარხარებდნენ.

## პოლიტიკური იდეოლოგიები
## (ტერმინთა განმარტებანი)

### ავტორიტარიზმი

ავტორიტარიზმი არის "ზემოდან" მართვის რწმენა ან ისეთი მმართველობის გატარება, რომლის დროსაც ხორციელდება ძალაუფლება ხალხზე მისი თანხმობით ან მისი ნების წინააღმდეგ. ამდენად, ავტორიტარიზმის ცნება ძალაუფლების ცნებისაგან განსხვავდება. ეს უკანასკნელი ლეგიტიმურობას ეფუძნება და, ამ გაგებით, "ქვევიდან" მოდის. ავტორიტარი მოაზროვნენი, როგორც წესი, საკუთარ შეხედულებებს ან წარმატებულ ლიდერთა სიბრძნის რწმენაზე აგებენ ან იმ იდეალზე, რომ სოციალური წესრიგის მიღწევის ერთადერთი პირობა უსიტყვო მორჩილებაა. თუმცა, ჩვეულებრივ, ავტორიტარიზმს ტოტალიტარიზმისგან განარჩევენ. "ზემოდან" მართვის ტრადიცია, რომელიც მონარქიულ აბსოლუტიზმთან, ტრადიციულ დიქტატურებსა და თითქმის ყველა ფორმის სამხედრო მმართველობასთან ასოცირდება, ოპოზიციისა და პოლიტიკური თავისუფლების დათრგუნვას უფრო გულისხმობს, ვიდრე სახელმწიფოსა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის განსხვავების წაშლის უფრო რადიკალურ მიზანს.

### ანარქიზმი

სიტყვა "ანარქია" ბერძნული სიტყვიდან მომდინარეობს და სიტყვასიტყვით ნიშნავს "წესის გარეშე". ტერმინი "ანარქიზმი" საფრანგეთის რევოლუციის დროიდან შემოვიდა ხმარებაში. იგი თავდაპირველად კრიტიკული ან ნეგატიური მნიშვნელობით – ცივილიზებული ან კანონზომიერი წესრიგის რღვევის გამოსახატად გამოიყენებოდა. პრაქტიკულად, მოცემულ ტერმინს დღესაც ხშირად იყენებენ დამაკნინებელი მნიშვნელობით. ჩვეულებრივ, ყოველდღიურ საუბარში, "ანარქიას" ქაოსსა და უწესრიგობას

უკავშირებენ და არცთუ იშვიათად საზოგადოებრივ წარმოდგენაში ანარქისტები "ბომბის მატარებელი" ტერორისტებია.

**ანტისემიტიზმი**

ანტისემიტიზმი – ტრადიციის მიხედვით, სემიტები ნოეს ვაჟის, სემის შთამომავლები არიან და მოიცავენ შუა აღმოსავლეთის ხალხების უმეტესობას. ანტისემიტიზმი გულისხმობს ცრურწმენებს ან სიძულვილს ებრაელების მიმართ. თავისი ადრეული სისტემატიზებული ფორმით, ანტისემიტიზმს რელიგიური ხასიათი ჰქონდა და ასახავდა ქრისტიანების მტრულ დამოკიდებულებას ებრაელების მიმართ, ამ უკანასკნელთა ქრისტეს სიკვდილში თანამონაწილეობისა და მისი ღვთის შვილად არაღიარების გამო. ეკონომიკური ანტისემიტიზმი შუა საუკუნეებიდან განვითარდა და გამოხატავდა ზიზღს ებრაელების როგორც მევახშეებისა და ვაჭრების მიმართ. მეცხრამეტე საუკუნეში რასობრივი ანტისემიტიზმი წარმოიშვა ვაგნერისა და ჰ.ს. ჩემბერლენის ნაშრომებში, რომლებიც ებრაელ ხალხებს ფუნდამენტურად ბოროტად და დესტრუქციულად მიიჩნევდნენ. ასეთი იდეები გერმანული ნაციზმის იდეოლოგიური საფუძველი გახდა და ყველაზე გროტესკული გამოხატულება ჰოლოკოსტში ჰპოვა.

**ახალი მემარჯვენეობა**

"ახალი მემარჯვენეობა" ფართო ცნების ამსახველი ტერმინია. ამ ტერმინით აღნიშნავენ იდეებს, დაწყებული გადასახადების შემცირების მოთხოვნიდან და დამთავრებული ტელევიზიებსა და ფილმებზე ცენზურის გაზრდის მოწოდებებით; გარდა ამისა, იმიგრაციის საწინააღმდეგო თუ რეპატრიაციის მხარდამჭერ კამპანიებსაც კი. არსობრივად ახალი მემარჯვენეობა ორი აშკარად კონტრასტული იდეოლოგიური ტრადიციის შეჯვარებაა. ამათგან პირველი კლასიკური ლიბერალური ეკონომიკაა. ამ მიმართულებას

ლიბერალურ ახალ მემარჯვენეობას, ანუ ნეოლიბერალიზმს უწოდებენ. მეორე ელემენტი ახალ მემარჯვენეობაში არის ტრადიციული კონსერვატიული სოციალური თეორია.

**გლობალიზაცია**

მისი მთავარი თემა "უსაზღვრებო მსოფლიოს" წარმოშობაა; ეს ტენდენცია გულისხმობს, რომ ტრადიციული პოლიტიკური საზღვრები, რომლებიც ეროვნულ და სახელმწიფოებრივ საზღვრებს ემთხვევა, ამჟამად შეღწევადი ხდება. ამდენად, გლობალიზაცია სახეს უცვლის სოციალურ სივრცეს: ის ტერიტორიულ საკითხებს ნაკლებ მნიშვნელობას ანიჭებს, რადგან მუდმივად გაფართოებად კავშირებს "მსოფლიოს მომცველი" (transworld) ან "საზღვრების გადამლახავი" ბუნება გააჩნია.

**დემოკრატია**

ცნება "დემოკრატია" ძველ საბერძნეთში წარმოიშვა. ეს სიტყვა, ყველა იმ სიტყვის მსგავსად, რომელთა მეორე ნაწილს "კრატია" შეადგენს – ავტოკრატია, არისტოკრატია, ბიუროკრატია და ა.შ. – წარმოდგება ბერძნული სიტყვიდან კრატოს, რაც ძალაუფლებას ან ხელისუფლებას ნიშნავს. ამგვარად, დემოკრატია "დემოსის მმართველობას" წარმოადგენს, სადაც დემოსი "ხალხს" ნიშნავს, თუმცა თავდაპირველად ამ სიტყვაში "ღარიბები" ან "ხალხის მასა" იგულისხმებოდა.

**ეკოლოგიზმი**

ტერმინი "ეკოლოგია" 1866 წელს შექმნა გერმანელმა ზოოლოგმა ერნსტ ჰეკელმა. ის ნაწარმოებია ბერძნული სიტყვიდან oikos, რაც სახლს ან საცხოვრებელ გარემოს ნიშნავს. ჰეკელი მისი საშუალებით აღნიშნავდა "ცხოველის როგორც ორგანულ, ისე არაორგანულ გარემოსთან ტოტალური ურთიერთმიმართების გამოკვლევებს". მეოცე საუკუნის დასაწყისი-

დან ეკოლოგია აღიარებულ იქნა ბიოლოგიის დარგად, რომელიც შეისწავლის ურთიერთობას ცოცხალ ორგანიზმებსა და მათ გარემოს შორის. მაგრამ ის თანდათან პოლიტიკურ ტერმინად გარდაიქმნება მწვანეთა მზარდი მოძრაობის მიერ მისი გამოყენების კვალობაზე, განსაკუთრებით XX ს-ის 60-იანი წლებიდან მოყოლებული.

### იდეოლოგია

სიტყვა "იდეოლოგია" საფრანგეთის რევოლუციის დროს გამოიგონა ანტონ დესტა დე ტრესიმ (1754-1836), საჯაროდ კი ის პირველად 1796 წელს გამოიყენეს. დე ტრესისათვის *idéologie* ნიშნავდა ახალ "მეცნიერებას იდეათა შესახებ".

იდეოლოგია იდეათა მეტ-ნაკლებად მწყობრი სისტემაა, რომელიც საფუძველს უქმნის ორგანიზებულ პოლიტიკურ ქმედებას, სულერთია, რა მიზანს ემსახურება ის: არსებული სისტემის ან ძალაუფლების შენარჩუნებას, სახეცვლასა თუ დამხობას. ამდენად, ყველა იდეოლოგია გვთავაზობს: (ა) არსებული წყობის შეფასებას, ჩვეულებრივ, "მსოფლმხედველობის" სახით, (ბ) სასურველი მომავლის მოდელს – "კარგი საზოგადოების" ხედვას, და (გ) გეგმას, თუ როგორ შეიძლება და უნდა განხორციელდეს პოლიტიკური ცვლილება – როგორ მივიდეთ (ა)-დან (ბ)-მდე.

### ინდივიდუალიზმი

ინდივიდუალიზმი არის რწმენა ინდივიდის უზენაესობისა ნებისმიერი სოციალური ჯგუფის ან კოლექტივის წინაშე. მისი ერთ-ერთი სახის, მეთოდოლოგიური ინდივიდუალიზმის მიხედვით, ინდივიდის ცნება ნებისმიერი პოლიტიკური თეორიის ან სოციალური განსაზღვრებისათვის ამოსავალი უნდა იყოს; საზოგადოების შესახებ გაკეთებული ნებისმიერი შეფასება იმ ინდივიდებს უნდა უკავშირდებოდეს, რომლებიც მას შეადგენენ. მეორე მხრივ, ეთიკური ინდივიდუალიზმი გულისხმობს საზოგადოების ისე

მოწყობას, რომ სახეირო იყოს ინდივიდისათვის; ამასთან, მორალური თვალსაზრისით უპირატესობა ინდივიდის უფლებებს, საჭიროებებსა და ინტერესებს დაეთმოს.

**ინდუსტრიალიზმი**

ტერმინი ინდუსტრიალიზმი იმ გაგებით, როგორითაც მას გარემოს თეორეტიკოსები იყენებენ, გულისხმობს "სუპერიდეოლოგიას", რომელიც მოიცავს კაპიტალიზმსა და სოციალიზმს, მემარცხენე და მემარჯვენე შეხედულებებს. როგორც ეკონომიკურ სისტემას, ინდუსტრიალიზმს ახასიათებს ფართომასშტაბიანი წარმოება, კაპიტალის დაგროვება და შეუქცევადი ზრდა. როგორც ფილოსოფია ის ემხრობა მატერიალიზმს, უტილიტარულ ღირებულებებს, მეცნიერების აბსოლუტურ რწმენასა და ტექნოლოგიის თაყვანისცემას. აქედან გამომდინარე, მრავალი ეკოლოგისტი ინდუსტრიალიზმს "მთავარ პრობლემად" მიიჩნევს. თუმცა, ეკოსოციალისტები ბრალს უფრო კაპიტალიზმს სდებენ და არა ინდუსტრიალიზმს (რომელიც უგულებელყოფს ისეთ მნიშვნელოვან საკითხებს, როგორიცაა მფლობელობის, მოგებისა და ბაზრის როლი), მაშინ როდესაც ეკოფემინისტები ამტკიცებენ, რომ ინდუსტრიალიზმის წყარო პატრიარქატია.

**კლასიკური ლიბერალიზმი**

კლასიკური ლიბერალიზმი ყველაზე ძველი ლიბერალური ტრადიციაა. მისი იდეები ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმისაკენ გარდამავალ პერიოდში განვითარდება, ამ განვითარების კულმინაცია კი მეცხრამეტე საუკუნე, ადრეული ინდუსტრიალიზაციის ეპოქა იყო. ამიტომ კლასიკურ ლიბერალიზმს ზოგჯერ "მეცხრამეტე საუკუნის ლიბერალიზმს" უწოდებენ. კლასიკური ლიბერალიზმის აკვანი გაერთიანებულ სამეფოში დაირწა, იქ, სადაც კაპიტალისტური და ინდუსტრიული რევოლუციები ყველაზე შედეგიანი აღმოჩნდა. ეს იდეები ანგლო-

საქსურ ქვეყნებში, სახელდობრ, გაერთიანებულ სამეფოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებში, ყოველთვის უფრო ძირეული იყო, ვიდრე მსოფლიოს სხვა რომელიმე ქვეყანაში.

**კოლექტივიზმი**

კოლექტივიზმი, ფართო გაგებით, არის რწმენა იმისა, რომ კოლექტიური ადამიანური მცდელობა უფრო დიდი პრაქტიკული და მორალური ღირებულების მქონეა, ვინემ ინდივიდუალური სწრაფვა. ამდენად ის ირეკლავს იმ იდეას, რომ ადამიანურ ბუნებას სოციალური ბირთვი აქვს და გულისხმობს, რომ სოციალური ჯგუფები, იქნება ეს “კლასები”, “ერები”, “რასები” თუ სხვა, მნიშვნელოვანი პოლიტიკური ერთეულებია.

**კონსერვატიზმი**

ყოველდღიურ მეტყველებაში ტერმინი “კონსერვატიული” მრავალგვარი მნიშვნელობით იხმარება. ის შეიძლება გულისხმობდეს თავშეკავებულ ან წინდახედულ ქცევას, ცხოვრების ტრადიციულ ყაიდას, კონფორმისტულსაც კი, ან კიდევ – შიშს ცვლილებების წინაშე ან მათთვის თავის არიდებას. ყოველივე ეს ინგლისურში აღინიშნება ზმნით “to conserve”. ტერმინი “კონსერვატიზმი” საგანგებო პოლიტიკური პოზიციის ან იდეოლოგიის დასახასიათებლად პირველად მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში გამოიყენეს.

**კონსტიტუციონალიზმი**

კონსტიტუციონალიზმი, ვიწრო გაგებით, შეზღუდული მმართველობის განხორციელებაა, რომელსაც კონსტიტუცია უდევს საფუძვლად. კონსტიტუციონალიზმი, ამ გაგებით, შეიძლება ითქვას, არსებობს იქ, სადაც კონსტიტუციური კანონები ძალაუფლებრივ ინსტიტუტებსა და პოლიტიკურ პროცესებს ეფექტურად აკონტროლებს. უფრო ფართო გაგებით, კონს-

ტიტუციონალზმი არის პოლიტიკურ ღირებულებათა და მისწრაფებათა გარკვეული სისტემა, რომელიც გამოხატავს ნებას, დაიცვას თავისუფლება ხელისუფლებისათვის შინაგანი და გარეგანი შეზღუდვების დაწესებით. მისთვის დამახასიათებელია კონსტიტუციურ დებულებათა მხარდაჭერა, რომლებიც კონსტიტუციონალიზმის მიზანს განამტკიცებს; ესენია: სისტემაში მოყვანილი კონსტიტუცია, უფლებათა ბილი, ძალაუფლებათა გამიჯვნა, ორპალატიანობა და ფედერალიზმი ანუ დეცენტრალიზაცია. ასე რომ, კონსტიტუციონალიზმი პოლიტიკური ლიბერალიზმის სახეობაა.

**კორპორატიზმი**

კორპორატიზმი ფართო გაგებით, სამთავრობო პროცესებში ორგანიზებული ინტერესების გაერთიანების საშუალებაა. არსებობს კორპორატიზმის ორი სახე. ავტორიტარული კორპორატიზმი წარმოადგენს იდეოლოგიას და ეკონომიკის ფორმას. როგორც იდეოლოგია, იგი გვთავაზობს კაპიტალიზმისა და სოციალიზმის ალტერნატივას, რომელიც ჰოლიზმსა და ჯგუფურ ინტეგრაციას ეყრდნობა.

**კოსმოპოლიტიზმი**

კოსმოპოლიტიზმი სიტყვასიტყვით ნიშნავს Cosmopolis-ის ანუ "მსოფლიო სახელმწიფოს" რწმენას. იგი გულისხმობს ცალკეული ერების ეროვნული იდენტურობის მოსპობას და ერთი საერთო პოლიტიკური ერთეულის შექმნას, რომელიც ყველა ადამიანს გააერთიანებს. უნდა აღინიშნოს, რომ ჩვეულებრივ ეს ტერმინი გამოიყენება უფრო ზომიერი მიზნის ასახვისათვის და გულისხმობს ერებს შორის მშვიდობისა და ჰარმონიის დამყარებას, რომელიც დაფუძნებული იქნება ურთიერთგაგებაზე, ტოლერანტობასა და, რაც მთავარია, ერთმანეთზე დამოკიდებულების პრინციპზე. ლიბერალური კოსმოპოლიტიზმი დიდი ხანია ასოცირდება თავისუფალი ვაჭ-

რობის მხარდაჭერასთან, რისი საფუძველიც არის რწმენა იმისა, რომ თავისუფალი ვაჭრობის განვითარება ხელს უწყობს როგორც ერებს შორის ურთიერთგაგების ჩამოყალიბებას, ისე მატერიალურ კეთილდღეობას. კოსმოპოლიტურ იდეალებს აგრეთვე ახორციელებენ ზეეროვნული (სუპრანაციონალური) ორგანიზაციები, რომელთა მიზანი უფრო ერებს შორის თანამშრომლობის პროპაგანდაა, ვიდრე ეროვნული სახელმწიფოების გაუქმება.

**ლიბერალიზმი**

ტერმინს "ლიბერალური" მეთოთხმეტე საუკუნიდან მოყოლებული ხმარობენ, თუმცა მას ამ ხნის განმავლობაში უამრავი განსხვავებული მნიშვნელობა მიეწერებოდა. ლათინური სიტყვა ლიბერ თავისუფალ ადამიანთა კლასს აღნიშნავდა, ანუ ადამიანებს, რომლებიც არც ყმები იყვნენ და არც მონები. ეს სიტყვა უხვსაც ნიშნავდა – საჭმელ-სასმელის "უხვ" მოხმარებას; სოციალურ მიმართებაში კი სიწრფელეს ან მიუკერძოებლობას გულისხმობდა. მას ფართოდ უკავშირებდნენ თავისუფლებისა და არჩევანის იდეებსაც. პოლიტიკურ დატვირთვას ტერმინი "ლიბერალიზმი" გაცილებით გვიან იძენს – ამ მნიშვნელობით პირველად ის მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, კერძოდ, 1812 წელს, ესპანეთში გამოიყენეს. უკვე XIX ს-ის 40-იან წლებში ამ ტერმინით მთელ ევროპაში ფართოდ აღინიშნებოდა პოლიტიკურ იდეათა განსაკუთრებული ერთობლიობა.

**ლიბერტარ(იან)იზმი**

მოიცავს თეორიებს, რომლებიც ისეთ ღირებულებებთან შედარებით, როგორებიცაა ძალაუფლება, ტრადიცია და თანასწორობა, მტკიცე პრიორიტეტს თავისუფლებას ანიჭებს. ამდენად ლიბერტარელები ისწრაფიან, მაქსიმალურად გააფართოვონ ინდივიდის თავისუფლების არეალი და მინიმუმამდე დაიყვანონ საზოგადოებრივი ძალაუფლების საზღვრები; სახელ-

მწიფოს ისინი, როგორც წესი, თავისუფლების ძირითად საფრთხედ თვლიან.

### მულტიკულტურალიზმი

მულტიკულტურალიზმი – გამოიყენება როგორც აღწერითი, ისე ნორმატიული ტერმინის სახით. როგორც აღწერითი ტერმინი, ის კულტურულ მრავალფეროვნებას უკავშირდება, რასაც, თავის მხრივ, საზოგადოებაში ორი ან მეტი ისეთი ჯგუფის არსებობა იწვევს, რომელთა რწმენა და ქმედებები კოლექტიური იდენტობის დამახასიათებელ გრძნობას წარმოშობს. მულტიკულტურალიზმი ზედგამოჭრილია ჯგუფური მრავალსახეობისათვის, რაც რასობრივი, ეთნიკური თუ ენობრივი განსხვავებულობიდან იღებს სათავეს. როგორც ნორმატიული ტერმინი, იგი ჯგუფური მრავალსახეობის სრულ გაზიარებას გულისხმობს, რომლისთვისაც განმსაზღვრელია განსხვავებული კულტურული ჯგუფებისათვის აღიარებისა და პატივისცემის უფლებათა მინიჭება. ამ გაგებით, მულტიკულტურალიზმი აღიარებს რწმენათა, ღირებულებათა და ცხოვრების წესის მნიშვნელობას როგორც ინდივიდისთვის, ისე ჯგუფებისათვის საკუთარი ღირსების გრძნობის გასაღვივებლად.

### ნაციონალიზმი

ნაციონალიზმი – სიტყვა "nation" მეცამეტე საუკუნიდან იხმარება და წარმოდგება ლათინური სიტყვისაგან nasci, რაც დაბადებას ნიშნავს. ამ სიტყვის ფორმა natio აღნიშნავდა ადამიანებს, რომელთაც დაბადება ან დაბადების ადგილი აერთიანებდათ; თავისი შინაარსით კი იგი გულისხმობდა ტომს ან რასობრივ ჯგუფს, მაგრამ ის არ გამოიყენებოდა როგორც პოლიტიკური ტერმინი. მხოლოდ მოგვიანებით, მეთვრამეტე საუკუნის ბოლოს, შეიძინა ამ ტერმინმა პოლიტიკური დატვირთვა, როდესაც დაიწყეს ცალკეული ადამიანებისა და ჯგუფების "ნაციონალისტებად" დახასიათება. ბეჭდურ გამოცემაში

სიტყვა “ნაციონალიზმი” პირველად 1789 წელს გამოიყენა ფრანგმა ანტიიაკობინელმა მღვდელმა ოგიუსტენ ბარუელმა (Augustin Barruel). მეცხრამეტე საუკუნის შუა წლებისათვის “ნაციონალიზმი” უკვე ფართოდ იყო ცნობილი როგორც პოლიტიკური დოქტრინა ან მოძრაობა.

## ნეოლიბერალიზმი

ნეოლიბერალიზმი, რომელსაც ზოგჯერ ნეოკლასიკურ ლიბერალიზმსაც უწოდებენ, 1970-იან წლებში ეკონომიკური ლიბერალიზმის ახალი ძალით აღორძინებას უკავშირდება. ნეოლიბერალიზმი ანტირევოლუციური თეორიაა: მისი მიზანია, შეაჩეროს და შეძლებისდაგვარად რადიკალურად შეცვალოს “დიდი” მთავრობისაკენ სწრაფვა და სახელმწიფო ჩარევის პოლიტიკა, რაც მნიშვნელოვნად დამახასიათებელი იყო მეოცე საუკუნისათვის. თავდაპირველად ნეოლიბერალიზმს უდიდესი წარმატება ჰქონდა იმ ორ სახელმწიფოში, სადაც თავისუფალი ბაზრის ეკონომიკური პრინციპები ძალზე მყარად დაინერგა მეცხრამეტე საუკუნეში. ეს სახელმწიფოებია გაერთიანებული სამეფო და ამერიკის შეერთებული შტატები. გაერთიანებულ სამეფოში ის “თეტჩერიზმის”, შეერთებულ შტატებში კი “რეიგანიზმის” სახით მოგვევლინა.

## პატერნალიზმი

პატერნალიზმი სიტყვასიტყვით მამათა ყაიდაზე მოქმედებას ნიშნავს. როგორც პოლიტიკური პრინციპი, ის უკავშირდება ძალას ან ძალაუფლებას, რომელსაც სხვებზე ახორციელებენ სარგებლის ნახვის ან ზიანის თავიდან აცილების მიზნით. სოციალური უზრუნველყოფის ღონისძიებები და კანონები, როგორიცაა, მაგალითად, უსაფრთხოების ქამრების სავალდებულო ხმარება ავტომობილებში, პატერნალიზმის მაგალითებია. “რბილი” პატერნალისტები ფართო თანხმობით ხასიათდებიან. “მკაცრი” პატერ-

ნალისტური მიმართულება თანხმობის არსებობისგან დამოუკიდებლად მოქმედებს და, ამგვარად, ავტორიტარიზმს ერწყმის. პატერნალიზმი იმ პრინციპზე იგება, რომ სიბრძნე და გამოცდილება საზოგადოებაში არათანაბრადაა განაწილებული; ხელისუფლებაში მყოფებმა "უკეთ უწყიან". ამის ოპონენტთა აზრით, ხელისუფლების ნდობა არ გვმართებს, ხოლო პატერნალიზმი თავისუფლებას ზღუდავს და საზოგადოების "ინფანტილიზაციას" უწყობს ხელს.

## პატრიოტიზმი

პატრიოტიზმი (ლათ. patria-დან, რაც "მამულს" ნიშნავს) წარმოადგენს თავისი ერის მიმართ ადამიანის ემოციურ, ფსიქოლოგიურ მიჯაჭვულობას, სიტყვასიტყვით, "სამშობლოს სიყვარულს". ხშირად ნაციონალიზმსა და პატრიოტიზმს ერთმანეთში ურევენ. ნაციონალიზმს დოქტრინის ხასიათი აქვს და ეფუძნება რწმენას, რომ ერი ამა თუ იმ სახით სახელმწიფოს პოლიტიკური ორგანიზაციის წამყვან განმსაზღვრელ ფაქტორს წარმოადგენს. პატრიოტიზმი კი ამ რწმენის განსახორციელებლად ემოციურ საფუძველს იძლევა და, ამრიგად, ნაციონალიზმის ყველა ფორმაში ვლინდება.

## პრაგმატიზმი

პრაგმატიზმი, საზოგადოდ, პრაქტიკული გარემოებების კვლევას უფრო გულისხმობს, ვიდრე თეორიული დოქტრინებისას, ანუ გულისხმობს იმის კვლევას, თუ რისი მიღწევა შეიძლება რეალურ სამყაროში, განსხვავებით იმისაგან, რის მიღწევასაც იდეალური სამყარო გვავალდებულებს. როგორც ფილოსოფიური დოქტრინა (დაკავშირებული, როგორც წესი, ისეთ ფილოსოფოსთა სახელებთან, როგორებიცაა უილიამ ჯეიმსი (1842-1910) და ჯონ დიუი (1859-1952), პრაგმატიზმი გვასწავლის, რომ რწმენათა მნიშვნელობისა და მოტივაციის შეფასება მათი პრაქტიკული შედეგებით უნდა მოხდეს. თუმცა დეფინიციის

მიხედვით, პოლიტიკის პრაგმატული სტილი არაიდეოლოგიურია, მისი გაიგივება უპრინციპო ოპორტუნიზმთან არ შეიძლება. პრაგმატიზმი ცვლილებისადმი ფრთხილ დამოკიდებულებას გულისხმობს; იგი უარყოფს რადიკალურ რეფორმებსა და რევოლუციას, როგორც უცნობში შეღწევას; ნაცვლად ამისა, აქტიურ დარეგულირებასა და, სავარაუდოდ, ევოლუციურ პროგრესსაც უჭერს მხარს.

## პლურალიზმი

პლურალიზმი, ფართო გაგებით, მრავალფეროვნების ან მრავალსახეობის, ანუ, მრავალ საგანთა არსებობის რწმენაა. როგორც დესკრიპტიული ცნება, პლურალიზმი შეიძლება ნიშნავდეს პარტიულ კონკურენციას (პოლიტიკური პლურალიზმი), ზნეობრივ ღირებულებათა სიმრავლეს (მორალური, ანუ ღირებულებათა პლურალიზმი), კულტურულ ნაირსახეობას (კულტურული პლურალიზმი) და ა.შ. იგი, როგორც ნორმატიული ცნება, მიგვანიშნებს, რომ მრავალფეროვნება სასარგებლო და სასურველია, რადგან იცავს ადამიანის თავისუფლებას და ხელს უწყობს კამათს, აზრთა გაცვლა-გამოცვლასა და გაგებას. უფრო ვიწრო გაგებით, პლურალიზმი პოლიტიკური ძალაუფლების განაწილების თეორიაა, რომლის მიხედვითაც, ძალაუფლება ფართოდ და თანაბრად ვრცელდება საზოგადოებაში, ის ელიტის ან მმართველი კლასის ხელში არ იყრის თავს. ასეთი ფორმით პლურალიზმს, ჩვეულებრივ აღიქვამენ როგორც "გუნდური პოლიტიკის" თეორიას, რაც იმას გულისხმობს, რომ გუნდური მთავრობის ჩამოყალიბება ფართო დემოკრატიულ აქტივობას უზრუნველყოფს.

## პოპულიზმი

ტერმინი პოპულიზმი (ლათინური პოპულუს-იდან, რაც "ხალხს" აღნიშნავს) გამოიყენება სხვადასხვაგვარი პოლიტიკური მოძრაობების, აგრეთვე პოლიტი-

კური აზროვნების კონკრეტული ტრადიციის აღსანიშნავად. პოპულისტური მოძრაობები და პარტიები აცხადებენ, რომ სურთ დაიცვან უბრალო ადამიანები “კორუმპირებული” ეკონომიკური ან პოლიტიკური ელიტარული წრეებისგან. როგორც პოლიტიკური ტრადიცია, პოპულიზმი ასახავს რწმენას, რომ ადამიანთა ინსტიტუტები და სურვილები პოლიტიკური საქმიანობის ძირითად კანონიერ სახელმძღვანელო პრინციპს წარმოადგენს. ამიტომ პოპულისტი პოლიტიკოსები უშუალოდ მიმართავენ ხალხს და ამტკიცებენ, რომ გამოხატავენ მის ღრმეს იმედებსა და შიშს, რადგან ყველა შუალედური ინსტიტუტი ნდობას არ იმსახურებს. მიუხედავად იმისა, რომ პოპულიზმი შეიძლება უკავშირდებოდეს ნებისმიერ საქმიანობას ან იდეოლოგიას, ის ხშირად მიიჩნევა ფარულად ავტორიტარულ, “პოპულისტურ” დემოკრატიად, რომელიც “პლურალისტური” დემოკრატიის მტერია.

## პოსტმოდერნიზმი

პოსტმოდერნიზმი წინააღმდეგობრივი და ბუნდოვანი ტერმინია, რომელიც თავდაპირველად გამოიყენებოდა დასავლურ ხელოვნებაში, არქიტექტურასა და, ზოგადად, კულტურულ განვითარებაში ექსპერიმენტული მიმდინარეობების აღსაწერად. როგორც სოციალური და პოლიტიკური ანალიზის საშუალება, პოსტმოდერნიზმი თვალსაჩინოს ხდის ცვლილებას ინდუსტრიალიზაციითა და კლასობრივი სოლიდარობით განსაზღვრული სტრუქტურის მქონე საზოგადოებებიდან სულ უფრო ფრაგმენტირებული და პლურალისტური, “ინფორმაციული” საზოგადოებებისაკენ, რომლებშიც ინდივიდუუმები მწარმოებლებიდან მომხმარებლებად გარდაიქმნებიან და ინდივიდუალიზმი კლასობრივი, რელიგიური და ეთნიკური ლოიალობის ადგილს იჭერს. პოსტმოდერნისტები ამტკიცებენ, რომ არ არსებობს განსაზღვრულობის მსგავსი რამ; აბსოლუტური და უნივერსალური

ჭეშმარიტების იდეა უარყოფილ უნდა იქნას, როგორც თვითდაჯერებული ილუზია. ამის საწინააღმდეგოდ, ყურადღება მახვილდება დისკურსზე, დებატებსა და დემოკრატიაზე.

### პატრიარქალობა

ფემინისტებს სჯერათ, რომ სქესი, ისევე როგორც სოციალური კლასი, რასა ან რელიგია, მნიშვნელოვან სოციალურ მახასიათებელს წარმოადგენს. მართლაც, რადიკალი ფემინისტები ამტკიცებენ, რომ სქესი ყველაზე ღრმა და პოლიტიკურად ყველაზე მნიშვნელოვანია პოლიტიკურ განსხვავებებს შორის. შესაბამისად, ფემინისტებმა განავითარეს "სქესობრივი პოლიტიკის" თეორია იმგვარადვე, როგორც სოციალისტები ქადაგებდნენ "კლასობრივი პოლიტიკის" იდეას. ისინი აგრეთვე "სექსიზმს" ჩაგვრის ფორმად თვლიან, პარალელებს ავლებენ რა "რასიალიზმთან" ან რასობრივ ჩაგვრასთან. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ტრადიციული პოლიტიკური თეორია, როგორც წესი, იგნორირებას უკეთებდა სექსუალურ ჩაგვრას და ვერ მოახერხა ეღიარებინა სქესი პოლიტიკურად მნიშვნელოვან კატეგორიად. ამის შედეგად ფემინისტები იძულებულნი გახდნენ განევითარებინათ ახალი კონცეფციები და თეორიები, რათა გამოეხატათ იდეა, რომ საზოგადოება დაფუძნებულია სქესთა უთანასწორობასა და ჩაგვრაზე. ფემინისტები მამაკაცთა და ქალთა შორის ძალთა გადანაწილების აღსანიშნავად "პატრიარქალობის/ პატრიარქატის" ცნებას იყენებენ. ტერმინი სიტყვასიტყვით ნიშნავს "მამის მართველობას" (pater ლათინურად მამას ნიშნავს) და შეიძლება ვიწრო გაგებით გულისხმობდეს ოჯახში ქმარ-მამის უზენაესობას, და, შესაბამისად, ცოლისა და შვილების დაქვემდებარებულ მდგომარეობას. ზოგიერთი ფემინისტი პატრიარქალობის ცნებას მხოლოდ ამ კონკრეტული და შეზღუდული მნიშვნელობით იყენებს, ოჯახის სტრუქტურისა და მასში მამის დომინანტი

როლის აღსაწერად, ფართო საზოგადოებაში გენდერული ურთიერთობების ასახვისათვის უპირატესობას ანიჭებს უფრო ფართო მნიშვნელობის ტერმინების გამოყენებას, როგორც, მაგალითად, “მამაკაცთა უზენაესობა” ან “მამაკაცთა დომინირება”. მაგრამ ფემინისტები თვლიან, რომ ოჯახში მამის დომინირება მამაკაცთა ყველა სხვა ინსტიტუტში უზენაესობის სიმბოლოა. უფრო მეტიც, ბევრი მათგანი იმასაც კი ამტკიცებს, პატრიარქალური ოჯახი მამაკაცთა დომინირების სისტემატური პროცესის მთავარ საყრდენს წარმოადგენს იმ კუთხით, რომ ის განავრცობს მამაკაცთა დომინირებას ცხოვრების ყველა სხვა სფეროში: განათლებაში, სამსახურებრივ სფეროსა და პოლიტიკაში. აქედან გამომდინარე, პატრიარქალობა, ჩვეულებრივ, გამოიყენება უფრო ფართო გაგებით და გულისხმობს, მარტივად რომ ვთქვათ, “მამაკაცთა მმართველობას”, როგორც ოჯახში, ისევე მის გარეთაც.

## რასიალიზმი

რასიალიზმი, ფართო გაგებით, წარმოადგენს რწმენას, რომლითაც პოლიტიკური ან სოციალური დასკვნები შეიძლება გაკეთდეს იმ იდეის საფუძველზე, რომ კაცობრიობა იყოფა ბიოლოგიურად განსხვავებულ “რასებად”. ამრიგად, რასიალისტური თეორიები ორ დასკვნაზეა დაფუძნებული. პირველი მდგომარეობს იმაში, რომ დედამიწის ხალხებს შორის არსებობს ფუნდამენტური გენეტიკური, ანუ სახეობრივი განსხვავებები. მეორე არის ის, რომ ეს გენეტიკური სხვაობა აისახება კულტურულ, ინტელექტუალურ, და/ან მორალურ განსხვავებებში, რის გამოც ისინი პოლიტიკურად ან სოციალურად მნიშვნელოვანი ხდება. პოლიტიკური რასიალიზმი გამოიხატება რასობრივი სეგრეგაციის მოთხოვნებსა (მაგალითად, აპართეიდი) და დოქტრინებში, რომელთა მიხედვით არსებობს “სისხლით” განპირობებული უპირატესობები ან ნაკლოვანებები (მაგალითად, არიანიზმი ან

ანტისემიტიზმი). ზოგჯერ "რასიალიზმსა" და "რასიზმს" ერთი და იმავე მნიშვნელობით იყენებენ, მაგრამ უკანასკნელი ტერმინი უფრო გამოიყენება ადამიანებისადმი რასობრივი კუთვნილების გამო მიკერძოებული და მტრული დამოკიდებულების გამოსახატად, იმის მიუხედავად, იქნება თუ არა დაკავშირებული ეს დამოკიდებულება ჩამოყალიბებულ რასობრივ თეორიასთან.

### რაციონალიზმი

რაციონალიზმის მიხედვით, სამყაროს სოციალური სტრუქტურა აქვს და ამის გამჟღავნება შესაძლებელია განსჯისა და კვლევის გზით. როგორც ფილოსოფიური თეორია, რაციონალიზმი არის რწმენა იმისა, რომ შემეცნების წყარო გონებაა და არა გამოცდილება, რითაც ემპირიზმს უპირისპირდება.

### რელიგიური ფუნდამენტალიზმი

ტერმინი "ფუნდამენტალიზმი" მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან ფუნდამენტუმ, რაც საფუძველს ნიშნავს. ეს ტერმინი პირველად მეოცე საუკუნის დასაწყისში გამოიყენეს ამერიკელ პროტესტანტთა შორის გამართული პოლემიკის დროს. 1910-1913 წლებში ევანგელისტმა პროტესტანტებმა გამოაქვეყნეს პამფლეტთა ციკლი, სახელწოდებით *საფუძვლები*, რომელიც ბიბლიის შინაგან არსს ან მისი უტყუარი, სიტყვასიტყვით ჭეშმარიტების პოსტულატს ქრისტიანობის "თანამედროვე" ინტერპრეტაციებისგან იცავდა. ამჟამად ტერმინი ფუნდამენტალიზმი ასოცირდება მსოფლიოს ყველა ძირითად რელიგიასთან – ისლამთან, ინდუიზმთან, სიკჰიზმთან და ბუდიზმთან, ისევე, როგორც ქრისტიანობასთან, და გულისხმობს უფრო რელიგიურ-პოლიტიკური მოძრაობის ან პროგრამის საგანგებო სახეობას, ვიდრე, უბრალოდ, საკრალური ტექსტების უტყუარი ჭეშმარიტების მტკიცებას (თუმცა, ეს უკანასკნელი კვლავ წარმო-

ადგენს ფუნდამენტალიზმის გარკვეულ ფორმათა ნიშანს).

ტერმინი "ფუნდამენტალიზმი" უაღრესად სადავოა. გარკვეული თვისებების გამო (იგულისხმება რეპრესიები და შეუწყნარებლობა) ფუნდამენტალიზმი ლიბერალურ ფასეულობათა და პიროვნული თავისუფლების მტრად მიიჩნევა. ეს ტენდენცია კომუნიზმის კოლაფსმა გაამძაფრა. ამ უკანასკნელის ზეგავლენით, განვითარებულ დასავლეთში მრავალმა ადამიანმა ირწმუნა, რომ მარქსიზმს, მსოფლიო წესრიგისთვის საფრთხის შექმნის თვალსაზრისით, რელიგიური, ძირითადად კი – ისლამური ფუნდამენტალიზმი ჩაენაცვლა. ამგვარად, ცივი ომის დასასრულმა გლობალური "ცივილიზაციათა დაპირისპირება" განაპირობა. რადგან ფუნდამენტალიზმი ასოცირდება სიხისტესთან, დოგმატიზმსა და ავტორიტარიზმთან, ბევრი მათგანი, ვინც ფუნდამენტალისტად მიიჩნევა, უგულებელყოფს ამ ტერმინს, როგორც პრიმიტიულს, ანდა – შეურაცხმყოფელს. ამასთან, იმგვარი ალტერნატიული ტერმინებისგან განსხვავებით, როგორიცაა "ტრადიციონალიზმი", "კონსერვატიზმი", "ორთოდოქსულობა" და "რევივალიზმი". ფუნდამენტალიზმს ის უპირატესობა აქვს, რომ გამოხატავს ამ პოლიტიკური ფენომენის სპეციფიკურ ხასიათს.

### სამართლიანობა

სამართლიანობა – მორალური განსჯის განსაკუთრებული სახეა, კერძოდ ისეთი, ჯილდოსა და სასჯელის განაწილებას რომ ეხება, მოკლედ, სამართლიანობა თითოეულ ადამიანს განუსაზღვრავს, რა არის მისთვის "ჯეროვანი".

### სახელმწიფოს შესახებ

**ლიბერალების** თვალსაზრისით, სახელმწიფო წარმოადგენს ნეიტრალურ არბიტრს საზოგადოებაში არსებულ დაპირისპირებულ ინტერესებსა და ჯგუფებს შორის, სოციალური წესრიგის დაცვის უმთავრეს

გარანტს. მაშინ, როდესაც კლასიკური ლიბერალები სახელმწიფოს აღიქვამენ როგორც გარდაუვალ ბოროტებას და ხოტბასასხამენ მინიმალურ ანუ მხოლოდ "გუშაგის" ფუნქციის შემსრულებელ სახელმწიფოს, თანამედროვე ლიბერალები აღიარებენ სახელმწიფოს პოზიტიურ როლს თავისუფლების გაზრდისა და თანაბარი შესაძლებლობების ხელშეწყობის საქმეში.

ლიბერალებს სწამთ, რომ ხელისუფლება "ქვემოდან", მის მიერ მართული ხალხის თანხმობიდან მომდინარეობს. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლება აუცილებელია მოწესრიგებული არსებობისათვის, ის რაციონალური, მიზანმიმართული და შეზღუდული უნდა იყოს. ამ მოსაზრების ამსახველია ის, რომ ისინი უპირატესობას კანონიერ-რაციონალურ ხელისუფლებასა და საზოგადოების წინაშე მის ანგარიშვალდებულებას ანიჭებენ.

**კონსერვატორები** სახელმწიფოს უკავშირებენ ძალაუფლებისა და დისციპლინის უზრუნველყოფისა და სახელმწიფოს ქაოსისა და არეულობისაგან დაცვის აუცილებლობას, ამიტომაც არის, რომ კონსერვატორები, ტრადიციულად, უპირატესობას ანიჭებენ ძლიერ სახელმწიფოს.

კონსერვატორები მიიჩნევენ, რომ ხელისუფლება ბუნებრივ აუცილებლობას წარმოადგენს და რომ მისი ორგანიზება "ზევიდან" ხდება გამოცდილების, საზოგადოებრივი მდგომარეობისა და სიბრძნის არათანაბარი განაწილებიდან გამომდინარე. ხელისუფლება სასარგებლო და აუცილებელია, ვინაიდან ის ავითარებს პატივისცემასა და ერთგულებას და ხელს უწყობს საზოგადოებრივ ერთიანობას.

**სოციალისტებს** შორის გავრცელებული შეხედულებები სახელმწიფოს შესახებ არაერთგვაროვანია. მარქსისტები ყურადღებას ამახვილებენ კავშირზე სახელმწიფოსა და კლასობრივ სისტემას შორის, თვლიან რა მას ან კლასობრივი მმართველობის ინსტრუმენტად, ან კლასებს შორის დაძაბულობის

შემარბილებელ საშუალებად. მაგრამ სოციალიზმის სხვა მიმართულებები სახელმწიფოს საზოგადო სიკეთის განსხეულებად მიიჩნევენ და, შესაბამისად, მხარს უჭერენ ინტერვენციონიზმს მისი სოციალურ-დემოკრატიული ან სახელმწიფო-კოლექტივისტური ფორმით.

სოციალისტები ხელისუფლებას, ჩვეულებრივ, ეჭვის თვალით უყურებენ, რადგან მიიჩნევენ, რომ ის იმ თავითვე მჩაგვრელია და ზოგადად ძლიერთა და პრივილეგირებულთა ინტერესებს უკავშირდება. ამისდა მიუხედავად, სოციალისტური საზოგადოებები ხელისუფლებას ამყარებდნენ სხვადასხვა ფორმით გამოხატული კოლექტიური ორგანოს სახით, რომელიც ინდივიდუალიზმისა და სიხარბის კონტროლის საშუალებად მიიჩნეოდა.

**ანარქისტები** სრულიად უარყოფენ სახელმწიფოს, რადგან უსარგებლო ბოროტებად მიიჩნევენ. სახელმწიფოს სუვერენული, სავალდებულო და იძულებითი ძალაუფლება მათ მიერ აღიქმება როგორც ლეგალიზებული ჩაგვრის ფორმა, რომელიც ძლიერთა, მდიდართა და პრივილეგირებულთა ინტერესებში მოქმედებს.

ანარქისტები ხელისუფლების ყველა ფორმას არასაჭიროდ და დესტრუქციულად მიიჩნევენ და ხელისუფლებას ჩაგვრასა და ექსპლუატაციასთან აიგივებენ. რადგანაც არ არსებობს განსხვავება ხელისუფლებასა და შიშველ ძალაუფლებას შორის, ხელისუფლების კონტროლისა და ანგარიშვალდებულებების ყველა ფორმა სრულიად ყალბია.

**ფაშიზმი**, კერძოდ მისი იტალიური ტრადიცია, სახელმწიფოს უმაღლეს ეთიკურ იდეალად მიიჩნევს, რომელიც ეროვნული საზოგადოების ერთიან, არადიფერენცირებულ ინტერესებს გამოხატავს. თუმცა, ნაცისტები სახელმწიფოს აღიქვამდნენ უფრო როგორც "ჭურჭელს", რომელიც იტევს, ან როგორც ინსტრუმენტს, რომელიც ემსახურება რასას ან ერს.

**ფემინისტები** სახელმწიფოს მამაკაცთა ძალაუფლების იარაღად მიიჩნევენ, მათი აზრით, პატრიარქალური სახელმწიფო ემსახურებოდა ცხოვრების საზოგადოებრივი ან "პოლიტიკური" სფეროდან ქალთა გამოდევნის ან მის ფარგლებში მათი დამორჩილების ამოცანას. თუმცა ამისდა მიუხედავად, ლიბერალური ფემინისტები თვლიან, რომ სახელმწიფო რეფორმების იარაღს წარმოადგენს, რომელიც მგრძნობიარეა ელექტორატის ზეწოლის მიმართ.

**ფაშისტები** ხელისუფლებას მიიჩნევენ პირადი ლიდერობის ან ქარიზმის გამოხატულებად, თვისებად, რომელსაც ფლობენ არაჩვეულებრივად ნიჭიერი (ან საერთოდ უნიკალური) ადამიანები. ასეთი ქარიზმატული ხელისუფლება აბსოლუტური და უდავოა, აქედან გამომდინარე, შინაგანად (და შესაძლოა გარეგნულადაც) იგი ტოტალიტარული ბუნების უნდა იყოს.

**ფუნდამენტალისტების** დამოკიდებულება სახელმწიფოს მიმართ მეტად პოზიტიურია, რადგანაც ისინი თვლიან, რომ სახელმწიფო სოციალური, ზნეობრივი და კულტურული განახლების საშუალებაა. შესაბამისად ფუნდამენტალისტური სახელმწიფო რელიგიური მმართველობისა და სიბრძნის პოლიტიკურ გამოხატულებად ითვლება.

რელიგიური ფუნდამენტალისტები ხელისუფლებას რელიგიური სიბრძნის არათანაბარი ფლობის ასახვად მიიჩნევენ. ხელისუფლება, თვისობრივად, გათვითცნობიერებული პიროვნებების მორალურ თვისებას წარმოადგენს. ასეთ ხელისუფლებას ქარიზმატული ხასიათი აქვს, ამიტომ რთულია მისი კონსტიტუციონალიზმით შეზღუდვა ან მათი შეთავსება.

## სიონიზმი

სიონიზმი (სიონი ებრაულად ზეციურ საუფლოს ნიშნავს) არის მოძრაობა ებრაელთა სახელმწიფოს დასაარსებლად. ჩვეულებრივ, იგულისხმება, რომ ის პალესტინაშია. ეს იდეა, რომელიც ითვალისწინებდა

დევნისგან ებრაელი ხალხის დაცვას, პირველად თეოდორ ჰერცლმა (Theodore Herzl, 1860-1904) წამოაყენა სიონისტთა კონგრესზე ბაზელში. ადრეულ სიონისტებს ახასიათებდათ სეკულარისტული და ნაციონალისტური მისწრაფებები, რასაც ხშირად სოციალისტური სიმპათიები ერთვოდა. ამასთან, 1948 წელს ისრაელის სახელმწიფოს დაარსების შემდეგ სიონიზმი უკავშირდება ისრაელის ოდინდელ პერსპექტივას, უზრუნველყოს სამშობლო ყველა ებრაელისთვის, აგრეთვე – ისრაელის მიმართ სიმპათიის გაძლიერების მცდელობებსა და მტრებისგან მის დაცვას. უკანასკნელი ფაქტორის თვალსაზრისით, ისრაელის შექმნას საფუძვლად დაედო ფუნდამენტალიზმი, რომელმაც პალესტინელთა აზრით ექსპანსიონისტური, ანტიარაბული ხასიათი შეიძინა.

## ტერორიზმი

ყველაზე ფართო გაგებით, ტერორიზმი ნიშნავს ტერორის გამოყენებას შორსმიმავალი პოლიტიკური მიზნებით; ტერორიზმის ამოცანაა შიშისა და დაბნეულობის ატმოსფეროს შექმნა. მიუხედავად ამისა, ეს ტერმინი ძალზე სადავოა. ჯერ ერთი, განსხვავებას, ერთი მხრივ, ტერორიზმსა და მეორე მხრივ, ძალმომრეობის ან ბრძოლის სხვა ფორმებს შორის ის ფაქტი აქარწყლებს, რომ ეს უკანასკნელნი შეიძლება, აგრეთვე, ფართო მასების დაშინებას ესწრაფოდნენ. გარდა ამისა, რადგან ტერმინი “ტერორისტი” ძალზე დამამცირებელია, ის შერჩევით და ხშირად სუბიექტურად გამოიყენება (ის, ვინც ერთ ადამიანს ტერორისტად მიაჩნია, სხვისი აზრით, შეიძლება “თავისუფალ მებრძოლს” წარმოადგენდეს). ბოლოს, თუმცა ტერორიზმს, როგორც წესი, ანტისახელმწიფოებრივ საქმიანობას უწოდებენ, სახელმწიფოები ზოგჯერ ტერორს საკუთარი მოსახლეობის წინააღმდეგ იყენებენ, რაც “სახელმწიფო ტერორიზმის” სახით გვევლინება.

**ტორიზმი**

"ტორი" მეთვრამეტე საუკუნეში ბრიტანეთის პარლამენტში ერთ-ერთი ფრაქციის სახელწოდება იყო (ვიგების ოპოზიცია), რომელიც მონარქიულ ძალაუფლებასა და ანგლიკანურ ეკლესიას უჭერდა მხარს და მიწათმფლობელ წვრილ თავად-აზნაურობას წარმოადგენდა; ამერიკის შეერთებულ შტატებში ის ბრიტანეთის გვირგვინისადმი ლოიალობას გულისხმობდა.

**ტოტალიტარიზმი**

ტოტალიტარიზმი წარმოადგენს პოლიტიკური მმართველობის ყოვლისმომცველ სისტემას, რომელიც, ჩვეულებრივ, ტოტალური იდეოლოგიური მანიპულაციის, ღია ტერორისა და სისასტიკის გზით მყარდება. ის განსხვავდება ავტოკრატიის, ავტორიტარიზმისა და ტრადიციული დიქტატურისაგან იმით, რომ ცდილობს მოიპოვოს "ტოტალური ძალაუფლება", საზოგადოებრივი და პირადი არსებობის ყველა ასპექტის პოლიტიზირების გზით. ამრიგად, ტოტალიტარიზმი სამოქალაქო საზოგადოების სრულ გაუქმებას, "პირადულის" გაუქმებას გულისხმობს. ზოგჯერ ფაშიზმსა და კომუნიზმს ტოტალიტარიზმის მემარცხენე და მემარჯვენე ფორმებად მიიჩნევენ, ვინაიდან ისინი უარყოფენ შემწყნარებლობას, პლურალიზმსა და ღია საზოგადოებას. მაგრამ ისეთი რადიკალური მოაზროვნეები, როგორიც, მაგალითად, მარკუზე იყო, ამტკიცებდნენ, რომ ლიბერალური დემოკრატიებიც ავლენენ ტოტალიტარულ თვისებებს.

**უტილიტარიზმი**

უტილიტარიზმი ეთიკური მიმდინარეობაა, რომელიც ჯერემი ბენთამმა და ჯეიმზ მილმა განავითარეს. ის "სიკეთეს" – სიამოვნებასა და ბედნიერებასთან, "ბოროტებას" კი ტკივილსა და უბედურებასთან აიგივებს. ასეთი ხედვის შესაბამისად, ადამიანები

მოქმედებენ სიამოვნების მაქსიმუმამდე გაზრდისა და ტკივილის მინიმუმამდე შემცირების მიზნით, ეს უკანასკნელი კი სარგებლიანობის, ანუ გამოყენების ღირებულების საზომით იზომება და, ჩვეულებრივ, აღიქმება როგორც მატერიალური მოხმარებიდან მიღებული კმაყოფილება.

## უტოპიზმი

უტოპია (ბერძ. outopia-დან, რაც ნიშნავს "არსად", ან "eutopia"-დან, რაც "კარგ ადგილს" ნიშნავს) სიტყვასიტყვით იდეალურ ან სრულყოფილ საზოგადოებას ნიშნავს. მიუხედავად იმისა, რომ შესაძლებელია მრავალნაირი უტოპიების წარმოდგენა, მათ უმეტესობას ახასიათებს გაჭირვების აღმოფხვრა, კონფლიქტების არარსებობა და ჩაგვრისა და ძალადობის თავიდან აცილება. უტოპიზმი პოლიტიკური თეორიის ჩამოყალიბების ისეთ ფორმას წარმოადგენს, რომელიც არსებული სისტემის კრიტიკას იდეალური ან სრულყოფილი ალტერნატივის შექმნის გზით ავითარებს.

## ფაშიზმი

ტერმინი "ფაშიზმი" მომდინარეობს იტალიური სიტყვიდან fasces (ფაშეს), ნიშნავს წნელის შეკვრას, რომლიდანაც გამოშვერილია ნაჯახი და რომელიც აღნიშნავდა მაგისტრატების ძალაუფლებას რომის იმპერიაში. XIX ს-ის 90-იანი წლებისთვის სიტყვა fascia იტალიაში გამოიყენებოდა პოლიტიკური ჯგუფის (ჩვეულებრივ, რევოლუციონერი სოციალისტების) აღსანიშნავად. მუსოლინემდე ამ ტერმინით არ მოიხსენიებდნენ იმ ნახევრადსამხედრო შეიარაღებულ ჯგუფებს, რომლებიც მან ჩამოაყალიბა პირველი მსოფლიო ომის მსვლელობისას და მისი დამთავრების შემდეგ, როცა fascismo-მ აშკარად იდეოლოგიური მნიშვნელობა შეიძინა. მიუხედავად ამისა, ალბათ არც ერთი პოლიტიკური ტერმინი არ გამოიყენებოდა ისე ხშირად და არააკურატულად,

როგორც "ფაშისტი" და "ფაშიზმი". მათ, ჩვეულებრივ, დამამცირებელი მნიშვნელობით იყენებენ, ზოგჯერ კი – პოლიტიკური ლანძღვის უნივერსალურ ტერმინებადაც. "ფაშისტი" და "დიქტატორი", მაგალითად, ჩვეულებრივ, ურთიერთჩანაცვლებადი სიტყვებია ისეთი ადამიანის მიმართ, რომელსაც აქვს ან გამოხატავს არატოლერანტულ ან არალიბერალურ შეხედულებებს. თუმცა, ფაშიზმი არ უნდა გავაიგივოთ უბრალო რეპრესიასთან. ფაშიზმის თეორეტიკოსებმა განიცადეს გარკვეული თეორიებისა და ღირებულებების ზეგავლენა და XX ს-ის 20-30-იან წლებში ჩამოყალიბებულმა ფაშისტურმა რეჟიმებმა პოლიტიკური მმართველობის ახალი ფორმები შექმნეს.

თუ ლიბერალიზმი, კონსერვატორიზმი და სოციალიზმი მეცხრამეტე საუკუნის იდეოლოგიებია, ფაშიზმი მეოცე საუკუნის პირმშოა, შეიძლება ითქვას – ორ მსოფლიო ომს შორის პერიოდისა. სინამდვილეში ფაშიზმი გაჩნდა როგორც ჯანყი თანამედროვეობის წინააღმდეგ, განმანათლებლობის იდეათა, ღირებულებათა და მის მიერ წარმოქმნილი პოლიტიკური შეხედულებების წინააღმდეგ.

ფემინიზმი

"ფემინიზმი", როგორც პოლიტიკური ტერმინი, მეოცე საუკუნის გამოგონებაა და ის ყოველდღიურად სასაუბრო ენაში მხოლოდ 60-იანი წლებიდან შემოვიდა. (ტერმინი "ფემინისტი" პირველად გამოიყენეს მეცხრამეტე საუკუნეში მამაკაცთა ფემინიზაციისა ან ქალთა მასკულინიზაციის აღსანიშნავად). დღეს ფემინიზმი უცვლელად უკავშირდება ქალთა მოძრაობასა და ქალთა სოციალური როლის განვითარების მცდელობას. ამ კუთხით მას ორ ძირითად შეხედულებასთან აკავშირებენ: ქალებს სქესის გამო აქვთ შეზღუდვები; მათი მოსპობა შეიძლება და ისინი უნდა მოისპოს. ამ მიმართულებით ფემინისტები ყურადღებას ამახვილებდნენ იმაზე, რასაც

ისინი სქესთა შორის პოლიტიკურ ურთიერთობად მიიჩნევენ, კერძოდ, მამაკაცთა უზენაესობას, და ქალთა დაქვემდებარებულ მდგომარეობაზე ყველა საზოგადოებაში თუ არა, მათ უმეტესობაში მაინც. ამისდა მიუხედავად, ფემინიზმს ახასიათებს აგრეთვე შეხედულებებისა და პოლიტიკური პოზიციების მრავალფეროვნება.

### ფუნდამენტალიზმი

ფუნდამენტალიზმი არის აზროვნების ყაიდა, რომელიც გარკვეულ პრინციპებს ძირეულ ჭეშმარიტებებად მიიჩნევს. ამ უკანასკნელთა ურყევი და უდავო ავტორიტეტი შეუვალია, მათი შინაარსის მიუხედავად. ამიტომ ფუნდამენტალიზმის დამოუკიდებელ სახეობებს ოდენ უმნიშვნელო მსგავსება აქვთ ერთმანეთთან ან საერთო არაფერი აქვთ, გარდა მათი მომხრეების მისწრაფებისა, გულმოდგინედ ან მგზნებარედ ამტკიცონ დოქტრინის უეჭველობა. ფუნდამენტალიზმი, ჩვეულებრივ, ასოცირდება რელიგიასა და საკრალური ტექსტების სიტყვასიტყვით ჭეშმარიტებასთან, მაგრამ ის შეიძლება, აგრეთვე, გამოვლინდეს პოლიტიკურ მსოფლმხედველობებშიც. თვით ლიბერალურ სკეპტიციზმშიც შეინიშნება ფუნდამენტალისტური შეხედულება იმის შესახებ, რომ შეიძლება დაეჭვება ყველა თეორიაში (საკუთარი თეორიის გარდა). ეს ტერმინი ხშირად გამოიყენება დაცინვის მიზნით და მიუთითებს სიხისტეზე, დოგმატიზმსა და ავტორიტარიზმზე, მაგრამ ზოგჯერ პრინციპისადმი ერთგულებასა და თავდადებასაც აღნიშნავს.

**ისლამური ფუნდამენტალიზმი**. ირანის ისტორიის განმავლობაში თავს იჩენდა კონფლიქტი რელიგიასა და პოლიტიკას შორის; მუსლიმანთა ზოგიერთი ლიდერი ხშირად არარელიგიური მიზნებით ხელმძღვანელობდა და მოქნილად იყენებდა ისლამის პრინციპებს პოლიტიკური ცხოვრების მიმართ; მეორე მხრივ, ფუნდამენტალისტები მკაცრად მისდევდნენ

წინასწარმეტყველის ცხოვრების ყაიდასა და პრინციპებს. ფუნდამენტალიზმი ისლამში არ გულისხმობს ყურანის უცილობელი ჭეშმარიტების რწმენას; ამაში ეჭვი არ ეპარება არც ერთ მუსლიმანს (ამიტომ, შეიძლება ითქვას, ყველა მუსლიმანი ფუნდამენტალისტია). ისლამური ფუნდამენტალიზმი ნიშნავს ძლიერ და საომარი სულისკვეთებით გამსჭვალულ რწმენას იმისა, რომ ისლამის პოსტულატები წარმოადგენს სოციალური ცხოვრებისა და პოლიტიკის, აგრეთვე – მორალის ძირითად პრინციპებს. ისლამურ ფუნდამენტალისტებს სურთ განამტკიცონ რელიგიის პრიმატი პოლიტიკაზე. პრაქტიკულად ეს ნიშნავს "ისლამური სახელმწიფოს", ანუ იმგვარი თეოკრატიის დაარსებას, რომელსაც მართავს სასულიერო, და არა საერო ხელისუფლება შარიათის ღვთაებრივი კანონის (ე.ი. ყურანში ჩამოყალიბებული პრინციპების) მიხედვით. შარიათი წარმოადგენს ეთიკური და სამართლებრივი ნორმების კოდექსს, მათ შორის – სასჯელთა სისტემას დანაშაულთა უმრავლესობისათვის, ისევე, როგორც მამაკაცთა და ქალთა პირადი ქცევის წესებს.

**შიიტური ფუნდამენტალიზმი.** ირანი პოლიტიკური ისლამის აღორძინების სიმბოლოდ იქცა, ხოლო ფუნდამენტალისტური დაჯგუფებები ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა ლიბანი, პაკისტანი, ავღანეთი და გაერთიანებული სამეფო, ირანს სულიერ და პოლიტიკურ ლიდერად მიიჩნევენ. ირანის მოსახლეობის უმრავლესობა შიიტთა სექტის წევრებია (ესაა უფრო მცირერიცხოვანი სექტა ორი ისლამური სექტიდან).

**ქრისტიანული ფუნდამენტალიზმი.** ქრისტიანული სარწმუნოება, რომელსაც ორი მილიარდი აღმსარებელი ჰყავს, მსოფლიოში ყველაზე მასშტაბური რელიგიაა. ის წარმოიშვა პალესტინაში და გავრცელდა ჯერ რომის იმპერიაში, შემდეგ კი – ევროპაში, ხოლო მოგვიანებით ევროპულ ახალმოსახლეთა წყალობით, ექსპორტირებულ იქნა ამერიკასა და მსოფლიოს სხვა კუთხეებში. ახალი ქვეყნების დაპყ-

რობისა და მისიონერთა მცდელობების მიუხედავად, 1900 წლისათვის მსოფლიოს ქრისტიანთა დაახლოებით 83 პროცენტს ჯერ კიდევ დასავლეთის მკვიდრნი შეადგენდნენ. მეოცე საუკუნეში ქრისტიანული სარწმუნოების აღმსარებელთა რაოდენობა დასავლეთში (განსაკუთრებით ევროპაში) შემცირდა, მაგრამ მათმა საერთო რაოდენობამ მკვეთრად იმატა განვითარებად მსოფლიოში. ეს ნიშნავს, რომ ქრისტიანთა უმრავლესობა ამჟამად აფრიკაში, აზიასა და ლათინურ ამერიკაში ცხოვრობს.

**ქრისტიანობა** იუდაიზმის ფარგლებში ჩამოყალიბდა. ქრისტიანობის მიმდევრებს სწამთ, რომ იესო იყო ძველ აღთქმაში ნაწინასწარმეტყველები მესია, ხოლო მისი ცხოვრება და ქადაგებები ახალ აღთქმაშია გადმოცემული. ყველა ქრისტიანი აღიარებს ბიბლიის ავტორიტეტს, მაგრამ ქრისტიანობა დანაწევრებულია კათოლიკურ, მართლმადიდებლურ და პროტესტანტულ ეკლესიებად. რომაული კათოლიციზმის საფუძველია რომის პაპის საერო და სასულიერო ხელისუფლება, რომელიც ემყარება დოქტრინას პაპის შეუცდომლობის შესახებ. აღმოსავლური მართლმადიდებლური ქრისტიანობა წარმოიშვა რომის ეკლესიის განხეთქილების შედეგად, 1054 წელს, და დანაწევრდა მრავალ ავტონომიურ ეკლესიად. მათგან ყველაზე მნიშვნელოვანია რუსეთის მართლმადიდებლური ეკლესია და საბერძნეთის მართლმადიდებლური ეკლესია. პროტესტანტიზმი მრავალგვარ მიმდინარეობას მოიცავს. მეთექვსმეტე საუკუნეში, რეფორმაციის დროს, მათ უგულებელყვეს რომის ავტორიტეტი და ჩამოაყალიბეს ქრისტიანობის რეფორმირებული ეროვნული სახეობები. ყველაზე გავლენიანი პროტესტანტული მიმდინარეობები იყო ლუთერანიზმი შვედეთში და, ნაწილობრივ, გერმანიაში, კალვინიზმი – ჟენევასა და შოტლანდიაში, ბოლოს – ანგლიკანიზმი ინგლისში. პროტესტანტიზმის მიმართულებებს, კონცეპტუალური განსხვავებების მიუხედავად, აერთიანებს ბიბლიის, როგორც ჭეშმარი-

ტების ერთადერთი წყაროს, აღიარება და რწმენა იმისა, რომ ადამიანებს ღმერთთან უშუალო ურთიერთობის დამყარება ძალუძთ.

რეფორმაციის შემდგომ ქრისტიანობის პოლიტიკური მნიშვნელობა მნიშვნელოვანწილად შესუსტდა. ლიბერალური კონსტიტუციონალიზმის პროგრესმა ნაწილობრივი ასახვა ჰპოვა ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთგამიჯვნასა და პოლიტიკური ცხოვრების რადიკალურ სეკულარიზაციაში. ქრისტიანობა (ყოველ შემთხვევაში, განვითარებულ დასავლეთში) შეეწყო ამ ვითარებას, რადგან თანდათან იქცა პერსონალურ რელიგიად და უკავშირდება უფრო პიროვნების სულიერ ხსნას, ვიდრე – საზოგადოების მორალურსა და პოლიტიკურ რეგენერაციას. ამან, თავის მხრივ, მეოცე საუკუნის დასასრულს ხელი შეუწყო ქრისტიანული ფუნდამენტალიზმის თვისებრივ ჩამოყალიბებას. ფუნდამენტალისტები, რომლებიც მყარ სოციალურ, ეკონომიკურსა და პოლიტიკურ სტრუქტურებს უპირისპირდებოდნენ და შესისხლხორცებული ჰქონდათ სეკულარული ფასეულობები და მიზნები, ძირითადად პლურალისტურ და კონსტიტუციურ ჩარჩოებში მუშაობით კმაყოფილდებოდნენ. ისინი ნაკლებად ესწრაფოდნენ თეოკრატიის დამყარებას და, ჩვეულებრივ, ცალკეულ საკითხებთან დაკავშირებულ კამპანიებს ატარებდნენ ან მორალის სიწმინდისათვის იბრძოდნენ.

### ჰოლიზმი

ტერმინი “ჰოლიზმი” 1926 წელს შექმნა იან სმუტსმა, ბურმა გენერალმა და სამხრეთ აფრიკის ორგზის პრემიერ-მინისტრმა. იგი ამ ტერმინს იყენებდა იმ იდეის გამოსახატად, რომლის მიხედვით, ბუნებრივი სამყარო შეიძლება გაგებულ იქნას მხოლოდ როგორც მთლიანობა და არა მისი ცალკეული ნაწილების მეშვეობით. სმუტსს სჯეროდა, რომ მეცნიერება რედუქციონიზმის ცოდვას ჩადის: ის

აწვრილმანებს ყველაფერს, რასაც სწავლობს ცალკეულ ნაწილებად და ცდილობს თითოეული ნაწილის ცალკე გაგებას. ამის საპირისპიროდ, ჰოლიზმი დაფუძნებულია რწმენაზე, რომ “მთლიანობა” უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ცალკეული “ნაწილები”; ფაქტობრივად, ის ამტკიცებს, რომ თითოეულ ნაწილს მხოლოდ სხვა ნაწილებთან და, საბოლოოდ, მთლიანობასთან მიმართებით აქვს მნიშვნელობა. მაგალითად, მედიცინაში დაავადება ტრადიციულად აღიქმებოდა, როგორც სხეულში კონკრეტული ორგანოს ან სულაც კონკრეტული უჯრედების დეფექტი და არა როგორც პაციენტის სიცოცხლის, როგორც მთელის, ბალანსის დარღვევა. აქედან გამომდინარე, ყურადღება ეთმობოდა ფიზიკური სიმპტომების განკურნებას, მაშინ როდესაც ფსიქოლოგიური, სოციალური და ეკოლოგიური ფაქტორები, როგორც წესი, იგნორირებული იყო.

## გამოყენებული ლიტერატურა


1. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი. ტ. I-VIII, თბ., 1955.
2. შავიშვილი თ. ფიგურალური სიტყვა-თქმების კრებული. თბ., 1960.
3. ჭუმბურიძე ზ. როგორ გაჩნდა სიტყვა. თბ., 1978.
4. მოკლე პოლიტიკური ლექსიკონი. თბ., 1986.
5. ფილოსოფიური ლექსიკონი. თბ., 1987.
6. ქართული ენის განმარტებითიიი ლექსიკონი. ერთტომეული. I, II ნაკვ. თბ., 1990.
7. გაფრინდაშვილი ნ. შიოს მარანი (რატომ ვამბობთ ასე?). თბ., 1991.
8. ჰეივუდი ე. პოლიტიკური იდეოლოგიები. თბ., 2005.
9. ბეჟანიშვილი ლ., ჩხაიძე თ., თარხნიშვილი შ. საქართველოს საკანონმდებლო ტერმინთა ლექსიკონი. თბ., 2008.

შინაარსი


1. განმარტებითი ლექსიკონი....................................................3
2. ფიგურალური სიტყვა-თქმანი......................................287
3. პოლიტიკური იდეოლოგიები
(ტერმინთა განმარტება).........................................................345
4. გამოყენებული ლიტერატურა......................................374

კომპიუტერული უზრუნველყოფა ირინა ღარიბიანისა

**იბეჭდება ავტორის მიერ წარმოდგენილი სახით**

გადაეცა წარმოებას 30.01.2009. ხელმოწერილია დასაბეჭდად 12.02.2009. ქაღალდის ზომა 60X84 1/16. პირობითი ნაბეჭდი თაბახი 23,5. ტირაჟი 100 ეგზ.

საგამომცემლო სახლი „ტექნიკური უნივერსიტეტი", თბილისი, კოსტავას 77

Verba volant, scripta manent